ა.ს.რ. მ[illegible]ნ ელი საფ.-მკონომ. ინსტიტუტი

K 9115/1a

დოც. ნ. გვაზავა

საქ. ს.ს.რ. მკონომიური გეოგრაფია

ბაK 9115 1a



ტფილისი 1935 წ.

რედაქტორები: პროფ. გ. ნ. გენტმანი
და ან. გუაჩიძე

კორექტორი: ი. ორჯონიკიძე.

წინასიტყვაობა

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ეკონომიური გეოგრაფიის წინამდებარე მოკლე კურსი დანიშნულია ამიერკავკასიის დაუსწრებელ საფინანსო-ეკონომიურ ინსტიტუტის სტუდენტთათვის. აღნიშნულ კურსში უნდა ყოფილიყო ასახული, რაც შეიძლება მოკლედ, ჩვენი მეურნეობის მთავარი დარგების განლაგება და განვითარება. ავტორი ყოველთვის ცდილობდა, რათა ხსენებულ კურსში მოეთავსებია მთავარი და აუცილებელი მასალა, რადგან ფიქრობს, რომ დაუსწრებელ ინსტიტუტის სტუდენტთ შესძლებს სხვადასხვა მონოგრაფიების საშუალებით ცალკე საკითხების უფრო ფართოდ გამოკვლევას.

ჯერჯერობით ეკონომიურ გეოგრაფიის ლიტერატურაში საქართველოს ეკონომიური გეოგრაფიის ცალკე კურსი არ არსებობს, არა თუ უმაღლეს სასწავლებლებისათვის, არამედ საშუალოსათვისაც, გარდა პროფ გ. ნ. გეხტმანის „საქართველოს ეკონომიური გეოგრაფიისა," რომელიც გამოცემულია 1925 წ. რას შეადგენს საქართველოს ეკონომიაში მოხდა დიდი ცვლილებები (კოლე ტივიზაცია. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა, ელექტრიფიკაცია და სხვ.), ერთი სიტყვით, მის შემდგ მოადგა უდიდესი ეკონომიური ძვრები და ამიტომ ხსენებული კურსი მოძველებულია რაც შეეხება გ. ჯანაშვილის მიერ საშუალო სკოლებისათვის დაწერილ „საქართველოს ეკონომიურ გეოგრაფიას"—ისიც მოძველებულია.

პარტიისა და ხელისუფლების ლოზუნგი — „დავეწიოთ და გადავუსწროთ ეკონომიურად და ტექნიკურ დ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს“ — ჩვენ წიხაზე მთელი სიმწვავით სვამს საკითხს. ზედმიწევნით შევისაკვლოთ საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალთა განლაგება.

მაგრამ საწარმოო ძალთა განლაგების შესწავლა აუცილებელია საწარმოო ურთიერთობის ასპექტში და თან ერთიანად მთლიანობაში აღებული, როგორც არს ბულ მდგომარეობაში, ისე წარსულში და შემდგომი განვითარების პერსპექტივებში.

დიდი ბელადის ამხ. სტალინის წერილი ჟურნალ „პროლეტარული რევოლუციის“ რედაქციისადმი მეტად ამახვილებს ბოლშევიკურ სიფიზლეს თეორიულ ფრონტზე და კარძოდ ამ წერილსა კი გამახვილებული ხასიათის ხასიათი ბურჟუაზიულ და ოპორტუნისტულ თეორიების გავრცელებას ეკონომიურ გეოგრაფიაში.

ეკონომიური გეოგრაფიის შესწავლა მოითხოვს წინასწარ ცოდნას ფიზიკურ-პოლიტიკური გეოგრაფიის სას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექნება შემეცნებასთან და ამიტომ მკითხველს არასოდეს არ გქნება კონკრეტული წარმოდგენა ამათუიმ საკითხზე.

აღნიშნული მოკლე კურსი ფართოდ ვერ აშუქებს ფიზიკურ-გეოგრაფიულ მასალას, რადგან მისი შოკულობა წინასწარ განსაზღვრული ყო. ამიტომ ავტორი შეეცადა მოეცა აუცილებელი ძასალის მინიმუ ი.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის მარქს-ენგელსისა-ლენინ-სტალინის მეთოდოლოგიით გამუშებული საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიური და პოლ ტიკური გეოგრაფიის კურსი, ამიტომ ავტორს ეჭვი არ ეპარება, რომ ამ ხარვეზს უნაკლო არ იყოს ეს შრომა.

თუ ზოგ ეკონომიურ გეოგრაფიის კურსში არის გადახრა წმინდა სტატისტიკური ან ქონელთ-მცოდნეობის ხასიათისა, ამ წიგნში ავტორი ცდილობდა ძალზე შეეცირებია სტატისტიკური მასალა, რომელიც ამ

შემთხვევაში ნაკლებად პრაქტიკული მნიშვნელობისაა. მაგრამ აუცილებელი ტაბულები და ციფრები საჭირო იყო მოეთავსებია.

ავტორი ცდილობდა მიეცა მკითხველისათვის სწორი ორიენტაცია ამათუიმ დარგის მდგომარეობის და განვითარების პერსპექტივებზე და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაეშუქებია ციფრობრივი მასალით.

ამ შრომისათვის გარდა სპეციალურ ლიტერატურისა გამოყენებულ იქნა საკ. კ.პ. (ბ), საქ. კ.პ. (ბ) ყრილობის, კონფერენციების და პლენუმების მასალები; ამხ. სტალინის და ამხ. ბერიას მოხსენებები და სიტყვები სხვადასხვა კრებებზე და ყრილობა-კონფერენციებზე, აგრეთვე საბჭოთა ყრილობების და მთავრობის მოხსენებათა მასალები.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს შრომა არ არის ნაკლისაგან დაზღვეული და მკითხველებს ვთხოვთ მოგვაწოდონ თავიანთი აზრი და მითითება. ვიოთაც დიდად დაგვავალებენ.

დოც. ნ. გვაზავა

ქ. ტფილისი

1935 წ.

საქ. ხ. ხ. რ. ტერიტორიის შემადგენლობა და საზღვრები

საქართველოს ს. ს. რ. შეადგენს ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტურ ფედერატ. რესპუბლიკის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილს.

საქართველოს საზღვრავს დასავლეთით შავი ზღვის სანაპირო ხაზი დაწყებული მდ. ფსოუს შესართავიდან და გათავებულ მდ. ჭოროხის შესართავით სოფ. სარფთან; სამხრეთით — თურქეთის რესპუბლიკა, და სომეთი, აღმოსავლეთით — აზერბეიჯანი; ჩრდილოეთით — კავკასიონის ქედის წყალთგამყოფი გრეხილი მდ. ფსოუს სათავიდან ძდ. ლიახვის სათავემდე, რომელიც შემდეგ გრძელდება კავკასიონის მთაგრეხილის წყალგამყოფით ძდ. მაშმანდის სათავ. მდე.

ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით საქართველო შეიძლება დავყოთ სამ ნაწილად: დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთ საქართველო და სამხრეთ საქართველო.

როგორც ხედოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ს. ს. რ. შეადგენს ა.-კავკასიის საბ. სოც. რესპუბლიკის ნაწილს. უკანასკნელის ტერიტორია უდრის 185.600 კვ. კილომეტრს, რაც დაახლოებით შეადგენს საბ. სოც. რესპ. კავშირის ტერიტორიის 0,87%. ამიერ-კავკასიის ფედერაციას შეადგენს სამი რესპუბლიკა, რომლებიც თავიანთი ავტონომიური რესპუბლიკებით და ოლქებით შედიან მასში თანასწორ უფლებიან წევრებად. ამ სამ ძირითად რესპუბლიკაში საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიის მხრივ უჭირავს მეორე ადგილი.

საქართველოს ს. ს. რ. უჭირავს 69.600 კვ. კილომეტრი.

საქართველოს ს. ს. რ. ფარგლებში მოექცა ყოფ. ჭუთაისისა და ტფილის ს გუბერნია. დღევანდელი საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში შედის აჭარისტანის საბჭ. სოც. ავტონომიური რესპუბლიკა, რომლ ს ტერიტორია რევოლუციამდე შეადგენდა ბათუმის ოლქს. აფხაზეთის საბჭ. სოც. ავტონომიური რესპუბლიკა შედგა ყოფ. ს ბათუმის ოკრუგისაგან. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური

ოლქი შედგა გორის, დუშეთის, შორაპნისა და რაჭის მაზრების ნაწილებისაგან.

მთელი საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიურ ერთეულების ტერიტორია:

საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიას უჭირავს— 69.600 კვ. კლმ.

ამ რიცხვში: 1) აფხაზეთის ს. ს. ავტ. რესპ— 8.665 კვ. კლმ.

2) აჭარისტანის ს. ს. ავტ. რეს.—2.800 კვ. კლმ.

3) სამხ.-ოსეთის ავტონ. ოლქს—3.700 კვ. კლმ.

საქართველოს ტერიტორია ბევრად აღემატება დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოს ტერიტორიას, მაგალითად, ბელგიას უკავია—30.400 კვ. კლმ., შვეიცარიას—41.300 კვ. კლმ., დანიას—34.000 კვ. კლ.

საქართველოს რელიეფი

საქართველოს ახასიათებს მრავალნაირი ზედაპირი. ზედაპირის მეტი ნაწილი მთა-გორიანია, რომელსაც უჭირავს დაახლოებით მთელი ტერიტორიის 85 პროც. საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენ გვხდება მთა გრეხილები საკმაოდ ძალიან მწვერვალებით დაბლობები, ვაკეები ანუ პლატოები.

საქართველოს ჩრდილო ნაწილი კავკასიონის ფერდობებსა და ტოტებს უკავია (კავკასიონის ედ-ს სამხრეთი), რომელიც გადაჭიმულია გაგრის მიდამოებიდან ბაქათალის მთებამდე. კავკასიონის იმ მანძილზე, რომელიც საქ-ში შემოდის, აღმართულია სხვადასხვა სიმაღლის მწვერვალები, მაგალითად— შხარა (5.184 მტ.), უშბა (4.698 მტ.), ფასის მთა (3.300 მტ.), მყინვარი ანუ ყაზბეგი (5.043 მტ.).

მთავარ კავკასიონის ქედზე შესანიშნავია შემდეგი უღელტეხილები: მამისონის (2.862 მტ.), რომელზედაც

გადადის რაჭა-ოსეთის გზა, ჯვარის (2.379 მტ.) უღელტეხილი, რომელზედაც გადადის საქართველოს სამხედრო გზა. გარდა ამ უღელტეხილისა სამხრეთ-ოსეთის მთებით ჩვენ გადავდივართ ჩრდილო-კავკასიაში როკის უღელტეხილით; კავკასიონის ქედს გადასჭრის გლუხორის უღელტეხილი (2.813. ტმ.), რომელზედაც სოხუმის სამხედრო გზა გადადის.

კავკასიონის მთავარი ქედი საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილია შემდეგი ტოტებით: 1) გაგრის, აფხაზეთის, ფანავის (კოდორის) სვანეთის, ლეჩხუმის, რაჭის, ლიხის ან ქართლ-იმერეთის, ოსეთის, ქართლისა და ცივგომბორის ან კახეთის.

აფხაზეთის ქედი იწყება მთავარ გრეხილში მწვერვალ კაპიშისტრასთან და მიყვება დასავლეთით დაახლ. ბზიბს შავ ზღვამდე. ქედის საშუალო სიმაღლე 2500 მეტრს არ აღემატება. აფხაზეთის ქედი შემოსილია დაბურული ტყეებით, რომლებიც თავდება ალპური ზონით. ამ ქედზე აღიმართება მწვერვალი ჩედიმ (2795 მტ.).

ფანავის ქედი რომელსაც კოდორის ქედს უწოდებენ, ჰყოფს მდ. კოდორსა და ენგურის ბასეინებს. ამ ქედის საშუალო სიმაღლე—2600—3000 მეტრს აღწევს. კოდორის ქედი დაფარულია ფერადი ტყეებით, მაღალ ადგილებში ეხვედებით სუბ-ალპურსა და ალპურ ფლორას.

სვანეთის ქედი მიიმართება სამხრეთ-დასავლეთით მთავარ ქედიდან მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირის გასწვრივ და ფერთდება ოდიშის (სამეგრელოს) მთებს. იგი არის წყალთგამყოფი მდინარე ენგურისა და ცხენის-წყლისა. ამ ქედზე აღმართულია მაღალი მწვერვალი ლაილა (3.985 მტ.). უღელტეხილებიდან შესანიშნავია ლათფარის (2.800 მტ.).

ლეჩხუმის ქედი იწყება ფასის მთასთან და სამხ.-დასავლეთით მიიმართება. იგი მდ. ცხენის-წყლისა და რიონის წყალთგამყოფია. ლეჩხუმის მთები სვანეთის მთებზე ფერო დაბალია. ამ მთების გაგრძელებას ოდი-

შის მთები წარმოადგენს. მასზე უმაღლესი მწვერვალია ლაფის წყარო (2.356 მტ.). ლეჩხუმისა და სვანეთის ქედებს შუა მოთავსებულია ქვემო-სვანეთის ხეობა, რომელიც შეადგენს მდ. ცხენის-წყლის ზედა ბასეინს.

რაჭის ქედი იწყება კავკასიონის ქედიდან მწვერვალ ზეკართან და მიიმართება სამხრეთ-დასავლეთით, ლეჩხუმის ქედთან ერთად შეადგენს მდ. რიონის ზედა ბასეინს და მდინარე რიონსა და ყვირილას შუა მდებარეობს. ამ მთებში მოქცეულია რაჭა. ამ ქედის უმაღლესი მწვერვალი 2.700 მტ. აღწევს. რაჭის ქედის დასავლეთ ნაწილში არის ნაქერალას გადასავალი. რაჭის მთები ზესანიშნავია მადნეულობით მოლიბდენით და მარგანეცით, უკანასკნელის მარაგი მარგანეცის მსოფლიო მარაგის 30 პროც.-ს აღემატება, აგრეთვე ქვანახშირი (ტყიბული), იშვიათი მადანი მოლიბდენი, დარიშხანი და სხვა მრავალი.

მთების მეორე სისტემას წარმოადგენს მცირე კავკასიონი ანუ სამხრეთი მთიანეთი. მას უჭირავს სამხრეთი და სამხრეთ-ოსეთის ნაწილი. უერთდება იგი დიდ კავკასიონს ქართლ-იმერეთის ქედით.

ქართლის და კახეთის ქედები იწყება ბორბალოს მთასთან. ქართლის მთები სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებას ღებულობს, კახეთის ქედი — კი მიიმართება სამხრეთ-აღმოსავლეთით. იგი მდინარე ხორისა და ალაზნის წყალთგამყოფია. მის შუა ნაწილს ეწოდება გომბორის მთა, ამ უკანასკნელის გაგრძელებაა ციცი გომბორის ქედის გაგრძელებას შირაქის ველი წარმოადგენს. ამ მთაზე არის გომბორის უღელტეხილი, რომელზედაც ტფილის-თელავის გზატკეცილი გადადის.

მცირე კავკასიონის მთებიდან აღსანიშნავია: ქართლ-იმერეთის ქედი, აჭარა-ახალციხის, თრიალეთის, ჯავახეთის და სომხეთის.

ქართლ-იმერეთის ანუ ლიხის ქედი გამოეყოფა რაჭის ქედს მდ. ყვირილის სათავესთან და მიემართება სამხრეთით ბორჯომის ხეობამდე, სადაც აჭარა-ახალ-

ციხის მთებს უერთდება. ეს ქედი არც ისე მაღალია, ტყით შემოსილია და შავი და კასპიის ზღვების ბასეინის გამყოფია.

აჭარა-ახალციხის ქედი იწყება შავი ზღვის ნაპირებიდან და მიდის ბორჯომის ხეობამდე. ამ ქედზე არის შესანიშნავი უღელტეხილი ზეკარი (2.185 მტ.), რომელზედაც გადადის ქუთაის - ბასსთუმნის გზატკეცილი.

თრიალეთის ქედი იწყება ბორჯომის ხეობიდან და მიიმართება ტფილისამდე. ამ ქედზე არის ცხრა-წყაროს უღელტეხილი (2.450 მტ.), რომელზედაც გადადის ბორჯომისა და ახალ ქალაქის შემაერთებელი გზატკეცილი. ამ მთების მაღლობები წარმოადგენენ ალპურ საძოვრებს.

თრიალეთის შუა წელიდან მდ. ალგეთის სათავესთან იწყება სომხეთის ქედი, რომელიც მიიმართება სამხრეთ - აღმოსავლეთით და გადადის სომხეთის ტერიტორიაზე. ეს მთები შესანიშნავია სხვადასხვა მადნეულობით: სპილენძი — ალავერდში (სომხეთში) და რკინის მადანი ჩათახში (საქართველო).

აჭარა - ახალციხის სამხრეთ - დასავლეთით საქართველოს ფარგლებში შემოჭრილია პონტის ქედი, რომელიც შავი ზღვის ნაპირს პარალელურად მიყვება.

არსიანის ქედი იწყება ახალციხის გრეხილში და მიდის სამხრეთით. იგი ჰოროხისა და მტკვრის წყალთა გამყოფია. ამ ქედზე გოდერძის უღელტეხილია (2.050 მტ.), რომელზედაც მიმავალი გზატკეცილი აერთებს ახალციხეს ბათუმთან. ამ ქედს აღმოსავლეთით გამოეყოფა ერუშეთისა და სოღანლუღის ქედები, ხოლო დასავლეთით შავშეთის ქედი გამოეყოფა, რომელიც მიიმართება მდ. ჰოროხის მარცხენა ნაპირის გასწვრივ ჰანეთის ქედის სახით.

საქართველოს, როგორც მთიან ქვეყანას, ახასიათებს აგრეთვე ზეგნები. საქართველოს ტერიტორიაზე შესანიშნავია ორი მთავარი ზეგანი. ჯავახეთის ზეგანი გარშემორტყმულია მტკვრის ხეობით, ჩალდირის, ცა-

ხისჯვრის და თრიალეთის ქედებით. ამ ზეგანს 650 კვ. კილომეტრი უჭირავს და მისი სიმაღლე შავი ზღვის დონიდან საშუალოდ 1.700 მეტრია. ამ პლატოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს „დუხაბორიე“ ეწოდება და შავ ზღვის დონიდან 2.000 მტ. სიმაღლეზე მდებარეობს.

მეორე შესანიშნავი პლატოა წალკის, რომელიც მდებარეობს მდინარე ხრამის (ქცია) ორივე მხარეზე ყოფ. ბორჩალოს მაზრაში. წალკის ზეგანს უჭირავს 34 კვ. კილომეტრი სივრცე და საშუალოდ 1500 მტ. სიმაღლეზე მდებარეობს. ორივე პლატო ატმოსფერის ნალექებით უხვად დაჯილდოვებულია და რადგან ნაცრებად დახრილია მდ. მტკვრისაკენ და მრავალი ჩამდინარე ადგილები აქვთ, ამიტომ მათზე ბევრი ტბა და ჭაობია. საერთოდ ორივე პლატოს ალპური და სუბალპური ფლორა ახასიათებს და მესაქონლეობის ძირითად რაიონებად ითვლება.

გარდა ამ ორი მოზრდილი პლატოსა აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს კიდევ მდ. იორის ზეგანი, რომელიც იმყოფება მდ. იორსა და ალაზანს შორის. ეს ზეგანი ამაღლებულია საშუალოდ 1.000 მტ.. იორის ზეგანი რამოდენიმე ნაწილისაგან შედგება: შირაქის, ელდარის, ნიომარის, სამგორის და ყარაიას ველებისგან.

ზეგნებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე ქართლის ვაკე, რომელიც შედგება შემდეგი ცალკე ვაკეებისაგან. ჭარელის, გორის, მუხრანის, საგურამოს, ახალ-ქალაქის. რომელთა სიმაღლე 500—750 მტ-დეა.

ყველაზე დიდ ველად ითვლება ალაზნის ველი, რომელიც გაჭიმულია სიგრძით დაახლოებით 160 კილომეტრამდე და სიგანით 16-ან 40 კილომეტრის მანძილზე. ეს ველი ირწყვის მდ. ალაზნით და ორ ნაწილად იყოფა მთელ სიგრძეზე. ალაზნის ველის მარჯვენა მხარე დაფარულია ვენახებით, ხოლო სამხრეთი ნაწილი კი პურის ნათესებით.

საქართველოში არის დაბლობები. მნიშვნელოვან დაბლობს წარმოადგენს კოლხეთის ვაკე-ბლობი — იწყება

ოჩემჩირის სამხრეთით და თავდება ბათუმის მიდამოებში — ქობულეთის დაბლობით. ჩრდილოეთით და სამხრეთით მას საზღვრავს კავკასიონის და მესხეთის მთის კალთები, აღმოსავლეთით იმერეთის ძახვი. კოლხეთის დაბლობი გადაჭიმულია სიგანით აღმოსავლეთიდან შავი ზღვის ნაპირებამდე 90 კილომეტრის მანძილზე. კოლხეთის დაბლობი შედგება შემდეგი დაბლობებისაგან: ადაბაზეთის, რომელიც მოდის ჩრდილოეთიდან მდ. ლაღიძგამდე, მდ. ლაღიძგიდან მდ. ენგურამდე სამურზაყანოს დაბლობია, შემდეგ სამხრეთით იწოდება სამეგრელოს დაბლობათ მდ. სუფსამდე; აღმოსავლეთით ცხენის-წყალის იქით იმერეთის დაბლობია; ორივე ეს დაბლობი — კი შეადგენს რიონის დაბლობს. მდ. სუფსიდან მდ. კინტრიშამდე გურიის დაბლობია. კოლხეთის დაბლობის ყველაზე უფრო დაბალ ნაწილს წარმოადგენს შავი ზღვის დაბლობი, რომელიც ოდხავ დაქანებულია შავი ზღვისაკენ; ამიტომ ატმოსფერის ნალექები ვერ პოულობს გასავალს შავი ზღვისაკენ და უამრავ ჭაობებსა და პატარა ტბებს წარმოშობს. კოლხეთის დაბლობი ხასიათდება ატმოსფერის ნალექების სიუხვით და წარმოშობს ნოტიო სუბ-ტროპიკულ ფლორას. ამით ეს დაბლობი განირჩევა ა.-კავკასიის სხვა დაბლობებისაგან. ამიტომ არის, რომ ამ დაბლობის ათვისებას საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს.

ჰაერი

საქართველოს ს. ს. რ. მდებარეობს ჩრ. განედის 41°-სა—43° 30′ შორის და აღმოსავლეთ სიგრძ. 40°-სა 46° 30′-მდე.

საქართველოს ჰავა მეტად მრავალფეროვანია. აქ შეხვდებით ჰავის თითქმის ყველა სახეს—სუბ-ტროპიკულ ჰავიდან დაწყებულს და გათავებულს პოლარულით ჰავით.

საქართველოს ჰავა იცვლება როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური მიმართულებით. დასავლეთ ნაწილში უფრო მეტი ატმოსფეროს ნალექებით და აღმოსავლეთში—კი უფრო ნაკლებით.

თუ ჩვენ ტემპერატურის განაწილებას განვიხილავთ, შევამჩნევთ, რომ რამდენად მაღლა ავდივართ, იმდენად ყოველ 200 მეტრის მანძილზე ტემპერატურა ცელსიუსის 1° კლებულობს.

მაგალითად, შავი ზღვის ნაპირას საშუალო წლიური 15° აღწევს, ქუთაისში, რომელიც 150 მტ. მაღლაა ზღვის დონედან, საშუალო წლიურია 14°, ტფილისში (404 მტ.) 12,7°, ახალქალაქში (1715 მტ.) 5,6°-მდე ჩამოდის.

გარდა გეოგრაფიული სიგანედისა და რელიეფისა, ჰავაზე დიდ გავლენას ახდენს ზღვის სიახლოვე.

ზღვის მეტი ან ნაკლები გავლენის მიხედვით საქართველოს ჰავა უნდა გავყოთ ორ მთავარ ჯგუფად: დასავლეთ საქართველოს ჰავა და აღმოსავლეთ საქართველოს ჰავა.

დასავლეთ საქართველოს ჰავა უფრო თბილია და ნესტიანი, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს ჰავა.

საქართველოს მთების სხვადასხვა მიმართულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კავკასიონის ქედი, რომელიც აღმართულია როგორც კედელი და გადაჭიმულია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ჰყოფს კავკასიას ორ ნაწილად: ამიერ - კავკასია და ჩრდილო კავკასია. ჩრდილო ნაწილში ზამთრობით ჰჭრის ჩრდილო - აღმოსავლეთის ცივი ქარი, სამხრეთ ნაწილს კი ამ ქარებისაგან იცავს კავკასიონის ქედი. მაგალითად, ქ. ორჯონიკიძის (ვლადიკავკაზის) იანვრის ტემპერატურა უდრის — 4.6° და საშუალო წლიური ტემპერატურა + 8,5°, ხოლო ტფილისის იანვრის საშუალო ტემპერატურა + 0,2°, წლიური კი + 12,7°. ქარლთიმერეთის, მესხეთის და არსიანის მთები დიდ გაელენას ახდენენ ჰავაზე. დასავლეთ საქართველოს ეს მთები გარს არტყიან და ძლიერ აბრკოლებენ შავი ზღვიდან წამოსულ ანაორთქლის გადასვლას აღმოსავლეთ საქართველოში. ამიტომ მაქსიმუმი ატმოსფერის ნალექებისა საქართველოში შავი ზღვის პირად ეცემა. მაგალითად, ბათუმისა და მის მიდამოებში ატმოსფერის ნალექების სვეტი უდრის 2500-2700 მილიმეტრს, სოხუმში — 1.436 მმ., გაგრაში — 1.399 მმ., ზუგდიდში — 1.655 მმ., ახალ-სენაკში — 1.645 მმ., ფოთში — 1.598 მმ., ქუთაისში — 1.308 მმ., ტყიბულში — 1.630 მმ., ჰიათურაში — 948 მმ., ონში — 1.002 მმ.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერის ნალექების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. ზოგ ადგილებში ატმოსფერის ნალექების სვეტი ოთხჯერ - ხუთჯერ მცირეა შავი ზღვის სანაპირო პუნქტებთან შედარებით. მაგალითად:

სურამი —	814	მილიმეტრი
გორი —	486	„
ბორჯომი —	587	„
ბაკურიანი —	837	„

ახალციხე — 478 მილიმეტრი
აბასთუმანი — 611 „
ქარდანახი — 750 „
წინანდალი — 772 „
ტფილისი — 496 „
ყარაია — 410 „
სტალინისი — 500 „

სიმაღლის ზრდასთან ერთად დაახლოებით 2.000—2.100 მეტრამდე ატმოსფერის ნალექების სვეტი იზრდება, რადგან ჰაერის ტემპერატურის თანდათანი შემცირების გამო მატულობს ორთქლის კონდენსაცია და, მაშასადამე, ატმოსფერის ნალექების გამოყოფაც. ასეთი მოვლენის საუკეთესო ილუსტრაციაა საქართველოს სამხედრო გზა, რომლის სხვადასხვა პუნქტში ჩვენ დავინახავთ ზღვის დონის განსაკუთრებულ სიმაღლეზე ტემპერატურის შემცირებასთან ერთად ატმოსფერის ნალექების გადიდებას. ტფილისიდან ყაიას ღუდლტეხილამდე ჩვენ გვაქვს ასეთი გრაფიკი:

ადგილი	ადგილის სიმაღლე ზღვის დონიდან მეტრებით	იანვრის საშუალო ტემპერატურა	ივლისის საშუალო ტემპერატურა	წლიური საშუალო ტემპერატურა	წლიური ნალექების რაოდენობა მილიმეტრებით
ტფილისი . .	404	+ 0,2°	+24,5°	+12,7°	496
მლეთი . . .	1470	— 5,2°	+16,0°	+ 6,1°	1350
გუდაური . .	2204	— 6,6°	+13,1°	+ 3,5°	1477
ჯვარის გადას.	2380	—11,6°	+11,2°	— 0,2°	1693

ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, თუ ჩვენ ავიწევთ ტფილისიდან სურამამდე.

ადგილი	ვერტიკალის სიძაღლე ზღვის დონიდან მეტრობით	იანვრის საშუალო ტემპერატურა	ივლისის საშუალო ტემპერატურა	წლიური საშუალო ტემპერატურა	წლიური ნალექების მილიმეტრობით
ტფილისი . .	404	+0,2°	+24,5°	+12,7°	496
გორი	600	−1,9°	+22,6°	+11,0°	502
სურამი . . .	750	−1,6°	+19,6°	+10,1°	621

დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილად, განსაკუთრებით მის დაბლობებს, ახასიათებს ნოტიო სუბტროპიკული ჰავა. ზაფხული მდიდარია ატმოსფერის ნალექებით — იცის კოკისპირული წვიმები. შემოდგომის პირველი ნახევარი საერთოდ მშრალია, მხოლოდ მეორე ნახევარი კი წვიმიანი. წვიმების სიხშირე დამოკიდებულია ზღვის სიახლოვესა და ქარების მიმართულებაზე. აქ იცის მუსონური ხასიათის ქარები, რომლებიც გრძელდება რამოდენიმე დღე და ხშირად კი ერთი კვირაც. უმთავრესად ზამთარში და გაზაფხულზე ჰქრის ჩრდილო - აღმოსავლეთის ქარი, რომელიც ზაფხულობით მეტად მშრალი და ცხელია და ამიტომ ძლიერ მავნეა მცენარეულობისათვის. ზამთრობით კი მშრალი და შედარებით თბილი.

აღმოსავლეთის ქარი ერთობ განმანადგურებელია მცენარეულობისათვის, მაგრამ მას ხშირად (ივლის დასავლეთის ნოტიო ქარი, რომელსაც უნდად მოაქვს შავი ზღვიდან ატმოსფერის ნალექები და აღმოსავლეთის ქარის მიერ დამჭკნარ მცენარეულობას აცოცხლებს.

ტემპერატურას დასავლეთ საქართველოს ვაკეებზე დიდი ცვალებადობა ახასიათებს. მთიანი ზონის ადგილების ზედა ნაწილში უმეტესად სთესენ ქერსა, დაბალ ადგილებში კი პურს.

არც აღმოსავლეთ საქართველოშია ერთგვარი ჰავა. აქაც ჰავის დიდი სიჭრელეა, რადგან რელიეფი ერთგვარი არ ჯრის. აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეები ხასიათდება მშრალი და ცხელი ზაფხულით, ზამთარი შედარებით მსუბუქი იცის, გაზაფხული კი უფრო ნესტიანი.

სიმინდის ჰავის ზოლი გავრცელებულია საქართველოს ორივე ნაწილში, უფრო აღმოსავლეთ საქართველოში. ეს ჰავა გავრცელებულია კავკასიონის კალთების ქვედა ზოლში (გორის, მუხრან - საგურამოს და ალაზნის ველებზე). ზამთარი ცივი, თოვლიან - ყინვიანი, ზაფხულში ხშირია დიდი სიცხეები, გვალვა და სეტყვა; ის უფრო ლომბარდიის (იტალია) ჰავას უახლოვდება.

მთის ტყეების ჰავის ზოლი იწყება 600 მტ. და უფრო დაბლაც და მიდის 2000 მტ., ე. ი. ფოთლოვან ტყეების ქვედა ნაწილიდან და თავდება ალპურ ველების ქვედა ზონამდე. ატმოსფერის ნალექების წლიური რაოდენობა — 1000—1200 მმ-დე და თანაბრად განაწილებულია წლის განმავლობაში. ზამთარი თოვლიანი და ძლიერ ცივი, ზაფხული ზომიერ-თბილი, შემოდგომა მშრალი.

ჰავის მხრივ აჭარისტანს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს უცნაური კონტრასტების მხარეა დაწყებული ნესტიან სუბ-ტროპიკულით გათავებული პოლარული ჰავით. ეს კონტრასტები დამოკიდებულია აჭარისტანის რელიეფის აგებულობაზე. როდესაც მთის მწვერვალები დაფარულია მუდმივი თოვლით, კახაბერის დაბლობში და ჩაქვში ყვავის სხვადასხვა სუბ-ტროპიკული მცენარეები.

ალპური ჰავა გავრცელებულია კავკასიონის ქედის და მის ტოტების მაღალ ადგილებში ტყის ხაზის ხე-

კით. დაახლოებით 2000-3000 მტ. აქ წლის განმავლობაში ცივი ამინდები იცის. ზამთარი თოვლიან - ყინვიანი, ზაფხული ნესტიანი, მოკლე და გრილი.

იცლისის ტემპერატურა 10°—14°, იანვრის ტემპერატურა — 12° — 18°, ატმოსფერის ნალექების რაოდენობა 1000 მმ. აღწევს. **პოლარული** ჰავა კავკასიონის მუდმივი თოვლის ხაზის ჰავაა, სადაც წლის საშუალო ტემპერატურა მუდამ 0°-ზე დაბალია.

საერთოდ საქართველოს ჰავის მთელი სხვადასხვაობა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი კლასიფიკაციით:

1 ჯგუფი. კონტინენტალური ჰავა

1 კლასი. ველების ჰავა

ა) ძურწიანი ველების ჰავა:

ნოტიო — ახალქალაქის მთაგრეხილებზე და „დუაბორიეში".

ბ) კონტინენტალური ჰავა არალ-კასპიის ტიპისა: ველის მთაგრეხილები მდინარე იორის გაყოლებაზე ტკვრისა და ალაზანს შუა.

11-კლასი. ტყის ჰავა

ა) ნოტიო სუბ-ტროპიკული ჰავა: შავი ზღვის ნაპირებზე, რიონის (კოლხიდის) ვაკეში ქუთაისამდე; ბ) ამელთაშუა ზღვის სუბტროპიკული ჰავა: შავი ზღვის ვაკეში ქუთაისის აღმოსავლეთით; გ) „სიმინდი"-ს ჰავა: შავი ზღვის ვაკის განაპირა, უფრო მაღლობ ნაწილში; ტკვრის (ქართლის), მუხრანის და ალაზნის დაბლობებში; ტკვრის გაყოლებაზე — გორიდან ტფილისამდე.

11-ჯგუფი. მთების ჰავა

1-კლასი. ველების ჰავა

ა) მთავარი კავკასიონის ქედის მაღალ მთიანი ალპიის ოლქის ჰავა.

11-კლასი. ტყის ჰავა

ა) ცივი-ზომიერი ჰავა დასავლეთ ევროპის ტიპის მთავარი კავკასიონის ქედის და პატარა კავკასიონ მთიანი კალთების ტყიან ადგილებში.

ბ) ცივი ჰავა: ტყის კულტურულ მცენარეთა საცხოვრებელი ადგილების ზევითი საზღვარი. ამ ჰავ ადგილებს უჭირავთ ვიწრო სარტყელი მთავრეხილ კალთებზე 2000 - 2.100 მეტრის სიმაღლეზე.

11-კლასი. მუდმივი თოვლიანი ადგილების ჰავა

ა) პოლარული ჰავა: მთავარი კავკასიონის ქედ თოვლიანი ადგილები.

საქართველოში, როგორც უკვე დავინახეთ, ჰა ცვლება ზღვის დონის ზევით ადგილების სიმაღლ ძიხედვით; ამის მიხედვით ჩნდებიან მცენარეთა და ნ დაგების ვერტიკალური ზოლები*.

---

*) პროფ. გ. ნ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიური გე რაფია.

ჰიდროგრაფია

საქართველოს დასავლეთით შავი ზღვა საზღვრავს. ს ზღვა ატლანტიის ოკეანის ნაწილია. მისი ფართობი ედრის 411. 540 კვ. კილომეტრს.

რავი ზღვის მაქსიმალური სიღრმე შუა ადგილშია ია 2.244 მტ-დე აღწევს. საშუალო სიღრმე — კი 1.197 ტ. შავ ზღვაში ცხოველებსა და მცენარეებს შეუძლიათ აარსებონ მხოლოდ სიღრმის 180 მტ., რადგან უფრო ირმა ადგილებში ზღვა გამოყოფს გოგირდ-წყალბადს, ომელიც სპობს ყოველნაირ სიცოცხლეს. ამიტომ შავი ღვა ძალზე ღარიბია თევზით. შავ ზღვას საქართველოს ანპირებთან ძლიერ ცოტა აქვს უბეები (გარდა ბათუმისა და სოხუმისა). ბათუმის უბე შესანიშნავია, როგორც ბუნებრივი ნავსადგური. შავი ზღვა საქართველოს ეასლოებით 300 კილომეტრის მანძილზე ესაზღვრება. შავ ზღვას აქვს უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა ირა ძარტო საქართველოსათვის, არამედ მთელ ა.-კავკაიისათვის და აგრეთვე შუა აზიისა და ირანისათვის. შავი ზღვით საქართველო უკავშირდება ევროპას, ფრიკას, წინა აზიას და საზოგადოდ მთელ მსოფლიოს. შავი ზღვის უდიდესი უპირატესობა ის არის, რომ მისი ანაპირო ხაზი საქართველოს ფარგლებში არასოდეს არ იყინება.

შავი ზღვის ბასეინის მთავარ არტერიად ითვლება მდ. რიონი, კასპიის ზღვის ბასეინს ეკუთვნის მდ. მტკვარი.

საქართველოს ზოგიერთი მდინარეების სათავე იწყება კავკასიონის მთების მყინვარებში და ზოგის კი ძირე კავკასიის სამხრეთ მთიანეთის მთებში და პლატოებზე წყაროებიდან. პირველ ჯგუფის მდინარეთა წყალდიდობა იწყება ნამქერის დროს, ე. ი. გაძლიერებულ თოვლის დნობის პერიოდში, ზამთრობით კი ძალზე დაკლებულია.

პირველი ჯგუფის მდინარეებს ეკუთვნიან: რიონ
ენგური და კოდორი. მეორე ჯგუფის მდინარეებ
წყლის სიმცირე ემჩნევათ ზაფხულში, გაზაფხულზე –
კი ეს მდინარეები დიდდებიან — მათ ბასეინში თოელ
გადნობის დროს. ასეთ მდინარეებს ეკუთვნიან მტკვრ
მარჯვენა შენაკადები და თვით მტკვარიც.

შოის მდინარეებმა ხშირად უეცარი ადიდება იცი
დიდი წვიმების შემდეგ.

მდ. რიონი (ძველად ფაზისი) მთლიანად საქართვ
ლოს ფარგლებშია მოქცეული. რიონი იწყება მთავა
წყალ-გამყოფში (სიგრძე 289 კილ.) და ჭ. ქუთაისამდ
ის მთებით ჩამოდის და ამიტომ ზემო დინებაში მეტ
ჩქარია და სანავოსნოდ გამოუსადეგარი. კოლხეთის და
ლობში რიონი ნელა მიმდინარეობს და ქალაქ ფოთთ
გაიყოფა რამოდენიმე შტოდ და ისე შედის შავ ზღვაშ
რიონის ქვედა ნაწილზე მდინარე **ცხენის წყალის** შესა
თავამდე (ს. ორპირამდე) ძველ დროში, ე.ი. სანამ ფოთ
ტფილისის რკ. გზას გაიყვანდენ (1871 წ.) განვითარებუ
ლი იყო ნავოსნობა, მაგრამ რკ. გზის გაყვანის შემდე
თითქმის სრულიად შეწყდა. ნაოსნობის განახლებას
შეუდგენ მხოლოდ 1926 წ. ჭ. ფოთიდან სამტრედიამდ
მაგრამ დღემდე რეგულარული მიმოსვლა და ტვირთ
ზიდვა მაინც არ სწარმოებს. მდ. რიონის უმთავრესი შე
ნაკადებია: მარცხნით ყვირილა ჩხერიმელით, ხანის წყა
ლი, მარჯვნივ ცხენის-წყალი, გარდა ამ შენაკადების
გუბრის წყალი, აბაშა და ტეხური. მდ. ცხენის წყალ
იწყება ფასის მთაში, გაივლის ქვემო სვანეთის ხეობა
ლეჩხუმს და შემდეგ დაეშვება სამეგრელო-იმერთ
ჭალებს და მის ქვედა ნაწილში ს. მაიდანის მიდამოებ
წყალ-დიდობის დროს (გაზაფხულზე) მოსახლეობას დი
ჩიანს აყენებს. ყვირილა შედარებით უფრო პატარ
მდინარეა და გამოდის რაჭის მთების შუა ნაწილიდან
ყვირილამ საშინელი ადიდება იცის წვიმების დროს.

საქართველოს სხვა მდინარეებიდან უნდა აღვნიშ
ნოთ **სუფსა, ხობი, ენგური, კოდორი, გზიბი;** ეს სამ
უკანასკნელი ჩამოდის კავკასიონის ქედიდან, მდ. სუფსა

კი აჭარა-ახალციხის მთებიდან. საქართველოს ფარგლებში თავისი ქვედა დინებით მოქცეულია აგრეთვე მდ. ჭოროხი. იგი იწყება ოსმალეთის ტერიტორიაზე.

ხობი იწყება ოდიშის მთებში (სიგრძე 114 კლ.).

ენგური იწყება მთავარ გრეხილში. გაივლის ზემო სვანეთში, შემდეგ ს. ჯგვარის ქვევით ის დაეშვება აფხაზეთ-სამეგრელოს ვაკეებზე და ქ. ანაკლიასთან შედის შავ ზღვაში (სიგრძე 198 კლ.).

კოდორი იწყება მთავარ კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე და მთით ჩამორბის შავი ზღვის დაბლობში და შედის შავ ზღვაში დრანდის კონცხთან. მისი სიგრძე 95 კლ., მისი ბასეინი ტყით დაფარული მთებია.

ბზიბი (106 კლ.) იწყება კაპიშისტრას მთიდან და მიმდინარეობს დასავლეთით კავკასიონის მთავარ გრეხილსა და აფხაზეთის მთებს შუა. იგი ერთვის შავ ზღვას ბიჭვინთის კონცხთან.

აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეები კასპიის ზღვის ბასეინს ეკუთვნის და ყველა მტკვარს ერთვის.

მტკვარი (1113 კლ.) იწყება ოსმალეთის ტერიტორიაზე არსიანის მთებში. საქართველოში შემოსვლისას ბან მარცხნივ ერთვის მდ. ფოცხოვი ქობლიანჩაით, შემდეგ შიმოდის ბორჯომის ხეობაში და მიდის ქართლის ველით, სადაც მას უერთდება კავკასიონიდან გამომძღინარე ლიახვი, ქსანი და არაგვი. საქართველოს ფარგლებში მტკვრის მარჯვენა შენაკადებია: ალგეთი, ხრამი (ანუ ქცია). მტკვრის მარცხენა ნაკადია აგრეთვე მდ. ალაზანი, რომელსაც აზერბეიჯანში უერთდება მდ. იორი; ქვედა დინებაში მტკვარი მარჯვნივ იერთებს კიდევ ტერტერჩაის და არაქსს (არეზი).

საქართველოს საზღვრებში მტკვარს სიგრძე 320 კლ. აქვს. უდიდესი სიგანე — 140 მ. მტკვრის შესანიშნავი შენაკადი ალაზანია.

ალაზანი გამოდის ბორბალოს მთიდან (კავკასიონის ქედის) და პანკის ხეობით მიექანება ალაზნის ველისაკენ და ახმეტის ქვევით ის ხანტად მიიზლაზნება. მისი სიგრძე 314 კლ. უდრის.

მდ. იორი სათავეში რამოდენიმე პატარა მდინარისაგან შედგება, ვიწრო და ღრმა ხეობით ჩამოდის ელდარის ველზე, სადაც მდ. ალაზანს უერთდება. მდ. იორის ორივე მხარეზე მდებარეობს უწყლო და მცენარეულობას მოკლებული სამგორის და საგარეჯოს ველე.

მდ. ლიახვი გამოდის კავკასიონის ქედის ყინვარებიდან ზეკარისა და ხილხოხის მწვერვალებს შუა. იგი ქ. ცხინვალიდან ვაკეზე გამოდის; სადაც მას მარცხენა მხრით უერთდება პატარა ლიახვი. მდ. ლიახვი მტკვარს უერთდება ქ. გორთან.

მდ. ქსანს სათავე აქვს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე (სიგრძე 85 კილ.) და ქართლის ველზე მდ. მტკვარს უერთდება.

მდ. არაგვი (99 კილ.) გამოდის ხილ-ხოხისა და ბორბალოს მთას შუა. არაგვი შედგება 4 პატარა არაგვისაგან. თეთრი, შავი, ხევსურეთისა და ფშავის არაგვი. თეთრი და შავი არაგვი ერთდებიან ფასანაურთან; არაგვი მტკვარს ერთვის მცხეთასთან.

ტბები

საქართველოში არის ტბებიც. საქართველოს ტბები იყოფა ორ ჯგუფად; ალპური ან მთის ტბები და მდინარეთა ანუ დაბლობების ტბები. მთის ტბებში შესანიშნავია: ტბისყურის ტბა (ანუ ტაბასყური), ფარავანის ტბა. თუმანის ტბა, ხოზაფინის, ხანჩალის, მადას, ხარისთვალი, ძროხისთვალი, დიდი რიწა და პატარა რიწა. ვაკის ტბებში ყველაზე დიდი ტბაა პალიასტომის ტბა.

ტბისყურას ტბა მდებარეობს ჯავახეთში ქ. ბორჯომიდან სამხრეთ აღმოსავლეთით 25 კილ. მანძილზე, რომლის სიგრძე 6 კილ. და სიგანე 3½ კილ. სილრმე 25 მტ. გარს შემორტყმულია ჩამქვრალ ვულკანებით.

ტბისყურის ტბიდან 20 კილომეტრის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს ჯავახეთის უდიდესი ტბა — ფარავანის ტბა, რომლის სიგრძე = 9½ კილ., სიგანე — კი 6 კილ. ფარავანის ტბაც გარს შემორტყმულია ვულკანური მთებით. ის მდებარეობს შავი ხევის დონიდან 2081 მტ. — ამ ტბიდან გამოდის პატარა ხდინარე, რომელიც ჩადის თუმანის ტბაში. ორივე ტბა მდიდარია სხვადასხვა თევზით.

ხოზაფინის ტბა მდებარეობს ოსმალეთის საზღვართან და მისი ნაწილი შედის ოსმალეთის ფარგლებში. ტბა მოზრდილია, რომლის სიგრძე უდრის 8½ კილ.. სიგანე 5½ კილ.

ხოზაფინს, ხანჩალოს და მადას აქვთ მცირე სიღრმე. მაში წყალი მომლაშოა და თევზით ღარიბია. ყველა ეს ტბა მდებარეობს 1700-2000 მტ.-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

დიდი და პატარა რიწა, რომლებიც იმყოფება აფხაზეთში მდ. ლაშიპეს ბასეინში (ბზიბის შენაკადი) იმ ადგილას, სადაც იწყება გაგრის ქედი, 970 მტ. სიმაღლე-

ზე. დიდ რიწას სიგრძე აქვს 3½ კლ. და სიგანე 1 კლ. მაქსიმალური სიღრმე 117 მტ. ამ ტბიდან 4-5-კლ. მანძილზე მდებარეობს პატარა რიწა; ორივე ტბა განსაკუთრებულია მდებარეობით; ტბების იროველივ ტყით დაფარული მაღალი მთებია.

პალიასტომის ტბა მდებარეობს ტორფიან ჭაობების შიდამოებში შავი ზღვის დაბლობში, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. იგი დაშორებულია შავი ზღვის ნაპირიდან 2-კილომეტრით. პალიასტომიდან გამოდის მდინარე კაბარჭინა და ჩადის შავ ზღვაში.

პალიასტომის ტბას ერთვის მდ. ფიჩორი. ამ ტბის წყალი მოყვითალო მწვანეა, მლაშე და სასმელად უვარგისი; ბასში ბუდობს სხვადასხვა ჯიშის თევზები. რადგან ამ ტბას საკმაო სიერცე (20 კილ.) და სიღრმე აქვს, ამიტომ შესაძლებელია მასზე ნავთსადგური მოეწყოს.

საქართველოს მინერალური წყლები და და კურორტები

საქართველო მეტად მდიდარია მინერალური წყლებით—წყაროებით. ევროპის არც ერთ სახელმწიფოში ასეთ მცირე ტერიტორიაზე არ მოიპოვება იმდენი მინერალური წყარო, რომელიც გამოსადეგია სხვადასხვა ქრონიკულ ავადმყოფობის სამკურნალოდ. ხშირია შემთხვევა, როდესაც რაღაც 2—3 ჰექტარის სივრცეზე არის რამოდენიმე სხვადასხვანაირი ქიმიური შემადგენლობის წყარო; საქართველოს ტერიტორიაზე მოინახება რამოდენიმე ასეული წყარო. ჯერ აღმოჩენილი მინერალურ წყაროებიდან ცნობილია ბორჯომის ხეობის, ქვემო და ზემო სვანეთის, მენჯის (სენაკის რ.), წყალტუბოს, საირმეს, სამხრეთ-ოსეთის და სხვ. მრავალ ადგილას.

საბჭოთა ხელისუფლებამ იმთავითვე უდიდესი ყურადღება მიაქცია საქართველოს ამ ბუნებრივ მინერალურ წყლებს და შეუდგა მისს მეცნიერულად შესწავლას. შესწავლასთან ერთად აღმოჩენილ იქნა მრავალი

კიდევ ახალი მინერალური წყარო. იმპერიალისტური ომის პერიოდში საქართველოს კურორტები განადგურებულ იქნა, ამას თან დაემატა მენშევიკების ბატონობა, რომლის დროს საქართველოს მინერალურ წყლის კურორტები — აბასთუმანისა და ბორჯომის ხეობის— სრულიად განადგურებულ იქნა. ამ რიგად საბჭოთა ხელისუფლებას გადმოეცა მენშევიკების ხელში გატიალებული კურორტები, რომლებიც მოითხოვდენ კოლოსალურ ხარჯებს ნორმალურ მდგომარეობაში აღდგენისათვის. საბჭოთა ხელისუფლებას უკან არ დაუხევია ასეთ კაპიტალურ დაბანდების წინაშე, თუმცა მისი მატერიალური რესურსები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ძლიერ განსაზღვრული იყო. ორიოდე წლის განმავლობაში აღდგენილ იქნა ბორჯომ-აბასთუმანის კურორტები და დაიწყო ახალი კურორტების მშენებლობა, როგორიც არის შოვი, წყალტუბო, ახტალა და სხვ., რადგან ამიერიდან კურორტები გახდა მშრომელთა მასებისათვის დასვენებისა და ჯანმრთელობის აღსადგენი საშუალება. აქ, სადაც საქართველოს და რუსეთის არისტოკრატია და პლუტოკრატია ზაფხულობით გასართობად იკრიბებოდა და იმ დროს კი მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას სხვადასხვა ავადმყოფობა მუსრს ავლებდა; დღეს მუშები და კოლმეურნეები სიამოვნებით ისვენებენ და ენერგიასა და ჯანმრთელობას იბრუნებენ.

ამ მოკლე კურსში უადგილობის გამო ჩვენ ვერ შევძლებთ ჩამოვთვალოთ და დავახასიათოთ საქართველოს ყველა კურორტები. შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, რომლებიც მნიშვნელოვანია და ასე თუ ისე ცნობილი. ბევრ მათგანს საკავშირო მნიშვნელობა აქვს.

სამკურნალო თვისების მიხედვით საქართველოს კურორტები შეიძლება გავყოთ სამ ტიპად:

სამთო-კლიმატური, ბალნეო-თერაპიული და ტალახ-სამკურნალო.

სამთო-კლიმატურ კურორტებს ეკუთვნის: აბასთუმანი, წაღვერი, ცემი, ბაკურიანი, ბახმარო, შოვი

და სხვ. ზღვის სანაპიროს—ქობულეთი, ციხის ძირი, ბწყვანე კონცხი, სოხუმი და გაგრა.

ბალნეო-თერაპიულ კურორტებს ეკუთვნის ბორჯომი, წყალ-ტუბო, ციხის ჯვარი, საწირე, მენჯი და სხვ.

საქართველოში ტალახის კურორტი ჯერ ერთია—ახტალა, რომლის ტალახს ავადმყოფები ზაფხულობით იქვე ღებულობენ. ზამთრობით—კი ათბობენ სპეციალურ სამკურნალოში.

ბორჯომი ბორჯომის მინერალური წყლები ცნობილია არა მარტო საქართველოში და საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. ბორჯომის მინერალურ წყლებს თან ემატება მთის ჰავა, რადგან ბორჯომი მდებარეობს ზღვის დონედან 810 მეტრის სიმაღლეზე. ასეთი სუბალპურ ჰავასთან ერთად ბორჯომის აბაზანები იშვიათ ეფექტს იძლევა. ბორჯომის წყლები არის თბილი ნახშირ-მჟავა ტუტიანი და ნახშირმჟავა რკინიანი. პირველი არის ეკატერინეს და მეორე ევგენის სახელობის. ბორჯომის წყლებს ადარებენ ვიშის (საფრანგეთის) წყლებს. ბორჯომის წყალი გაჰქვთ საბჭოთა კავშირის გარდა საზღვარ გარედაც და ცნობილია როგორც ერთერთი საუკეთესო სამკურნალო წყალი. საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა ბორჯომის რეკონსტრუქცია, რაზედაც დახარჯა რამოდენიმე მილიონი მანეთი. ბორჯომის წყაროებს იყენებენ სხვადასხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ, როგორიცაა კუჭ-ნაწლავების ქრონიკული კატარი და კუჭის მჟაველობის, გულისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობა და სხვ.

ბორჯომის რაიონში ცნობილია **წაღვერის** ციცი ნახშირმჟავა რკინიანი წყალი. წაღვერი წარმოადგენს მასსურ კურორტს, სადაც რამოდენიმე ათასი მშრომელი ისვენებს და მკურნალობს.

აბასთუმანი. აბასთუმანი მდებარეობს ზღვის დონედან 1260—1300 მეტრის სიმაღლეზე. აბასთუმანი მდებარეობს მდ. ოცხეს ვიწრო ხეობაში, რომელიც

დაცულია ძლიერი ქარებისაგან და თან გარშემორტყმულია 15—20 კილომეტრიანი რადიუსით წიწვიანი წმინდა ფიჭვის ტყით.

აბასთუმანში სამი მინერალური წყაროა. აბასთუმანის წყლები უხდება რევმატიზმს, ნევრალგიას, კანისა და სხვა ავადმყოფობას. აბასთუმანში განსაკუთრებით იგზავნებიან ტუბერკულიოზით დაავადებულნი და ის გასაოცრად მოქმედებს ასეთებზე. ის ცნობილია მთელს საბჭოთა კავშირში და მის გარეთ. აბასთუმანი მდებარეობს ბორჯომიდან 75 კილომეტრის მანძილზე. მას საბჭოთა დაეოსი ეწოდება.

წყალტუბო. წყალტუბო დაშორებულია ქუთაისზე 12 კილომეტრით. წყალტუბოში აღმოჩენილია 200-დე წყარო. წყალტუბოს წყლები ეკუთვნის ქიმიურ-ინდიფერენტულ ჯგუფს — აკროტებს. წყლის ტემპერატურა უდრის 27 °რ. ეს წყლები შესანიშნავია თავისი რადიო აქტივობით და სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა რაოდენობით. წყალტუბო მდებარეობს ზღვის დონედან 240 მეტრის სიმაღლეზე. წყალტუბო უძველეს დროიდან ცნობილია, როგორც იშვიათი სამკურნალო წყალი; ის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ცნობილი იყო, როგორც „გლეხური“ კურორტი, რადგან საშვებით კეთილმოწყობილი არ იყო და არც საავტომობილო გზით იყო დაკავშირებული ქუთაისთან. მხოლოდ საბჭოთა მთავრობის მიერ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი წყალტუბო. მრავალი წყლის პრაქტიკული და მეცნიერული შესწავლის შემდეგ გამოირკვა, რომ წყალტუბო ძლიერ უხდება სახსრების სხვადასხვა ავადმყოფობას განსაკუთრებით რევმატიზმის ნიადაგზე, პერიფერიული ნერვიული სისტემის დაავადებას, გულის დაავადებას და სხვ.

ალპურ სიმაღლის კლიმატური სადგურებიდან დავასახელებთ:

1) **ბაკურიანი** მდებარეობს ზღვ. დონედან 1650 მეტრ.

2) **შამშვი** (შოვი) მდებარეობს ზღვის დონედან 1630 მეტრ. (რაჭაში), ცნობილია ნახშირმჟავა რკინიან წყაროთ—11° ც..

3) **ბახმარო** 2000 მეტრ. სიმაღლეზე ქ. მახარაძედან (ოზურგეთიდან) 26 კილომ. მანძილზე. ბახმარო — წარმოადგენს ერთერთ საუკეთესო აგარაკთაგანს თავისი კლიმატური იშვიათობით არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მას ვერ შეედრება ევროპის ვერც ერთი კურორტი. აქ არის კომბინაცია ზღვისა და ალპური ჰაერისა და ორიენჰავის თვისებებითაა დაჯილდოებული.

4) **ს. დვირის** ცხელი წყაროები (ახალციხის ყოფ. მაზრა).

5) **ციხის ჯვარის** გოგირდოვანი წყარო (ბაკურიანიდან 5 კილომ. მანძილზე)+33°-ც..

6) **ხვედურეთის** გოგირდოვანი წყარო (ქარელიდან 3 კილომ.)+17,1°.

7) **პლატენის** ცივი წყარო (ახალც. ყოფ. მაზრა), 13—15° ც..

8) **ურავლის** (ახალც. ყოფ. მაზრა)+15° ც.

9) **ყაზბეგის**+15,5° ც..

10) **კობის** საქ. სამხედრ. გზაზე+7° ც..

11) **ატენის** (ქ. გორიდან ახლოსაა).

12) **ზეკარის** (ქუთაისიდან 48 კილომ.).

13) **უწერის** (რაჭაში) და ბევრი კიდევ, რომლებიც ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გამორკვეული და შესწავლილი.

1934 წ. განმავლობაში საქართველოს კურორტთა აღმშენებლობაზე დაიხარჯა 16 მილ. მანეთი. განსაკუთრებით კი წყალტუბოზე.

მცენარეები

„ამიერ - კავკასიის მცენარეულობა არა ნაკლებად მრავალფეროვანია, ვიდრე მისი რელიეფი, ნიადაგები და კლიმატური პირობები. ამიერ-კავკასიის საზღვრებში გვხდება ტყისა და ველების (სტეპის) სხვადასხვა ტიპების მცენარეულობა: დასავლეთ ამიერ - კავკასიის სველი ლიანის ტყეები და მუდმივი მწვანე ბუჩქნარიანი ტყეები, უფრო მშრალი ფოთლოვანი ტყეები, რომლებიც უახლოვდებიან თავისი ხასიათით ახიური ტყეების ტიპებს და იზრდებიან კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე და ამიერ-კავკასიის განაპირა ქედებზე, წიწვიანი ტყეები უფრო მაღალ კალთებზე, მრავალფეროვანი მაღალმთიანი ალპური ბალახები, ამიერ-კავკასიის ცენტრალური ვულკანიური ოლქის ზეგანების სიმშრალის მოყვარული მცენარეულობა. ამასთან ერთად ამიერ-კავკასიის ყველა დასახელებულ ნაწილების მცენარეულობა განსხვავდება არა მარტო საერთო ხასიათით, არამედ დიდი მრავალფეროვანებით მისი შემადგენელ მცენარეთა სახეებისა.

ამიერ-კავკასიის მცენარეთა მრავალფეროვანება დამოკიდებულია მრავალ მიზეზზე, რომლებიც შეიძლება ორ ძირითად მიზეზად ჩამოვაყალიბოთ: ამიერ-კავკასიის ცალკე რაიონების მცენარეთა სხვადასხვა წარმოშობა და ამ რაიონების მცენარეულობის სხვადასხვა ნაირი სასიცოცხლო გარემო“ (ა. ფ. ლაისტერი და გ. ფ. ჩურსინი „География Закавказья“ 1929 г. гл. 6-я).

„საქართველოს მცენარეულობა მეტად მრავალფეროვანია: აქ შეხვდებით სველ სუბტროპიკულ ტყეებს, შუაევროპის ტიპის ტყეებს, სხვადასხვა ბალახოვან ველებს (სტეპებს), მშრალ მლაშე მცენარეულ ველებს, ხმელთაშუახღვის მაქიასს და ალპურ მცენარეულობას.

ტყეები ყველგან გავრცელებულია, სადაც კი ატმოსფერის ნალექების წლიური რაოდენობა აღემატება 650-700 მილიმეტრიან სვეტს. ისინი ფარავენ დასავლეთ საქართველოს მეტ ნაწილს: აფხაზეთსა და აჭარისტანს 1800-2300 მეტრის სიმაღლეზე შავი ზღვის დონედან აღმოსავლეთ საქართველოში ტყიან ოლქს ეკუთვნის მდ. მტკვრის ბასეინი სურამის ქედიდან ტფილისამდე. შემდეგ აღმოსავლეთით ტყეები გრძელდება ზოლებით მთავარ კავკასიონის ქედის კალთებზე. კახეთის ქედზე და მცირე კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებზე. მაშინ როდესაც მტკვრის ვაკეზე და დაბალ პლატოებზე, რომლებიც მდებარეობენ მტკვარსა, იორსა და ალაზანს შორის, შეიჭრება ულტყეო ველებიანი სივრცეები" (სპშ. დიდი ენციკლოპედია ტ. 19 სპშ. ს.ს. რესპუბლიკა).

საქართველოს თავისი მცენარეულობის უმდიდრესი მრავალსახეობით და მშვენიერებით თვალსაჩინო ადგილი უკავია არა თუ ამიერ-კავკასიაში, არამედ საპატიო ადგილი მთელ ევროპაში და სხვა ქვეყნებს შორის. მცენარეულობის ღვნეთიერება და მრავალსახეობა მეტად მჭიდრო კავშირშია ჰავასთან და ისიც ისეთივე ზონალური ბუნებრივი ფაქტორია, როგორც ჰავა და ნიადაგი. საქართველოს მცენარეულობა უმთავრესად ვერტიკალურ ზონალურ განლაგებისაა და ამ მიმართულებით ყოველგვარი მცენარე გვხდება — დაწყებული სუბტროპიკული ზონიდან ვათავებული პოლიარული ზონით, რომელიც ჩვენში კავკასიონის მწვერვალების თოვლის ხაზით თავდება. ამრიგად საქართველოს მცენარეულობა მოქცეულია ჩ. განიდის 40°-დან მყინვარების ხაზამდე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მცენარეულობა აგრეთვე განსხვავდება ჰორიზონტალურ მიმართულებით შავი ზღვის ნაპირებიდან აღმოსავლეთ მიმართულებით, ე. ი. ატმოსფერულ ნალექების რაოდენობასთან დაკავშირებით. ამ საზღვრებში ჩვენ შევხვდებით, როგორც სააღმშენებლო მასალის მცენარეულობას, ისე საწვავ მასალას, სამკურნალო მცენარეებს, მარცვლოვან კულტურებს, ტექნიკურ კულტურებს, ნარინ-

ჯოვან მცენარეებს, იშვიათ და მეტად ძვირფას მცენარეებს, რომლების აღმოცენებისათვის და ზრდისათვის საჭიროა განსაკუთრებული პირობები და ამიტომ ყველგან არ იზრდებიან. საქართველოს მინდორველები და მთები გაზაფხულზე იფარება სურნელოვან მრავალფეროვანი ყვავილებით, გარეული იასამანით და სხვა მრავალი. როგორც მთებში, ისე ვაკე ადგილებში იზრდება კავკასიური როდოდენდრონი (შქერი), სურო, გვიმრა, მაყვალი. მუდამ მწვანე მუხა, ურთხელი, ბზა, ბროწეული, ელი (Azaleapontica) წაბლი, თხილი, ძელქვა და სხვ. საქართველოს ტყეები, განსაკუთრებით აფხაზეთ-სამეგრელო-გურიისა და აჭარისტანის ჭვედა ნაწილის გადახლართულია ერთი მეორეზე სხვადასხვა ლიანითა (სურო, ეკალი, მაყვალი და სხვა ამგვარი მრავალი), ისე, რომ ადამიანს, თუ ხელში წალდი არ უკავია, გზას ვერ გაიკაფავს.

აღსანიშნავია ის, რომ დასავლეთ საქართველოში იმდენად ხელსაყრელი ვეგეტატიური პირობებია, რომ გაკაფული ტყე ორი-სამი წლის განმავლობაში ასწრებს ისე წამოზრდას, რომ საშეშე მასალა შეიძლება გამოიტანოს ადამიანმა. განსაკუთრებით ეს ითქმის თხმელის ხეზე და კოპიტზე.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ნატყეური სიმინდის აღების შემდეგ თუ ორი-სამი წლის განმავლობაში არ დათესა რაიმე ჰირნახულით, იქ გაჩნდება 4-5 მეტრის სიმაღლის ტყე.

საქართველოს მცენარეულობის ძირითად ტიპს იძლევა ტყე, როგორც ზევით აღვნიშნეთ მცენარეთა ზონალობის შესახებ, ტყეც ასეთივე ზონალობის კანონს ემორჩილება, მაგრამ რადგან ჩვენში ჰაეა და ნაიადაგები ხშირად უმნიშვნელო სიცრცეზე ცვალებადია. ამიტომ ტყეც (მისი შემადგენლობა) ისე იცვლება და არ არის წმინდა, ერთგვარი ჯიშების შემადგენლობის.

დასავლეთ საქართველოს მცენარეულობის ვერტიკალურ ზონებად დანაწილება:

1. სუბტროპიკული მცენარეულობის ზონა, რომელიც ვრცელდება შავი ზღვის დონიდან 650 მეტრის სიმაღლემდე, ხასიათდება შემდეგი მცენარეულობით: დაბლობ ადგილებში ხარობს მუდმივ მწვანე ბუჩქები და ხეხილები, სურნელოვანი ყვავილები, სადეკორაციო მცენარეები, დაფნა, ნარინჯოვანი, ვენახი, ხურმა, ბზა; ქაფურის ხე, ჩაის ბუჩქი, თამბაქო, ანანასი, ევკალიპტი, ტუნგო და მარვალი ამგვარი უცხო მცენარე. ამავე ზონაში მარცვლოვანი კულტურებიდან შეენიშნავთ: ღომს, ფეტვს, სიმინდს, სოიას, ბრინჯს, სორგოსა და სხვა. აქვე გავრცელებულია ყოველგვარი სააღრო და სავვიანო ბოსტნეული და სხვ.

ძალი ზღვის პირზე დაბალ და აგრეთვე მაღალ ადგილებზე გავრცელებულია ტყეები, სადაც იზრდება თხმელა, იფანი (კოპიტი), მუხა, წიფელა, თუთის ხე, ჭანდარი, ვერხვი, ალვის ხე, ცაცხვი, თელა, ტირიფი, კაკლის ხე, წაბლი, ძელქვა, თხილი, რცხილა, ლუკუხო და სხვ. ამ ტყეებში გავრცელებულია სხვადასხვა ლიანები და ბუჩქები.

2) ფოთლოვან ტყეების ზონა გავრცელებულია 1450 მეტრის სიმაღლემდე, სადაც სავსებით ისპობა ეკლიანი ბუჩქები და ყოველგვარი ლიანები (ისე, რომ ადამიანის გასეირნებას ამ ტყეებში არაფერი წინ არ გადაეღობება). ამ ზონის ნაწილში მუხა იზრდება და ზემოთ კი წიფელა. მარცვლეულიდან ამ სარტყელში მოდის: პური, ჭვავი, შვრია და ქერი.

3) წიწვიანი ტყეების ზონა მდებარეობს ზღვის დონედან დაახლოებით 2000 მეტრის სიმაღლეზე. აქ ფოთლოვანი მცენარეულობა უკვე აღარ არის და მის ადგილს იჭერს წიწვიანი ჯიშნი: ნაძვი, ფიჭვი და სოჭი. ტყის ქვედა ნაწილში გავრცელებულია ტანმორჩილი ფართოფოთლოვანი ჯიშები, მაგალითად: არყის ხე, დაბალი წიფელა და სხვ. ხეების ქვეშ იზრდება მოცვის ბუჩქი და სუფთა ბალახი. მარცვლოვან კულტურებიდან ამ ზონაში ითესება: ჭვავი, ქერი, ახალთესლი და შვრია.

4) ალპური ბალახების ზონა გავრცელებულია ზღვის

დონედან 3000 მეტრამდე. ამ სარტყელში ალაგ-ალაგ შეგხვდებათ ბუჩქები, რომლებშიც უფრო ხშირია კავკასიური როდოდენდრონი (შქერი) თავისი ნაზი ყვავილებით. დანარჩენ სივრცეზე კი გავრცელებულია ალპური ჯიშის მძლავრი ბალახები დაბალი ტანისა და სქელი ყლორტებითა. ამ ბალახებში ვითარდება გრძელ ფესვიანი მრავალფეროვანი ყვავილები.

საერთოდ დასავლეთ საქართველოს მცენარეულობა ჰიდროფილებს ეკუთვნიან, რადგან ნესტიანი ადგილი უყვართ.

აღმოსავლეთ საქართველოში შეიძლება შეგხვდეთ ყოველნაირ მცენარეს — დაწყებულს ჩ. განიდის 40°-ან გათავებული პოლარული წრემდე. აქ ტყეები იზრდება უმეტეს შემთხვევაში მთის კალთებზე და მაღალ მთებში. ვაკეებში კი უფრო ბუჩქები და ბალახები იზრდება.

„აღმოსავლეთ საქართველოს ზედაპირი შეიძლება გავყოთ მცენარეულობის ოთხ სარტყლად, რომლებიც ქვევიდან ზევით შემდეგ რიგზე მიდიან: 1) ბამბისა და ბრინჯის სარტყელი 457 მეტრამდე (ზღვის დონეზე მაღლა), 2) ვაზის სარტყელი 1067 მეტრამდე (ზღვის დონეზე მღლა), 3) ტყის, ქერის და ჭვავის სარტყელი 2.135 მეტრამდე (ზღვის დონეზე მაღლა), 4) ალპური საძოვრების სარტყელი 3050 მეტრამდე (ზღვის დონეზე მაღლა)". (პროფ. გ. ნ. გეხტმანის „საქართველოს ეკონომ. გეოგრაფია", გვ. 37).

ქართლ - იმერეთის ქედის აღმოსავლეთით გაბატონებულ მცენარეულებად უნდა ჩაითვალოს არა ჰიდროფილები, რომლებიც ნოტიოს მოყვარული მცენარეულობაა, არამედ ქსეროფილები, ე. ი. ისეთი მცენარეები, რომლებსაც გვალვის ატანა ადვილად შეუძლიათ და მშრალი ნიადაგი უყვართ. პირველნი თანდათან ქრებიან და მათ ადგილზე ჩნდება ჩვეულებრივი მუხა და მშრალი ნიადაგის მოყვარული სხვა მცენარეები. მცენარეულობის ზონების საზღვარი აქ უფ-

რო მაღლა ადის და ის თოვლის ხაზის ამაღლებას მიქვება.

წიწვიანი ტყეები აქ გავრცელებულია იმ რაიონებში, სადაც შავი ზღვის გავლენაა და წიწვიანი ტყეები ერცელდება მხოლოდ მდ. ქსნის ხეობამდე. რაც შეეხება სოჭს, ის აქა-იქ გვხდება და ისიც ფიჭვთან და ნაძვთან ნარევი. მაგალითად, ბორჯომის, ატენის, ლიახვის და ქსნის ხეობებში. სოჭი არ იზრდება თრიალეთის და სომხეთის მთებში. აქ მხოლოდ ფიჭვი და ნაძვია. მაღლა მთებში ქსნის აღმოსავლეთით ხარობს წიფელა, დაბლა რცხილა, მუხა და ღვია. ამრიგად აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში წიწვიანი ჯიშები იკარგება და მათ ადგილას იკავებს ფოთლოვანი ჯიშები, რომლებიც ზედა ადგილებში გადადიან ალპურ საძოვრებში.

ალაზნის ველზე კახეთის საზღვრებში. ზედა ნაწილში, სადაც ადგილები დაჭაობებულია, მდიდარი ტყეებია. ასეთივე ტყეები გვხვდება იორის ველის ზოგ ნაწილში. ტყეები ცნობილია მდ. იორის ნაპირთან ელდარის ველზე. აქ იცის წიწვიან ჯიშებში იშვიათი სახე — ელდარის ფიჭვი, რომელიც გადაშენებულ ტყის ნაშთია. ამ ველის მცენარეულობა მეტად გვალვიანი ჰავის ამტანია.

ტყეები

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საქართველოს ს.ს.რ. ტყის სიმდიდრით, როგორც სიერცით, ისე ხის ჯიშების მრავალფეროვნებით პირველი ადგილი უკავია, მეორე ადგილი — აზერბეიჯანის ს.ს. რესპუბლიკას და მესამე სომხეთის — ს. ს. რესპუბლიკას.

ამიერ-კავკასიის ტყეების სიერცე დღემდეც არ არის ზუსტად გაზომილი. დღესაც არ არის ჩატარებული ნატურით გაზომვა და ამიტომ გვიხდება დაახლოებით ციფრების მიღება.

ტყის სივრცე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის დაახლოებით ასე დანაწილდება:

(შეჯამება აღებულია დღევანდელ რესპუბლიკების ფარგლებში).

რესპუბლიკები	ტყეებით დაკავებული სივრცე დესიატინებით მოცემული			
	სახელმწიფო ქონების სერვილ სამმართველოს 1915 წ. თვის	სამხარეო მიწათმოქმედების კომისარიატის არსებული სტატ. კომიტ. 1917 წ.	რუსეთის სტატისტიკური დეპარტამენტის მასალები	საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს
აზერბეიჯანის ს.ს.რ. . .	1.323.840	929.424	1.155.000	—
სომხეთის ს.ს.რ. . . .	121.500	77.484	80.000	—
საქართველოს ს.ს.რ. . .	3.047.980	2.128.502	3.265.174	2.418.453
აქედან: აღმოს. საქ. . .	1.317.598	1.049.322	1.104.000	919.343
დასავ. საქ . . .	701.746	597.204	1.598.000	697.540
აჭარისტანის ს.ს.რ. . .	566.999	250.246	215.206	193.576
აფხაზეთის ს.ს.რ.	461.739	221.780	407.968	408.000
სულ მთელ ამიერ-კავკასიაში	4.493.850	3.123.430	4.800.174	—

ამრიგად, აქ მოყვანილი ციფრები ერთი მეორეს ეწინააღმდეგება და არ შეიძლება აიხსნას ომისა და რევოლუციის შემდეგ ტერიტორიაში მოხდარი ცვლილებებით ან ტყის ბარბაროსულად გაჩეხით და ხანძრის გაჩენით. ამ ციფრების სხვადასხვაობის მიზეზი უნდა ვეძიოთ ტყის სივრცეების გაზომვის მეთოდთა სხვადასხვაობაში. მაგრამ საქართველოს სტატისტიკურ სამმართველოს მიერ მოცემული ციფრები სინამდვილესთან შედა-

რებით უფრო ახლოა და შემდეგში მით უნდა ვისარგებლოთ.

ამიერ-კავკასიაში, ი. ზაკტრეგერის*) გამოანგარიშებით, საქართველოს პირველი ადგილი უკავია ტყიანობის ხარისხით. აქ პირველ ადგილზე აფხაზეთია, რომლის ტყიანობა დაახლოებით (მთელ პროცენტებში) 60 % უდრის, აჭარისტანის 41 %, დასავლეთ საქართველოს 36 % და აღმოსავლეთ საქართველოს 30 %. ტყით შედარებით ღარიბ რესპუბლიკას წარმოადგენს აზერბეიჯანი, რომლის ტყიანობა უდრის 15,1 %, ტყით ძალზე ღარიბ რესპუბლიკად ითვლება სომხეთი, რომლის ტყიანობა 4.2 % შეადგენს.

თუ საქართველოს ს.ს.რ. და აგრეთვე ამიერ-კავკასიის დანარჩენ რესპუბლიკების ტყიანობას შევადარებთ მსოფლიოს ზოგიერთ სახელმწიფოთა ტყიანობას, ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს:

ქვეყნები:	ტყიანობა პროცენტულ შეფარდებაში მთელ ტერიტორიასთან: (პროცენტები მთელ რიცხვებში)
აფხაზეთი	60 %
შვეიცია	49 %
აჭარისტანი	41 %
კანადა	38 %
იაპონია	38 %
დასავლეთ საქართველო	38 %
ა. შეერთებული შტატები	37 %
აღმოსავლეთ საქართველო	30 %
ნორვეგია	21 %
რუსეთი	21 %
აზერბეიჯანი	15 %
რუმინეთი	15 %
ბრიტანეთის ინდოეთი	12 %

ამრიგად, აფხაზეთი პირველ ადგილზე სდგას, რომელიც ბევრად გაუსწრებს მთელ მსოფლიოში ყველაზე

*) იხ. „Экономическая жизнь Кавказа" 1921 წ., № 3, გვ. 71

უფრო ტყიან ქვეყანას — შვეიცარიას. აფხაზეთის შემდეგ მეორე ადგილზეა აჭარისტანი. დასახელებულ ქვეყნების ჭორის თვალსაჩინო ადგილი უკავია დასავლეთ საქართველოს და სამუალო აღმოსავლეთ საქართველოს. თუმცა აზერბეიჯანი ითვლება ნაკლებად ტყიან მხარედ, მაგრამ რუმინეთს მაინც არ ჩამოუვარდება და ბრიტანეთის ინდოეთს კი აღემატება.

ზემოთმოყვანილი ციფრები თუმცა ამათუიმ რაიონის ტყიანობის დამახასიათებელია, მაგრამ მაინც არ იძლევა სრულ წარმოდგენას ამათუიმ მხარის ტყით უზრუნველყოფის შესახებ. ასეთი წარმოდგენის მისაღებად საჭიროა შევისწავლოთ ცალკე რაიონების ტყის სიხშირე, ე. ი. რამდენი ხეა ერთ გარკვეულ ერთეულის ფართობზე, რა ჯიშის ხეა, რა ასაკისაა (ხნის). ასეთი მასალების შეგროვებით ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ დახლოებითი წარმოდგენა ამათუიმ რაიონის ტყით უზრუნველყოფის შესახებ. საქართველოს ტყეების საერთო სიდიდიდან ფოთლოვან ტყეებზე მოდის 73 %, ხოლო წიწვიანებზე 27 %.

დასავლეთ საქართველოს, აჭარისტანისა და აფხაზეთის ტყეები თავისი შემადგენლობით და დამახასიათებელ ჯიშების მრავალსახეობით წარმოადგენენ ფრიად მნიშვნელოვან სამრეწველო ტყეს. დასავლეთ საქართველოს, აჭარისტანის და აფხაზეთის ტყეებში ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვება ძვირფასი ტყის ჯიშების მასივები, რომლებსაც უკავიათ ვებერთელა ტყის სივრცეები და გადაჭიმულია მიუდგომელ სიმაღლეებში. აქ შევხვდებით ასწლოვან სოჭისა და ფიჭვის ავარაკებს, აღმოსავლეთის ნაძვსა, რომელიც განსხვავდება წვრილი შენივთებით — ძარღვებით და გარდა იმისა, რომ იძლევა სამასალე ფიცრებს, სახელგანთქმულია როგორც სარეზონანსო ტყე და გააქვთ საზღვარგარეთ მუსიკალურ ინსტრუმენტებისათვის.

შავი ზღვის ნაპირებთან ფლებარე ოლქებში მოიპოვება იმდენი ტყის ჯიშების სხვადასხვაობა, რამდენიც არსად საბჭოთა კავშირში არ არის. აქ ითვლება ხეებისა

და ბუჩქების 320 ჯიშზე მეტი და 366 ცალკე სახეები იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ამის ორი მესამედიც არ მოიპოვება.

დაბალ ადგილებში და მთის კალთებში გაბატონებულ ჯიშებად ითვლება ტირიფი, იფანი (კოპიტი), რცხილა, თხმელა და სხვ.

გარდა ზემოთდასახელებულ ჯიშებისა საქართველოს ტყეები მდიდარია ღირს-შესანიშნავია თავისი ძვირფასი და იშვიათ ჯიშებით, მაგალითად: ურთხელი, ბზა, ძელქვა, ნიგვზის ხე. ამ ჯიშის ტყეები არ არის დიდ სივრცეზე გავრცელებული. განსაკუთრებით ურთხელი ახუ, როგორც მას უწოდებენ, კავკასიის „წითელი ხე" (ტისს) მოიპოვება მხოლოდ სვანეთის აგარაკში მდ. ენგურის ბასეინში და ისიც სპორადიულად; აგრეთვე გავრცელებულია აფხაზეთისა და სამეგრელოს ტყეებში. მხოლოდ მოზრდილი მასივი მოიპოვება კახეთში პანკისის ხეობასთან — ბაწარის ხეობაში. კიდევ ურთხელი ბლომად მოიპოვება ქვიბიის ტყის აგარაკში მიუვალ ადგილებში, თეთრი მთის კალთებზე და ხევებში. ეს ტყე დიდი ხანია მოსახლეობამ გაანადგურა, როგორც ძვირფასი საშენებელი და საექსპორტო მასალა და თან საეშპორტო.

ძელქვა შერჩა ამიერ-კავკასიის მასშტაბით მხოლოდ აჯამეთის, ლანჩხუთისა და ლენქორანის რაიონებს და ისიც არა მასიური ტყეების სახით, არამედ რამოდენიმე ნაკვეთ ადგილებზე. ეს ხე შესანიშნავია, როგორც საავეჯე მასალა.

ბზა ანუ კავკასიის პალმა (რუსულად სამშიტ) ხარობს უმთავრესად დასავლეთ საქართველოში და მისი დიდი და საუკეთესო ფართობებია აფხაზეთში მო. ბზინის ბასეინში , მდ. გეგას მიდამოებში. ტბა რიწას მახლობლად, გაგრის ახლო ხეობებში. ის იზრდება ზღვის დონიდან 1200 მეტრის სიმაღლემდე. მას უყვარს მზისგან დაფარული ადგილები. ბზა გვხვდება აფხაზეთის სხვა ადგილებშიც, სახელდობრ, მდ. კოდორის და ოჭუმის ხეობებში და აგრეთვე სამეგრელოს ტყეებში. მაგრამ

რამდენად ის აღმოსავლეთით მოდის, იმდენად უფრო დაბალი ტანისა და მრუდი იზრდება და ისეთი მსხვილი არ არის, როგორც ცხენისა და ვაგრის მიდამოებში, სადაც ხშირად მოიპოვება ბზის ხე სიმაღლით 12—15 მეტრი და ძირში 20—35 სანტიმეტრამდე. ასეთი ბზის ეკზემპლიარები იშვიათია არა მარტო საბჭოთა კავშირში (საბჭოთა კავშირში ბზა მარტო დასავლეთ საქართველოში და რამოდენიმედ დაბალი ტანის და მცირე დიამეტრის ლენქორანის მიდამოებში მოიპოვება), არამედ მთელ ევროპაში.

გარდა საქართველოსა, ბზა გავრცელებულია აგრეთვე ესპანეთში, იტალიაში, მცირე აზიაში, ჩრდილო კავკასიაში, ოსტ-ინდოეთში, ვესტ-ინდოეთში, სპაისეთში ხღვის ნაპირებთან, იაპონიაში, ჯუნძულ მადაგასკარზე და სხვ. ბზა მუდმივი მწვანე მცენარეა. ბზა იზრდება ძლიერ ნელა და რომ ის გაიზარდოს ძირში 30—40 სან. დიამეტრით — საჭიროა 300—400 წელი.

ტყის სპეციალისტის ი. ხაგტრეგერის გამოანგარიშებით დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით აფხაზეთში ბზის ტყეს უკავია დაახლოებით 17.000 ჰექტარი.

აფხაზეთის, გურია-სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის მთიან ტყის ადგილებში დაცულ ხევებში იზრდება წაბლის და მუხის ტყე. დასავლეთ საქართველოს მაღალ ხღვის სანაპირო და აგრეთვე სამეგრელოს ზოგ რაიონში განსაკუთრებით — კი ზუგდიდის რაიონში იზრდება დაფნა. აფხაზეთის ტყეებში დაფნა გვხდება ვულურ მდგომარეობაშიც. ცაცხვი უფრო მოშეტებულად ხარობს დასავლეთ საქართველოს, სამეგრელოს და ბაღდადის აგარაკებში, აგრეთვე სურების აგარაკშიც.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში მოიპოვება ტყის თითქმის ყველა ჯიში, მხოლოდ უფრო მოშეტებულ ჯიშებათ უნდა ჩაითვალოს ფიჭვი და ნაძვი დასავლეთ ნაწილში, წიფელი და რცხილა აღმოსავლეთ ნაწილში. უფრო დაბალ ადგილებში გახშირებულია ნეკერჩხალი, კახეთის ტყეებში ალაზნის გაღმა გავრცელებუ-

ლია ურთხელაც, აგრეთვე კაკლის ხე ბევრ ადგილას არის მოშენებული.

აღსანიშნავია ის, რომ დასავლეთ საქართველოს ტყეებს მეტად ხელსაყრელ პირობები აქვს, რადგან მისი ეგზოტაცია უფრო ხანგრძლივია და თან სუბტროპიკული ჰაერ ახასიათებს. ამიტომ დასავლეთ საქართველოს ტყეებში ფოთლოვანი ტყე სჭარბობს წიწვოვანს. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ აჭარისტანი, სადაც 193.570 დესიატინა ტყიდან წიწვიანი ტყე შეადგენს 98.900 დეს. და ფოთლოვანი 94.670 დესეტინას.

დასავლეთ საქართველოში უნდა აღვნიშნოთ შემდეგი ტყის რაიონები: აფხაზეთი, აჭარისტანი, სამეგრელო (მდ. ტეხურის და აბაშის ხეობა), ზემო სვანეთის (მოშეტებული ნაწილი წიწვიანი ტყეა, ტყეს უკავია მდინარეგურის ბასეინში დაახლოებით 70.000 დესიატ., აქვე ქვემო სვანეთის ტყე მდ. ცხენის წყლის ზედა დინებაში, რაჭის ტყე მდ. რიონის ზედა დინებაში. იმერეთის ტყე მდ. ჩხერიმელას ხეობაში და ბაღდადის რაიონში, გურიის, ფოთის, ჭალადიდის და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოს ტყის რაიონებს ეკუთვნის: მდ. მტკვრის ზედა დინებაში ბაბასთუმან - ურაველის ავარაკები, ბორჯომ - ბაკურიანის ავარაკი, მდ. ლიახვის ბასეინში — სამხრეთ-ოსეთის ტყე, ატენის ტყე, თიანეთის ტყე, მდ. ალაზანს გაღმა კახეთის ტყე ახმეტის ავარაკით.

საქართველოში ტყეს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან ჩვენი ქვეყანა მთა-გორიანი ადგილია, ამიტომ წვიმის ნალექებს შეუძლია სრულიად გააშიშვლოს ნიადაგებისაგან მთის კალთები და მით საფსებით უნაყოფო გახადოს მთის კალთები, სადაც ამ ჟამად ითესება სხვადასხვა კულტურები. ამის შესახებ პროფ. **გ. ნ. გენტმანი** საქართველოს ეკონომიურ გეოგრაფიის კურსში შემდეგს ლაპარაკობს: „....ტყის მოსპობას დიდი და ხშირად აუნაზღაურებელი ზარალი მოაქვს მცხოვრებთათვის. საქმე იმაშია, რომ საქართველოს მრავალ რაიონში, სადაც ზედაპირი ძლიერ არის დასერილი, გორებზე და

მთის კალთებზე ტყეები ნიადაგს წვიმის ნიაღვრისაგან იფარავენ. მრავალი სახნავი და საძოვარი ან გადარეცხილია, ან გავსებული რიყითა და ქვით, რომელიც ნიაღვარს მთის გაშიშვლებულ კალთებიდან მოაქვს. ცინც ამბობს გერმანელი პროფესორი **არნდტი**, ტყესა სპობს, განსაკუთრებით კი მთებზე და მაღლობებზე, ის საზოგადოებას საუკეთესო საუნჯეს ართმევს, და იგი იმ ხალხს, რომელიც მოუფიქრებლად და თავის ნებით სპობს ან დაუფასებელ დოვლათს; მას მოელის ნიადაგის უნაყოფობა, სიღარიბე და ავადმყოფობანი".

თუ ჩვენში ტყის რაციონალურ ექსპლოატაციას არ მიექცა სათანადო ყურადღება, მაშინ ჩვენი სუბტროპიკები შეიძლება დადგენ საფრთხის წინაშე, რადგან ტყეს ჩვენში აქვს დაცვითი ხასიათი, როგორც ატმოსფერის ნალექების ნიაღვრებისაგან, ისე აღმოსავლეთის ძლიერი ქარებისაგან. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე რამდენიმე წელიწადი, რაც დაიწყო ტყის მოშენება და მისი რაციონალური ექსპლოატაცია. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით დღემდე მოწყობილი და გამოკვლეულია მთელ საქართველოში დაახლოებით 900.000 ჰექტარზე მეტი. ტყის დაცვის მიმართულებით სწარმოებს დიდი მუშაობა და ახლო მომავალში ჩვენი ტყეების სივრცე შესამჩნევად გაფართოვდება, როგორც დარგვა – თესვის საშუალებით, ისე დაცვით. ჩვენ ტყეებს აქვს აგრეთვე უდიდესი საკურორტო – ჰიგიენური მნიშვნელობა და ამიტომ მით უფრო უნდა დავზოგოთ მისი ექსპლოატაცია.

„ტყეების მდგომარეობა დღეს, ჩვენში საშიშარია, და თუ ეხლავე არ იქნება მიღებული უსასტიკესი ზომები ტყის დასაცავად, ჩვენ ტყეთად დარჩენა მოგველის სულ მოკლე მომავალში. ხოლო თუ რა უბედურებას შეიცავს ჩვენ მთაგორიან და დაქანებულ ადგილებისათვის ტყის მოსპობა, ამის მაგალითებს ჩვენ დღეს უკვე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ თავისივე თვალებით არა თუ დიდი, არამედ პატარა წვიმების შემდეგაც კი".

(ამხ. ფ. მახარაძე. თხუზულებათა კრებული ტ. 8 — ეკონომიური საკითხები სახ. გამომც. 1932 წ. გვ. 95).

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა

საქართველოს მოსახლეობა შედგება მრავალ სხვადასხვა ეროვნებისაგან. ეს იმით აიხსნება, რომ კავკასია ისტორიულად იყო ბრძოლა ევროპიისა და მის ტერიტორიაზე უხდებოდათ გადასვლა სხვადასხვა ერებს.

საქართველოს მოსახლეობა 1926 წლის აღწერით უდრის 2.666.388 სულს, მხოლოდ უკანასკნელი გამოანგარიშებით 1934 წლის 1 იანვრისათვის უდრის დაახლოებით 3 მილ. სულს. შევადაროთ დღევანდელი მოსახლეობის რიცხვი წინა წლებისას. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველო შეუერთდა რუსეთს, მოსახლეობა დაახლოებით უდრიდა 413.929 სულს.

„ჩვენი გამოანგარიშებით, რომელიც დაწვრილებით ქვემოთ მოგვყავს, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთის და იმერეთ-გურია-სამეგრელოს ცხოვრებათა საერთო რაოდენობა დაახლოებით უდრიდა 413.929 სულს:

ქართლ-კახეთი	(1806 წ.) — 168.929	სული
იმერეთი	(1810 წ.) — 120.000	„
გურია	(1810 წ.) — 25.000	„
სამეგრელო	(1804 წ.)—100.000	„
ს უ ლ:	413.929	სული

(იხ. ამხ. მახარაძის—თხზულებათა კრებული ტ. 2. გვ. 32).

აქ საჭიროა შევადაროთ საქართველოს ამ წლის მოსახლეობის რიცხვი შემდეგი წლებისას და ჩვენ ნათლად დავინახავთ, თუ რაფერ იზრდება საქართველოს მოსახლეობა, აი ციფრები:

წ ლ ე ბ ი	მთელი მოსახლეობის აბსოლუტური რიცხვი
1886 წ.	1.431.797 (საკარმიდამო სიებით)
1897 წ.	1.927.530 (აღწერით)
1923 წ.	2.453.670 (აღწერით)
1926 წ.	2.666.388 (აღწერით)
1930 წ.	2.828.169 (გამოანგარიშებით)
1934 წ. 1/1	3.033.900 (გამოანგარიშებით)

ამრიგად, საქართველოს მოსახლეობა 1886 წელთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა. აქ უნდა აღინიშნოს როგორც ორგანული, ისე მექანიკური ზრდა. განსაკუთრებით უკანასკნელი გაიზარდა სხვადასხვა ტომის მოსახლეობის გადმოსახლებით საქართველოს განაპირა რაიონებში და უფრო ალმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, რომელსაც რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობა აწარმოებდა რუსიფიკაციის მიზნით. ასე, მაგალითად, ჩამოსახლებულ იქნა გერმანული მოსახლეობა ყოფ. ბორჩალოს და ტფილისის მაზრებში. აგრეთვე რუსი მოსახლეობა მალაკანების და დუხაბორებს სახით.

ამ გადმოსახლებულ ელემენტს რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობა აკისრებდა „ჩამორჩენილ" საქართველოში კულტურტრეგერობას და ამ მიზნით მათ ურიგდებოდა საუკეთესო სახნავ-სათესი მიწების მოზრდილი ფართობი სარწყავი არხებით, რასაკვირველია, უფასოდ და თან ეძლეოდათ ხე-ტყის მასალით დახმარება და აგრეთვე ფულადი სუბსიდია. გარდა ამისა ამ მოსახლეობაში მეცხოველეობის განვითარების მიზნით აძლევდენ საქართველოს ალპურ საძოვრების საუკეთესო რაიონებს.

მეფის მთავრობა ფიქრობდა, რომ საქართველოში ეცხო ელემენტები იქნებიან ცარიზმის საუკეთესო ყავარჯენი და მით შესუსტებული იქნება „ინოროდცები"-ს გავლენაო.

რადგან 1926 წლის შემდეგ არ მომხდარა საქართველოს აღწერა, ამიტომ ჩვენ უნდა ვისარგებლოთ

ჯერ-ჯერობით საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკური საქართველოს მიერ გამოქვეყნებულ მასალით, როგორც უფრო ხუსტია და სანდო ციფრების. 1926 წლის აღწერით საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 2.666.388 სული. საქართველოს ტერიტორიის სიდიდე კი უდრის 69.600 კვ. კილომეტრს. ერთ კვადრატულ კილომეტრზე 37,8 მცხოვრები მოდიოდა. თუ საქართველოს მოსახლეობის გამოანგარიშების რიცხვს მივიღებთ მხედველობაში, ე. ი. 3.033.900 სულს, რაც შეადგენს ა.-კ. მოსახლეობის 44 პროც., მაშინ მოსახლეობის სიმჭიდროვე უდრის 44,5 სულს.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1926 წ. აღწერით ერთ კვადრატულ კილომეტრზე უდრის 31,3 სული. აზერბაიჯანში 26,8 სულს, სომხეთში — 29,1 სულს, თუ საბჭოთა კავშირის მოსახლეობას ავიღებთ ამავე წლის აღწერის მიხედვით, — ერთ კვადრ. კილომეტრზე მოდის 7 სული — იმ დროს, როცა მსოფლიო მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე უდრის 14,5 სულს. ამრიგად საბჭოთა კავშირის მოსახლეობის სიმჭიდროვე ორჯერ ნაკლებია მთელი დედამიწის საშუალო სიმჭიდროვეზე. საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით:

მოკავშირე რესპუბლიკები	ტერიტორია ათას კვად. კილომეტ.	მოსახლეობა 1926 წლ. ათას სულ.	1 კვ. კილ.
რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლ. . .	19.683,0	100.184	5,9
უკრაინის საბ. სოც. რესპ. . .	429,7	28.887	67,3
ბელორუსიის „ „ „ . .	109,8	4.225	47,4
თურქმენისტანის „ „ .	473,9	1.029	2.2
უზბეკისტანის „ „ . .	302,8	—	17,7
ტაჯიკისტანის „ „ . .	141,3	—	7,9

შევადაროთ ახლა საქართველოს მოსახლეობის სიმჭიდროვე სხვადასხვა სახელმწიფოთა მოსახლეობის სიმჭიდროვეს (ერთ კვადრ. კილომ.)

ბელგიაში	266 სული
ჰოლანდიაში	231 „
დიდ. ბრიტანეთ.	189 „
იტალიაში	133 „
გერმანიაში	139 „
იაპონიაში	148 „
ჩეხო-სლოვაკიაში	105 „
შვეიცარიაში	99 „
უნგრეთში	93 „
ბრიტ. ინდოეთში	76 „
ჩინეთში	53 „
საბჭოთა კავშირ.	8,0 „
მექსიკა	8,0 „
ბრაზილია.	5,0 „
შვეცია	14 „
ეგვიპტე	14 „
ჩამხ. აფრიკ. კავშ.	6,0 „
საქ. ს. ს. რ.	42 „

მხოლოდ ისეთ ქვეყნებშია საქართველოსთან შედარებით მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ნაკლები, რომლებიც ცნობილია თვალუწვდენელი უდაბნოებით ან დაბურული გაუვალი ტყით. მაგალითად, შვეცია, ბრაზილია, კანადა ან უდაბნოებით ცნობილი ავსტრალიის კავშირი, ეგვიპტე, მექსიკა და სხვ.

მოსახლეობის განაწილება ქალაქად და სოფლად.

ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა
აბსოლუტ. რიცხვი 569.925	აბსოლუტ. რიცხვი 2.071.462
%-%-ში 21,6	%-%-ში 78,4

ამრიგად საქართველოს მოსახლეობის 78,4% სოფლად ცხოვრობს და ეწევა სოფლის მეურნეობას, და-

ნაწილი, ე. ი. 21,6% ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ცხოვრობს. აქედან აშკარაა, რომ საქართველოში არ არის ისეთი დიდი და გიგანტური ქალაქები, სადაც ასეულ ათასი და მილიონები მცხოვრებია ასე, მაგალითად:

ნიუ-იორკი (მიდამოებით)	— 9.300.000	(1927 წ.)
ლონდონი (მიდამოებით)	— 7.791.000	(1926 წ.)
ტოკიო (მიდამ.)	— 5.300.000	(1935 წ.)
პარიზი (მიდამოებით)	— 4.765.000	(1926 წ.)
ბერლინი (მიდამოებით)	— 4.217.000	(1928 წ.)
ჩიკაგო (მიდამოებით)	— 3.650.000	(1927 წ.)
მოსკოვი	— 4.000.000	(1931 წ.)
ბუჰენოს აირესი	— 2.800.000	(1926 წ.)
ვ ე ნ ა	— 2.001.000	(1928 წ.)
შ ა ნ ჰ ა ი	— 2.000.000	(1926 წ.)

საქართველოს მოსახლეობის 21,6% მოდის ქალაქებზე და ქალაქების ტიპის დასახლებულ ადგილებზე. თუ შევადარებთ კაპიტალისტურ ქვეყანების ქალაქების მოსახლეობის პროცენტს, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქთა მოსახლეობის პროცენტი ძალზე მცირე აღმოჩნდება.

მაგალითად — ქალაქისა და ქალაქის ტიპის ადგილების მოსახლეობა:

ჰოლანდიაში —	ქალაქისა და ქალაქის ტიპის მოსახლეობა	შეადგენს მთელი მოსახლეობის	92%-ს
ინგლისში	"	"	78%
გერმანიაში	"	"	64%
საფრანგეთში	"	"	56%
ა. შ. შტატებში	"	"	51%
იტალიაში	"	"	45%
შვეიცარიაში	"	"	25%
საბჭ. კავშირში	"	"	17,6%
საქართველოში	"	"	21,6%

საქართველოს ს. ს. რ. მოზრდილ ქალაქების მოსახლეობა 1926 წლის აღწერით

		1933 წ. (გამოანგარიშებით)
ტფილისი	292.973 სული	410.000 სული
ქუთაისი	48.336 „	72.000 „
ბათუმი	48.149 „	—
სოხუმი	21.537 „	36.000 „
ფოთი	13.083 „	—

1934 წ. 1 იანვრისათვის დაახლოებითი გამოანგარიშებით ტფილისში ირიცხება დაახლოებით 428.000 სულამდე. დანარჩენი ქალაქების მოსახლეობია ზრდა უნდა ვივარაუდოთ 40%—100-მდე და მეტიც.

თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის ზრდა დაწყებული 1886 წლიდან, ამას დავინახავთ ქვემოთმოყვანილ ცხრილით.

საქართველოს მოზრდილ ქალაქთა ზრდა სხვადასხვა წლების აღწერის მიხედვით (ათას სულობით).

ქალაქთა დასახელება		1886 წ. საკარმიდ. სიით	1897 წ. აღწერით	1922-23 წ. აღწერით	1926 წ. აღწერით
ტფილისი	აბსოლუტ.	78,4	159,6	234,0	282,9
	%	100,0	203,0	298,5	360,8
ქუთაისი .	აბსოლუტ.	22,7	32,5	45,3	45,7
	%	100,0	143,3	199,6	201,3
ბათუმი .	აბსოლუტ.	14.8	28,5	60,8	45,5
	%	100,0	192,6	410,8	307,4
სოხუმი .	აბსოლუტ.	0,4	8,0	17,4	20.0
	%	100,0	2.000,6	4.350,0	5.025,0
ფოთი . .	აბსოლუტ.	4,7	7,4	11,4	13,1
	%	100,0	157,4	242,6	278,2
ახალციხე	—	—	15,4	10,2	10,0
გორი . .	—	—	10,3	9,2	10,2
თელავი .	—	—	14,0	9,2	8,8

საქართველოს ს. ს. რ. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა.

როგორც აღნიშნული იყო, კავკასია ისტორიულად და გეოგრაფიული მდგომარეობით ხალხთა ხიდათ ითვლებოდა და მის ტერიტორიაზე გადადიოდენ აზიისა და ევროპის ხალხები. საქართველო კი ამ გზაჯვარედინზეა და მის ტერიტორიას თითქმის ევროპიც აცდებოდა. ამით აიხსნება საქართველოს მოსახლეობის ეროვნული სიჭრელე. აღმო-კავკასიის ფარგლებში ითვლება 40-დე სხვადასხვა ეროვნება. თითქმის ამდენივეა საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს მოსახლეობის ძირითად ელემენტებად ითვლებიან: ქართველები, სომხები, თათრები, რუსები, ოსები, აფხაზები.

საქართველოში (1926 წლის აღწერის მასალიდან) ირიცხებოდა:

ქართველები	1.788.186	სულ	67,8%
სომხები.	307.018	„	11,6%
თურქები	137.921	„	5,2%
ოსები	113.298	„	4,3%
რუსები	96.085	„	3,6%
აფხაზები	56.847	„	2,2%
დანარჩენი ეროვნ. . . .	167.139	„	5,5%

საქართველოს ს. ს. რ. მოსახლეობის განაწილება ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებს შორის.

№№ რიგზე	რაიონები	მოსახლეობა 1931 წ. იანვრისთვის	მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კილომ.
	ქალაქის საბჭოები		
1	ტფილისის . .	362.385	210
2	ქუთაისის	122.193	149
3	ფოთის	19.933	52

№№ რიგზე	რ ა ი ო ნ ე ბ ი	მოსახლეობა 1931 წ. 1იანვრისთვის	მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ კილომ.
	რაიონები		
4	აბაშის	39.894	113
5	ადიგენის	32.601	40
6	ამბროლაურის	43.141	37
7	აღბულაღ-მანგლისის . . .	40.219	37
8	ახალქალაქის	50.677	41
9	ახალციხის	49.333	47
10	ბაღდადის	2 .0 6	32
11	ბაშკირეთის	26.277	22
12	ბორჩალოს	39.898	31
13	ბორჯომის	24.962	21
14	გარე-კახეთის	39.521	27
15	ბოგდანოვკის	26.458	19
16	გორის	70.5 8	48
17	გურჯაანის	66.018	52
18	დუშეთის	42. 41	16
19	ერწო-თიანეთის	16.766	19
20	ვანის	42.632	88
21	ზემო სვანეთის	12.006	4
22	ჯუღელის (ხუსტაფონი)	55.801	121
23	ხაშურის	58.538	83
24	თელავის	71.877	20
25	ქასპის	40.701	54
26	ლაგოდეხის	33.9 5	58
27	ლანჩხუთის	38.424	66
28	ლიუბლიაბრაგის	27,025	34
29	მარტვილის	49.749	56
30	მცხეთის	22.247	44

№№ რიგზე	რაიონები	მოსახლეობა 1931 წ 1იანვრისთვის	მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კილომ.
31	მახარაძის (ოზურგეთის) .	45.778	64
32	ოკრიბის (ტყიბულის) . .	35.785	62
33	ონის	31 4 0	24
4	სამტრედიის	5 .716	163
35	ცხაკაიას (სენაკის)	45.377	1 2
36	სიღნაღის	73.688	20
37	ბაშურის	84.132	64
38	ასპინძის	28.067	36
39	ქვემო სვანეთის	8.210	6
40	ყვარელის	31.591	34
41	ჩოხატაურის	37.217	53
42	ჩხარის	36.750	113
43	ჩხოროწყუს	27.015	47
44	ცაგერის	31.994	40
45	წალენჯიხის	25.705	37
46	წალკის	35.66	82
47	ჭიათურის	90 705	68
48	ორჯონიკიძის (ბარაგოული)	40.195	50
49	ხევის (ყაზბეგის)	9.373	8
50	ხობის	25.280	56
51	ხონის	39.792	90
52	ყარაიას	12,14	23
	ავტონომიური ერთეულები		
53	აფხაზეთის ა. ს. ს. რ. .	230.76	27
54	აჭარისტანის ა. ს. ს. რ. .	144 659	50
55	სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი	84.2 8	24

მოსახლეობის დინამიკა. მოსახლეობის მოძრაობაზე სრული წარმოდგენისთვის საჭიროა ვიცოდეთ მისი ბუნებრივი ზრდის ტემპები შემჩნეულია თითქმის ყველგან, რომ მოსახლეობა წლიდან წლამდე იზრდება იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს ტფილისში მცირედ ჩამოყრილი კუთხეები, სადაც მოსახლეობის რიცხვი კლებულობს და მოსახლეობა დაძველებულია დეკენერაციისა და დეგრადაციის გზაზე. საერთოდ კი, როგორც ნორმალური მოვლენა მოსახლეობა იზრდება. მოსახლეობის სწრაფი ზრდა შეინიშნება იმ ქვეყნებში, სადაც მასების ეკონომიური მდგომარეობა ყოველდღე უმჯობესდება. ასეთია საბჭოთა კავშირი რომელიც იქცა ინდუსტრიალიზირებულ ქვეყნად და სადაც მოსახლეობა წლიური მატება ზრდის 3 მილიონ სულს.

მოსახლეობის სტატისტიკა ანგარიშობს 1.000 სულზე დაბადებულთა და გარდაცვალებულთა ურთიერთ დაპირისპირებით. დაბადებულთა რიცხვის სიჭარბე გარდაცვალებულთა რიცხვზე მიადგენს ბუნებრივ მატებას.

მთის რუსეთს ოთხ წინა ხანაში პირველი ადგილი ეჭირა დაბადებულობის, სიკვდილიანობის და ზრდის მხრივაც. ოთხ წინა ხანაში რუსეთში მატება შეადგენდა 16,9 სულს, თუ ცა დაბადებულთა რიცხვი 1000 სულზე 44 კაცზე მეტი მოდიოდა. ევროპაში სიკვდილიანობის დიდ პროცენტს ბავშვებზე მოდიოდა. განსხვავებით, შემდეგ ბავშვთა სიკვდილიანობა საგრძნობლად შემცირდა და მით გადიდდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ბუნებრივი ძოძრაობის კოეფიციენტი. 1926 წლის აღწერის მიხედვით სსრ კავშ. მოსახლეობის მატება 1000 კაცზე შეადგენდა 24,7 სულს.

საქართველოს მოსახლეობა, როგორც საბჭოთა კავშირის ერთერთი განუყოფელი ნაწილის, ისეთივე ტემპით მრავლდება, როგორც რუსეთის ფედერაციული და უფრო მეტად, რადგან საქართველოში უკანასკნელ წლებში გაიშალა დიდი აღმშენებლობა, რომელიც ძოძრთხოვს უამრავ მუშათა რიცხვს, ამიტომ საქართველოში მოსახლეობის რიცხვი იზრდება მეტად სწრაფად. საბჭოთა მეურნეობებში,

ახალ მშენებლობებზე ათასობით მუშაობენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან შემოსული მუშები.

ამრიგად საქართველოს მოსახლეობის რიცხვი სოციალისტური საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად 1934 წ. 1 იანვრისათვის გამოანგარიებით) გაიზარდა 3.000 000-დე ეს ხდება განსაკუთრებით მოდის ქალაქთა მოსახლეობაზე. ეს ნამატი მოსახლეობა წარმოადგენს იმ გრანციის გამო, რადგან საქართველოში ამ უკან სკნელ წლებში ფართოდ განვითარდა ისეთი შრომის დიდი ტექნიკობის კულტურები, როგორიც არის ჩაი, ბამბა, ციტრუსები და სხვა მოსავალი. სწორედ ამ ეთერ-კულტურების რაიონები იზიდავენ მუშათა ხელის დიდ რიცხვს. ამჟამად ტექნიკური კულტურები რაიონში იძიგრაციის გზით ჩვენ გვაქვს გაიდებული მოსახლეობა, რომლის სწორი აღრიცხვა დღეს-ღეობით ხელთ არ გვაქვს. რადგან 1926 წლის შემდეგ არ მომხდარა სრულიად საქართველოს მოსახლეობის აღწერა.

საკონტროლო კითხვები

1. შეისწავლეთ რუკაზე საქართველოს საზღვრები.
2. გამოარკვიეთ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა (სიგრძედი და განედი).
3. დახასიათეთ საქართველოს ზედაპირის აგებულება და მოახატეთ რუკაზე საქართველოს მთავარ ხეობები, უმაღლესი წვერვალები, ტბები და დაბლობები.
4. რითაა გამოწვეული საქართველოს ჰავის მრავალნაირობა?
5. დაასახელეთ ჰავის სახეები საქართველოში.
6. შეადგინეთ ატმოსფერული ნალექების კარტოგრამა.
7. ჩამოთვალეთ საქართველოს მთავარი მდინარეები და მათი შენაკადები, ტბები. ძონახეთ ისინი რუკაზე.

8. დაახასიათეთ საქართველოს სამცენარეულო და სანიადაგო ზონები.

9. მონახეთ რუკაზე ჩვენი მთავარი მინერალური წყლები და კურორტები. დაახასიათეთ ისინი.

10. რას უდრის საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა და სიხშირე, ქალაქსა და სოფლის მოსახლეობა?

საქართველო, როგორც მეფის რუსეთის ჟამფილი კოლონია და უცხოეთის კაპიტალის სამეწარმეო რაიონი

საჭიროა ვიქონიოთ წინასწარი წარმოდგენა იმაზე, თუ რას წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ოქტომბრის რევოლუციამდე. როგორ პოლიტიკას აწარმოებდა რუსეთის ცარიზმი და საითკენ იყო მიმართული ის. აგრეთვე როგორი ადგილი ჰქონდა საზღვარგარეთელ კაპიტალს საქართველოს ეკონომიკაში გასაბჭობამდე.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საქართველო მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში და უფრო ადრეც წარმოადგენდა დაქვეითებულ ქვეყანას. სრულიად მოშლილი და განადგურებული იყო მისი ეკონომიკა. პოლიტიკურად ის დაქუცმაცებულ და ანტაგონისტურად განწყობილ ერთეულებს წარმოადგენდა, რომლებიც პერმანენტულ ომში იყვენ ჩაბმულნი კავკასიონის ქედის ფეოდალებთან და აგრეთვე ურთიერთ შორისაც. თუ როგორი იყო საქართველოს ეკონომიკა ამ პერიოდში, ამის შესახებ მოუსმინოთ ამხ. ფილიპე მახარაძეს: „მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, როცა საქართველო შეუერთდა რუსეთს, ჩვენში არ არსებობდა არც აღებმიცემობა და არც მრეწველობა, ამ სიტყვების დღევანდელი მნიშვნელობით. წარმოება წმინდა პატრიარქალურ-ნატურალური იყო: თითოეული ოჯახი, თითოეული მაზრა თავისივე ნაწარმოებით იკმაყოფილებდა

თავის ყოველგვარ მოთხოვნილებას... სულ სხვას წარმოადგენდა იმ დროს რუსეთი. მართალია, მთელ ამ ეპოქაში ქვეყანას ჯერ კიდევ პატრიარქალურ-ნატურალური წარმოების ფერი ედვა, მაგრამ აღებ-მიცემობას და მრეწველობას უკვე საკმარისად ჰქონდა თავი ნაჩენი....“ (ფ. მახარაძე „თხუზულებათა კრებული“, ტ. 8, გვ. 7).

თუმცა რუსეთის მონარქია გაბატონდა ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, მაგრამ მან მოახდინა უდიდესი ცვლილებები საქართველოს ეკონომიკაში. ნატურალურ მეურნეობის საქართველო ჩაება რუსეთის კაპიტალისტურ მეურნეობის ფერხულში. „ეკონომიურმა წარმატებამ შექმნა ახალი ხანა, საიდანაც იწყება ქართველი ხალხის გამოსვლა თანამედროვე მოქალაქეობრივი ცხოვრების სარბიელზე“ — ლაპარაკობს ამხ. ფილიპე მახარაძე იმავე თხუზულების გვ. 24.

საქართველოში მონარქიული რუსეთის დაშვიდება მე-19 საუკუნის პირველ წლებში იწყება. მაგრამ მისი უფრო განმტკიცება მოხდა სწორედ იმ ხანებში. როდესაც ამიერ - კავკასია დაუკავშირეს რუსეთს რკინისგზებით. ეს კი მოხდა სამოცდაათიან წლებში და ბათუმის ოლქის (დღევანდელი აჭარისტანის) დაპყრობით (1878 წ.). ამრიგად რუსეთის კაპიტალიზმის ჩქარი ტემპით შემოჭრა იწყება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და რკინისგზის ტრანსპორტის საშუალებით მიეცა მეტი გასაქანი. ახალი გზების, შარა-რკინისგზების გაყვანა, რომლებიც იწყება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, გამოწვეულია არა საქართველოს და ამიერ-კავკასიის ეკონომიური განვითარების მიზნით, არამედ ნაკარნახევია წმინდა პოლიტიკურ - სტრატეგიული მოსაზრებით. გადააქცია რა საქართველო სამხედრო ბაზად, მეფის რუსეთი იწყებს აქედან ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობას. მაგრამ ძალაუნებურად ტრანსპორტის განვითარებამ დიდათ ხელი შეუწყო საქართველოში კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებას. საქართველო ეკონომიურად დაუკავშირდა რუსეთის ცენ-

ტრალურ საბრუნველო ოლქს და აგრეთვე უცხოეთის ბაზარს შავი ზღვის მეშვეობით. რუსეთის და უცხოეთის კაპიტალს მიეცა შესაძლებლობა მჭიდრო ეკონომიური კავშირის დამყარების და, რაც მთავარია, პოლიტიკურად ის უფრო დამკვიდრდა და საქართველოს ცხოვრების ყოველ კუნჭულში შეიჭრა. განსაკუთრებით რუსეთის ცარიზმის პოლიტიკა შეიჭრა სკოლებში და იწყო მწვრომელი მოსახლეობის რუსიფიკაცია.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, როგორც შავი ზღვის სანაპირო რაიონის, დიდად ხელსაყრელი იყო არა მარტო რუსეთის ცარიზმისათვის, არამედ უცხოელთა კაპიტალიზმისათვისაც. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასიის რკინისგზა იქნა გაყვანილი და შავი ზღვა დაუკავშირდა კასპიის ზღვას რკინისგზის მაგისტრალით. რუსეთის და უცხოეთის კაპიტალი შემოიჭრა არა იმისათვის, რომ აქმოძრავებია საქართველოს და ამიერ-კავკასიის საწარმოო ძალები, ხელი შეეწყო მისი ეკონომიური განვითარებისათვის, არამედ ზე-მოგების მიღებისათვის, საქართველო იყო მათთვის, ჯერ ერთი, ბაზარი, სადაც ასაღებდენ თავიანთ ფაბრიკატებს, მეორე, ძვირფასი ნედლეულის დაუშრეტელი რეზერვუარი და, მესამე, საქართველო თავისი ბუნებრივი სიმდიდრით ანდამატივით იზიდავდა უცხო კაპიტალს, რადგან მისი (კაპიტალის) მოთავსებისათვის ის წარმოადგენდა საუკეთესო სფეროს. ასეთ პირობებში მოექცა საქართველო და მთელი ამიერ-კავკასია.

ლენინი თავის თხუზულებებში ამდაგვარად ახასიათებს მეტროპოლიის კაპიტალს ჩამორჩენილ, დაპყრობილ განაპირა რაიონებში. რუსეთის კაპიტალმა საქართველოს ტერიტორია ხელში ჩაიგდო და ის დაუმორჩილა მოსკოვის და მისს სამრეწველო ოლქის კაპიტალს. უბაჟოდ შემოზიდულმა მოსკოვის და მისი ოლქის ფაბრიკატებმა სრულიად განდევნა საქართველოს შინამრეწველობის პროდუქცია ბაზრიდან და მით საქართველოში არსებულ მრავალტეროვანი შინა

მრეწველობა ლიკვიდაციის კარამდე მიიყვანა. რასაკვირველია, ასეთმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო უმუშევრობის შექმნას. ამან კი დააჩქარა ადგილობრივი მოსახლეობის გაღატაკება და საქართველო ჩაგდა კოლონიალურ ტიპის რაიონთა რიგში. **ლენინი** თავის **ნოტებში** — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ — სწერს: „კოლონიის ეს ცნება კიდევ უფრო შეეფერება სხვა განაპირა კუთხეებს, მაგ., კავკასიას. რუსეთის მიერ მისი ეკონომიური „დაპყრობა“ გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა, ხოლო ეს უკანასკნელი დაპყრობა სავსებით აქამდეც არ დასრულებულა. რეფორმის შემდეგდროინდელ ხანაში, ერთი მხრით, ხდებოდა კავკასიის ძლიერი კოლონიზაცია, მიწების ფართო დამუშავება კოლონისტების მიერ (განსაკუთრებით ჩრდილო-კავკასიაში). რომელთაც გაასაყდათ მოყავდათ ხორბალი, თამბაქო და სხვ. და რომელნიც სოფლის მრავალი დაჭირავებული მუშას იზიდავდენ რუსეთიდან.—მეორე მხრით, თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი, საუკუნეთა განმავლობაში არსებული. „საშინამრეწველო“ სარეწავები. რომელთაც ამარცხებდა მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენცია. მარცხდებოდა იაროსლის ძველებური წარმოება ტულიდან და ბელგიიდან შემოტანილ ნაწარმოებათა კონკურენციის გამო. ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქტების კონკურენციით. ავრეთვე ეცემოდა სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის ჭურჭლისა და სოდის, ტყავისა და სხვ. შინამრეწველური დამზადება; ყველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში. რომელნიც კავკასიაში აგზავნიდენ თავის ნაწარმოებთ. ეცემოდა რქების დამუშავება ყანწებად საქართველოში ფეოდალურ წყობილების და ისტორიული ნადიმების დაცემის გამო: — ეცემოდა ჭოდის სარეწავი. აზიური კოსტიუმის ევროპულით შეცვლის გამო. ეცემოდა ტიკების და კოკების წარმოება ადგილობრივ ღვინოსთვის. რომელიც პირველად გამოვიდა გა-

საყოფად (რითაც იწვევდა კასრის წარმოების განვითარებას) და თავის მხრით იპყრობდა რუსეთის ბაზარს. ამგვარად, რუსეთის კაპიტალიზმი ითრევდა კავკასიას საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, აშანდაკებდა (нивелировка) მის ადგილობრივ თავისებურებას,—ძველებურ პატრიარქალურ კარჩაკეტილობის ნაშთს,— **ქმნიდა თავის ფაბრიკებისათვის ბაზარს.** რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის დასაწყისში ქვეყანა, ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით,— რომელნიც მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი შორს იდგენ,— თანდათან ნავთის მრეწველობის, ღვინის ვაჭრობის, ხორბლის და თამბაქოს ფაბრიკების ქვეყნად ხდებოდა, და ბატონი კუპონი დაუნდობლად ხდიდა ამაყ მთიელს პოეტურ ნაციონალურ კოსტიუმს და ევროპული ლაქიას კოსტიუმში აწყობდა მას (გლ. უსპენსკი). კავკასიის გაძლიერებული კოლონიზაციის და მისი სამიწათმოქმედო მოსახლეობის გაძლიერებული ზრდის პროცესთან ერთად სწარმოებდა აგრეთვე (ამ ზრდით მიჩქმალური) პროცესი მოსახლეობის მიზიდვისა მიწათმოქმედებიდან მრეწველობისკენ".

(იხ. ლენინი. „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". ქართ. გამ.. გვ. 574—5—6).

რუსეთის კაპიტალიზმი მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებიდან იწყებს გიგანტური ნაბიჯებით განვითარებას და იგი იმდენად განვითარდა, რომ შევიდა კაპიტალიზმის უმაღლეს სტადიაში,— იმპერიალიზმის სტადიაში. ლენინმა იმპერიალიზმის დახასიათების მეტად შესანიშნავი შრომა მოგვცა— „იმპერიალიზმი, როგორც უახლესი ეტაპი კაპიტალიზმისა". ამ თხზულებაში ლენინი ააშკარავებს კაპიტალიზმის მეტად მტაცებლურ პოლიტიკას, რომელიც დაპყრობილ რაიონების უსაზღვრო ექსპლოატაციას ეწევა. იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგად განაპირა რაიონების მოსახლეობის პაუპერიზაციას ვღებულობთ. მათ სრულ ჩამორჩენას.

ლენინის ზემოთმოყვანილ ციტატიდან სჩანს, რომ კავკასიის და კერძოდ კი საქართველოს ეკონომიური დამორჩილება რუსეთის კაპიტალიზმის მიერ თანდათან უფრო და უფრო ძლიერდება. გარდა იმისა, რომ ცენტრალური რუსეთის ფაბრიკული პროდუქციის შემოზიდვით განადგურებულ იქნა საქართველოს შინამრეწველობა, გადამუშავებითი მრეწველობასაც ასეთივე ღღე დაადგა. ამრიგად საქართველო გადაიქცა რუსეთის აგრარულ - სანედლეულო დამატებათ. რუსეთის კაპიტალი უცხო კაპიტალთან ხელი - ხელ ჩაკიდებული ეწევა ადგილობრივ ნედლეულის მტაცებლურ ესქსპლოატაციას, როგორიც არის: მარგანეცი, სპილენძი, ნავთი და სხვ.

მარგანეცის დამუშავება სავსებით არ ხდებოდა საქართველოში. მიუხედავათ ჭიათურის ბუდობების იშვიათობისა, როგორც მარაგის, ისე ხარისხის და ამოღების მხრივ, მარგანეცის მთელი ამი პროცენტი გადიოდა უცხოეთში. მარგანეცს დაეპატრონენ გერმანელ და ბელგიელი კაპიტალისტები; ასეთივე მდგომარეობაში მოექცა თიათქმის სპილენძის მრეწველობა, რომლის ექსპლოატაციას აწარმოებდენ საფრანგეთის და სხვა უცხო კაპიტალისტები. დასავლეთ საქართველოს ტყეებს, განსაკუთრებით სვანეთის მდიდარ აგარაკებს, დაუზოგავად და მტაცებლურად ჩეხდენ იტალიის კაპიტალისტები.

იმპერიალიზმის პოლიტიკა მიმართულია სწორედ იქეთ, რომ თავის კოლონიებში თუ ნახევრად კოლონიებში მან ააშოძრაოს და განავითაროს ის საწარმოო ძალები, რომლებიც ხელს უწყობს მის იქ გაბატონებას და კოლონიის უფრო მეტად დამორჩილებას, რასაკვირველია, კოლონიაში იწყება კაპიტალიზმის განვითარება და ის ღებულობს არა სრულ ფორმას, ის დამახინჯებულ ფორმაში ვითარდება, ასე მაგალითად, ინგლისის იმპერიალიზმი ამ უკანასკნელ ხანებში ანვითარებს თავის კოლონიებში ისეთ დარგებს, რომლებიც მისთვის უფრო ხელსაყრელია, განსა-

კუთრებით მსუბუქ - ინდუსტრიის ზოგიერთ დარგებს, უფრო კი ნახევრად ფაბრიკატების წარმოებას. როგორიც არის ძაფ - სართავი, ძაფ - სახვევი, ძაფ - საკერები და სხვ. ასეთი, რადგან ნედლეულის რაიონში ის შოულობს იაფფასიან მუშა ხელს. საქართველოში საბჭოთა ძალაუფლების დამყარებამდე სწორედ ასეთი მრეწველობა იყო განვითარებული. ყოველივე ეს საჭიროა იმპერიალისტურ პოლიტიკისათვის იმიტომ, რომ კოლონია ეკონომიურად მუდამ მეტროპოლიისაგან უნდა იქნეს დამოკიდებული. ამ მიზნის განსახორციელებლად მეტროპოლიის კაპიტალი ხშირად ერთგვარ კომპრომისს უშვებს და უკავშირდება კოლონიის ფეოდალურ კლასებს, რათა მათი დახმარებით უფრო ადვილად მოახდინოს მშრომელი მასების ექსპლოატაცია და დამორჩილება. ამ ნიადაგზე ხდება ამ ორი კლასის დაძმობილება - დაახლოება.

რუსეთის იმპერიალიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოს სოფლის მეურნეობაში გაცილებით მეტი უარყოფითი შედეგებით ხასიათდება. გარდა იმისა, რომ საქართველოში არ იყო განვითარებული მძიმე ინდუსტრია, რომელმაც თავისი დაღი დაადო საქართველოს სოფლის მეურნეობას და ის წარმოადგენდა მეფის რუსეთის ერთერთ ჩამორჩენილ რაიონს, სადაც საბჭოთა ძალაუფლების დამყარებამდე მიწის დამუშავებაში გაბატონებული იყო კავი - გუთანი 8—9 ულელი ხარ - კამეჩით, რუსეთის ცარიზმი აქ ებღაუჭებოდა ფეოდალურ ურთიერთობას და თავის სოციალურ დაყრდენს ფეოდალიზმში ეძებდა. იგი ამ მიზნით ცდილობდა ჩვენში ფეოდალების ფენის გამაგრებას, რომლებიც დიდი სისწრაფით მიჰქროდენ უფსკრულისაკენ. ის ცდილობდა რამეფრად შეენარჩუნებია სოფლად თავადაზნაურთათვის გაბატონებული როლი.

ზემონათქვამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ამხ. **ქ. ორაგველიძის** შრომიდან შემდეგ ადგილს: „მეფის მთავრობას შესანიშნავად ესმოდა ეს რთული პირობები. ხელისუფლების შესანარჩუნებლად და განსამტკი-

ცებლად საჭირო იყო მტკიცე სოციალური დასაყრდენი ბაზა. საჭირო იყო მტკიცე კავშირის დამყარება ამიერ-კავკასიის პრივილეგიურ კლასებთან, მეტი დათმობა მათთვის. ცარიზმის აგრარული, გლეხური პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში ამ სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი.

როდესაც რუსეთში მზადდებოდა დიდი საგლეხო რეფორმა, ამიერ-კავკასიაში მიმდინარეობდა ბატონყმობის კიდევ უფრო მეტად გაძლიერების პროცესი. მეფის მოხელეებს ეს მეტად საჭიროდ მიაჩნდათ. სენატორი მეჩნიკოვი, რომელმაც რევიზია გაუკეთა ამიერ-კავკასიის მხარეს 1830-31 წელს, სწერდა იუსტიციის მინისტრს, რომ **„საქართველოში მემამულეები წარმოადგენენ საუკეთესო და საიმედო პოლიციას, ბევრად უფრო მრავალ რიცხოვანს, ვიდრე შეუძლია იყოლიოს მთავრობამ, და რომ ქართველ მემამულეთა ყმებს სრულიად არ უნდა მიეცეს თავისუფლება, ან და თავისუფლება დაშვებულ უნდა იქნას უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში“.**

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის იმპერატორის მთავრობა მეფის მოადგილის სახით „პრინციპიალური“ წინააღმდეგი იყო საქართველოში და აგრეთვე ამიერ-კავკასიაში გლეხთა განთავისუფლების, გლეხთა „განთავისუფლება“ მაინც გავრცელდა ამიერ-კავკასიაზე — რასაკვირველია. საქართველოზედაც. 1864 წლის 8—ნოემბერს მეფის მოადგილემ გამოაქვეყნა ზევიდან ნაკარნახევი ბატონ-ყმობის მოსპობა. ამით გლეხობას დიდი არასფერი მოუგია. პირიქით, გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. რომ გლეხობა უფრო მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მოექცა. ამას თვითონ მეფის მოადგილე კავკასიაში ((გრაფი ვორონცოვი) გვიამბობს: **„გლეხობის უმრავლესობის ეკონომიური მდგომარეობა ბატონ-ყმობის გადაგდების შემდეგ პირდაპირ გაუარესდა“.**

(იხ. ამხ. კ. ორაგველიძის შრომა — „კაპიტალიზმის განვითარება ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში“ სახელგამ., 1930 წ., გვ., 12).

საგლეხო რეფორმის ჩატარების შედეგად ჩვენ ვღებულობთ გალატაკებულ-გაპროლეტარებულ გლეხურ მასებს, რომლებიც მიეშურებიან ქალაქებში ლუკმა პურის საშოვრად. ამრიგად, გლეხურმა რეფორმამ ხელი შეუწყო საქართველოს გლეხობის პაუპერიზაციას. მეორე მხრივ, მემამულეებმა გააუმჯობესეს თავიანთი განწირული მდგომარეობა, გაპროლეტარებული გლეხური მასები უკანვე უბრუნდებოდა სოფელს და ესდიდად ხელსაყრელი იყო იმდროინდელი მემამულეთათვის, რომლებიც კიდევ უფრო კაბალურ პირობებში აძლევდენ იჯარით გლეხებს მიწებს. ამრიგად გასაოცრად გაიზარდა სოფლად საიჯარო ფასები და „განთავისუფლებული“ გლეხები კვლავ მემამულეებს უბრუნდებოდა. ამის საილუსტრაციოთ მოვიყვანთ კიდევ ერთ ციტატას: „მიწის რენტა ჯერ იქმნა მოსპობილი. გამოიცვალა მხოლოდ რენტის ფორმა. მან მიიღო ნატურალური სახე — ეს ნატურალური რენტა ზღაპრულად გაიზარდა. 1905 წელს რევოლუციის დროს ხშირი იყო შემთხვევა, როცა გლეხები უხდიდენ მემამულეს მთელი თავისი შემოსავლის ნახევარს. თუ წინად თავის ვალდებულებებს გლეხები იხდიდენ **პირადი შრომით,** მუშაობდენ მემამულეთა მინდვრებზე წელიწადში განსაზღვრული დროის განმავლობაში. რეფორმის შემდეგ ისინი იძულებული იყვნენ ეს ვალდებულებანი გაესტუმრებიათ **თავისი შრომის პროდუქტებით, ნატურით.** გამოიცვალა მხოლოდ ღალის ფორმა. იგი გახდა უფრო მძიმე და აუტანელი გლეხობისათვის“*).

საგლეხო რეფორმის გატარებასთან ერთად საქართველოს მემამულეებს გაჩენილებით მეტი პრივილეგიები ეძლეოდა, ვიდრე რუსეთისას. ამის სრული დამადასტურებელია ჩვენ მიერ ზემოთმოყვანილი ფაქტები. მკითხველისათვის ნათელი წარმოსადგენია, თუ როგორ კაბალურ პირობაში იქნებოდა ჩაყენებული მშრომელი გლეხობა თავად-აზნაურებისა და მემამულეების მიერ, რომლებიც დანაკუწებულ მიწებს არიგებდენ

*) იხ. კ. ორაგველიძე. „დასაბეღებული შრომა“, გვ. 22.

ეკვარათ გლეხებზე. ამას უნდა დავუმატოთ არგაგონილი ექსპლოატაცია, რომელსაც აწარმოებდა მემამულეთა კლასი და პლუს მონარჩენილი სახელმწიფოს აპარატის მხრივ ათასგვარი დაბეგვრა. ყოველივე ეს ამრავლებდა რა გაღატაკებულ გლეხურ მასებს, არაეითარ სტიმულს არ აძლევდა სოფლის მეურნეობაში ტექნიკურ გაუმჯობესებას. ხდებოდა მუდამ ერთი და იგივე ნაკვეთი მიწის დამუშავება, რაც ძალზე ფიტავდა მიწას და იძლეოდა მეტად მცირე მოსავლიანობას. მოსავლიანობის შემცირებასთან ერთად მცირდებოდა მესაქონლეობა. ერთობ სოფლის მეურნეობა დაადგა დეგრადაციის გზაზე. „საკითხო და აგრეთვე სატარიფო პოლიტიკა ამიერ-კავკასიის რკინისგზის კიდევ უფრო მეტად აუარესებდა სოფლის მეურნეობის მდგომარეობას და აყენებდა მას მძიმე პირობებში. ფასიან კულტურების განვითარება, რომელთაც ბრწყინვალე პერსპექტივები ჰქონდა, ხელოვნურად ბრკოლდებოდა თვითმპყრობელობის მიერ. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ტექნიკურ პროგრესს ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში თითქმის ადგილი არ ჰქონდა. ბევრი დარგები მოიკვნენ სიჭარბის ხანგრძლივ კრიზისში.

ამგვარად, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს თვითმპყრობელობის საკადასახადო და საკითხო პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში მივიჩნიოთ, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორი". (იგივე შრომა).

საქართველოს სოფლის მეურნეობა ასეთ პირობებში დაადგა დეგრადაციის გზას მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს ძვირფასი ჰავა, რომელიც იძლევა ვეგეტაციის მეტად ხანგრძლივ პერიოდს და თან აღმოსავლეთ საქართველოს მდიდარი ნიადაგები. სოფლის მეურნეობის ტემპი ძალზე ნელია და თან თითქმის არავითარი ტექნიკური გაუმჯობესება არ ემჩნევა.

საქართველო გადაიქცა რუსეთის იაფფასიანი ბეღურის ბაზრად, რამაც გამოიწვია საწნავ-სათესი ფართობების შემცირება. რუსეთის კაპიტალიზმი ცდილობდა

ხელისშემშლელი ტექნიკური კულტურების გავრცელებას, მაგრამ უხეირო პოლიტიკის გამო უკანასკნელთ არავითარი სტიმული არ ეძლეოდა. ძირძველი მოსახლეობა მაინც ბუნებრივად ეწეოდა ბამბის, თამბაქოს, ჩაის და სხვათა კულტურების გავრცელებას. ასეთი კულტურების გავრცელება ნაკრნახევი იყო არა ტენდენციური გაუთვალისწინებლობით, ან მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა საფუძველზე, არამედ ხელსაყრელი და იაფი ფასი ხელის მოთავსებით აღნიშნულ კულტურების მოყვანაში. საწარმოო ძალთა სრული განვითარება ცარიზმის პირობებში ყოვლად შეუძლებელი იყო და არც არასდროს ხდებოდა, რადგან მის განვითარებას წინ ეღობებოდა მრავალი დაბრკოლებელი მიზეზები.

დასასრულ კვლავ უნდა აღვნიშნოთ, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოს ბუნებრივ საწარმოო ძალებს ანი ვებდა რუსეთის და საერთაშორისო კაპიტალი და იმდენად იყენებდა მას, რამდენადაც ის წარმოადგენდა ზე-მოგების წყაროს. რუსეთის და უცხო კაპიტალი ეწეოდა საქართველოს ძვირფას მადნეულობის და სხვა ნედლეულობის მტაცებლურ ექსპლოატაციას. ის არ ანდენდა კაპიტალურ დაბანდებას, არამედ ეყრდნობოდა ადგილობრივ ტექნიკას და ამ ტექნიკიანთ მუშა ხელს. ჩვენი ქვეყნის განვითარებული ჰიდრო-ენერგიული რესურსები სრულიად გამოუყენებელი იყო საქართველოს გასაბჭოებამდე.

გასაბჭოებამდე საქართველოს სოფლის მეურნეობა ატარებდა სამომხმარებლო ხასიათს და ითვლებოდა დაჩვეულებრივ ფორმის მეურნეობად პრიმიტიული ტექნიკით. ეს იყო შედეგი ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკისა, რომელიც კიდევ უფრო გაღრმავდა მენშევიკების ეპოქაში. ჯუგანაშვილის ბატონობის დროს საქართველოს სოფლის მეურნეობა თითქმის ყველა დარგი დაექვემდებარა დეკადაციის გზას. მაგრამ

ოქტომბრის რევოლუციის ზარის გუგუნმა აღგვაჟა საქართველოს ტერიტორიიდან საწარმოო ძალთა განვითარების დამაბრკოლებელი პირობები და დაიწყო ჯერ ისტორიაში არ ნახული ტემპით სოციალისტური მშენებლობა, რომელმაც გადააქცია ცარიზმის ეს ჯოფილი კოლონია თავისუფალ ქვეყნად ჩამორჩენილ აგრარულ ძხარიდან— მოწინავე ინდუსტრიალურ აგრარულ ქვეყნად.

საკონტროლო კითხვები

1. რაში მდგომარეობს კოლონიური რეჟიმის არსი საზოგადოდ?

2. რაში გამოიხატებოდა საქართველოს საწარმოო ძალების განვითარების დაბრკოლება რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალის მიერ?

3. როგორ ხასიათს ატარებდა მუშათა კლასის ექსპლოატაცია რუსეთის ცარიზმისა და უცხოეთის კაპიტალიზმის ბატონობის დროს საქართველოში?

4. რა წარმოადგენდა რუსეთის ცარიზმის დასაყრდენ სოციალურ ძალას საქართველოში?

5. რაში მდგომარეობდა მსხვილი მიწათმფლობელთათვის მფარველობის გაწევა რუსეთის ცარიზმის მხრით?

6. როგორი იყო საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა მენშევიკების ბატონობის დროს.

7. რაში გამოიხატება საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის და საზოგადოდ სოციალისტური მშენებლობის მბრუნველი შედეგების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა?

ინდუსტრიის მნიშვნელობა

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რა დაბრკოლებებს ჰქმნიდა მეფის რუსეთი საქართველოს ინდუსტრიის განვითარებაში და საერთოდ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარებაში. ეკონომიური ჩამორჩენილობა ახასიათებდა არა მარტო საქართველოს და ამიერ-კავკასიას, არამედ თვით რუსეთსაც, რომელიც წარმოადგენდა იმ დროის დასავლეთ ევროპის მოწინავე სახელმწიფოებთან შედარებით მეტად ჩამორჩენილ ქვეყანას. მეფის რუსეთი ჩამორჩენილი იყო — საწარმოო ძალების განვითარების დაბალი დონით და შრომის მცირე ნაყოფიერებით.

მეფის რუსეთის ეკონომიკაში უპირველესად სჭარბობდა სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა სახალხო შემოსავლის თითქმის ორი მესამედი. მეფის რუსეთის ეკონომიკის საფუძველი — მისი სასოფლო მეურნეობა განირჩეოდა უკიდურესი ჩამორჩენილობით და ექსტენსიობით. მეფის რუსეთის ეკონომიური პოლიტიკა ისე იყო დაყენებული, რომ რაც შეიძლება მეტი ექსპლოატაცია ეყო განაპირა რაიონებისათვის და იქცია ისინი აგრარულ დამატებათ. ამგვარად, ცარიზმის პოლიტიკა საქართველოს მიმართ იყო იმპერიალისტური. მართალია, მეტროპოლიას ჰქონდა რამდენიმე ინდუსტრიალური ოლქი, სახელდობრ, ლენინგრადის, მოსკოვის, ვარშავისა და სხვ., მაგრამ ის მაინც ჩამორჩენილ ქვეყნად ითვლებოდა. საქართველოს ინდუსტრიალური ჩამორჩენილობა მეფის რუსეთის სუსტი ინდუსტრიით როდი აიხსნება. მეფის რუსეთის ინდუსტრია უფრო ძლიერი რომ ყოფილიყო, საქართველოს მიმართ მისი იმპერიალისტური პოლიტიკა კიდევ უფრო გაძლიერებული იქნებოდა. ასეთია იმპერიალიზმის ბუნება.

„მეტროპოლია ცხოვრობდა კოლონიების ხარჯზე, რომლებიც მრეწველობისათვის ნედლეულის მიმ-

წოდებელნი და მზა საქონლის მომხმარებელნი იყვნენ. მრეწველობა თავმოყრილ იყო „ძირეულ რუსეთის“ ფარგლებში. ხოლო კოლონიური განაპირა კუთხეების (ციმბირის, შუა-აზიის, ამიერ-კავკასიის) განვითარება ფერხდებოდა გაბატონებულ რუსი ბურჟუაზიის ინტერესებისათვის“.

(იხ. პროფ. ნ. ბარანსკი — „საბჭოთა კავშირის გეოგრაფია“, ქარ. გამ., 1933 წ., გვ. 6).

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და მისი ნამდვილი ტემპების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის საფუძველზე. ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა შედეგია ის, რომ პროლეტარიატმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაეუფლა სახელმწიფო საუნს და მიზნად დაისახა რაც არ უნდა დაუჯდეს უმოკლეს დროში დაეწიოს და გაუსწროს ტექნიკურად ევროპის მოწინავე სახელმწიფოებს და საბოლოოდ კი თვით ა შეერთებულ შტატებსაც. რომ ეს მოკლე დროში შეძლებელი რეალობაა. ამას გვიმტკიცებს პირველი ხუთწლედის ოთხ წელში შესრულება და მეორე ხუთწლედის პირველი ორი წლის ძლევამოსილი წინ სვლა.

საბჭოთა სოც. რესპ. კავშირმა შექმნა ყველა ის წინაპირობები, რომლებიც აუცილებელია განაპირა რაიონების — წარსულში ყოფილი რუსეთის იმპერიის კოლონიების — დღეს კი თავისუფალ ნაციონალურ რესპულიკების ინდუსტრიალიზაციისათვის.

„ინდუსტრიალიზაციის საზოგადოთ და საწარმოო საშუალებათა წარმოების განვითარების სწრაფი ტემპი წარმოადგენს ძირითად საწყისს და გასაღებს მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის გარდაქმნისათვის სოციალისტურ განვითარების საფუძველზე.... ინდუსტრია მთელი სახალხო მეურნეობის საწყისია“*).

---

*) ტალინი — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და მემარჯვენე გადახრის შესახებ სკ. კ. პ. (ბ)-ში.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის საჭიროა პირველად ყოვლისა მძიმე ინდუსტრიის განვითარება, ე. ი. იმ ინდუსტრიის, რომელიც იძლევა საწარმოო საშუალებებს მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის. მძიმე ინდუსტრიის განვითარება გარეშე მანქანათმშენებლობისა წარმოუდგენელია. მანქანათმშენებლობის განვითარების და მისი მნიშვნელობის შესახებ ჯერ კიდევ 1922 წ. **ლენინი** სწერდა: „ჩვენ რომ შეგვეძლოს ჩვენი ქვეყნისათვის 100 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორის მიცემა, მათთვის ბენზინის მომარაგება, მემანქანეების მიწოდება (თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჯერ-ჯერობით ეს ფანტაზიაა), საშუალო გლეხი იტყოდა: „მე „კომუნიას“, ე. ი. კომუნიზმს ვემხრობიო“.

ლენინის ამ სურვილის განხორციელების მიზნით მისი საუკეთესო მოწაფის დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით საკ. კ.პ.(ბ) მე-14 ყრილობა ადგენს: „საბჭოთა კავშირი იმ ქვეყნიდან, რომელსაც შემოაქვს მანქანები და მოწყობილობა, გადაქცეულ იქნას ქვეყნად, რომელიც აწარმოებს მანქანებსა და მოწყობილობას“.

მანქანათმშენებლობაზეა დამოკიდებული სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება. „ხუთწლიანი გეგმის ძირითადი რგოლი იყო მძიმე მრეწველობა, მისი მთავარი ძარღვი — კი მანქანათმშენებლობა. ვინაიდან მხოლოდ მძიმე მრეწველობას შეუძლია გადააკეთოს და ფეხზე დააყენოს მრეწველობაც მთლიანად. ტრანსპორტიც, სოფლის მეურნეობაც, სწორედ აქედან უნდა დაწყებულიყო ხუთწლედის განხორციელება. მაშასადამე, ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საფუძვლად უნდა დაგვედო მძიმე მრეწველობის აღდგენა“. (**ი. სტალინი** — პირველი ხუთწლედის შედეგები — მოხსენება საკ. კ.პ.(ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წელს 7 იანვარს).

საბჭოთა ხელისუფლება ბრწყინვალედ ანხორციელებს მის მიერ დასახულ ამოცანებს. პარტიის მიერ ინდუსტრიალიზაციისაკენ მტკიცედ აღებულმა ხაზმა მოგვცა დიდი მიღწევები და მოამზადა ნიადაგი შემდგომი დიდი ამოცანის — სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანის — დასმის და გადაჭრისათვის. საქართველო ინდუსტრიალიზაციის გზაზე მტკიცედ შედგა. ჩვენი ქვეყნის დედამიწის წიაღში მოიპოვება უამრავი მინერალური სიმდიდრე, რომელიც უქმნის ინდუსტრიალიზაციას მძლავრ სანედლეულო ბაზას. რაც უფრო დრო გადის, მით უფრო და უფრო წინ მივდივართ ინდუსტრიის განვითარების გზაზე. „1933 წელს (წინასწარი გამოანგარიშებით) მთელი მრეწველობის ხვედრითი წონა — 59.8 პროცენტია, სოფლის მეურნეობის — კი — 40, 4 პროც" (**ლ. ბერიას** მოხსენება საქ. კ.პ.(ბ) მე-9 ყრილობაზე).

ზემოთმოყვანილი ციტატა მეტად მჭერმეტყველურად ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სტრუქტურაში მომხდარია უკვე დიდი ცვლილებები. მრეწველობის პროდუქციაში მეტი წილი მოდის მძიმე მრეწველობაზე.

მეორე ხუთწლედის დასასრულს გაკეთებით უფრო თვალსაჩინო გახდება საქართველოს ინდუსტრიალიზაცია, რადგან ამ წლებში მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ის პოტენციალური ენერგია, რომელიც საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოიპოვება. ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის გაფართოებით, ტყვარჩელის ქვანახშირის ნიადაგზე მეტალურგიული ქარხნის აგებით და სხვ. ყოველივე ეს არის აუცილებელი პირობა მანქანათმშენებლობის განვითარებისათვის.

„მსუბუქი ინდუსტრია პირდაპირ დამოკიდებულია მძიმე ინდუსტრიის განვითარებაზე. მძიმე ინდუსტრია ჩვენ უკვე აღვადგინეთ. საჭიროა მხოლოდ იგი უფრო ფართოდ გავშალოთ. ჩვენ ახლა შეგვიძლია მივუბრუნდეთ მსუბუქ ინდუსტრიას და წავსწიოთ იგი წინ აჩქარებით.

რებული ტემპებით. ახალი რამ ჩვენი მრეწველობის განვითარებაში სხვათა შორის ისიც არის, რომ ჩვენ ახლა შესაძლებლობა გვაქვს განვავითაროთ აჩქარებული ტემპებით როგორც მძიმე, ისე მსუბუქი ინდუსტრია".*)

მსუბუქი ინდუსტრიის განვითარებას ამ ეტაპზე აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან ის გაადვილებს მუშათა კლასის და კოლმეურნეობის მომარაგებას.

ოქტომბრის რევოლუციამ გააცამტვერა ბურჟუაზიული წყობილება. პროლეტარიატის დიქტატურამ, მიწისა და საერთოდ ყველა საწარმოო საშუალებათა ნაციონალიზაციამ, მეურნეობის გეგმიანმა სისტემამ შექმნეს **ყველა აუცილებელი წინაპირობები** საწარმოო ძალების მძლავრი განვითარებისა და წარმოების რაციონალური განლაგებისათვის.

საბჭოთა კავშირმა, რომელმაც მოსპო კერძო საკუთრების მიერ შექმნილი ყოველგვარი ზღუდეები და პროლეტარულ სახელმწიფოს ხელში მოუყარა თავი ქვეყნის **ყველა საწარმოო ძალებს**, პირველად ისტორიაში მთელი გარკვეულობით და მკაფიოთ დასვა პრობლემა წარმოების რაციონალური გეოგრაფიული განლაგების შესახებ.

ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების სრული მოსპობა მოითხოვს საწარმოო ძალების განვითარების გაცილებით იმაზე მაღალ დონეს, რომელსაც ჩვენ ამჟამად მივაღწიეთ. მაგრამ ჩვენ უკვე მივდივართ ამ მიმართულებით და ახლა უკვე შეიძლება ზუსტად დავასახელოთ ის გზები, რომელთაც მიეყევართ ამ დაპირისპირების მოსპობისაკენ.

როდესაც ფრანგი მეცნიერი დეპრეს მიერ აღმოჩენილი იქნა ელექტრო-ენერგიის შორს მანძილზე გადაცემის საშუალება, **ენგელსმა** შემდეგი სიტყვებით გამოხატა ამ აღმოჩენის მნიშვნელობა: „დეპრეს უახლესი აღმოჩენა საბოლოოდ ათავისუფლებს მრეწველობას თითქმის ყველა ადგილობრივი ჩარჩოებისაგან და შე-

*) სტალინი—პოლიტ.-ანგარიშ. საკ. კ. პ. (ბ) მე-15 ყრილობაზე.

საძლებელს ხდის ენერგიის ძალაზე დაშორებული წყაროების გამოყენებას, და თუ პირველად ამით ისარგებლებენ ქალაქები, ბოლოს და ბოლოს იგი მაინც ვახდება უძლიერესი ბერკეტი ქალაქსა და სოფელს შორის არსებული ანტაგონიზმის მოსასპობად“.*)

საქართველოს ინდუსტრიალიზაცია მიმდინარეობს გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის პრინციპის მიხედვით; მისი განლაგება დიამეტრალურად განსხვავდება კაპიტალისტური ინდუსტრიის განლაგებისაგან. საბჭოთა კავშირში შრომის ნაყოფიერების გადიდების პრინციპია მიღებული. ამ მიზნით ნედლეულისა და ენერგიის წყაროების მიახლოვება წარმოადგენს წარმოების აუცილებელ პირობას. **ლენინმა** ეს შემდეგი სიტყვებით გამოთქვა: „რაციონალურია — მრეწველობის განაწილება ნედლეულის სიახლოვის თვალსაზრისით და ნედლეულის დამუშავებიდან ნახევარ-ფაბრიკატების გადამუშავების ყველა თანამომდევნო სტადიებზე (მანამდის, ვიდრე მიღებული არ იქნება მზა პროდუქტი), რაც შეიძლება, ნაკლები შრომის დახარჯვის შესაძლებლობის თვალსაზრისით. რაციონალურია უახლესი მსხვილი მრეწველობის. განსაკუთრებით ტრესტების თვალსაზრისით, წარმოების გაერთიანება და თავმოყრა მცირერიცხოვან მსხვილ წარმოებებში“.

საწარმოო ძალების თანაბრად განლაგების შესახებ **ფრ. ენგელსი** სწერს:

„მხოლოდ საზოგადოებას, რომელსაც შესწევს უნარი ერთიანი საერთო გეგმის თანახმად ჰარმონიულ მოძრაობაში მოიყვანოს თავისი საწარმოო ძალები, შეუძლია ამ ძალების ისე მოწესრიგება, რომ შესაძლებელი გახდეს მსხვილი წარმოების განაწილება მთელი ქვეყნის ფარგლებში სრული შეფარდებით მის საკუთარ განვითარებასთან, წარმოების ყველა დანარჩენ ელემენტების შენარჩუნებითა და განვითარებით“.

---

*) იხ. ბარანსკის იგივე შრომა

ჩვენ შეგვიძლია საკუთარი თვალით დავინახოთ, თუ როგორ სპობს სოფლის მეურნეობის სოციალისტური ინდუსტრია ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ მიჯნებს. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სახით, რომელიც წრმოადგენს ქალაქში გამომუშავებულ სამრეწველო ტექნიკის გამოყენებას სოფლის მეურნეობის მიმართ, ჩვენ გვაქვს სოფლისა და ქალაქის დაპირისპირების გაუქმებისაკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი. ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების მოსპობის იმავე მიზანს ემსახურებიან ახალი სოციალისტური ქალაქებიც, ადგილობრივი ტრანსპორტის განვითარებაც, ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციის გზით მიღწეული კავშირგაბმულობის გაფართოებაც.

საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიის ერთერთი ყოფილი კოლონია, რუსეთის საერთო ჩამორჩენილობის ფონზედაც კი განირჩეოდა თავისი ჩაშორჩენილობით. ის სავსებით მოკლებული იყო ინდუსტრიას. ამიტომ, რომ დაეწიოს თავის ყოფილ მეტროპოლიას, ამ ყოფილმა კოლონიამ არა მარტო უნდა მოახდინოს ინდუსტრიალიზაცია, არამედ მისი ინდუსტრიალიზაციის ტემპი უნდა იქნეს გაცილებით უფრო სწრაფი, ვიდრე მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქისა.

თუ მეფის მთავრობა, რომელიც გაბატონებულ ეროვნების მჩრხანებელ კლასების ინტერესებს გამოხატავდა, დაინტერესებული იყო იმით, რომ ყოველმხრივ შეეფერხებია კოლონიების სამრეწველო განვითარება, საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარულ დიქტატურის გამომხატველი, ხელისუფლება, უაღრესად დაინტერესებულია იმით, რომ ყოველმხრივ განავითაროს ყოფილი კოლონიების მრეწველობა, რადგან ამ კოლონიებში მრეწველობის განვითარებით ძლიერდება მუშათა კლასი და, მაშასადამე, მტკიცდება პროლეტარული დიქტატურა.

საწარმოო ძალთა განვითარება და მისი ტერიტორიალური განლაგება ჩვენში პროლეტარულ კლასობ-

რიც ხასიათს ატარებს. ამ მიმართულებით წინ გადადგმული თითოეული ნაბიჯი უნდა ამაგრებდეს და აბტკიცებდეს სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობებს ჩვენში.

საბჭოთა ხელისუფლება ლენინ-სტალინის ნაციონალურ პოლიტიკის განხორციელების მიზნით პრაქტიკულად ატარებს ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ რესპუბლიკების და მხარეთა დონის აწევას — ამაღლებას, ახდენს მათ სწრაფ ინდუსტრიალიზაციას და უწევს მატერიალურ დახმარებას. მაგრამ ეს პარტიამ ეს კარგათ შეიგნო და მისი ცალკეული წევრები, რომლებიც მოექცნენ ამათუიმ სადირექტივო საგეგმო დაწესებულებებში, თავისი მუშაობაში ატარებდენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც არა თუ განავითარებდა საბჭოთა კავშირის განაპირა რაიონებში საწარმოო ძალებს, არამედ მიმართული იყო იქით, რომ რაც შეძლება შეეჩერებიათ განაპირა რაიონების ინდუსტრიალიზაციის ტემპი და მით ისინი გაეხადათ ცენტრალურ სამრეწველო რაიონების აგრარულ დამატებად. ისინი იცავდენ მეფის რუსეთის სამრეწველო გეოგრაფიას. ასეთი იყო მავნებლების: ბერეშტენ-კოგანის, გროზოვის, რიბნიკოვის, კონდრატიევისა და სხვ. პოლიტიკა განაპირა რაიონების მიმართ. მათ მიერ გადადგმული ნაბიჯი მიმართული იყო იქით, რომ გაეყინათ საბჭოთა კავშირის და კერძოდ კი განაპირა რაიონების, ყოფილი კოლონიების, მათ შორის აბიერ-კავკასიისა და აგრეთვე საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ერთ წერტილზე და მით კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის გზა გაეკაფათ. მაგრამ ძმათა მავნებლური პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლებამ დროზე აღკვეთა და საბჭოთა კავშირი მთლიანად, განაპირა რაიონები კი უფრო გაძლიერებული ტემპით ძლევამოსილი წინ მიდის ინდუსტრიალიზაციის გზით სოციალიზმისაკენ.

საკონტროლო კითხვები

1. რაში მდგომარეობს ინდუსტრიის, კერძოთ მძიმე ინდუსტრიის მნიშვნელობა ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის?

2. როგორ უნდა გვესმოდეს ინდუსტრიალიზაციის მკვეთრი კლასობრივი ხასიათი?

ელექტრიფიკაცია

ელექტრონის ენერგია წარმოადგენს ყველაზე უფრო სრულყოფილ და მეტად უნივერსალურ ენერგიას. ის გამოიყენება მრეწველობაში, ტრანსპორტში. სოფლის მეურნეობაში (დაწყებული ხვხის პროცესით და გათავებული ცხვრების პარსვით და ძროხების წველით). ის დიდად გამოყენებულია ავრეთვე საოჯახო-ყოფაცხოვრებაში და თანამედროვე მედიცინაში. ელექტრო-ენერგია დაუფასებელია როგორც სინათლის წყარო. ელექტრო-ენერგია შეუცვლელია მაშინ, როდესაც საჭიროა მაღალი ტემპერატურის მიღება მეტალურგიაში. ძნელად გასადნობ ლითონებისათვის, კერძოდ, ფეროშარავანჯის შესადნობების დროს, ალიუმინის მისაღებად და სხვ.

ელექტრო-ენერგიამ შექმნა სულ ახალი დარგები წარმოებაში: ელექტრომეტალურგია და ელექტრო-ქიმია. ელექტროფიკაცია ისეთი ენერგიის წყაროების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც ან საერთოთ არ იქნებოდენ გამოყენებული, ან იქნებოდენ მინიმალურად. მაგალითად, ელექტროფიკაციამ გამოიყენა ნახშირის ნარჩენები, ტორფი, საწვავი ფიქალები, წყლის ძალა და სხვ.

ელექტრო-ენერგიის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ მისი გადაცემა შესაძლებელია მავთულების საშუალებით შორს მანძილზე — ათეულ და ასეულ კილომეტრებზე. სწორედ ეს ხდის მას იმ ძვირფას ენერგიათ, რომლის საშუალებით ჩვენ შეგვეძლია მოვახ-

დინოთ სულ ახალი სამრეწველო ცენტრების წარმოშობა, რაც სხვა პირობებში შეუძლებელი იყო.

ელექტროფიკაცია ძირფესვიანად სწყვეტს სათბობის პრობლემას, როგორც სამრეწველო-ენერგეტიკული ბრუნვაში უშუალოდ ახალი ენერგეტიკული რესურსების (ჰიდრო-ენერგია, ქარის ენერგია, მზისა, ენერგეტიკული ნარჩენების უტილიზაცია, იაფფასიანი სათბობის—ტორფის, საწვავი ფიქალების და სხვ.) შეყვანით, ისე მათი უფრო რაციონალური გამოყენებით მოპოვების ადგილზე. დაბოლოს, იძლევა რა სითბოს გამოსავლის დიდ პროცენტს, ის არის უდიდესი წყარო ენერგომეურნეობის რაციონალიზაციისათვის.

სანამდე ელექტრონის დენის მიღება არ იცოდენ, მრეწველობა ჯგუფდებოდა მხოლოდ იქ, სადაც ორთქლის ქვაბი ან შიდაწვის მოტორი იდგა, რადგან გადაცემა ხდებოდა ტრანსმისიის საშუალებით უაღრესად განსაზღვრულ სივრცეზე. ასეთი მანქანა უნდა ყოფილიყო მოთავსებული ან თვით ქარხნის სახურავის ქვეშ, ან მის გვერდით. ელექტრო-ენერგიის მიღებამ მოგვცა საშუალება ენერგიის ასეული კილომეტრებზე გადაცემის.

რუსეთის გამარჯვებული პროლეტარიატი უცბად დადგა აუცილებლობის წინაშე, რომ საჭიროა სოციალიზმისათვის მატერიალური ბაზის (ძსხვილი სოციალისტური ინდუსტრია) შექმნა და მთელი ქვეყნის მეურნეობის რეკონსტრუქცია. ჯერ კიდევ 1918 წლის აპრილში **ლენინი** მიგვითითებდა, რომ პროლეტარულმა სახელმწიფომ მის სამეურნეო პოლიტიკაში აუცილებლივ უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება მრეწველობის, ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციას. ორთქლიდან ელექტრობაზე გადასვლა მოასწავებს არა მარტო ტექნიკურ, პრამედ სოციალურ რევოლუციასაც. მცირე ელექტრო-სადგურები არ იძლევიან იმდენ ეფექტს, რამდენსაც დიდი, სარაიონო სადგურები. მაგრამ კაპიტალისტური წყობილების დროს რაიონულ სადგურების მოწყობას აპრკო-

ლებს კერძო საკუთრება მიწაზე. ასეთი ელექტროფიკაცია მოითხოვს გეგმიან მეურნეობას და შეუძლებელია კაპიტალისტურ სისტემაში.

„ორთქლი — კაპიტალისტური საზოგადოების ენერგიაა, ელექტრონი — კი სოციალისტური საზოგადოების ენერგია"—ლაპარაკობს **ენგელსი.**

თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში კერძო საკუთრება უდიდესი შემაფერხებელია და შეუძლებლად ჰქმნის ელექტროფიკაციის ფართოდ გამოყენებას, ჩვენში ეს დაბრკოლება ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო ნაციონალიზაციის გამოცხადებით მიწაზე, რკინისგზებზე, ფაბრიკა-ქარხნებზე და სხვ. ამხ. **კრჟიჟანოვსკიმ** პარტიის მე-16 ყრილობაზე ასე დაასურათა ჩვენი უპირატესობა ელექტროფიკაციის სფეროში კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით: „აქ (ე. ი. კაპიტალისტურ ქვეყნებში) იმისათვის, რომ ელექტროსადგურის სახურავ ქვეშ გააერთიანონ სხვადასხვა წარმოება. სხვადასხვა ფაბრიკები, საჭირო. ხდება მიმართონ საკონკურენციო ბრძოლას. ჩვენ კი არავითარი საკონკურენციო ბრძოლა არ გვინდა. აქ ჩვენ შეგვიძლია გავადიდოთ შეთავსების შესაძლებლობა, ავაგოთ ელექტროსადგურები ყველგან, სადაც მოიპოვება შესაფერი რესურსები ისე, რომ ანგარიში არ გაუწიოთ კერძოთ საკუთრების უფლებას, ანგარიში არ გავუწიოთ კერძო ინტერესებს. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა — ელექტრო გადაცემის ხაზი გავიყვანოთ ყოველი მიმართულებით, მივამაგროთ ენერგეტიულ ცენტრებს ყოველი საწარმო, ყოველი რკინისგზა, სოფლის მეურნეობის ყოველი დარგი; ეს იძლევა შესაძლებლობას ელექტროენერგიის საშუალებით მოვახდინოთ ნამდვილი რევოლუციური გადატრიალება მრეწველობის კომბინატებში. ტრანსპორტში და სოფლის მეურნეობაშიც".

ელექტროფიკაცია არის ტექნიკური ბაზისი სოციალიზმის აშენებისათვის. **ლენინი** 1920 წელს ამ საკითხზე სწერდა:

„სანამ ჩვენ ვცხოვრობთ წვრილ გლეხურ ქვეყანაში, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს, ვიდრე კომუნიზმისათვის, ვიდრე ეს ბაზა არსებობს. კაპიტალისტებს შეუძლიათ დაბრუნდენ რუსეთში და გახდეს უფრო ძლიერნი, ვიდრე ჩვენ. ვინც ყურადღებით დაკვირვებია სოფლის ცხოვრებასა და შეუდარებია ის ქალაქის ცხოვრებისათვის, — მან იცის, რომ ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები არ ამოგვიგდია და შინაური მტრისათვის ფეხქვეშ არ გამოგვიცლია საძირკველი. საფუძველი. შინაური მტერი ეურდნობა წვრილ მეურნეობას და ამ უკანასკნელის ფეხქვეშ გამოსაცვლელად არსებობს ერთი საშუალება: ქვეყნის მეურნეობის, მათ შორის მიწათმოქმედების გადაყვანა ახალ ტექნიკურ ბაზისზე. ასეთ ბაზისს წარმოადგენს მხოლოდ ელექტროფიკაცია".

ლენინი ხაზს უსვამდა, რომ კომუნიზმის აშენებისათვის არ კმარა მარტო, რომ მუშათა კლასმა ჩაიგდოს ხელში ძალაუფლება (თუმცა ეს არის პირველი პირობა კომუნიზმის აშენებისათვის), არამედ მან უნდა შექმნას ახალი ეკონომიკა. შექმნას ამ საზოგადოებისათვის ტექნიკური ბაზა — მთელ ქვეყანას უნდა უყოს ელექტროფიკაცია. ამ აზრმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ლენინის ისტორიულ ლოზუნგში: „კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია".

კ. მარქსმა დაინახა რა ლონდონის ერთერთ მაღაზიის ვიტრინაში ელექტრო-მანქანის მოდელი, რომელსაც მოყავდა მოძრაობაში რკინისგზის მატარებელი, უთხრა ვილჰელმ ლიბკნეხტს:

„მისი უდიდებულესობა „ორთქლი", რომელმაც გასულ საუკუნეს ყოველივე დააყირამალა მსოფლიოში, ჩამოდის სცენიდან და უთმობს თავის ადგილს უდავოდ უფრო ძლიერ რევოლუციონერს — ელექტრონის ნაპერწკალს... ახლა პრობლემა გადაწყვეტილია; რეზულტატი უდიდესია. ეკონომიურ რევოლუციას აუცილებ-

ლივ უნდა მოყვეს პოლიტიკურიც, რადგან მეორე არის მხოლოდ პირველის გამოხატულება“.*)

ცნობდა რა ლენინი ელექტროფიკაციის ასეთ კოლოსალურ როლს სოციალისტური მეურნეობაში, ის აყენებს რუსეთის ელექტროფიკაციის იდეას და ამ მიზნით მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით 1920 წ. არსდება რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისია, რომელსაც შემოკლებულად „გოელრო“ უწოდებენ. ამ კომისიაში ლენინი უშუალო მონაწილეობას იღებდა და მას ანდეოდა ისეთ მნიშვნელობას, როგორც პარტიის პროგრამას. მან ელექტროფიკაციის გეგმას პარტიის მეორე პროგრამა უწოდა.

მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი **სტალინი** აძლევდა რა „გოელრო“-ს ასეთივე მნიშვნელობას, ის სწერდა 1924 წელს **ლენინს: „ჩვენ დროში ეს ერთადერთი ცდაა—მეურნეობის მხრივ ჩამორჩენილ საბჭოთა ზედნაშენს—საფუძვლად დავუდვათ დღევანდელ პირობებში ნამდვილად რეალური და შესაძლებელი ტექნიკური საწარმოო ბაზისი“** („გოელრო“).

„გოელრო“-ს გეგმა არა მარტო ელექტროსადგურების მშენებლობას ითვალისწინებდა. არამედ ის ისახავდა მიზნად მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ტრანსპორტის რეკონსტრუქციას 10-15 წლის მანძილზე. ამ გეგმის მიზანს წარმოადგენდა ელექტროფიკაციის ნიადაგზე მოეხდინა მრეწველობის დაახლოებება ნედლეულის რაიონებთან და მით საწარმოო ძალთა მაქსიმალური განვითარება. ელექტროფიკაციის ნიადაგზე ხდება ქვეყნის რაიონიზაცია და სწორი სპეციალიზაცია. „გოელრო“-ს გეგმა დამტკიცებულ იქნა 1921 წლის დეკემბერში. მისი პრაქტიკული გატარება დაიწყო 1922 წლიდან. 1932 წლის დამდეგისათვის ამუშავებულმა სარაიონო სადგურების სიმძლავრემ გადააჭარბა იმ საკონტროლო ციფრს, რომელიც მიღებულ იქნა „გოელრო“-ს გეგ-

*) ვ. ლიბკნეხტი—მოგონებანი შარქსზე. გვ. 16, ლენინგრადი 1918 წ.

მით. ამრიგად „გოელრო"-ს გეგმა ფაქტიურად შესრულებული იყო უკვე ხუთწლედის მესამე წელს. მთელი ამიერ-კავკასია და აგრეთვე საქართველო საბჭოთა ძალაუფლების დამყარებამდე წარმოადგენდა ელექტროფიკაციის მხრივ ერთერთ ჩამორჩენილ კუთხეს საბჭოთა კავშირში.

ქალაქ ტფილისში 1914 წელს იყო 44 თბოსადგური საერთო იმძლავრით 9.550 ცხენის ძალის. თითოეულის საერთო სიმძლავრე საშუალოდ 230 ცხენის ძალით. ასე სუსტი იყო საქართველოს დედა ქალაქის ელექტროფიკაცია.

საქართველოს აქვს უდიდესი შესაძლებლობა ელექტროფიკაციისათვის. გარდა იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოიპოვება მრავალ ადგილას სათბობი რესურსები, საქართველო ძლიერ მდიდარია „თეთრი ნახშირით", რომლის ენერგიაზე აგებული სადგურები ჩვენ მოგვცემს საშუალებას მოვაწყოთ მსხვილი სახალხო-სამეურნეო კომბინატები, საირიგაციო სისტემა, რაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთ საქართველოსათვის, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთისათვის. ჩვენ შეგვიძლია უხვი და იაფი ელექტრო ენერგიის საშუალებით მოვახდინოთ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და აგრეთვე რკინისგზის ტრანსპორტის სრული რეკონსტრუქცია. ამ ნიადაგზე სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია ჩვენ გავგიადვილებს იმ ზღუდის წაშლას, რომელიც არსებობს სოფლისა და ქალაქს შორის კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ელექტროფიკაციას განსაკუთრებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს რკინისგზის ტრანსპორტისათვის. ჯერ ერთი, ელექტროფიკაცია აჩქარებს მატარებლის მიმოსვლას განსაკუთრებით მთა-გორიან ადგილებში, მეორე, აიაფებს მოძრაობას, როგორც იაფფასიანი ენერგია. მესამე, გვაძლევს მაზუთის უდიდეს ეკონომიას და მით აძლიერებს ჩვენი საექსპორტო საშუალებებს და მეოთხე, ადიდებს გადაზიდვის ეფექტიეობას, რადგან

ელექტრომავლებს შეუძლიათ დიდი ტვირთიანი შემადგენლობის გაწევა. საერთოდ რკინიგზების ელექტროფიკაცია მეტად რენტაბელურია.

საქართველო მეტისმეტად საჭიროებს იაფ ელექტროენერგიას, რომლის მიღება ყველაზე უფრო რაციონალურია „თეთრი ნახშირიდან“. საქართველოში არის ყველა წინაპირობა ალუმინის, ფერო-მარგანეცის, სპილენძისა და სხვ. ასეთი მრეწველობის განვითარებისათვის, რომლებიც მოითხოვენ უამრავ და იაფფასიან ელექტროენერგიას. თავის მხრივ კი ეს დარგები ხელს შეუწყობენ შინაანათმშენებლობის განვითარებას და მით ჩვენი ქვეყანა გახდება მანქანათმშენებლობის რაიონად.

საქართველოს ელექტრონულ ენერგიის მთავარ წყაროებათ ჯერ-ჯერობით უნდა. ჩაითვალოს ნავთი, ქვანახშირი და წყლის ენერგია. დაუშრეტელი და ყველაზე უფრო იაფი ენერგიაა წყალი, რომელსაც ჩვენ „თეთრი ნახშირს“ ვეუწოდებთ. ნავთი და ნახშირი ჩვენში კი ბევრი არ მოიპოვება. განსაკუთრებით უძვირფასესია ნავთი, რომელსაც აქვს მრავალნაირი გამოყენება და მისი მარაგი საერთოდ და კერძოდ საქართველოში განსაზღვრულია. ამიტომ ელსადგურები ჩვენში უნდა აშენდეს წყლის ენერგიის რესურსებზე. ამ მხრივ ძალზე მდიდარია საქართველო, რომლის ტერიტორიის რელიეფი მთა-გორიანია და თან მისი დასავლეთი. ნაწილი მეტად მდიდარია ატმოსფერული ნალექებით, და როგორც ამის შედეგი მდინარეებით, თუმცა აღმოსავლეთ ნაწილში ხაფხულ-ზამთრობით მდინარეთა რეჟიმი ძალზე კლებულობს. საქართველოს ჰიდრო-ენერგიის სიმძლავრე (ამერ-კავკასიის საწარმოო ძალთა შემსწავლელი კონფერენციის მასალების მიხედვით) შეადგენს 10,6 მილიონ ცხენის ძალას. მთელ ა.-კავკასიის ჰიდრო-ენერგია კი უდრის 16,8 მილ. ცხენის ძალას.

საქართველოს ჰიდრო-ენერგიის განაწილების მხრივ დავყოფთ რაიონებად: აფხაზეთი, აჭარისტანი, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო.

აფხაზეთის მდინარეთა საშუალო-წლიური შეადგენს

1.650.000 კბ ენის ძალას, მუდმივი წლიური კი 390.000 კბ. ძალას.

აჭარისტანის—890.000 კბ. ძალას, მუდმივი—100.000 კბ. ძალას მეტად მდიდარი რაიონი მთელ საქართველოში და ამიერ-კავკასიაშიც არის დასავლეთ საქართველო, რომლის მდინარეთა საშუალო სიმძლავრე შეადგენს 4.000.000 კბ. ძალას, მუდმივი—1 მილ. კბ. ძალას აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა საშუალო წლიური სიმძლავრე უდრის 2.900.000 კბ. ძალას, მუდმივი წლიური კი 1 მილ. კბ. ძალას.

საქართველოს ჰიდრო-ენერგო რესურსების თეორიული გამოახგარიშება გვაძლევს 10.600 ათასი კბენის ძალას, მაგრამ პრაქტიკული შესაძლებლობა ამ ენერგიის გამოყენების გაცილებით უფრო ნაკლებია, როგორც ამას ალნიშნავს სპეციალისტების კომისია, მისი სიმძლავრე ითვლება დაახლოვებით 4 მილ. კბ. ძალა.

ენერგიის წყაროს ეკუთვნის ავრეთვე ნავთი, ქვანახშირი, საწვავი ფიქალი, შეშა და სხვ. ჩვენში ნავთის მარაგი, საგამოკვლეო ორგანიზაციების მასალების მიხედვით, უდრის დაახლოვებით 500 მილ. ტონას, თუმცა მისი სამრეწველო ექსპლოატაცია დღესაც არ დაწყებულა. ამის შესახებ საკ. კომ. პარ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. 31 ოქტომბრის დადგენილება (ა-კ. სამხარეო კომიტეტის, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ცენტრალური კომიტეტების მოხსენებათა გამო) ლაპარაკობს: „დაეკისროს ა-კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს საკავშირო ს. შ. უ. საბჭოსთან ერთად დაუყოვნებლივ მიიღონ ისეთი ღონისძიებანი, რომელიც უზრუნველყოფენ საქნავთის ჯეროვან სამეურნეო ხელმძღვანელობას, საქნავთის მომარაგების მოწყობილობით და კვალიფიციური ადმინისტრატიული ტექნიკური მუშაკების საჭირო კადრებით იმ ანგარიშით, რომ 1932 წელს უკვე დაწყებულ იქნას ნავთის სამრეწველო ამოღება".

საქართველოს ტერიტორიაზე ნავთის მთავარი ბუდობები იმყოფება კახეთში: ცირე შირაქში, მირზაანში,

ბოლების ხევში, ტარიბანში და სხვადასხვა ადგილებში. ნავთის ნაშთებია აგრეთვე ტფილისის მიდამოებშიც. მაგრამ ელსადგურების აგება ამ მეტად ძვირფასს ენერგიულ რესურსის ბაზაზე არ არის მიხანშეწონილი იმ დროს, როდესაც ჩვენში მოიპოვება უფრო იაფი და მეტი მარაგის სხვადასხვა რესურსები. ასეთია ქვანახშირის ბუდობები: ტყიბულის, ტყვარჩელის, ბზიბის, გელათის, მაგანის, ახალციხის და სხვა ბუდობები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. თუმცა ზემოაღნიშნული ქვანახშირის ბუდობების ზოგი ნაწილი, მაგალითად, ტყვარჩელისა და რამოდენიმე ტყიბულის ნახშირი მეტალურგიულ ამოცანებისაა, მაგრამ მაინც მათი ნარჩომებზე და ზოგი ბუდობების ბაზაზე შეიძლება თბო-ელექტრო ცენტრალების აგება. მაგალითად, ტყვარჩელის ქვანახშირის ნარჩომებზე თბოელექტროცენტრალი, რომლის სიმძლავრე იქნება პირველ რიგში 48.000 კილოვატი. ასეთივე თბოელექტროცენტრალების აგება შეიძლება უფრო მდარე ხარისხის ქვანახშირის (ლიგნიტის) რაიონებში. რაც შეეხება შუშას, როგორც ენერგო-რესურს, ჩვენს პირობებში—მთა-გორიან საქართველოში მისი გამოყენება მეტად სახიფათოა, რადგან ის მოახდენს ცუდ გავლენას ჰავაზე და აქედან გამომდინარე სოფლის მეურნეობაზე. ეკონომიურადაც ის არ იქნება სელსაყრელი, რადგან იგი ტყეების მასივის მეტი ნაწილი იძლევა მეტად ძვირფასს საექსპორტო მასალას.

ასეთია ელექტრო-ენერგიის ბაზა საქართველოში. ახლა ჩვენ განვიხილოთ, თუ რა მდგომარეობა იყო ელექტროფიკაციის დარგში საქართველოს გასაბჭოებამდე და როგორი მუშაობა სწარმოებს მის შემდეგ. რა სადგურები და რა სიმძლავრის დანადგარები აშენდა პირველ ხუთწლედში და როგორია მეორე ხუთწლედის გეგმა ამ დარგში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოიპოვება დაუშრეტელი რესურსები ელექტროფიკაციისათვის, განსაკუთრებით მისი მთის მდიდარეები და

ტბები, საქართველოში ელექტროფიკაცია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ე. ი. 1921 წლამდე თითქმის არ არსებობდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქ. ტფილისში არსებულ რამოდენიმე კერძო პირთა თბოელექტროსადგურებს, რომელთა საერთო სიმძლავრე დაახლოვებით 9.000 ცხ. ძალას უდრიდა და რამოდენიმე ასეთივე სადგურს პროვინციის ზოგიერთ დაბა-ქალაქებში საერთო სიმძლავრით 3.000 ცხ. ძალამდე. რაც შეეხება ჰიდრო-ელსადგურებს, ასეთები თითქმის არ არსებობდა საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა უმნიშვნელო ბორჯომ-პარკის და გაგრის ჰიდრო სადგურებისა.

დასახელებული ელექტრო-სადგურები ქოტიტურ მდგომარეობაში იმყოფებოდენ, რადგან ისინი ეკუთვნოდენ კერძო მესაკუთრეებს, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ მოგებით და ნაკლებად ზრუნავდენ მისი შეკეთება-განახლებაზე.

მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც გამოცხადდა ყველა ელსადგურების ნაციონალიზაცია. შესაძლებელი გახდა ელექტროფიკაციის განვითარება გეგმატური ტემპით. ამიტომ კომუნისტური პარტია განუხრელად ატარებდა და ატარებს ელექტროფიკაციის **ლენინის გეგმას.**

„ენერგეტიული ბაზის გაფართოების საკითხები, როგორც მრეწველობისათვის, ისე მთელ სახალხო მეურნეობისათვის, იკავებდენ ცენტრალურ კომიტეტის მუშაობაში ერთერთ ძირითად ადგილს. ცეკა სისტემატურად იხილავდა ელექტროსადგურების მშენებლობის საკითხებს — რიონჰესის, ხაჰესის მეორე რიგის, აწჰესის, ტყვარჩელის თბოელსადგურის, ალაზნის ჰესის და სხვ." (ამხ. **ლ. ბერიას** მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობაზე).

ქვემოთ მოყვანილი ფაქტები ნათელყოფენ იმას, თუ რამდენად სწრაფად განვითარდა საბჭოთა საქართველოში ელექტრომშენებლობა. 1913 წელს მთელ რუსეთში რაიონულ სარგებლობის ელექტროსადგურებთა სიმძლავრე შეადგენდა 170 ათას კლვ., საქართველოში კი ამჟამად არსებული (მომქმედი) რაიონულ სადგურ-

თა სიმძლავრე უდრის 90 ათას კლვ., ე. ი. იმის 51%, რაც არსებობდა ბოლოს რუსეთში ომამდე. უაღრესად დიდია ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდა სარაიონო სადგურების მიერ. მაგ., 1928 წ. სარაიონო სადგურებმა გამოიმუშავეს 20,4 მილიონი კლვ. საათი, 1932 წ. 88,3 მილ. კლვ. საათი, ზრდა უდრის 432,8%. უკვე 1933 წელს გამომუშავებულ იქნა 113,3 მილ. კლვ. საათი ანუ 1932 წლის მიმართ ზრდა უდრის 128,3 პროც. კიდევ მეტი, სარაიონო ჰიდროსადგურების სიმძლავრის ძირით საქართველო დგას კავშირის ისეთ მნიშვნელოვან მსხვილ რაიონების წინ, როგორიცაა შუა ვოლგის მხარე, ყაზაკსტანი, შორეულ აღმოსავლეთის მხარე და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აშენდა ზაჰესი, რომელზედაც დაიხარჯა 17 მილ. მანეთი, რიონჰესი, რომელზედაც დაიხარჯა 66 მილ. მანეთი, აბჰესი და სხ. შენდება და უახლოეს დროში უნდა დამთავრდეს ალაზანჰესი, აჭჰესი, სოხუმჰესი, დაჩქარებით მიმდინარეობს ხრამჰესის მშენებლობა.

ამჟამად საქართველოში გარდა ზემოხსენებულ სადგურებისა, აშენებულია ოთხმოცამდე ჰიდრო და თბოელექტროსადგური.

საქართველოს ელექტროფიკაციის მიმდინარე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი მძლავრი ჰიდროსადგურების მშენებლობა:

1. ფარავანის	162.000	ათ. ძალა
2. ხრამის	180.000	„ „
3. სამგორის	42.000	„ „
4. ალპანის	100.000	„ „
5. გეგჰესის	10.000	„ „
6. სოხუმჰესის	10.000	„ „
ს უ ლ	504.000	ათ. ძალა

გარდა დასახელებულ სადგურებისა ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ახალი ჰიდრო-ელექტრო სადგურების აშენებას ამიერ-კავკასიის მასშტაბით, რომლებიც იქნებიან საქართველოს ელსადგურებთან შეერთებული და შეავსებენ ელექტრობის ნაკლებობას იმ პერიოდში, როდესაც მდინარეების რეჟიმი მინიმუმამდე დადის. ეს იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ერთერთი კიდევ უფრო დამაახლოვებელი და შემაკავშირებელი ბაზა და რომელიც ერთ მთლიან ოჯახად აქცევს ა.-კავკასიას. ჰიდრო-ელექტროსადგურები განზრახულია აშენდეს სევანის (გოჭის) ტბაზე, მდ. ტერტერზე, მდ. მტკვარზე მინგეჩაურთან ვეებერთელა წყალსაცუბარის მოწყობა, რომელიც დაიტევს 11 მილიარდ კუბომეტრ წყალს და, რომლის სიმაღლე იქნება 64 მეტრი და რომელიც მორწყავს საბამბე მიწებს სიგრძით 1 მილ. ჰექტარს. აქ იქნება 170 ათას კლვ. სიმძლავრის ჰიდრო-სადგური. დიდი მინგეჩაურის პრობლემა მეორე ხუთწლედის ერთერთი უდიდესი პრობლემაა.

სევანის ტბის წყლის მარაგის გამოყენების პრობლემა ძირითადად არის ენერგეტიული პრობლემა. იმ ყოფება რა დაახლოვებით, ზღვის დონეზედან 2.000 მეტრის სიმაღლეზე, სევანის ტბა წარმოადგენს განსაკუთრებითი ღირებულების ენერგეტიულ რისურს, რომელსაც შეუძლია მისცეს ამიერ-კავკასიის ბუჩქს დიდი რაოდენობის მომწესრიგებელი იაფი ელექტრო-ენერგია.

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს მიერ შედგენილი სქემა სევანის ტბის გამოყენების შესახებ ითვალისწინებს მდ. ხანგაზე 9 საფეხურის აშენებას საერთო სიმძლავრით 480 ათას კლვ. და წლიური გამომუშავებით 2.5 მილიარდ კლვ." (ინჟ. გ. ათაბეგოვი. „ზარია ვოსტოკა" 10 იანვარი, 1932 წ. „Генглан—Электрификации ЗСФСР" (проблема второй пятилетки).

ლენინი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს სწერდა 1921 წელს: **„განავითარეთ მდიდარი ქვეყნის საწარმოო ძალები. ეთხრი ნახშირი, მორწყვა..."**

ამრიგად ამიერ-კავკასიის მეურნეობა დაკავშირებული იქნება ენერგეტიკულ რესურსების ბაზაზე და მისი განვითარების ტემპები კიდევ უფრო აჩქარდება.

ამხ. **სტალინი** ლაპარაკობს: **„მაქსიმუმ 10 წელიწადში ჩვენ უნდა გავირბინოთ ის მანძილი, რომლითაც ჩვენ ჩამოვრჩით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს“.**

მხოლოდ მეურნეობის საბჭოთა სოციალისტურ სისტემას, რომელიც დამყარებულია კომპლექსურ გეგმიან მეურნეობის პრინციპზე და, მაშასადამე, შრომის საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ რაციონალურ განაწილებაზე, შეუძლია მაქსიმალურად გამოყენება ბუნებრივ ენერგეტიკულ რესურსების.

საკონტროლო კითხვები

1. რა სოციალურ-ეკონომიური პირობებია საჭირო ელექტროფიკაციის განხორციელებისათვის მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით?

2. რაში გამოიხატება ელექტროფიკაციის მნიშვნელობა ჩვენს სახალხო მეურნეობაში?

3. დაასახელეთ ელექტრო-ენერგიის წყაროები საქართველოში.

4. რამდენადაა საქართველო უზრუნველყოფილი „თეთრი ნახშირით“?

5. ჩამოთვალეთ და მონახეთ რუკაზე მთავარი ელსადგურები, რომელიც აშენდა დღემდე საქართველოში და დაახასიათეთ ისინი.

6. რა ცვლილებები მოვიდეთ ელექტროფიკაციის პირველი ხუთწლედის შესრულების შედეგად საქართველოში?

7. რა ამოცანებს ისახავს საქართველოს მეორე ხუთწლიანი გეგმა ელექტროფიკაციის დარგში?

დანარჩენი ენერგეტიკული რესურსები და მათი განლაგება

ვიწრო გაგებით ენერგეტიკა ეწოდება ძალოვან და სითბურ დადგენილობათა ნაკრებს, რომლებიც მამოძრავებელ და სითბურ ენერგიას აწვდიან მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს და სხვა დარგებს. ფართო გაგებით კი ენერგეტიკა შეიცავს შრომის უნარიანი მოსახლეობის ყველა ცოცხალ ძალებს, მეურნეობაში მომუშავე ცხოველების ძალებს და სხვ.

თანამედროვე ქვეყნებში, რომლებიც ეკონომიური განვითარების მაღალ საფეხურზე დგანან, მეურნეობის ყოველ დარგში გამოყენებულია ბევრად თუ ნაკლებად მექანიკური ძალა ძრავების და ბანქანების სახით. უკანასკნელნი კი საჭიროებენ ენერგიას ღებულობენ ან წყლიდან, ან სათბობის სხვადასხვა სახეებიდან, ან ქარის ძალისაგან და სხვ.

ქვეყნის საწარმოო სიმძლავრე დამოკიდებულია პოტენციალურ ენერგიის რაოდენობაზე, რომლის გამოყენება კი დამოკიდებულია მოსახლეობის სოციალ-პოლიტიკურ პირობებზე.

ენერგიის წყაროებით საქართველო საკმაოდ მდიდარია: საქართველოს წიაღში მოიპოვება, როგორც მაგარი სათბობი, ისე თხევადი სათბობი ნავთი და ტორფიც.

სათბობ მომარაგების მდგომარეობა ძალიან დიდ გავლენას ახდენს მრეწველობის მუშაობის მიმდინარეობაზე. ენერგეტიული მეურნეობის ამათუიმ ორგანიზაციაზე მესაბრწევად არის დამოკიდებულ სამრეწველო წარმოების მდგომარეობა. ენერგეტიულ ბაზას არსებითი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის გეოგრაფიული განლაგებისათვისაც. სათბობი რესურსები ღებულობენ გადამწყვეტ მნიშვნელობას, განსაკუთრებით დიდი

თბოტეცვადიანი და ენერგო-ტევადიანი წარმოების განლაგებაში, რადგან უკანასკნელნი მოითხოვენ უპირველ სითბოსა და ენერგიას განსაზღვრულ ერთეულზე. ამიტომ არის, რომ ასეთი წარმოებები მოთავსებულია ენერგეტიული ბაზისის ახლოს. ასეთ წარმოებებს ეკუთვნის ფეტალურგია, ცემენტის, მინის, ფაიფურფაიანსის, ბაქრის, მარილის და სხვ.

საქართველოს ტერიტორიაზე მოიპოვება, როგორც ენერგეტიული, ისე მეტალურგიული ნაბშირი. პირველს ძირითადად ეკუთვნის ტყიბულის ნახშირი. მეორეს — ტყვარჩელის.

ტყიბულის ქვანახშირის ბუდობები მდებარეობენ ოკრიბაში, ჭუთაისიდან 40 კილომეტრის მანძილზე, მდ. ტყიბულის სათავესთან, ნაქერალას ქედის კალთებში.

ჯერ კიდევ სამრეწველო ლიტერატურაში ტყიბულის ქვანახშირი ცნობილია 1830 წლებში, მხოლოდ მისი დაშუშავება დაიწყო 1846 წელს შაორ ზღვის სამხედრო ფლოტისათვის. ტყიბულის ქვანახშირის მარაგის შესახებ არის სხვადასხვა გამოკვლევა, რომელიც მის მარაგს ანგარიშობს 64—86 მლნ. ტონამდე. პირველ ხანებში ტყიბულის ნახშირის ამოღებას აწარმოებდა თვით მთავრობა. იმ დროს, რასაკვირველია, ტყიბულის რკინისგზა არ არსებობდა და ნახშირის გადაზიდვა უხდებოდა საურმე ტრანსპორტით ფოთის ნავთსადგურამდე. ძალიან ძვირად უჯდებოდა მთავრობას ტყიბულის ქვანახშირის ექსპლოატაცია და ამიტომ მისი ზრდის ტემპები ერთობ ძლიერ ხელი იყო. რადგან იმ დროს საგუბერნიო ცენტრი ჭუთაისი შეშით იკმაყოფილებდა თავს და ქვანახშირზე მოთხოვნილება უმნიშვნელო იყო. ამის გამო ტყიბულის მაღაროების მუშაობა მეტად ნელი ტემპით ვითარდებოდა. ასე, მაგალითად, 1860 წ. ამოღებულ იქნა 150.000 ფუთი, 1880 წ. კი 320.000 ფუთი, 1900 წ. 3.857.000 ფ., 1915 წ. 4.491.000 ფ. შემდეგი წლები ტყიბულის ქვანახშირის ექსპლოატაციის დაცემის წლებია, რადგან მენშევიკური მთავრობა ჩაბმული იყო პერმანენტულ ომში საქართველოს მოძმე

ერებთან (სამხრეთ-ოსეთი, აფხაზეთი, სომხეთი, აზერ
ბეიჯანი და სხვ.) და ამის გამო უხდებოდათ, როგორც
მუშების მობილიზაცია, ისე ტრანსპორტის. მხოლოდ
რამოდენიმედ ამოღება იზრდება მეწმენდეების ბატონ
ბის უკანასკნელ 1920 წ., როდესაც საქართველოს
რკინისგზას მოელოდა შეჩერება ნავთის მარაგის გა
მოლევის გამო, მაგრამ მაღაროები მაინც უარესი მდგო
მარეობაში მოექცენ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარე
ბის შემდეგ, სახელდობრ, 1922 წლიდან, იწყება ტყი
ბულის ნახშირის რაციონალური ექსპლოატაცია, რომე
ლიც წლიდან წლამდის იზრდება და 1933 წ. უკვე გა
დააჭარბა 20.000.000 ფუთს. ტყიბულის მაღაროების
რეკონსტრუქციაზე ჯერ კიდევ 1930-31 წ. წ. დაიხარ
ჯა 1.900.000 მან.

ტყიბულის ნახშირის შესახებ არის გავრცელებუ
ლი ყალბი შეხედულება, ვითომდა ის საკოკსედ არ გა
მოდგება, რადგან შეიცავს ზედმეტ ნაცარსა და გო
გირდსა. პროფ. **ჩიქევსკიმ** 1930 წელს სამთო აკადე
მიაში ნახევრად საქარხნო წესით დაკოკსა ტყიბულის
ქვანახშირი სხვადასხვა მეთოდებით. სხვათა შორის ის
აურია ტყვარჩელის ნახშირსაც. ტყიბულის ზოგიერთი
ფენის ნახშირისაგან მიღებული იქნა სრულიად ვარგი
სი კოკსი. გარდა პროფ. ჩიქევსკისა, ტყიბულის ნახში
რი დაკოკსებულ იქნა აგრეთვე ინჟენ. ს. პ. **კაზმინის**
მიერ (იხ. ინჟ. ს. პ. კაზმინის შრომა: „თანამედროვე
პრობლემები საკოკსე და საკოკსე ქიმიის მრეწველობა
სა". ლენინგრადი, 1930 წ.). ამრიგად ტყიბულის ქვანახ
შირი არც ისე მდარე ხარისხის ნახშირია, როგორც ზო
გი სპეციალისტი ფიქრობს და მისი დაკოკსება საკმა
ბით შესაძლებელია განსაზღვრულ პირობებში და გან
საზღვრული რაოდენობით. „ტყიბულის მაღაროები შე
ვიდა საკავშირო ქვანახშირის მრეწველობის ტრესტის
სისტემაში. ტყიბულს მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის გარ
და სათბობი ბაზისა, აგრეთვე როგორც ალუმინის მრე
წველობისათვის იაფ ნედლეულს. ქვანახშირთან ერთად
ტყიბულში მდებარეობენ ფიქალები, რომლებიც საუკ

ხოვო ნედლეულია ალუმინის მისაღებად. მოსკოვში წარმოებულმა საგამოკვლეო მუშაობამ ეს დებულება სავსებით დაადასტურა.

ამას გარდა ტყიბულის ქვანახშირის გაზიფიკაციის ბაზაზე პროექტშია აშენდეს დიდი აზოტ-ტუკის კომბინატი, რომელიც მისცემს სასუქებს ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობას" (ამხ. **ლ. ბერიას** მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობაზე).

ტყიბულის ნახშირის ძირითად მომხმარებელია: ამიერ-კავკასიის რკინისგზა, კასპის ცემენტის ქარხანა, ბათუმის ნავთის გადასამუშავებელი ქარხნები, ნოვოროსისკის ცემენტის ქარხანა, აგურის, კირის და სხვ. ადგილობრივი წარმოება, აგრეთვე ქალაქ ტფილისის წარმოება და თვით ქალაქ ტფილისი (გათბობა).

მეორე ძლავრ ბუდობად ითვლება **ტყვარჩელის ქვანახშირის** ბუდობები, რომლებიც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში ცნობილი იყო, მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება მისი ნამდვილი შესწავლა, როგორც მარაგის გამოკვლევის, ისე ხარისხის მხრივ.

ტყვარჩელის ნახშირის ბუდობები იმყოფება **ჭ. ოჩემჩირიდან** 35 კილომეტრის მანძილზე ჩრდილო-დასავლეთით.

ტექნოლოგიურ მხრივ ტყვარჩელის ნახშირი ბევრად ჯობია სდგას ტყიბულის ნახშირზე.

„ტყვარჩელის ნახშირი, თანახმად გამოკვლევისა, რომელიც ჩაატარა პროფ. **რუბინმა** და გეოლოგ **მოკრინსკიმ**, განსხვავდება ატმოსფერის გავლენის მეტი წინააღმდეგობის გამძლეობით; ორგანულ მასაში მჭროლავ ნივთიერების შეიცავს 35%, კარგად კოქსდება, ნაცრის ჭრაქელი შეალტიანი ალით და იძლევა კარგ მეტალურგიულ კოქს არა უმეტეს 1%-ის გოგირდის შემადგენლობით" (იხ. ა. გველესიანი. „დიდი რიონის პრობლემა". 1932 წ. ნახელგამი გვ. 18).

ტყვარჩელის ქვანახშირის ბუდობების გამოკვლევა ხელისუფლებამ ჩაატარა. მანამდის კი

ერსებობდა ზერელე, ნავარაუდევით გამოანგარიშება, რომელიც ანგარიშობდა 12—13,5 მილიარდ ტონას. საკვირველია, ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ტყვარჩელის ნახშირის გეოლოგიური მარაგი შეფასებულია ფართობზე ნაანგარიშევია 110 მილ. ტონა, აქედან საბალანსო ოდენობით ითვლება 45 ტონა. ძირითადად ტყვარჩელის ბუღობები იყოფება ხდ. ღალიზგას ხეობაში. სოფ. კვეზანში და იყოფა ოთხ ნაწილად.

ტყვარჩელის ნახშირი ძირითადად მეტალურგიულ ნახშირად ითვლება და ის იქნება ამიერ-კავკასიის მეტალურგიის ნედლეულის ბაზა. ტყვარჩელმა უნდა მიაწოდოს კოკსი განსაკუთრებით მომავალ მეტალურგიულ ქარხანას, რომელიც აშენდება დაშქასანის რკინის მადნის ბაზაზე, აგრეთვე ტყვარჩელმა უნდა მოამარაგოს კოკსით საქართველოს და ამიერ-კავკასიის მეტალურგიული წარმოება. გარდა ამისა ტყვარჩელის კოკსი გაიზიდება ქვემო ქართლის მეტალურგიულ ქარხნებში, რომლებიც აქეთ იმავე გემებით გამოგზავნიან რკინის მადანს ტყვარჩელის (ორჩეჩირის) მომავალ მეტალურგიული ქარხნისათვის.

პროფ. ჩიქევსკის გამოკვლევით ტყვარჩელის ნახშირი ტყიბულის ნახშირთან 5% შერევით იძლევა მშვენიერ მეტალურგიულ კოკს. დაკოკსების საცდელმა მოგვცა საშუალებით დამაკმაყოფილებელი შედეგები, რომლებიც ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ტყიბულის კოკსი გამოდგება ფერო-მანგანეუმის ელექტროდნობის ქარხნისათვის.

ტყვარჩელის მაღაროებიდან ქვანახშირის ამოღება უკვე დაწყებულია და ჯერ-ჯერობით ზოგიერთი ადგილობრივი მნიშვნელობის ქარხნებს (ახალციხის და სამტრედიის) ამარაგებს სათანადო ნახშირით. რაც შეეხება ფართო მასშტაბით მისი ექსპლოატაციას, ასეთი დაიწყება 1935 წელს. მაღაროების საერთო ღირებულება უდრის 60—62 მილ. მანეთს, ჯერ უკვე დახარჯულია 39 მილ. მან. მეტი.

გარდა ტყიბულ - ტყვარჩელის ქვანახშირის ბოლო ბებისა საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ მოიპოვება

რამოდენიმე ქვანახშირის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ბუდობები: გელათის, ძაგანის, ბზრბის და ახალციხის.

გელათის ბუდობები ტყიბულის ბუდობების მახლობლადაა. გელათის ნახშირი თვისებით გაცილებით დაბალია ტყიბულისაზე, ნაცრიანობა 20%, ნაკლები კოლორიობა, მეტად იფხვნება. პროფ. **გაბუნიას** გამოანგარიშებით მისი საორიენტაციო მარაგი უდრის 6 მილ. ტონას.

მაგანის ქვანახშირის ბუდობი მდებარეობს ხუდიდის რაიონში და მისი მარაგი ჯერაც არ არის ზუსტად გამოანგარიშებული.

ბზრბის ქვანახშირის ბუდობი მდებარეობს ახეზეთში სოფ. კალდახვარის ახლოს. ეს ნახშირი ჯერ საბოლოოდ არ არის შესწავლილი და არც მისი მარაგია გამორკვეული ზუსტად. დაახლოვებით ორივე ბუდობის მარაგი ნავარაუდევია 4,5—5 მილ. ტონა.

„ახალციხის ქვანახშირის საბადოებს უკავიათ ფრიად ფართო ტერიტორია. დაახლოვებით ეს სივრცე 60 კვ. კილომეტრს უდრის. მოსალოდნელია შემდეგი შესწავლით და გამოკვლევით ეს სივრცე კიდევ უფრო გაიზარდოს. საბადო ვრცელდება ახალციხის რაიონის გარდა ადიგენშიაც. ქვანახშირიან რაიონში შედის სოფ. **ცხურტო, ჩურჩუტო, ჩიხელი, ფარეხა, სუფლისი, ვალე; წყალთბილა, ბეწარა, ჩვინტა** და **არალი**. ამას გარდა ქვანახშირიანი ფენა ვრცელდება სამხრეთისაკენაც და უახლოვდება ოსმალეთის სახელვარს... ახალციხის ქვანახშირის საბადოების შესახებ მეტ-ნაკლებ ციფრები მიღებული იქნება, როცა მთლიანად მთელს რაიონში დაწყებული დეტალური ძიება. მაგრამ ამჟამად ჩატარებული მუშაობით ცხადი ხდება, რომ ახალციხის საბადოს მარაგი დიდია და მას ფრიად სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. მისი გეოლოგიური მარაგი შეფასებულია 180 მილ. ტონით (მათ შორის სამრეწველო 68 მილ. ტონას შეადგენს). ე. ი. ახალციხის საბადო მეტია

ტყიბულის საბადოებზე და თითქმის ორჯერ მეტი ტყვარჩელზე.

...დეტალურმა გამოკვლევამ შიგნით ფენებში მოგვცა ფრიად დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები, ისეთი, რაც საჭიროა ჩვეულებრივი სათბობ ნახშირისათვის. ნახშირი მშვენივრად იწვის (რამოდენიმე წლის განმავლობაში და ძველათაც მას ხმარობდენ საწვავად); მისი ნაკრიანობა საშუალოდ უდრის 24—30 პროც., ე. ი. ისეთივეა, როგორც ტყიბულის ნახშირი; თბოუნარიანობა საშუალოდ გამოიხატება 5.000 კოლორიაში და მინიმალურათ — 3.900 კალორიაში" (იხ. ს. გოდაბრელიძის წერილი „ახალ-ციხის ქვანახშირი", გაზ. „კომუნისტი", 9 მაისი—1933 წ.). ზოგ სპეციალისტების აზრით ახალციხის ლიგნიტი მეტად მდარე ხარისხისაა და ამიტომ მისი გამოყენება, როგორც ენერგეტიული რესურსის, ხელსაყრელი არ არის, რაც ჯერ საბოლოოდ შემოწმებული არაა. ასეთივე ლიგნიტი აღმოჩენილია სოფ. მათხოჯში (ხონის რაიონი).

ნავთი და მისი მრეწველობა

ნავთი წმინდა სახით არ იბადება. ის იწმინდება ნავთის საშენდი ქარხნებში, სადაც ნავთიდან ღებულობენ მსუბუქ ზეთებს (ბენზინი, კეროსინი) და შემდეგ მძიმე ზეთებს. ნავთის ნარჩენები მეჭი ფერის — არის მაზუთი. ნავთის შემდეგი დამუშავებით ღებულობენ სხვადასხვა პროდუქტებს, როგორიც არის პარაფინი, სტეარინი, ვაზელინი და სხვა მრავალი. ამჟამად კაში ნავთიდან 400-ე სხვადასხვა პროდუქტს ღებულობენ.

ნავთის არსებობა ცნობილია უხსოვარი დროიდან. ძველ საქართველოში ნავთი ამოქონდათ ქვიშიდან და ანაღებდენ საღებავ ფერებს და ის ადგილები საღებურ ადგილებად იყოფებოდა. ნავთით მკურნალობდენ რევმატიზმს და სხვადასხვა კანის აეადმყოფობას. ნავთის გა-

მოყენება მრეწველობაში პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყეს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში და განსაკუთრებით ნავთის ექსპლოატაცია ძლიერდება მას შემდეგ, რაც გამოგონებულ იქნა შიდაწვის მოტორი (დიზელის მოტორი), რომელიც ჯერ-ჯერობით ნავთის საშუალებით მოძრაობს.

ნავთს აქვს უდიდესი მნიშვნელობა მსოფლიო მეურნეობაში. ის არის, ჯერ ერთი, როგორც სინათლის წყარო მისი პირველადი სახით, მეორე, გარდა იმისა, რომ იგი სახალხო მეურნეობის სათბობი ბაზაა და ენერგიის წყარო, მას იყენებენ ნედლეულად მრავალ სამრეწველო დარგებში სხვადასხვა პროდუქტების მისაღებად. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა ნავთის გარეშე წარმოუდგენელია, რადგან ბრტორიზაცია (ავტომობილიზაცია, ავიაცია, თბომავლები) უნავთოდ ნაბიჯს ვერ გადადგამენ და აწის გამო ნავთი თანამედროვე მეურნეობის შავი სისხლია. ამიტომ იყო ნაოთის ბუდობები ერთერთი ფაქტორი—მსოფლიო იმპერიალისტური ომის წამოწყების და დღესაც ნავთის ხელასლად განაწილებისათვის იბრძვიან იმპერიალისტური სახელმწიფონი, განსაკუთრებით ინგლისი და ა. შ. შტატები.

ნავთის მარაგი გეოლოგთა დასკვნით მეტად განსაზღვრულია და მისი მსოფლიო მარაგი დაახლოებით უდრის 11,5 მილიარდ ტონას.

როგორია ნავთის მარაგის პროცენტი მსოფლიო ენერგეტიკულ რესურსებში:

ენერგიის სახეები	პირობითი სათბობის მლიარდ ტონებში	%/% მსოფლი რესურსებთან
1. ნახშირი	5,600	75,1
2. ქარი	826	11,1
3 მიწისქვენერგია . .	374	5,0
4. შეშა	340	4,6
5. ტორფი	265	3,6
6. ჩალა	37	0,5
7. ნავთი	11,5	0,1

ამრიგად მსოფლიო ნავთის მარაგს მსოფლიო ენერგეტიკულ ბალანსში უკავია 0,1%.

ნავთის მარაგის მხრივ საბჭოთა კავშირს მსოფლიო ენერგეტიკულ ბალანსში პირველი ადგილი უკავია. ქვემოდ მოყვანილი ტაბულა ამისი საუკეთესო ილუსტრაციაა:

ნავთის მსოფლიო რესურსები

№№ რ.რ.	ქვეყნების დასახელება	%%-ში მსოფლიო რესურსებთან
1.	საბჭ სოც. რესპ. კავშირი	35,2
2.	ირანი და მესოპოტამ.	11,2
3.	სამხრ. ამერიკის ჩრდ. ნაწ. (პერუს ჩათვლით)	10,5
4.	მექსიკა	8,6
5.	ა. შეერთებული შტატები	7,3
6.	სამხრ. ამერიკის სამხ. ნაწ. (ბოლივიის ჩათვლით)	6,2
7.	ოსტ-ინდოეთი	5,6
8.	ჩინეთი	2,6
9.	იაპონია და ფორმოზა	2,3
10.	პოლონეთი	2,2
11.	რუმინეთი	2,1
12.	კანადა	1,9
13.	ბრ. ინდოეთი	1,9
14.	ალჟირი, ტუნისი	1,8

საბჭოთა კავშირში ნავთის მარაგის მხრივ ყველაზე მაღლა სდგას ამიერ-კავკასია, სადაც ყველაზე მეტი ნავთი მოიპოვება აზერბეიჯანის საბ. სოც. რესპუბლიკაში, სახელდობრ, აფშერონის ნახევარ კუნძულზე (ბაქოს მიდამოებში).

საქართველოს საბ. სოც. რეს. კავშირში ნავთის ბალანსში ერთერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

შემდეგი ტაბულა ამის დამადასტურებელია.

ნავთის მარაგი და მოპოვება ცალკე რაიონების მიხედვით

რაიონში	მარაგი მილიონ ტონობით	მოპოება 1932 წელს ათასტონობით
ბაქოს	1.700	12.629
გროზნოს	94,9	8.065
ემბის	62,5	249
სახალინის	42	34
მაიკოპის	34	1.032
საქართველოს	24	3
ფერგანის	19	66
დაღესტანის	10	—
სხვა რაიონები	ცნობა არაა	213

1933 წელს ბაქოს რაიონმა ამოიღო 15,5 მილ. ტონა, 1934 წელს კი 19 მილ. ტონას გადააჭარბა.

საქართველოს ნავთის მარაგი საორიენტაციო გამოანგარიშებით 500 მილიონ ტონას უდრის. საქართველოში ნავთის ბუდობები უმთავრესად გაფანტულია აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში და აგრეთვე დასავლეთ საქართველოში. კერძოთ კი გურიაში.

აღმოსავლეთ საქართველოს ნავთის ბუდობებს დიდი სიერცეები უჭირავს, მაგრამ მათი საექსპლოატაციო მნიშვნელობა ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის. თუმცა ამ მიმართულებით არსებობს დიდი მუშაობა და თან საგრძნობი თანხები (მილიონ მანეთები) დაიხარჯა. ნამდვილი სისტემატური მუშაობა საქართველოს ნავთის საბადოების გამოკვლევის დარგში დაიწყო 1930 წლიდან. 1930-31 წლის განმავლობაში საქნავთმა გაბურღვა დაახლოვებით 27.000 მეტრი. რაზედაც დაიხარჯა 30 მი-

ლიონ მანეთი. ნავთის საძიებელი სამუშაოები სწარმოებს შემდეგ ადგილებში: კახეთში—მირზაანი, მცირე შირაქი, ბოდბის ხევი, ტარიბანი; გურიაში—ომფარეთი, გურიანთა; ტფილისის რაიონში—ღრმა-ღელე, ნავთლუღი. გეოლოგიური საგამოკვლეო მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს მთელ რიგ რაიონებში.

ამიერ-კავკასიის საწარმოო ძალთა განლაგების კონფერენციაზე 1932 წ. აპრილში საქართველოს ნავთ-ს ხელმძღვანელი ამბ. ჟღენტი შემდეგს ლაპარაკობს: „მთელ საქართველოში მოიპოვება 40-ზე მეტი ნავთის ბუდობები... ამჟამად საქნავთო აწარმოებს მუშაობას შემდეგ ადგილებზე: მირზაანში, მცირე შირაქში, მლაშის ხევში და გურიაში. მაგრამ ამ რაიონების გარდა მეორე ხუთწლედში შეტანილია სხვა ბუდობებიც, სადაც არის სამოეწველო ნავთის მოპოვების იმედი: კილა-კუპრა, ფხოველი, გურჯაანი, ილდოკანი (თიანეთის რაიონი) ზემო-ხოდაშენი (თელავის რაიონი), ნორიო, მარტყოფი, ნავთლუღი და სხვა".

გარდა ზემოდასახელებულ რაიონებისა ნავთის ნიშნებია კიდევ: მთიან ოსეთში, სოფელ ნადარბაზევის მახლობლად (ჭანის ხეობაში), მდ. არაგვის დაბლობში, სოფ. კავთისხევის მიდამოებში (ქართლში), ელდარის ველზე, ჩათმაში და სხვ.

ნავთის ყველაზე მდიდარ რაიონად ჯერ ჯერობით ითვლება მცირე შირაქი. ამ რაიონში ნავთის ექსპლოატაცია დიდი ხანია რაც წარმოებდა კერძო კაპიტალის მიერ. ძმები ოთაროვები შეუდგენ მცირე შირაქის ნავთის ამოღებას და თან ნავთის გასაწმენდი ქარხანაც მოაწყვეს წითელ წყაროზე. 1902 წ-ან—1908 წლამდე ამოღებულ იქნა სულ 92.075 ფუთი ნედლი ნავთი, რისგანაც ხდიდენ კეროსინს, ბენზინს, ზეთსა და მაზუთს. ყველა ეს პროდუქტი თითქმის ადგილობრივ იქნა გასაღებული. 1908 წელს წარმოებას აღნიშნულმა კაპიტალისტებმა ლიკვიდაცია უყვეს. რამოდენიმე წლის შემდეგ შირაქის სარწყაოებს ხელი მოკიდა საფრანგეთის კომპანიამ, მაგრამ მსოფლიო ომის დაწყებისას თავი გაანება.

„მუშაობის დაწყების მომენტიდან, ე. ი. 1930 წლიდან. საჭავთის მიერ გაბურღულია სულ 36.350 მეტრი. 1933 წ. ჩვენ ნავთის მრეწველობაში დავაბანდეთ 15 მილ. მან." (ამხ. **ლ. ბერიას** მოხს. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობაზე).

შარაქის ნავთის კონცესია აღებული ჰქონდათ იტალო-ბელგიის კომპანიასაც. მაგრამ მალე თავი გაანება.

გურიაში ჯერ კიდევ. მიუხედავად საქმოდ ღრმა გაბურღვისა (გაბურღილია 1000 მეტრზე მეტი) ნავთის ფენას მაინც ვერ მიაღწიეს. როგორც აკადემიკოს **აბიხი** ლაპარაკობს: „გურია-ოზურგეთის მისადევარში არსებობს ფრიად მდიდარი პირობები ნავთის ბუდობის ჩაწოლისათვის".

ნავთის მრეწველობა საქართველოში წარმოდგენილია შარაქის უმნიშვნელო ნავთსაწმენდი ქარხნით და ბათუმის ნავთსაწმენდი ქარხნების სახით. უკანასკნელნი წარმოადგენენ ტექნიკის უახლეს მიღწევებს და რომლებიც ამუშავებენ ბაქო-ბათუმის ნავთსადენი მილით გადაქაჩულ ნავთს. ბათუმის ქარხნებში გაწმენდილი ნავთის პროდუქტები ექსპორტში მიდის. ბათუმის ნავთსაწმენდი ქარხნები და აგრეთვე ბათუმ-ბაქოს ნავთის ახალი მილი აშენებულია საბჭოთა ძალაუფლების მიერ, რომელიც დამთავრდა ძირითადად პირველ ხუთწლედში. ბათუმის ქარხნებზე დაიხარჯა 39 მილ. მან. ისინი იძლევიან წლიურად 100-105 მილ. მან. საექსპორტო პროდუქციას (წლიურად ამუშავებენ 3 მილიონ ტონაზე მეტ ნედლ ნავთს).

შავი მეტალურგია

ლითონებს შორის ტექნიკაში და საერთოდ სახალხო მეურნეობაში მთავარი და გადაწყვეტი მნიშვნელობა რომ რკინას აქვს, ამას არ ესაჭიროება კომენტარიები. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ რკინისაგან კეთდება როგორც საწარმოო საშუალებანი, დაწყებული უბრალო იარაღ-ინსტრუმენტებით და გათავებული რთული მანქანებით

(გემები, ხიდები, ავტომობილები, ჰაეროპლანები და სხვ. მრავალი), აგრეთვე შენობათა ჩონჩხები.

რკინა და ფოლადი განსაკუთრებულ როლს ასრულებენ სახალხო მეურნეობაში. წარმოადგენენ რა ინდუსტრიის საფუძველს. შავი მეტალურგიის გარეშე არ აროს მანქანათმშენებლობა; ულითონოდ წარმოუდგენელია თანამედროვე ტრანსპორტი და ელექტროფიკაცია. ლითონს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის და მის ამაღლების საქმეში.

რამდენათაც კულტურულია მოსახლეობა, იმდენად მეტია რკინის სულადობითი მოხმარება. ამ მხრივ ჯერ კიდევ მსოფლიოში ყველაზე მაღლა სდგას შეერთებული შტატები, გერმანია, ინგლისი და ბელგია. უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირმა შავი მეტალურგიის განვითარებაში ჰეშმარიტად გიგანტური ნაბიჯი გადადგა. მან 1934 წ. ევროპაში პირველი ადგილი დაიკავა თუჯის გამოდნობაში. ძლიერი მეტალურგია ქვეყნის თავდაცვუნარიანობის საფუძველია. 1917 წ. ინგლისის არმიამ გერმანიის ფრონტის გარღვევისას ერთ დღეს დახარჯა 40 ათასი ტონაზე მეტი ლითონი.

მართალია. რკინა ერთერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ლითონია, მაგრამ მისი მარაგი საკმაო რაოდენობით ყველა სახელმწიფოს როდის მოეპოვება. ამ მხრივ უნდა შევნიშნოთ რკინის მადნით მდიდარი სასელმწიფოები. მსოფლიოში ყველაზე მეტი რკინის მადანი მოეპოვება ა. შეერთებულ შტატებს, ბრაზილიას, საფრანგეთს, მაგრამ უკანასკნელი გამოკვლევით საბჭოთა კავშირს ყველაზე მეტი რკინის ბუდობები აქვს, თუ მივიღებთ მხედველობაში კურსკის ანომალიას.

ამიერ-კავკასიაშიც მოიპოვება საკმაო ბაზა შავი მეტალურგიის განვითარებისათვის. განსაკუთრებით, დაშქესანის (განჯის რაიონი) რკინის მადნის ბუდობები.

საქართველოშიაც არის შავი მეტალურგიისათვის საკმაო სანედლეულო ბაზა: ჩათახის, ზემო იმერეთის, რაჭის, გურია-შავი ზღვის და სხვ. ბუდობები.

ჩათახის (ყოფ. ბორჩალოს მაზრა) რკინის ბუდობები მდებარეობენ ბოლნისის ხეობაში, ქ. ტფილისიდან 76 კილომეტრის მანძილზე. ამ ბუდობების ცენტრში იმყოფება აქამდის კონსერვირებული ჩათახის მეტალურგიული ქარხანა. ლიტერატურაში მისი ადგილ-მდებარეობა ცნობილია 1843 წლიდან. რომ ჩათახის ბუდობების მადნის დამუშავება სწარმოებდა უხსოვარი დროიდან, ამას მოწმობს იქ დარჩენილი მაღაროების კვალი. 1745 წელს აქ მუშავდებოდა შავი ლითონი და სპილენძი. ეს იყო საქართველოს ურალი, მაგრამ სპარსეთის შაჰის აღა-მამადხანის შემოსევამ 1795 წ. საგნებით გაანადგურა. 1850 წელს ჩათახის ბუდობებმა მიიქცია აკადემიკოს **ჰანნის** ყურადღება და გერმანელმა კაპიტალისტმა **აბიხის** აღო კონცესიად, რომელმაც ჩათახის მიდამოებში ააშენა ბრძმედები 1860-ან წლებში, მაგრამ 1872 წელს შეწყვიტა მუშაობა, რადგან ეს ქარხანა მოკლებულია სათბობ რესურსებს. გამოდნობილ იქნა სულ 300-400 ათასი ფუთი თუჯი-რკინა.

საქ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქ. მეურნ უმაღლ. საბჭომ ხელი მოკიდა ჩათახის წარმოებას და 1923-24 წლის განმავლობაში დაიწყო მისი ექსპლოატაცია. მაგრამ 1924 წლის ბოლოს შეწყდა ამ ბუდობების ექსპლოატაცია, უმთავრესად, სათბობი რესურსების სიძნელეთა გამო.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მთელი რიგი გეოლოგები აღნიშნავენ (სიმონოვიჩი, ლებედევი, შუროვსკი, ერნი, კარაპეტიანი, წულუკიძე და სხვ.), რომ ჩათახის საბადოებს აქვთ დიდი სამრეწველო მნიშვნელობა. სხვათა შორის პროფ. **გაბუნია** აღნიშნავს, რომ ჩათახის მადანში რკინის შემადგენლობა არის 30-32%—60% და მეტიც. ამრიგად ჩათახის ბუდობები კარგ იმედს იძლევიან.

გარდა ჩათახის ბუდობებისა საქართველოში მოიპოვება კიდევ ერთი მძლავრი ბუდობი შავი ზღვის სანაპიროებზე, რომელიც **ტაუბეს** და პროფ. **გაბუნიას** მოწმობით მდებარეობს, დაწყებული ოსმალეთის საზღვრე-

ბიდან გათავებული აფხაზეთის ტერიტორიით. გაგრის მიდამოებში. მთელ ამ სანაპიროზე ძევს მაგნეტური სილა, რომლისაგან შეიძლება მიღებულ იქნას ახალი მეთოდით ელექტროთუჯი.

ჯერ კიდევ 1897 წ. ამ სილის შესწავლას შეუდგა ყოფ. დონეცკურიევის მეტალურგ-ი სა-ბა შემდეგში ამ სილას სწავლობდა სხვადასხვა დროს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და მის შემდეგაც მთელი რიგი სპეციალისტი (როგორიც არის **ა. სვიცინი, ასკენაზი, კურგი,** პროფ. **ვილზპერი,** რომელმაც ბუდობები დაათვალიერა 1924 წ. და სხვები). ყველაზე მეტად ყურადღების ღირსია პროფ. **კონუშევსკის** 1928 წლის შრომები და პროფ. **გაბუნიას** დასკვნა, რომ ამ რაიონში სისტემატური გასინჯვის შემდეგ ნოტანების, სეფის და სუფსას მიდამოებში, რომლის სიგანე უდრის 200 მეტრს და სიგრძე 330 კილომეტრამდე, მაგნიტიდის საშუალო შემადგენლობა უდრის 10%. ამრიგად მაგნეტიდის სილის გეოლოგიური მარაგი შავი ზღვის ნაპირებზე ვარაუდათ უდრის 130 მილ. ტონას. რასაკვირველია, ჯერ ეს საბოლოოდ კიდევ არ არის დადასტურებული, რადგან მოითხოვს სისტემატურ გასინჯვას და დაზუსტებას. მაშასადამე, საქართველოს აქვს საუკეთესო სატრანსპორტოპირობებში ასეთი მოზრდილი რაიონი და თანაც კოკსთან ახლოს.

რკინის მადანი აღმოჩენილია აგრეთვე რაჭაში, ზესტაფონის და სტალინისის რაიონში. ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიის წიაღში მდებარე მადნეულობა არ არის გეოლოგიურად შესწავლილი და შესაძლებელია კიდევ ახალი და ახალი რკინის და სხვადასხვა მადნეულობის აღმოჩენა. მაგრამ აღმოჩენილიც საკმაოა საქართველოს მრეწველობისათვის.

მარგანეცი და მარგანეცის მრეწველობა

მარგანეცი არის ლითონი (მეტალი), ზოგ შემთხვევაში მეტალოიდი, რომელიც დნება 1.250° ტემპერატურაზე. ბუნებაში გავრცელებულია მადნის სახით: პიროლიუზიტის, ბრაუნიტის და სხვ. სუფთა მარგანეცი იხმარება მხოლოდ სპილენძის შენადნობით, უმთავრესი მისი შენადნობი არის რკინა (ფერომანგანი), აგრეთვე თუთიასთან, კალასთან და ქრომთან. ფერომანგანი იხმარება მანგანუმის ფოლადის მისაღებად, რომელიც განირჩევა განსაკუთრებული სიმაგრით და გამძლეობით. მარგანეცი იხმარება საღებავი ზეთის (ლიფოს) მოსხარშვისათვის, ფარფორ-ფაიანსის საღებავებად, აგრეთვე შუშის განუფერებად, გალვანურ ელემენტების დასამზადებლად, ხმარობენ მედიცინაში, ცხიმების ზეთების და სხვ. მიღების დროს დამხმარე ელემენტია, ჟანგბადის მიღება, მახრჩობელა გაზების დამზადება, რასაც ფართოდ ხმარობდენ უკანასკნელ ომში. მაგრამ მარგანეცის მასური მოხმარება არის მეტალურგიაში მას შემდეგ, რაც დაიწყეს ფოლადის ბესემერობა. მსოფლიო მეტალურგიის განვითარების კულმინაციის დროს მარგანეცზე მოთხოვნილება ავიდა მსოფლიო მასშტაბით 3½ მილიონ ტონამდე. მხოლოდ კაპიტალისტურ ქვეყნების სიმრეწველო კრიზისიდან დაწყებული მარგანეცზე მოთხოვნილება თანდათან შემცირდა, რადგან შემცირდა თვით ფოლადის ჩამოსხმა. მაგრამ უმარგანეცოთ წარმოუდგენელია მეტალურგიის განვითარება. განსაკუთრებით იმ ხარისხოვანი ფოლადის, რომელიც აუცილებელია მანქანათ მშენებლობისათვის.

თუმცა მარგანეცის მადნის ბუდობები გვხვდება თითქმის ყველა ქვეყნებში, მაგრამ სამრეწველო მნიშვნელობის ზოგ მათგანშია. მარგანეცის მოპოვების დიდ ქვეყნებს შორის საქართველოს უკავია პირველი ადგილი, შემდეგ მიდის ბრიტანეთის ინდოეთი, ბრაზილია და უკანასკნელ დროში, განსაკუთრებით მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდიდან, დასავლეთ აფრიკის

ოჭროს ნაპირი. თავისი მარაგის მხრივ საქართველოს ბუდობებს, რომლებიც მდებარეობენ ჰიათურის რაიონში, აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა. ჰიათურის ბუდობები, რომელთაც უკავიათ დაახლოებით 100 კვ. კილომეტრი, წარმოადგენენ ჰორიზონტალურ ფენას საშუალო სისქით 2 მეტრს. ყველა ბუდობები მოთავსებულია რვა სოფელში: რგანი, ზედარგანი, თაბაგრება, ლვიმევი, დარკვეთი, პერევისა, შუქურეთი და ითხვისი.

სტოკჰოლმის საერთაშორისო კონგრესის ცნობით, ჰიათურის მაღალხარისხოვან მარგანეცის მადნის მარაგი უდრის 146.3 მილ. ტონას ანუ საბჭოთა კავშირის მარაგის 60% და მსოფლიო მარაგის 30% (მსოფლიოს მარაგი ათას ტონებში: საბჭოთა კავშირში—246, დასავლეთ ევროპაში — 1. ბრიტანეთის ინდოეთში — 114, ბრაზილიაში — 33. აფრიკაში—35, აუსტრალიაში—27).

საკვეყნოდ ცნობილია, რომ ჰიათურის მარგანეცი მსოფლიოში ყველაზე მაღალი ღირსებისაა, რომლის შემადგენლობაში წმინდა ლითონი 52,54 Mn და დენება 1.245 გრ-ზე ცელსიუსით, ე. ი. გაცილებით უფრო დაბალ ტემპერატურაზე, ვიდრე ინდოეთისა, ბრაზილიისა და დასავლეთ აფრიკის. ჰიათურის მარგანეცის უპირატესობა კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ის მდებარეობს ძლიერ ხელსაყრელ სატრანსპორტო პირობებში, ე. ი. დაშორებულია ფოთის ნავთსადგურიდან 126 კილომეტრით. მეორე, ფოთი კი მდებარეობს ევროპის უმთავრეს ნავთსადგურიდან—ლონდონ—როტერდამიდან 3.720 მილის მანძილზე და მესამე, ჰიათურის მადნის ფენები მდებარეობენ ზედა ფენებში და ჰორიზონტალურად.

ჰიათურის მარგანეცის ექსპლოატაცია დაიწყო 1879 წელს, როცა ჯერ კიდევ ჰიათურა არ იყო შეერთებული რკინისგზის ხაზით ა.-ჯ. რკ. გზის მთავარ მაგისტრალთან. 1895 წელს გაყვანილ იქნა რკინისგზის ტოტი შორაპნიდან საჩხერემდე ჰიათურაზე გავლით, რამაც ხელი შეუწყო ჰიათურის მაღაროების ექსპლოატაციის გაძლიერებას და მარგანეცის გადაზიდვას.

იმ დროს, როდესაც ინდოეთის მარგანეცის ფენები იმყოფება ვერტიკალური მიმართულებით და ერთიმეორისაგან დაშორებულია 800 კილომეტრით, მთავარ გასაგზავნ ნავთსადგურებიდან (ბომბეი-კალკუტა) დაშორებულია 745—800 კილომ. მანძილზე და მოშხაპრებელ რაიონიდან როტერდამიდან 7.960 მილით. ასეთივე მდებარეობაა აქვს ბრაზილიის ბუდობებს, რომლებიც ერთიმეორისაგან დაშორებულია 500—535 კილომეტრით. ამრიგად ჭიათურის ბუდობებს უდავოდ პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

ჭიათურის მარგანეცის რაიონები და მათი მარაგი ტონებში:

რგანი	6.500.000	ტონა
ზედა რგანი	4.200.000	„
თაბაგრები	2.300.000	„
ღვიმევი	90.400.000	„
დარკვეთი	10.200.000	„
პერევისა	11.800.000	„
დარბაიძები	4.400.000	„
შუქრუთი	6.800.000	„
ითხვისი	9.400.000	„
ს უ ლ:	146.000.000	ტონა.

დასავლეთ ევროპის და ამერიკის მძიმე ინდუსტრია დიდი ინტერესით ეკიდებოდა ჭიათურის მარგანეცს. მსოფლიო ბაზრების კონიუნქტურა ყოველთვის დამოკიდებული იყო და არის ჭიათურის მარგანეცის ექსპორტის რაოდენობაზე და ამასთან შეფარდებით მარგანეცის ფასიც. გასულ საუკუნის 80 და 90-ან წლებში ჭიათურის მარგანეცის ბუდობი ითვლებოდა ერთადერთ საიმედო ექსპლოატაციათ და ფასებიც დიდი იყო. შემდეგში მარგანეცის ახალი ბუდობების აღმოჩენით ინდოეთში, ბრაზილიაში, თურქეთში, ესპა-

ნეთში და სხვ. მარგანეცზე ფასები თანდათან იცემა და ბოლო დროს, მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, შედარებით განმტკიცდა.

მიუხედავად მადნის გაძლიერებული ექსპლოატაციისა ამ რაიონებში, საქართველოს მიმდინარე საუკუნის დასაწყისამდე ეკავა განსაკუთრებული ადგილი მოხმარებელ რაიონების მარგანეცით მომარაგებაში (50% მეტი). ეს გაბატონებული ადგილი ჰიათურას შერჩა მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებამდე. ამის საილუსტრაციოთ მოვიყვანთ შემდეგ ტაბულას:

წლები	ხვედრითი წონა მსოფლიო მარგანეცის ამოღებაში		
	საქართველო	ინდოეთი	ბრაზილია
1904	29,34	13,49	18,79
1905	25,15	18,96	17,47
1907	26,06	35,40	9,33
1910	26,42	33,52	12,23
1912	31,79	23,62	8,64
1923	42,71	27,92	6,75

მსოფლიო ცენტრების მომარაგებაში საკმაოა დავასახელოთ ჰიათურის როლი, რომელმაც 1913 წელს მისცა 1.066.600 ტონა, ინდოეთმა — 928.108 ტონა და ბრაზილიამ 122.300 ტონა.

1880 წელს ჰიათურის რაიონიდან გატანილ იქნა 254.000 ფუთი მარგანეცი, 1884 წ. კი 8½ მილიონი ფუთი.

1914 წელი დაიწყო მეტად კარგ პირობებში, რომელიც გაგრძელდა პირველ ნახევარში: უდიდესი მოთხოვნა და ხელსაყრელი ფასები, მაგრამ მსოფლიო იმპე-

რიალისტური ომის დაწყებამ ძალზე დაცა ჰიათურის მარგანეცის ექსპლოატაციის ტემპები. მარგანეცის ექსპორტი სრულებით შეწყდა დარდანელის სრუტის დაკეტვით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას შემდეგ იწყება მარგანეცის მრეწველობის აღორძინება, ვიდრე ჰარიმანის კომპანიას გადაეცემოდა საკონცესიოდ. აი ცხრილი:

წლები	ამოღება	ექსპორტი
1922	53.340 ტონა	166.000 ტონა
1923	191.064 „	360.000 „
1924	344.665 „	481.000 „
1925	211.502 „	262.124 „

მსოფლიო ომის დროს, როცა ჩვენი მარგანეცის ექსპორტი შეწყვეტილი იყო,—პირველი ადგილი მსოფლიოში ინდოეთმა დაიჭირა. ბოლოს მსოფლიო ბაზარზე გამოჩნდენ ახალი კონკურენტებიც: ოქროს ნაპირი (დასავლეთ აფრიკაში—ინგლისის კოლონია) და სამხრეთ აფრიკის კავშირში (ინგლისის დომინიონი), ეგვიპტე (სინას ნახევარ კუნძული) და სხვ.

მარგანეცის ამოღება შვთავრეს ქვეყნებში
(ტონებში)

	წლები			
	1913	1916	1920	1925
საბჭ. სოც. რ. კავშირი	1.235.000	247.000	15.461	1.100.100
ინგლისი . . .	5.393	5 140	12 875	100
დას. აფრიკა . . .	—	4.258	43.610	350.500
კანადა	—	854	579	706.000
ინდოეთი . . .	815.547	645.204	736.439	1.031.200
საფრანგეთი . . .	7.608	10.633	10.139	2.600
გერმანია	748	939	7.200	193.400
ესპანეთი	21.247	13.950	20.914	44.900
ყუბა	—	33.120	22.163	24.600
ა. შ. შტატები . . .	4.048	31.474	944.40	417.400
ბრაზილია . . .	120.335	495.044	466 445	258.000
ეგვიპტე	—	—	—	121.900

ჰიათურის მარგანეცი იმპერიალისტური ომის დაწყებამდე უმთავრესად მიდიოდა გერმანიაში. ასე, მაგალითად, 1912 წ.—322.942 ტ., 1913 წ.—412 253 ტონა. 1921 წლის შემდეგ კი მიდის უფრო მეტი. შეერთებულ შტატებში, მაგალითად, 1925 წ. ა. შ. შტ. გაიტანეს 256.763 ტ., ამავე წელს გერმანიაში 63.926 ტ., 1927 წ.—ა. შ. შტატებში—252.703 ტ., გერმანიაში—227.299 ტ. აქედან ცხადია, რომ ჰიათურის მარგანეცის ექსპორტი გაძლიერდა ა. შ. შტატებში. ეს გამოწვეულია უმთავრესად ჰიათურის მარგანეცის საკონცესიოთ გადაცემით ამერიკელ კაპიტალისტ ჰარიმან და კომპანიაზე.

1925 წ. ჰიათურის მარგანეცი საკონცესიოთ გადაეცა ამერიკელ ფირმას ჰარიმანს და კომპანიას, მაგრამ მათ ჩვენთან დადებული ხელშეკრულება არ შეასრულეს. მიუხედავად იმისა, რომ კონცესიონერს, თანახმად ხელშეკრულებისა, უნდა მოეწყოთ კაპიტალური დაბანდება და რეკონსტრუქცია ჰიათურის მაღაროებში და გაეფიდებინა ჰიათურის მარგანეცის ექსპორტი, კონცესიონერი სისტემატურად თავს იკავებდა ყოველგვარ რეკონსტრუქციისაგან და კაპიტალურ დაბანდებისაგან, პირიქით, ის იყენებდა ძველ მოწყობილობას და აწარმოებდა მტაცებლურ ექსპლოატაციას, ამიტომ მას 1928 წ. კონცესია ჩამოერთვა და მისი ექსპლოატაციის საქმის შეუდგა თვით ჩვენი ხელისუფლება საქართველოს მარგანეცის ტრესტის სახით. ამის შემდეგ გაეუმჯობესდა ამოღების ტექნიკა. მოხდა მაღაროების რეკონსტრუქცია და წარმოების რაციონალიზაცია, რითაც გადიდდა პროდუქცია. რუსეთის ცარიზმისა და მენშევიკების დროს მარგანეცის მეტად პრიმიტიული და მტაცებლური ექსპლოატაციის აწარმოებდენ უცხო და ადგილობრივი კაპიტალისტები, რაც დიდ ზიანს აყენებდა მაღაროებს და საბოლოოდ ჰიათურის მარგანეცს. მხოლოდ უკანასკნელ წლებში ექსპლოატაციის მეთოდების გაუმჯობესებისა და წარმოების რაციონალიზაციის წყალობით ამოღებამ ძლიერ იმატა და 1932 წ. ამოღებულია ნედ-

ლი 642.500 ტონა, ხოლო 1934 წ. 850.000 ტონა საბოლოო პროდუქცია. 1935 წლის გეგმით გათვალისწინებულია 1.150.000 ტონა.

თუ წინათ ჰიათურის მარგანეცის ამოღება დამოკიდებული იყო უცხოეთის ბაზარზე, ახლა მდგომარეობა არსებითად შეცვლილია. უკვე საბჭოთა კავშირში ამუშავდა ფერომარგანეცის სამი ქარხანა: ჩელიაბინსკის, დნეპროვსკის და ზესტაფონის. ზესტაფონის ფერო-მშენებლობის წარმოების განვითარების გამო, მისთვის უზრუნველყოფილია მტკიცე შინაური ბაზარი თავისი პროდუქტის მოხმარებისათვის და შეჭრილია წინა პირობები შემდგომი აღმავლობისათვის.

ფერო-მარგანეცი

საქართველოს და მთელ საბჭოთა კავშირის მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის აღმავლობა მოითხოვს ფერო-მარგანეცის ბრძნველობის განვითარებას. პირველ ხუთწლედში უკვე აშენდა სამი ფერო-მარგანეცის ქარხანა: ზესტაფონში, დნეპროვსკში და ჩელიაბინსკში. ზესტაფონის ფერო-მარგანეცის მშენებლობაზე უნდა დაიხარჯოს 57 მილ. მან. და იქნება 18 ღუმელი, რომლებიც მოგვცემენ 15 ათას ტონა ფერო-მარგანეცს. ამჟამად მუშაობს სამი ღუმელი.

ზესტაფონის ფერო-მარგანეცს აქვს საკავშირო მნიშვნელობა. მომავალ ხუთწლედში საქართველოში და ამიერ-კავკასიაში დიდად განვითარდება. როგორც შავი, ისე ფერადი მეტალურგია. შავი ლითონის გამოდნობა 1937 წელს მიაღწევს 1.5—1.8 მილ. ტონას. შავი მეტალურგია უნდა განვითარდეს ძირითადად დაშკესანის რკინის მადნის ბაზაზე და ავრეთვე შავი ზღვის სანაპიროების მაგნიტური სილის გადამუშავების საფუძველზე. სადაც მოეწყობა სპეციალური ელექტროთოლადის ქარხანა. ამრიგად საქართველო საბჭოთა კავშირში დაიკავებს თვალსაჩინო ადგილს ფერო-შენადნობების და სპეციალ ელექტროთოლადის წარმოებაში მისი მდიდარი თეთრი ნახშირის მარაგის გამო.

ფერადი მეტალურგია

დიდია ფერადი მეტალურგიის მნიშვნელობა. ფერადი მეტალურგია არის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი. მისგან დამოკიდებულია მრეწველობის ისეთი დარგების განვითარების ტემპი, როგორიც არის ელექტრო-ტექნიკა, საავტომობილო, საავიაციო და მოტორიშენებლობა და სხვ. მიუხედავად ამისა ფერადი მეტალურგია, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ამიერ-კავკასიაში და საქართველოშიც ერთერთი ჩამორჩენილი დარგია. საქართველო ფერადი ლითონების: სპილენძის, თუთიის (ცინკი), ტყვიის, ალუმინის, მოლიბდენის და სხვ. ბუდობებით საკმაოდ მდიდარია.

დაახლოებით საქართველოს სპილენძის მრავალ ბუდობებიდან ჩვენ აღვნიშნავთ უფრო დიდ და შესანიშნავ ბუდობებს, როგორიც არის აჭარისტანის და რაჭის. რაჭაში სოფ ღებთან სპილენძის მადანი გაფანტულია, პროფ. **სმირნოვის** გამოკვლევით, 30 კილომეტრის მანძილზე. ფენათა სისქე 0,09—1,42 მეტ. ფარის. მდინარე ქვეშურის ხეობაში (რაჭა) პროფ. **კონუშევსკის** გამოკვლევით მოიპოვება სპილენძის სამრეწველო ბუდობები. ამავე რაიონს პროფ. **გაბუნია** აკუთვნებს მანიხეხის სპილენძის ბუდობებსაც. ვარდა რაჭისა აფხაზეთის ტერიტორიაზეც არის აღმოჩენილი სპილენძის ბუდობები.

აჭარისტანი ცნობილია პოლიმეტალების ბუდობებით. კერძოთ, სჭარბობენ სპილენძის სულფატები, რომლებიც დიდი ხანია ცნობილია, სპილენძის ბუდობებში ჭანლის ხეობაში დიდი ხნის წინად მუშავდებოდა (ჯერ კიდევ მსოფლიო ომის წინ რიხნერის მაღაროებში). პროფ. **გრიგორიევის** შემოწმებით აჭარისტანის ბუდობებს აქვთ სამრეწველო მნიშვნელობა.

სპილენძის ბუდობი აღმოჩენილია აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში. აქ უნდა აღვნიშნოთ ხევის (ყაზბეგის) რაიონის დევდორაკის სპილენძის მადანი.

წმინდა ლითონის (სპილენძის) მარაგს ამ რაიონში 100.000 ტონას ანგარიშობენ. სპილენძის ამოღება და დამუშავება ჩვენში ჯერ არ სწარმოებს.

გარდა სპილენძისა აღსანიშნავია ტყვია-თუთიას (ცინკის) და ალუმინის ბუდობები. ტყვია და თუთია საქართველოში რამოდენიმე ადგილას გვხვდება. ხშირად ეს მადნები ცალცალკე ან ორივე ერთად დაკავშირებული არიან სპილენძის ბუდობებთან.

ტყვია-ცინკის მთავარ ბუდობათ საქართველოს რესპუბლიკაში ითვლება სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, სადაც **კუდარში** მოიპოვება ტყვია-ცინკის ბუდობი დაახლოვებით 115.000 ტონა მარაგით. ამათში საექსპლოატაციო მარაგათ ითვლება 35.000 ტ.

გარდა სამხრეთ-ოსეთისა ტყვია მოიპოვება აფხაზეთშიც (მდ. ბზიბის მარცხენა ნაპირის გარშემო, ოქუმის ახლო და სხვ), სვანეთში (სოფ. ლაშხეთში). თიანეთის რაიონში (სოფ. არდოთში). ტყვიის მარაგი, ჯერ კიდევ არა სრული ცნობებით, ითვლება 56.000 ტონა, (აქ მხედველობაში არ არის გამოუკვლეველი ბუდობები).

მეორე ხუთწლედში თუთიისა და ტყვიის წარმოება აყვანილი უნდა იქნეს 30.000 ტონამდე.

მოლიბდენიტი

მოლიბდენიტი არის იშვიათი ლითონი, რომლისაგან კეთდება მოლიბდენის ფოლადი მეტად ბაგარი და გამძლე. გარდა ამისა მისგან აკეთებენ ელექტრო სანათურების (ლამპების) ძაფებს. ხმარობენ აგრეთვე ელექტრო ღუმელებში და ელექტრო მრეწველობაში.

მოლიბდენიტის მადნის ბუდობები საქართველოში მოიპოვება. საქ. მოლიბდენიტის მარაგი დაახლოვებით გამოანგარიშებით უნდა ჩაითვალოს უდიდეს ბუდობად საბჭოთა კავშირის მასშტაბით. თუმცა არის რუსეთის ბუდობები ცნობილი, მაგრამ მისი მარაგი ნაკლებია აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნების ბუდობებიც არ არიან დიდი მარაგის და ამი-

ტომ საქართველოს მოლიბდენტის ბუდობები უდაოდ არაა საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიო მასშტაბის მნიშვნელობისაა (მოლიბდენის კონცენტრატების მსოფლიო წარმოება 1925 წელს ტონებში: საბჭ. კავშირში—4 ტონა, ნორვეგია—145 ტ., შვეცია—6 ტ., იტალია—1 ტ., ავსტრია—27 ტ., კანადა—11 ტ., მექსიკა—0.2 ტ., კორეა—21 ტ., ავსტრალია—23 ტ.).

მოლიბდენიტის დამუშავებაზე დაიხარჯება 9 მილ. მანეთი. 1934 წელს გადადებული იყო 2,5 მილ. მანეთი. უნდა აშენებულიყო მაღაროები, საფლოტაციო ფაბრიკა, ჰიდრო სადგური. 1935 წელს წარმოება უნდა შევიდეს ექსპლოატაციაში. სულ წარმოების მოსაწყობად ნავარაუდევია 35 მილ. მანეთი.

ალუმინის ნედლეული

ალუმინი არის მეტალი, რომელიც სცვლის სპილენძს ელექტრო-მრეწველობაში. მაგალითად, ერთი ტონა ალუმინს შეუძლია შეცვალოს 2 ტონა სპილენძი, გარდა ამისა ალუმინს დიდი გამოყენება აქვს მანქანათმშენებლობაში, ავტომშენებლობაში. საავტომობილო მშენებლობაში, გემთამშენებლობაში. ქიმიურმშენებლობაში. კვების მრეწველობაში და სხვ. მრავალი. მისგან კეთდება ტრამვაის ვაგონები, მოტორიანი ნავები, ქობები, ფანჯრის ჩარჩოები, ავეჯეულობა, ამერიკაში სახლებიც კი შენდება. ამიერ-კავკასია ერთობ მდიდარია ალუმინის ნედლეულით, განსაკუთრებით ცნობილია ადერბეიჯანის ალუნიტები, რომლის მარაგი უდრის 90 მილიონ ტონას, 55% შემადგენლობით; არა ნაკლებია დასავლეთ საქართველოს ალუმინის ნედლეულის —ლატერიტების (ბოქსიტების) ბუდობები, რომლებიც უმეტესად გაერკვეულებულია აჭარისტანში სამეგრელოში და აფხაზეთშიც. იაფი ჰიდროელექტრო ენერგიის გამოყენებითი და აგლომერაციის სხვა მოშენტებთან ერთად შეიძლება ფართოდ გაიშალოს ალუმინის მრეწ-

ელობა. გარდა ზემოთდასახელებულ ლითონებისა საქართველოში მოიპოვება კიდევ ოქროს და გერცხლის ბუდობებიც, რომლებიც ჯერ-ჯერობით საბოლოოდ შესწავლილი არ არიან.

არალითონური მადნეების გეოგრაფია და მრეწველობა

გუმბრინის მრეწველობა. გუმბრინის მრეწველობა ჩვენში ახალი საქმეა. გუმბრინს, რომელსაც სხვანაირად ფლორიდინს უწოდებენ, რადგან ის ჩრდილო ამერიკის ხახეკარ-კუნძულს ფლორიდიდან შემოგვჭონდა, ხმარობენ ნავთის მრეწველობაში ნავთის პროდუქციის გასაწმენდათ. გუმბრინი მოიპოვება ქუთაისის რაიონში, კურორტ წყალტუბოს გზაზე სოფ. გუმბრში, რომელიც აღმოაჩინა ტფ. სახ. უნივერსიტეტის პროფ. **თვალჭრელიძემ.** გუმბრინის დამუშავების შემდეგ ასეთივე თიხის (ფლორიდინის) შემოზიდვა ამერიკიდან შეწყდა და საქართველოს აქვს მოკლე ხანში შესაძლებლობა ამ მადნის ექსპორტის მეზობელ სახელმწიფოებში. რადგან გარდა გუმბრისა ასეთივე მადანი მოიპოვება საქართველოს რაიონებში: გურია—სამეგრელოში და სხვ.

გუმბრინის გადასამუშავებელი ქარხანა აგებულია ქუთაისში, იგი წლიურად ამზადებდა 2.000 ტ. გუმბრინს და საჭიროება კი მოითხოვს უფრო მძლავრ ქარხნის აგებას, რომელიც აშენდა ქუთაისში და მოგვცემს 25.000 ტონა გუმბრინს.

გუმბრინის საბადოებთან ა.-კ. მაგისტრალური ხაზიდან მიყვანილია რკინისგზის ტოტი ბოწუეულა-ქუთაისი-გუმბრინი (16½ კილომეტრი). ამრიგად გუმბრინის ექსპლოატაცია უფრო გაადვილებულია და მისი გადიდება უზრუნველყოფილია.

1932 წელს 8.500 ტ. გუმბრინი დამზადდა, 1933 წელს კი—34.600 ტონა. 1934 წელს ამოღებულ იქნა 150.000 ტონაზე მეტი.

ბარიტი. ბარიტი მეტად ძვირფასი მასალაა ქიმიუ-

რი მრეწველობისათვის. ბარიტს აქვს ისეთივე საკაშირო ძირითადი მნიშვნელობა, როგორც გუბერინს. საქართველო ძლიერ მდიდარია ბარიტით. ბარიტი არის აგრეთვე აზერბაიჯანშიც. საქართველოში ბარიტის მთავარი ბუდობებია ყოფ. ლეჩხუმის და ქუთაისის მაზრები (სოფ. ზუბი, ლაჩეფითი, ხვამლი, ტვიბი, ეანი და სხვ.). არის აგრეთვე ზესტაფონის ახლოს, სოფ. ფუთში. აზერბაიჯანში ბარიტის ბუდობი არის შამქორში, ჩავდარში, **„საბჭოთა კავშირის მთელი ქიმიის და ალუმინის მრეწველობის მოთხოვნილება შეუძლია დააკმაყოფილოს ქუთაისის ბარიტს თუ ის იქნება კარგად გამოკვლეული, მისი ამოღება რეკონსტრუირებული და, რაც უმთავრესია, უზრუნველყოფილი იქნება ტრანსპორტით"** (ამხ. **ლ. ბერიას** მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობაზე). 1934 წელს ბარიტის საბუმბოზე დაბანდებულ იქნა 2 მილ. მანეთი.

1931 წელს ბარიტის პროდუქცია უდრიდა 10.900 ტ., 1933 წ. 15.400 ტ. ჩვენი ბარიტის მთავარი მომხმარებელია ლენინგრადის ქიმიური ტრესტი, ხარკოვის ქიმიური ქარხნები, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა საწარმონი.

ბარიტიდან ამზადებენ ბარიუმის მარილებს, ბარიუმის უმარულს, საღებავებს და სხვ. ბარიტის მრეწველობის ცენტრი ჩვენში ქუთაისია და აზერბაიჯანში განჯა.

ანდეზიტი. ანდეზიტი წარმოადგენს იშვიათ მადანს, რომელიც დიდი ყურადღების ღირსია. ანდეზიტი სიმჟავეების გამძლე მადანია და იხმარება ქიმიის მრეწველობაში ღუმელების მოსაპირკეთებლად.

ანდეზიტის უმთავრესი ბუდობებია საქართველოს სამხედრო გზასთან, სოფ. **ყაზბეგის** მახლობლად და **ბაკურიანის** მიდამოებში სოფ. **ციხისწყვარის** ახლოს. უკანასკნელის ბუდობებში უფრო მეტი მარაგია და თანაც ციხისწყვარის ახლოს მდებარეობენ, ამიტომ ბაკურიანის ბუდობებს უდავოდ უფრო მეტი შანსები აქვს განვითარებისათვის. ყაზბეგის რაიონის ბუდობები დაშორე-

ბულია რკინისგზიდან დაახლოებით 40—50 კილ. მანძილზე, რაც მის ექსპლოატაციას საგრძნობლად აძვირებს.

ლაბორატორული ცდებით დამტკიცებულია, რომ ყაზბეგის ანდეზიტიდან გამოდის სიმჟავეების მეტად გამძლე და მექანიკური გამძლეობის ცემენტი. ჩვენი ანდეზიტის ბუდობების ექსპლოატაციის დაწყებამდე საბჭოთა კავშირის ქიმიურ მრეწველობას ასეთის იმპორტი ჰქონდა. ეხლა კი ჩვენ შეგვიძლია ანდეზიტის ექსპორტი.

საქართველოს ანდეზიტი მიდის საბჭოთა კავშირის ქიმიური ქარხნების მშენებლობისათვის. საბჭოთა კავშირის ქიმიური მრეწველობის განვითარება თანდათან მოითხოვს ამ მადანის ამოღების გადიდებას.

გლაუბერის მარილი. გლაუბერის მარილი იხმარება ქიმიურ მრეწველობაში და უმთავრესად შუშის ქარხნებში. გლაუბერის მარილის უმთავრესი ბუდობები მოიპოვება გარე კახეთში, სოფ. **მუხრავანში, მალხაზოვკაში, კუმისის და ლისის ტბებში** (ტფილისის მიდამოებში).

საალმშენებლო მასალები

საალმშენებლო მასალებიდან ჩვენ აღვნიშნავთ ცემენტს, მარმარილოს, ლიტოგრაფიული ქვას, სახურავის ფიქალს.

ცემენტის ნედლეული ქვაკირი აღმოჩენილია ქართლში **სოფ. კასპის და კავთისხევის** მიდამოებში, სადაც ამ ნედლეულის ბაზაზე აშენებულია საბჭოთა კავშირში ერთერთი მძლავრი კასპის ცემენტის ქარხანა. ასეთივე ნედლეული მოიპოვება ახერბეიჯანში და სომხეთშიაც, სადაც აშენებულია ცემენტის ქარხნები.

ამავე რაიონშია ცეცხლგამძლე თიხა და საფაიფურო თიხაც, რომლის დამუშავება სწარმოებდა მსოფლიო ომის დაწყებამდე. ცეცხლგამძლე თიხა მოიპოვება ხარაგოულის მიდამოებში, სად. ძირულიდან 8 კილ. მანძილზე. სადგ. შროშასთან აგებულია ავერის ქარხანა.

სალიტოგრაფიო ქვა საქართველოში მრავალ ადგილას მოიპოვება, მაგრამ ყველაზე მაღალი ხარისხის ქვად ცნობილია ალგეთის ქვა, რომელსაც ძველად წისქვილის ქვებად სჭრიდენ და აგრეთვე სახლის კიბეებისათვის. ლიტოგრაფიის ქვის ბუდობებია აგრეთვე კახეთში და აფხაზეთში გაგრის მიდამოებში.

მარმარილოს ბუდობები ცნობილია კახეთში და სამხრეთ-ოსეთში. გარდა ამისა სამხრეთ-ოსეთში მოიპოვება კიდევ ტუფი, რომელიც საუკეთესო საშენი მასალაა.

ინფუზორიტი (დიატომიტი). ინფუზორიტი წარმოადგენს ცარცის მზგავს ნივთიერებას და იხმარება ქიმიურ მრეწველობაში. მისი ბუდობებია უმთავრესად ახალციხის რაიონში **სოფ. ქისათიბში** და სურამის ახლოს. საქართველო დიატომიტით ამარაგებს საბჭოთა ქარხნებს და თან იგზავნება საზღვარ გარეთ.

გარდა აღნიშნულ მადნეულობისა საქართველოში მოიპოვება კიდევ გიპსი, კვარცის სილა და მრავალი სხვა ასეთი მადნეულობანი.

მ ა ნ ქ ა ნ ა თ მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

მანქანათმშენებლობა არის მძიმე ინდუსტრიის წვანყვანი დარგი. მძიმე ინდუსტრია კი სახალხო მეურნეობის საფუძველია. „მსხვილი მრეწველობის განვითარება, — სწერდა **მარქსი**, — დაუმთავრებელი, მოკვეთილი რჩება მანამდის, ვიდრე მისი დამხასიათებელი წარმოების იარაღი, ე. ი. თვით მანქანა თავისი არსებობით დამოკიდებულია პირად ძალაზე და პირად ხელოვნებაზე", ე. ი. ვიდრე მექანიზირებული არ არის თვით წარმოება, ვიდრე არ არსებობს საქარხნო მანქანათმშენებლობა.

ჩვენ ვცხოვრობთ მანქანის ეპოქაში. თანამედროვე სახელმწიფო წარმოუდგენელია მანქანათმშენებლობის გარეშე, თუ სახელმწიფოს არ აქვს საკუთარი მანქანათმშენებლობა. მისი განვითარება ყოველთვის დამოკიდებულია უცხო სახელმწიფოზე. დამოუკიდებელია მხოლოდ ის სახელმწიფო, რომელსაც არ აქვს მანქანა-

იარაღების იმპორტი. მანქანათმშენებლობისაგან დამოკიდებულია არა თუ მრეწველობა და ტრანსპორტი, არამედ სოფლის მეურნეობაც. სოფლის მეურნეობაში ამჟამად მუშაობს ისეთი რთული მანქანა-იარაღები, როგორიც არის ტრაქტორი, კომბაინი, სალეწი მანქანა და სხვ. მრავალი.

... „მანქანათმშენებლობის ქარხნებს — საქართველოს მრეწველობაში უკავიათ ერთერთი პირველი ადგილთაგანი.

ნახელავად კუსტარულ სარემონტო ქარხნებიდან ისინი გაიზარდენ დიდ სამანქანათმშენებლო ქარხნებად, რომლებიც უშვებენ მანქანებსა და მოწყობილობებს, ასეთები კი აქამდე შემოდიოდა საზღვარგარედან". (იხ. **ლ. ბერიას** მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობაზე).

26 კომუნართა სახელობის ქარხანამ აითვისა ჩაის მრეწველობის მოწყობილობა (როლერები ორმაგი და სამმაგი მოქმედებისა, ჩაის სახმობი, დამახარისხებელი, ჩაის საწრელი და სხვ.), აბრეშუმის მრეწველობისათვის ძაფ-სალები დაზგები, ძაფის სახვევი და სხვ. ასეთი მანქანები.

ორჯონიკიძის სახელ. ქარხანამ აითვისა მეღვინეობის რთული მოწყობილობა (პრესები „მობილ"-ის, კუპაჟის ბარაბნები და სხვა მოწყობილობა, რომლებიც შემოგვჭონდა წინად საფრანგეთიდან). ეს ქარხანა ერთადერთია მთელ საბჭოთა კავშირში ასეთი მანქანების დამზადებაში.

კალინინის სახელობის ქარხანამ აითვისა ელექტროსათბობი მოწყობილობის წარმოება, ელექტრო შემდუღებელი აპარატების და სხვ.

ლიხაჩოვის კონსტრუქციის ქარხანა დასპეციალდა სხვადასხვა რთული რკინის კონსტრუქციების დამზადებაში ელექტრო გადაცემის ხაზების მოწყობილებისათვის და სხვ.

ქიმიური მრეწველობა

მძიმე ინდუსტრიას ეკუთვნის ქიმიური მრეწველობაც, რომელიც ამზადებს ქიმიურ პროდუქტებს, ტუტეებს და მარილებს. ქიმიურ მრეწველობას ეკუთვნის გოგირდის მჟავა, მარილის მჟავა, სოდა, ქლორი, ამიაკი, სუპერფოსფატი და სხვ. აგრეთვე ქიმიური წარმოებას მიეკუთვნება ლაქ-საღებრო, ახილი-საღებრო, საცხიმო, ძვლის გადასამუშავებელი, ასანთის, სატყეო-ქიმიური, ქიმიურ-ფარმაცევტიული და სხვ. მრეწველობა.

საქართველოს და მთლიანად ამიერ-კავკასიის ამ მრეწველობის განვითარებისათვის აქვს ყველა წინა-პირობები, როგორც ძირითადი ნედლეულის მხრივ, ისე იაფ ჰიდროენერგიის მხრივაც. ქიმიის პრობლემა ჩვენში გადაწყდება დადებითად მაშინ, როდესაც გამოყენებული იქნება ის კოლოსალური მარაგი „თეთრი ნახშირისა", რომლითაც საქართველო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ყველაზე ძლიერია.

უკანასკნელ ხანებში წარმოებაში იდეენება მექანიკური პროცესები და მის ადგილს იკავებს ქიმიური პროცესები, როგორც მძიმე, ისე მსუბუქი ინდუსტრიის დარგებში. ასეთია ტენდენცია თანამედროვე ინდუსტრიისა. ამის შესახებ კარლ მარქსი თავის დროზე სწერდა: „რამდენადაც კაცობრიობა დაეუფლება ქიმიურ მეთოდებს და რეაქციებს, იმდენად მექანიკური დამუშავება თანდათან ადგილს დაუთმობს ქიმიურ ზემოქმედებას". მარქსის ეს დებულება დღეს საგანგებოთ განხორციელებულია პრაქტიკაში. ამჟამად ჩვენ ვხედავთ, რომ ნახშირიდან ღებულობენ ბენზოლს, ბენზინს და სხვა პროდუქტებს. ხის მასიდან აკეთებენ ქაღალდსა და ხელოვნურ აბრეშუმს. ქიმიური წესით კეთდება სინთეზური კაუჩუკი (სამყე), ხელოვნური საღებავი და სხვა მრავალი.

ქიმიას აქვს უდიდესი მნიშვნელობა გარდა ინდუსტრიისა. სოფლის მეურნეობაში, რომელიც ახდენს მთელ

რევოლუციას სხვადასხვა სასუქების და წამლების დამზადებით. ამის გარდა ქიმიას ეძლევა დიდი მნიშვნელობა თავდაცვის საქმეშიც.

ქიმიური მრეწველობისათვის საქართველოში მოიპოვება სათანადო ნედლეული, როგორიც არის დარიშხანი, გლაუბერის მარილი, სიმჟავეების გამძლე მასალები, ქვანახშირი, ცარცი, კირი და სხვ. ამრიგად საქართველოს აქვს დაუწრეტელი მარაგი საჭირო ნედლეულისა.

ჯერ-ჯერობით საქართველოს ქიმიური მრეწველობა წარმოდგენილია ლაქ-საღებრო წარმოებით, შაბიბანის, ქიმიკო-ფარმაცევტიული ქარხნით და სხვ. (ტფილისის ქიმკომბინატი. ბათუმის ბუნებრივ საღებავების ქარხანა).

საქართველოში არის ქიმიური მრეწველობის განვითარების საუკეთესო პერსპექტივები.

ქვანახშირთან დაკავშირებულია კოქს-ბენზოლის მრეწველობა. კოქსის გაზისა და იაფ ელექტროენერგიაზე შესაძლოა მოეწყოს აზოტური სასუქების წარმოება. ნავთის მრეწველობის საფუძველზე შესაძლოა განვითარდეს იოდისა და ბრომის მრეწველობა და სხვ.

მეორე ხუთწლედში ფართოდ გაიშლება ქიმიური მრეწველობა განსაკუთრებით აზოტური სასუქების წარმოება, რომელიც აუცილებელია საქართველოს ჩაის მეურნეობისა და დანარჩენ ტექნიკურ კულტურებისათვის.

დავასახელოთ საქართველოს მძიმე ინდუსტრიის საწარმონი, რომლებიც ან ახლად აშენებულია, ან რეკონსტრუირებულია.

საწარმონი:	ექსპ. დაიწყო
1. ნავთ საქაჩი მილი (ბაქო-ბათუმი)	1931 წ.
2. ნავთის სახდელი ქარხნები ბათუმში	1931 წ.
3. ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხ.	1933 წ.
4. შირაქის ნავთის მშენებლობა	1933 წ.
5. ტყვარჩელის მშენებელ. (აფხაზ.)	1933 წ.
6. კასპის ცემენტის ქარხანა	1931 წ.

7. აგურ-კრამიტის მექანიზირებული ქარხნები: ნოსირი, ლრმა-ღელე 1929-32 წ.
8. მოწამემთის კირის მექანიზირებული ქარხანა 1929 წ.
9. ანდეზიტის დამუშავება: ყაზბეგი 1931 წ.
   ბაკურიანი 1932 წ.
10. დიატომიტის (ინფუზორიტი) დამუშავება ქისათიბში (ახალციხის რ.) 1927 წ.
11. ბარიტის დამუშავება (ქუთაისში) 1923 წ.
12. ლითოგრაფიის ქვის 1927 წ.
13. ბარიტის ქარხანა ქუთაისში 1927 წ.
14. გუმბრინის დამუშავება და გუმბრინის ქარხანა ქუთაისში 1930 წ.
15. ნოტანების ბითუმის ქარხ. 1933 წ.
16. ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა 1933 წ.
17. ჰიათურის მარგანეცის საწარმ. 1929-33 წ.

მ ა ნ ქ ა ნ ა თ მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

18. 26 კომუნ. სახ. ქარხ. ტფილისში 1929-31 წ.
19. ორჯონიკიძის სახ. ქარხ. ტფილისში (რეკონსტრუირებული).
20. ლითონის კონსტრ. ქარხანა ტფ. (რეკონსტრუირებული).
21. ტფილისის ახალა შექან. ქარხ. (რეკონსტრუირებული).
22. ტფ. ავტო-სარემონტო გიგანტი 1934 წ.
23. კალინინის სახ. ელექტრომოწყ. ქარხანა (რეკონსტრუირებული).
24. ტფილისის სპილენძის საჭიცი ქარხანა
25. ბათუმის თუჯის სასხმელი და თუთიის ქარხანა
26. ტფილისში ეწყობა 1935 წელს ტურბომშენებლობის ქარხანა

საკონტროლო კითხვები

1. ჩამოთვალეთ ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის სივრცობრივი განლაგების პრინციპები.

2. რას უდრიდა ჩვენი ინდუსტრიის ხვედრითი წონა ჩვენს სახალხო მეურნეობაში პირველი ხუთწლედის დასაწყისს და როგორ გაიზარდა იგი ამავე ხუთწლედის დასასრულისათვის?

3. ჩამოთვალეთ ქვანახშირის, ნავთის, სპილენძის, თუთიის (ცინკის), ტყვიის, მოლიბდენისა და სხვ. რაიონები, მარაგი ჩვენში.

4. დაასახელეთ ჩვენი მძიმე ინდუსტრიის ძველი და ახალი დარგები, აღნიშნეთ მათი გეოგრაფიული განლაგება და დაახასიათეთ ისინი.

მსუბუქი ინდუსტრია

კომუნისტურმა პარტიამ ლენინური ც. კ-ის და ამხ. **სტალინის** სწორი ხელმძღვანელობის საფუძველზე შესძლო მძიმე ინდუსტრიის განვითარება არა მარტო ცენტრალურ რუსეთში, არამედ მის პერიფერიებშიც, რომლებიც მეფის დროს კოლონიას წარმოადგენდენ. მძიმე ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად იზრდება და ვითარდება მსუბუქი ინდუსტრიაც.

ამიტომ მსუბუქი მრეწველობის წინაშე პარტია ამჟამად აყენებს უდიდესი მნიშვნელობის ამოცანას — „ყოველმხრივ დაკმაყოფილებულ იქმას მუშათა და კოლმეურნეთა სწრაფად მზარდი მოთხოვნილებანი". **„ამხ. სტალინის ლოზუნგი—გადავაქციოთ ყველა კოლმეურნე შეძლებულად, განხორციელებისათვის ბრძოლა მოითხოვს მსუბუქი და საკვები მრეწველობის პროდუქციის გამოშვების ყოველმხრივ დაჩქარებას". (ბერია).** ამ მხრივ საქართველოს უდიდესი მიღწევები აქვს. თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამ დარგში არსებობდენ კარლიკური საწარმონი, ამჟამად კი აღიმართა მთელი რიგი გიგანტებისა.

საქართველოს სატყეო მრეწველობა და მისი ნედლეულის რესურსები

ტყის ჯიშების სიმდიდრემ საქართველოს მისცა საშუალება ამ მოკლე პერიოდში ტყის მრეწველობის განვითარების.

ძლიერ დამაბრკოლებელ მიზეზად ამ მხრივ ითვლება ტყეების მიუდგომლობა და მოუწყობლობა.

ტყის მრეწველობის გაწლა დაიწყო საბჭოთა ძალაუფლების დამყარებამდე არსებულ და ნახევრად მოშლილ და განადგურებულ სახერხი ჩარხების აღდგენით.

უკვე აშენებულია და ექსპლოატაციაშია შესული შემდეგი წარმოებანი: მცხეთის, ჭორისხევის, ზუგდიდის, ხონის, კოდორის და ენგურის ჩარხები. ბორჯომის სატყეჩე ქარხანა, მარელისის და ტფილისის გრეხილ-ავეჯის ფაბრიკა. მშენებლობაშია ბზიბის სატყეო კომბინატი, რომელიც მოითხოვს 465.000 კუბომეტრ ხის მასალას და რომელიც გამოუშვებს 128 ათას კუბომეტრ დახერხილ მასალას, 26.000 კუბომეტრ ფიტას, 24.000 ტონა ტარის ქაღალდს და 2.000 ტ. კარტონს.

ენგურის ქაღალდის ფაბრიკა, რომელიც გამოუშვებს 24.500 ტონა კულტურულ საწერ-საბეჭდ და საბრეწველო ქაღალდის პროდუქციას.

საქართველოს ტყეების თავისებურების და საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობაში შრომის განაწილების საფუძველზე, საქართველოს ტყეების ძვირფასი პროდუქცია მიდის ექსპორტში და ნაწილობრივ საბჭოთა კავშირის ქარხნებში, როგორიც არის სარეზონანსო ფიჭვი, ბზა, კაკლის ხე, ურთხელი (წითელი ხე), წიფლის ტკეჩები, გრეხილი ავეჯი და სხვ., სამაგიეროდ საქართველოს არ ყოფნის საკუთარი ტყე საავმშენებლო მასალად და ასეთი კი მოდის საბჭოთა კავშირის ველის და ჩრდილო მხარედან.

უკანასკნელ ხანებში, რადგან შესაძლებელი გახდა წიფლის შპალების დაკონსერვირება, მთელი ამიერკავკასიის რკინისგზის საშპალო მეურნეობა გადავიდა საქართველოს წიფელაზე.

სახელმწიფო ბიომშენებლობის მრეწველობისათვის გამოსადეგია შემდეგი ტყის მასივები: 1) სვანეთის, ახმეტის, მარელისის, რაჭის, თელავის, ბაღდადის, ლანჩხუთის, სალხინო-მარტვილის, ლეჩხუმ-ქვემო-სვანეთის, ოზურგეთის, ბორჯომ-ახალციხის — სულ 643 ათასი ჰექტარი.

2. ბზიბის, კოდორის (აფხაზეთი) 76 ათასი ჰექტარი
3. აჭარისტანის 67,9 ათასი ჰექტარი,
4. სტალინირის, ჯალაბეთის (სამხრეთ-ოსეთი) 50.000 ათასი ჰექტარი

სვანეთის ტყე, რომელიც საქართველოში ყველაზე მდიდარი ტყეა, ძირითადად იქნება ენგურის კომბინატის სანედლეულო ბაზა.

მარელისის ტყის მასივი მარელისის გრეხილ-ველეკის ფაბრიკის სანედლეულო ბაზაა.

ბორჯომ-ახალციხის აგარაკი ტყის მასალით ამარაგებს მთელ რიგ საჭირო ქარხნებს დაწყებული ახალციხიდან გათავებული მცხეთა-ჭფილისით.

ბაღდადისა და სალხინოს აგარაკები ემსახურება ამკავკასიის რკ. გზას შპალების დამზადებით (საჭილაოს სახერხი ქარხანა).

ბზიბის ტყის მასივი წარმოადგენს ბზიბის კომბინატის (რომელიც ამჟამად შენდება) სანედლეულო ბაზას. კოდორის ტყის მასივი კი მიდის კოდორის სახერხ ქარხანაში.

სამხრეთ-ოსეთის ტყე მიდის სტალინირის, გორისა და ტფილისის ქარხნებში.

აჭარის ტყის მასივი მიდის ბათუმის მოსამარაგებლად, ნაწილი კი ექსპორტში, როგორც სარეზონანსო მასალა.

საფეიქრო მრეწველობა

საქართველო ერთობ მდიდარ რაიონს წარმოადგენს საფეიქრო მრეწველობის რესურსებით. აქ მოიპოვება აბრეშუმის მდიდარი და მაღალი ხარისხოვანი ნედლეული. საკმეოლო ქსოვილებისათვის საკმაო რაოდენობით შედარებით მაღალი ხარისხოვანი (თუშური) მატყლი, ბამბის ნედლეული და ახლო მომავალში რამისა და ახალ ზელანდიის სელი, კენაფი და სხვ.

საქართველო წარმოადგენს საკავშირო საფეიქრო მრეწველობაში. კერძოდ აბრეშუმის დარგში, ერთერთ თვალსაჩინო ბაზას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საფეიქრო მრეწველობამ გადადგა გიგანტური ნაბიჯები და ის პირველ ადგილს იკავებს ამიერკავკასიის მასშტაბით.

ცარიზმის პოლიტიკა საქართველოში მეტად აბრკოლებდა ამ დარგის განვითარებას და საქართველოს ნედლეული მიდიოდა თითქმის მთლიანად საზღვარ გარეთ (აბრეშუმი) და მცირე ნაწილი კი რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში.

ამრიგად მეფის რუსეთის პოლიტიკა მეტად ხელს შემშლელი იყო საფეიქრო მრეწველობის განვითარებისათვის, რომელიც საქართველოში უხსოვარ დროიდან იყო განვითარებული და მოსახლეობაში ქსოვის საუკეთესო ჩვევებია გამომუშავებული. საქართველოს ქსოვილებს ერთ დროს განცვიფრებაში მოყავდა ევროპიელი მოგზაურები და ძველი საქართველო აწარმოებდა მისი (აბრეშუმის და ბამბის ქსოვილების) ექსპორტს სპერძნეთში და სხვა ქვეყნებში. მე-16-17 საუკუნეებში დასავლეთ საქართველო ხარკს იხდიდა აბრეშუმის ქსოვილებით.

საქ. სსრ. ხელისუფლების დამყარებამდე არსებობდა ნახევრად კუსტარული და კუსტარული აბრეშუმის ძაფ-საღები საწარმოები, რომლებიც უშვებდენ მეტად მდარე ხარისხის პროდუქციას. აქ აღსანიშნავია მხოლოდ სამტრედიის აბრეშუმის ძაფ-საღები ფაბრიკა, მაგრამ მენშევიკების

მატონობის დროს ისიც მოიშალა (ხონის ძაფ-საღებ ფაბრიკა ჯერ კიდევ მსოფლიო ომის წინა პერიოდში დაიდგა). ასეთივე ტექნიკის ბამბის გადასამუშავებელი საწარმონი არსებობდენ ტფილისშიაც, რომლებიც უხეში შალის ქსოვილებს უშვებდენ.

გასაბჭოების შემდეგ იწყება მთელი რიგი საფეიქრო ფაბრიკების მშენებლობა, როგორც აბრეშუმის, ისე მატყლის გადასამუშავებლად და აგრეთვე ბამბის ძაფსართავი.

1926-27 წლებში აშენდა და ამუშავდა **ქ. მახარაძეს (ოზურგეთის)** ძაფ-სახვევი და ძაფ-საგრეხი. სამტრედიის, ხონის და თელავის ძაფსაღები ფაბრიკები.

აბრეშუმის საქსოვი წარმოება დაფუძნდა ტფილისში, როცა პირველად 1922 წ. დაიდგა მექანიკური დაზგები და შემდეგში აშენდა და გაფართოვდა ტფილისის უდიდესი აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა.

მშენებლობის პროცესშია ქუთაისის აბრეშუმის საქსოვი კომბინატი, რომელიც მოგვცემს 4 მილ. მეტრო ნაქსოვს. საბჭოთა ძალაუფლების დამყარების შემდეგ აშენდა ტფილისის მაუდ-კამოლის ერთ-ერთი საუკეთესო ფაბრიკა საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რომელიც უშვებს შალეულის სხვადასხვა ძვირფასს ქსოვილებს. ტფილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკა საუკეთესო საიმპორტო დაზგებით არის მოწყობილი.

მაუდის ფაბრიკა აშენდა აგრეთვე ქუთაისშიც. გარდა ძაფ-სახვევი-საგრეხი და საქსოვ ფაბრიკებისა საფეიქრო დარგში აშენებულია ტფილისის სამკერვალო ფაბრიკები (2) და ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა.

დაწყებულია და ნაწილობრივ 1935 წ. დამთავრდება ტფილისის ფეხსაცმელების გიგანტი ფაბრიკა, რომელიც მთლიანად მექანიზირებული იქნება. ქარხანამ უნდა მოგვცეს წელიწადში 6 მილ. წყვილი ფეხსაცმელი. ეს ფაბრიკა საბჭოთა კავშირში ითვლება ერთერთ უდიდეს ფაბრიკათ.

გემო-კვების მრეწველობა

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი 1933 წ. დადგენილებაში გან-საკუთრებულ ყურადღებას აქცევს გემო-კვების წარმოე-ბას უკეთესი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. მეფის რუსეთში კვების საფაბრიკო-საქარხნო წარმოება მეტად სუსტად იყო განვითარებული და თუ იყო სადმე, ისიც უხეირო პირობებში და ნახევრად კუსტარულ ხა-სიათისა. მხოლოდ სოციალისტური მეურნეობა მოი-თხოვს მისი ასე ფართოდ გაშლას და ტექნიკისა და ჰი-გიენურ-სანიტარიის უმაღლეს საფეხურზე დაყენებას.

გემო-კვების მრეწველობას ეკუთვნის პურის კომბი-ნატი (უქვილის, პურის) საკონდიტრო მრეწველობა, სა-კონსერვო მრეწველობა, ხორცის კომბინატი, ზეთის წარმოება, შაქრის, მარგარინის, კარაქ-ყველის, მაგარ სასმელების, არა-ალკოგოლური სასმელების და სხვ. ამასვე ეკუთვნებენ აგრეთვე თამბაქოს მრეწველობას და სხვ.

გემო-კვების მრეწველობა ძირითადად თავმოყრი-ლია ტფილისში და აგრეთვე სხვა მოზრდილ ქალაქებში. ტფილისშია. ზეთის სახდელი ქარხნები, ხორცის კომბი-ნატი (ყოფილი სასაკლაო, რომელიც მექანიზირებულია და სადაც ხდება საქონლის დაკვლა და ხორცის გადამუ-შავება ძეხვად (კალბასად), სისხლის გადამუშავება, ნა-წლავების გამოყვანა, რქებ-ჩლიქებ-ძვლების გადამუშა-ვება და სხვ.), პურის კომბინატი, მაკარონის, გალეტის, შაქარლამის და სხვ. ფაბრიკები, თევზის მრეწველობა.

მარგარინის მრეწველობა

ტფილისში აშენდა და 1933 წელს შეიდგა ექსპლოა-ტაციაში საბჭოთა ძალაუფლების დამყარებამდე სრუ-ლიად უკბილო ხელოვნური კარაქის დამამზადებელი **მარგარინის ქარხანა** (ასეთი ქარხანა საბჭოთა კავშირში სამია).

გარდა აღნიშნულისა ტფილისში თავმოყრილია ღვინო-სპირტ-კონიაკის წარმოება, რომელსაც პირველი

ადგილი უჭირავს თავისი პროდუქციის ხარისხით და რაოდენობით არა მარტო ამიერ-კავკასიაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

შაქრის მრეწველობა. ჩვენი გემო-კვების მრეწველობას მოემატა შაქრის მრეწველობა. ეს მრეწველობა დაუკავშირდა შაქრის ჭარხლის კულტურის გავრცელებას ჩვენში, რომელიც გასულებით მეტი შაქრის პროცენტს იძლევა, ვიდრე საბჭოთა კავშირის რომელიმე რაიონი. ჩვენმა შაქრის მრეწველობამ ცხრელ წელს, ე. ი. 1933 წ. მოგვცა პირველი შაქარი რამოდენიმე ათასი ტონას რაოდენობით. 1934-35 წლის სეზონში უნდა მოგვცეს 300.000 ფუთზე მეტი.

შაქრის ქარხანა აშენდა ქართლში, სტალინისის რაიონში ს. აგარაში. მისი სანედლეულო ბაზა უნდა გადიდდეს ახალი ფართობების ათვისებით და მოსაელიანობა უნდა გაიზარდოს საკუქების შეტანით.

თამბაქოს მრეწველობა. საქართველოს თამბაქოს მრეწველობას უკავია პირველი ადგილი არა თუ ამიერ-კავკასიაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში თამბაქოს მაღალი ხარისხის მიხედვით; ამ მრეწველობის ძირითად და საუკეთესო ნედლეულის რაიონად ითვლება აფხაზეთის ავტ. ს. ს. რესპუბლიკა და აგრეთვე ლაგოდეხის რაიონი (კახეთი). თამბაქოს მრეწველობა მოთავსებულია ტფილისში (2 ფაბრიკა), ბათუმში და სოხუმში (თითო ფაბრიკა), რომელსაც აწარმოებს საქართველოს თამბაქოს ტრესტი.

საქართველოს თამბაქოს პროდუქცია, როგორც უმაღლესი ხარისხის, გადის საბჭ. კავშ. ინდუსტრ. ცენტრებში და საზღვარგარეთ.

საკონსერვო მრეწველობა და ხილბოსტნეულის გადამუშავება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სრულიად არ არსებობდა საკონსერვო მრეწველობა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცეკავშირის ტფილისის ნახევრად კუსტარულ უმნიშვნელო ქარხანას.

1922 წლიდან საბჭოთა ხელისუფლება. შეუდგა საქართველოს ხილით მდიდარ რაიონებში ხილ-ბოსტნეულის გადასამუშავებელ ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობას. აშენდა გორის საკონსერვო ქარხანა, რომელიც წელიწადში უშვებს 15 მილიონამდე ქილა კონსერვს.

1933 წელს დამთავრდა ჭუთაისის საკონსერვო გიგანტი, რომლის სიმძლავრე 20 მილ. ბანკა კონსერვია. გარდა საკონსერვო ქარხნებისა აშენებულია მეჯვრისხევის და ტყვიავის ხილსახმობი ფაბრიკები. სოხუმში აშენდა პატარა საკონსერვო ქარხანა და ტომატ-მურაბის ფაბრიკა, აგრეთვე სამტრედიაში და ტფილისში სამურაბე და სატომატო ფაბრიკები და სხვ.

რადგან საქართველოს ხილი მაღალი ღირსებისაა, ამიტომ ის სცილდება საქართველოს საზღვრებს და მიდის, როგორც საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალურ ცენტრებში, ისე საზღვარგარეთაც.

რძის პროდუქტების მრეწველობით განსაკუთრებით შესანიშნავია საქართველო, რადგან მისი ალპური საძოვრები იძლევა მაღალ ცხიმოვან რძეს, რომლისაგან კეთდება შვეიცარული ყველი და აგრეთვე კარაქი. საქართველოს შვეიცარული ყველის დამზადებაში პირველი ადგილი უჭირავს არა თუ ამიერ-კავკასიაში, არამედ საბჭოთა კავშირში. მზადდება, როგორც შვეიცარული, ისე საბჭოთა ტიპის და ადგილობრივი ყველი. საქართველოს რძის მრეწველობის რაიონებია: ყოფ. ბორჩალოს მაზრა, ჯავახეთი, სამხრეთ-ოსეთი და ყოფ. დუშეთი თიანეთის მაზ.

მაკარონის და საკონდიტრო მრეწველობა განვითარებულია უმთავრესად ტფილისში, აგრეთვე ბათუმში და სოხუმში.

ზეთის სახდელი მრეწველობა წარმოდგენილია ტფილისის ზეთის სახდელ ქარხნებით, რომლებიც ძირითადად ბამბის კურკიდან ხდიან ზეთსა.

არაალკოგოლური წარმოება დაჯგუფებულია უფრო ტფილისში: ორი ლუდის ქარხანა და ლიმონადის ქარხნები.

ბორჯომში ასხამენ და ნახშირმჟავას უმატებენ ბორჯომის წყალს, რომელიც მილიონ ლიტრობით გადის, როგორც საბჭოთა კავშირის ქალაქებში, ისე საზღვარგარეთაც.

თევზის მრეწველობა საქართველოში განისაზღვრება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდ. მტკვრის სარწყაოებით. თევზის ჭერა სწარმოებს მდ. ხრამში, სადაც იჭერენ შესანიშნავ თევზს—ხრამულს, ავრეთვე მდ. ალაზანზე და არაგვზე; უკანასკნელში იჭირება ორაგული. გარდა აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებისა თევზის ჭერა აღსანიშნავია მთის ტბებზე, როგორიც არის ტბის ყურის (ბაკურიანის რაიონში) და ფარავანის (ჯავახეთში), სადაც იჭერენ შესანიშნავ კალმახს.

თევზის სარეწაოებია აგრეთვე დასავლეთ საქართველოშიც მდ. რიონის შესართავში ქ. ფოთთან და მდ. ხობის, ენგურის, კოდორის, ჭოროხისა და სუფსის შესართავებში, სადაც იჭერენ, განსაკუთრებით რიონის შესართავებში ძვირფას თევზს.

შავი ზღვის ნაპირები თევზით ღარიბია. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ წვრილ თევზს ხამსას და ლიფსიტას, სოხუმის ნაპირებთან კეფალოზს და სკომბერსა. ჯერ-ჯერობით საქართველოს თევზის სარეწაოებს არ აქვთ დიდი პროდუქცია, თუმცა ის ყოველ წლიურად იზრდება. საქართველოს თევზის სარეწაოები ეკუთვნის „საქართველოს თევზი"-ს ტრესტს, რომელიც გარდა ექსპლოატაციისა აწარმოებს თევზის მოშენებას ფოთის, ბათუმის და სოხუმის მიდამოებში.

აქვე აღსანიშნავია დელფინის (ზღვის ღორის) ჭერა, რომელიც აფხაზეთის და გურია-სამეგრელოს ნაპირებთან ბლომად გროვდება და წარმოადგენს სამრეწველო მნიშვნელობის სარეწაოს. დელფინის ქონი იხმარება საპონის მრეწველობაში და სხვ.

საკონტროლო კითხვები

1. მსუბუქი ინდუსტრიის რომელი დარგები იყო წარმოდგენილი პირველი ხუთწლედის დასასრულს საქართველოში, როგორაა ისინი სივრცობრივად განლაგებული და რამდენადაა ჩატარებული მათი რეკონსტრუქცია?

2. რა ცვლილებები მივიღეთ პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად საქართველოს მრეწველობის სივრცობრივი განლაგების დარგში?

3. აღნიშნეთ ცვლილებები და ძვრები, რომელიც შეტანილია მეორე ხუთწლედის განვლილი წლების მანძილზე ჩვენს მრეწველობაში..

4. რა ამოცანას ისახავს ჩვენი მრეწველობის მეორე ხუთწლიანი გეგმა მთლიანად?

სოფლის მეურნეობა

საქართველოს სოფლის მეურნეობა ისე, როგორც ამიერ-კავკასიისა, ოქტომბრის რევოლუციამდე ძლიერ ჩამორჩენილი იყო. მისი ასეთი ჩამორჩენის მიზეზი ჩვენ უკვე ზევით აღვნიშნეთ. მეფის რუსეთის პოლიტიკა პერიფერიებისადმი იმგვარად იყო მიმართული, რომ პერიფერიებში რაც შეიძლება შეენარჩუნებია ძველი ფორმის მიწათმფლობელობა და ის ფეოდალური ნაშთები, რომლებიც ცარიზმისათვის წარმოადგენდა მთავარ დასაყრდენს სოფლად. მეფის მთავრობა არა მარტო საქართველოს სოფლის მეურნეობაში ატარებდა ასეთ პოლიტიკას, ის კიდევ უფრო მეტი მუხრუჭი იყო ინდუსტრიის განვითარების საკითხში, ამის გამო, როგორც საქართველოში, ისე მთელ ამიერ-კავკასიაში არ იყო განვითარებული მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა და სხვ. ერთი სიტყვით, სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგები.

მეფის მთავრობა, პირიქით, ცდილობდა რამეფრად საქართველოს თავადაზნაურობისათვის შეენარჩუნებია

სოფლად პრივილეგია, რადგან ფეოდალიზმში ის ხელავდა ერთადერთ დასაყრდენ ძალას. ამიტომ 1864 წლის მიწის რეფორმას საქართველოს გლეხობისათვის არსებითად არაფერი მიუცია, პირიქით, მან უფრო დამოკიდებული გახადა გლეხები მემამულეებისაგან, რადგან ისინი (გლეხები) რეფორმის შემდეგ თითქმის უმიწაწყლოდ დარჩენილნი, მემამულეებს ეკვროდენ კაბალურ პირობებში და მოსავლის ნახევარსა და მეტსაც მემამულეებს აძლევდენ ნატურით.

საქართველოში მიწების ჭრიტი ფართობი ეკუთვნოდა მემამულეებს, ეკლესია-მონასტრებს და მეფის დინასტიას. გლეხობას ეკუთვნოდა ბოლოდ უმნიშვნელო და ისიც ნახევრად ვარგისი ან სრულიად უვარგისი მიწა.

მემამულეები თავიანთ მიწებს ანაწილებდენ პატარა ნაკვეთებად და ამნაირად იჯარით არიგებდენ გლეხობაზე, რომელიც, რასაკვირველია, არ იყო დაინტერესებული მიწის პატივით ან მიწის დამუშავების გაუმჯობესებით და ამიტომ მიწას ამუშავებდა პრიმიტიული იარაღებით, რის შედეგად შრომის ნაყოფიერება ძალზე დაბალი იყო. სახელმწიფო ბეგარა კი გლეხებს ტყავს აძრობდა. ამიტომ ასეთ პირობებში სოფლის მეურნეობის ტექნიკის პროგრესზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა.

მენშევიკების ბატონობის დროს მიწათმფლობელობაში და მიწათსარგებლობაში არავითარი არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. მენშევიკური მიწის „რეფორმის“ შემდეგაც გლეხები უმიწოთ დარჩენ, რადგან მემამულეებს, უმთავრესად თავად-აზნაურობას, მენშევიკური „რეფორმით“ რჩებოდათ თავიანთ განკარგულებაში 7 დესეტინა ანუ 18 ჰექტარ საუკეთესო სახნავ-სათესი მიწა პლუს სხვადასხვა მრავალწლიანი კულტურებით მოშენებული მიწები. ამრიგად გლეხობას აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის არაფერი ერგო, დასავლეთ საქართველოში-კი სავსებით არაფერი ერგებია. მენშევიკურმა მთავრობამ გლეხობას მიწების შესყიდვის უფლება მიანიჭა და ამ პირობებში, რასა-

ქვირველია, მიწა მხოლოდ გლეხობის კულაკურმა და მოკულაკო ფენამ შეისყიდა.

მხოლოდ 1921 წელს, როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რადიკალურად შეიცვალა მიწათმფლობელობა. 1921 წელს 6 აპრილს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსცა დეკრეტი, ჩრომლითაც გააუქმა მანამდე არსებული მიწის ყველა კანონი. დეკრეტის მიხედვით მიწები ყოველგვარი შენობებით და ცოცხალ და მკვდარ ინვენტარით უსასყიდლოთ ჩამოერთვა მემამულეებს, თავადაზნაურობას, ეკლესია-მონასტრებს, გაუქმდა მიწის ყიდვა-გაყიდვა და მოისპო ფეოდალური მიწათმფლობელობის ყოველგვარი ნაშთი.

მიწით სარგებლობის უფლება მიეცა საქართველოს ყველა მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, რომელსაც კი სურს მიწის დამუშავება საკუთარი შრომით. მეურნეობანი მრავალ-წლიანი კულტურებით, როგორიც არის სხვადასხვა პლანტაციები, სანერგეები და ბაღ-ვენახები გადაეცა სახელმწიფოს ან რაიონის ხელში. გარდა ამისა სახელმწიფოს ფონდში გადავიდა მიწების საკმაო რაოდენობა, საიდანაც მშრომელ გლეხობას ეძლევა მიწა იმ რაოდენობით, რის დამუშავება შეუძლია საკუთარი ძალით.

ამრიგად საბჭოთა ხელისუფლებამ სრულიად აღმოფხვრა საქართველოს და მთელ საბჭოთა კავშირში ფეოდალური მიწათმფლობელობის და ურთიერთობის ნაშთები და თან შეჰქმნა ურყევი პირობები ბურჟუაზიული ნაშთების საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

ასეთი აგრარული რევოლუციის ჩატარების შემდეგ საქართველოს საბჭოთა მთავრობა შეუდგა იმპერიალისტური ომის პერიოდში და შემდეგ მენშევიკების ბატონობის დროს სრულიად განადგურებულ და დეგრადაციის გზაზე დამდგარ საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენას. ამ აღდგენით მუშაობას მეტად ჩელი შეუწყო საბჭოთა კავშირის მძიმე ინდუსტრიის განვითარების აჩქარებულმა ტემპებმა და ჩვენი სოფლის

მეურნეობის პროდუქცია რაღაც 4-5 წლის განმავლობაში არა თუ ეწევა ომამდე არსებულ პროდუქციას, არამედ ის ბევრად უსწრებს მას.

რასაკვირველია, საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ეს საკმაო არ იყო, თუმცა ღარიბი და საშუალო გლეხების მდგომარეობა ყოველ წლიურად უმჯობესდებოდა, მაგრამ გლეხობის ექსპლოატატორული ფენებიც—კულაკობა ძლიერდებოდა. ამასთან ერთად შეუძლებელია წვრილი გლეხური მეურნეობაში რაიმე ტექნიკური გაუმჯობესება, როგორიც არის სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ქიმიზაცია და სხვ.. სოფლის მეურნეობის ზრდა მხოლოდ ორი გზით არის წარმოსადგენი — კაპიტალისტური და სოციალისტური.

პირველი გზა უკვე საბჭოთა-სოციალისტური-პროლეტარული ხელისუფლების არსებობის ფაქტით უარყოფილია და მასზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია. ამიტომ ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ ერთადერთი გზა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რომელიც რადიკალურად და საბოლოოდ, უკან მიუხედავად, სწყვეტს საკითხს მშრომელთა სასარგებლოდ.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია და ს. ს. რ. კავშირის ინდუსტრიალიზაცია წარმოადგენენ ძირითად წინა პირობებს სოფლის მეურნეობის ტექნიკურ რეკონსტრუქციისათვის, იმ განსაკუთრებული ჩამორჩენილობის დაძლევისათვის, რომლითაც განირჩეოდა მეფის რუსეთის სოფლის მეურნეობის მოსახლეობა.

კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მეოხებით საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა გადაიქცა მსოფლიოში უმსხვილეს სოფლის მეურნეობად.

ამბ. **სტალინი** საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ცენტ. საკ. კომისიის 1933 წლის იანვრის პლენუმზე ამბობდა:

„ხუთწლედი სოფლის მეურნეობაში არის კოლექტივიზაციის ხუთწლედი. რას ემყარებოდა პარტია, როცა კოლექტივიზაციას ატარებდა. პარტია ემყარებოდა იმას, რომ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისა და

სოციალისტურ საზოგადოების აშენებისათვის ინდუსტრიალიზაციის გარდა, საჭიროა წვრილ ინდივიდუალურ გლეხური მეურნეობიდან მსხვილ კოლექტიურ, ტრაქტორებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით შეიარაღებულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლა, როგორც საბჭოთა ხალისუფლებისათვის ერთადერთ დასაყრდენ საფუძველზე სოფლად. ხუთწლედის ამოცანა სოფლის მეურნეობის ხაზით მდგომარეობდა იმაში, რომ გაეერთიანებია განსკალკეებული და წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები, რომლებიც მოკლებულნი არიან ტრაქტორებისა და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების შესაძლებლობას, დიდ კოლექტიურ მეურნეობად, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან უაღრესად განვითარებულ სასოფლო-მეურნეობის ყველა თანამედროვე იარაღებით, ხოლო თავისუფალ მიწებზე კი შეიქმნა სანიმუშო სახელმწიფო მეურნეობები—საბჭოთა მეურნეობები".

ამჟამად საკითხი „ვინ ვის" გადაჭრილია სოციალიზმის სასარგებლოდ არა მარტო მრეწველობაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიაც.—სოციალისტური სექტორი წარმოადგენს გადამწყვეტ ძალას თავისი ხვედრითი წონის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში.

ასეთი მსოფლიო ისტორიაში ჯერ არნახული და გაუგონარი რვოლუცია არ მომხდარა მარტო ჩვენი აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებით, არამედ მას წინ უძღოდა წინასწარი სამზადისი.

„გლეხობის შემობრუნება კოლექტივიზაციისაკენ ერთბაშად როდი დაწყებულა. მას ამზადებს ჩვენი განვითარების მთელი მიმდინარეობა, ჩვენი ინდუსტრიის, პირველყოვლისა იმ ინდუსტრიის განვითარების მთელი მიმდინარეობა, რომელიც სოფ. მეურნეობისათვის ამზადებს მანქანებსა და ტრაქტორებს. მზადდებოდა იგი კულაკობასთან გადამწყვეტი ბრძოლის პოლიტიკით; მზადდებოდა იგი სას.-სამეურნეო განვითარებით, რომელიც ინდივიდუალურ გლეხს ასწავლიდა საქმის კოლექტიურ

წარმოებას; დასასრულ იგი მზადდებოდა მთელს ს. ს. რ. კ-ში გაფანტულ, ახალი ტექნიკით აღჭურვილ საბჭოთა მეურნეობების ჭალით, სადაც გლეხს შესაძლებლობა ეძლეოდა დარწმუნებულიყო ახალი ტექნიკის ძალასა და უპირატესობაში" (სტალინი, სიტყვა მე-16 პარტყრილობაზე).

ამჟამად სოფლის მეურნეობაში გაბატონებულ ძალად ითვლება კოლმეურნეობა, ინდივიდუალური გლეხები კი მეორე ხარისხოვანი ძალას წარმოადგენენ.

„უნდა ვთქვათ, რომ მშრომელი გლეხობა, ჩვენი საბჭოთა გლეხობა საბოლოოდ და შემოუბრუნებლად დადგა სოციალიზმის წითელ დროშის ქვეშ.

დღე იყვედონ ესერ-მენშევიკებმა და ბურჟუაზიულ ტროცკისტულმა ჰორიკანებმა, რომ გლეხობა ბუნებით კონტრრევოლუციონურია, რომ იგი მოწოდებულია აღადგინოს საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმი, რომ იგი არ შეიძლება იყოს მუშათა კლასის მოკავშირე სოციალიზმის აშენების საქმეში, რომ საბჭოთა კავშირში შეუძლებელია სოციალიზმის აშენება. ფაქტები ლაპარაკობენ, რომ ეს ვაჟბატონები ცილსა სწამებენ საბჭოთა კავშირსაც და საბჭოთა გლეხობასაც. ფაქტები ლაპარაკობენ, რომ ჩვენმა საბჭოთა გლეხობამ საბოლოოდ მიატოვა კაპიტალიზმის ნაპირები და გასწია წინ მუშათა კლასთან შეკავშირებით—სოციალიზმისაკენ. ფაქტები ლაპარაკობენ, რომ ჩვენ უკვე ავაშენეთ სოციალისტური საზოგადოების საძირკველი საბჭოთა კავშირში და დავგრჩენია მხოლოდ დავაგვირგვინოთ იგი ზედნაშენებით—ეს საქმე, უეჭველად, უფრო ადვილია, ვიდრე სოციალისტური საზოგადოების საძირკვლის აშენება" (ანხ. სტალინის—მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე).

საქართველო, რომელიც ცარიზმის დროს წარმოადგენდა კოლონიას და მიუხედავად იმისა, რომ მდიდარი იყო ყოველგვარი ბუნებრივი პირობებით, ძალზე ჩამორჩენილი იყო. ცარიზმი ყოველნაირად ხელს უშლიდა საწარმოო ძალთა განვითარებას საქართველოში

და მხარს უჭერდა ფეოდალური ნაშთების კიდევ დიდხანს შენარჩუნებას, რადგან მასში ის ხედავდა საიმედო და დასაყრდენ ძალას. მიწების მეტი ნაწილი დაგროვილი იყო პარაზიტულ კლასების ხელში. ღარიბი და საშუალო გლეხობა კი ფლობდა მხოლოდ 45 % მთელი მიწებისას იმ დროს, როცა მათი რიცხვი შეადგენდა მთელი მოსახლეობის 81 %. მენშევიკების დროს გლეხობის ამ ნაწილის მდგომარეობა სრულებით არ გაუმჯობესებულა, პირიქით, საქართველოს სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით ტექნიკური და სპეციალი კულტურები დეგრადაციის გზას დაადგა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტ. კომიტეტის და **დიდი სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით, საბჭოების ქვეყანა, რომელიც ზედი-ზედ აღწევს გამარჯვებებს, საბოლოოდ განმტკიცდა სოციალისტურ გზაზე. **„გიგანტური აღმავლობა გაიშალა სოციალიზმის ძლევა-მოსილ მშენებლობის საფუძველზე. კაპიტალისტური მეურნეობა საბჭოთა კავშირში ლიკვიდირებულია, ხოლო ერთპიროვნული გლეხური სექტორი სოფლად მეორე ხარისხოვან პოზიციებზეა. სოციალისტური წყობა წარმოადგენს განუყოფლად გაბატონებულ და ერთადერთ მბრძანებელ ძალას მთელ სახალხო მეურნეობაში“ (სტალინი).**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოისპო ერთხელ და სამუდამოდ კერძო საკუთრება მიწაზე და თანდათანობით მომზადდა ნიადაგი წვრილი, გლეხური მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ მეურნეობაზე გადასაყვანად, სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღების მომარაგებით, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ჩამოყალიბებით.

საბჭოთა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობას შეუქმნა მტკიცე ეკონომიური ბაზა.

„კაცობრიობის ისტორიაში ქვეყანაზე პირველად გამოჩნდა ისეთი ხელისუფლება, საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც საქმით დაამტკიცა, რომ იგი მზათ არის და შეუძლია გაუწიოს დახმარება გლეხობის მშრომელ მასებს, რომლებიც მუდამ განიცდიან ინვენტარის ნაკ-

ლებობას, არ შეეძლოთ არ ჩაჭიდებოდენ ამ დახმარებას და არ დასდგომოდენ კოლმეურნეობათა მშენებლობას" (სტალინი).

საბჭოთა მეურნეობანი

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ს. ს. რ. კავშირის სხვადასხვა რაიონებში დაიწყო საბჭოთა მეურნეობის და კოლექტიურ მეურნეობების ჩამოყალიბება, როგორც წამყვანი სექტორის სოფლის მეურნეობაში. განსაკუთრებით კი 1928 წლიდან მთელ საბჭოთა კავშირში, მათ შორის ამიერ-კავკასიაშიაც და, კერძოთ, საქართველოში იწყება საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაცია. საბჭოთა მეურნეობებს ეკისრებათ წამყვანი როლი მთელი სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში.

„საბჭოთა მეურნეობანი თავიანთი ახალი ტექნიკით და დახმარებით მათ ირგვლივ მყოფი გლეხებისადმი, მათი ჯერ არ ნახული სამეურნეო გაქანებით შეიქმნენ ის წამყვანი ძალა, რომელმაც გაადვილა გლეხთა მასების მობრუნება და გააქანა ისინი კოლექტივიზაციის გზაზე" (სტალინი).

საბჭოთა მეურნეობებს აქვთ უდიდესი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნის საქმეში. საბჭოთა მეურნეობანი წარმოადგენენ მსხვილ სოციალისტურ მეურნეობის საუკეთესო მაგალითს და უპირატესობა ენიჭებათ არა თუ წვრილ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით, არამედ მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობასთანაც. მაგალითად, მანქანების გამოყენების საქმეში. ა. შ. შტატების ფერმერთა მეურნეობა უფრო მსხვილია, ვიდრე იყო ჩვენი გლეხური მეურნეობა, მაგრამ აქაც შეუძლებელი გახდა მანქანის გამოყენება, რადგან მანქანის სრულად გამოყენება კაპიტალისტურ მეურნეობაში შეუძლებელია. მანქანით ისარგებლა განსაზღვრულ ფარგლებში მხოლოდ მსხვილმა ფერმებმა,

რომლებმაც გააკოტრეს წვრილი და საშუალო ფერმერები, მაგალითად, 1922 წლიდან ა. შ. შტატები დასტოვა დაახლოებით 10 მილიონმა კაცმა.

საბჭოთა კავშირში პირველი მარცვლეულის მეურნეობანი წარმოიშვენ 1928 წელს. მათ უნდა შეექმნათ მარცვლეულის ისეთი რეზერვი, რომელიც მისცემდა სახელმწიფოს საშუალებას მოეხდინა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია და კოლექტივიზაცია. აქედან იწყება საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა. საბჭოთა მეურნეობები უდიდეს როლს ასრულებენ სოფლის სოციალურ-ტექნიკური რეკონსტრუქციის საქმეში.

მე-16 პარტყრილობაზე ამხ. სტალინმა სთქვა:

„გასაგებია აგრეთვე ისიც, რომ თუ სახელმწიფოს ხელში უზრუნველყოფილი არ იქნა მარცვლეულობის განსაზღვრული მარაგი, შეუძლებელია მოვაწესრიგოთ სპეციალიზაციის საქმე. ახლა, როცა ჩვენ გადავეცით მსხვილ მეურნეობაზე და სახელმწიფოს ხელში უზრუნველვყავით მარცვლეულობის მარაგის დაგროვება, ჩვენ შეგვიძლია და უნდა დავინახოთ კიდეც ამოცანად კულტურებისა და დარგების მიხედვით სპეციალიზაციის სწორი ორგანიზაცია".

საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა ჩვენშიაც წარმატებით მიმდინარეობს. ის მოეწყო ჩვენი სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. აღსანიშნავია საბჭოთა მეურნეობანი: ჩაის, ვენახის, ციტრუსების, რამის, გერანის, მებაღეობის, მებოსტნეობის, მესაქონლეობისა და სხვ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას კოლექტივიზაციასთან ერთად თან მოყვებოდა საბჭოთა მეურნეობების მოწყობა, რომლებიც განსაკუთრებით 1930-1932 წლებში ეწყობა. შემდეგი პერიოდი კი არის მათი რიცხვის გადასინჯვის უფრო მეტი ეფექტიურობის თვალსაზრისით, რის შედეგად ზოგი საბჭოთა მეურნეობა რეორგანიზირებულ იქნა.

საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და სახელმწიფო ორგანიზაციების სხვა მეურნეობათა დიხამიკა შემდეგ ციფრებში გამოიხატება.

მაჩვენებლები	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.
სულ საბჭოთა მეურნეობები	149	166	254
მათ შორის:			
1. საბჭ. მეურნეობა სუბტროპიკ. კულტურების დარგში	19	38	38
აქედან: ა) „საქართვ. ჩაი“	11	16	18
ბ) ლიმონახტერესტი	—	12	9
გ) „საქართვ. რამი“	8	10	11
2. საკავშირო ტრესტებ. საბჭოთა მეურნ.	44	29	15
აქედან: ა) საქაბრეშუმტრესტი	21	19	7
ბ) მეცხენეობის სამმართვ.	2	3	3
3. საბჭ ძირნახ. სახელმწიფის სისტემის საბჭ. მეურნეობები	12	15	15
აქედან ა) ქარაკერაკი	5	5	5
ბ) მელიორაციის ტრესტი	7	10	3
4. რესპუბლიკან. საბჭ. მეურნეობები	42	54	59
აქედან: ა) სამტრესტი	28	42	43
ბ) აფხაზეთის საბჭ. მეურნ. ტრესტი	6	6	7
გ) აჭარისტანის „	2	1	3
დ) სამხრ. ოსეთის „	6	5	4
5. სხვა ორგანიზაციების „	32 *)	30 *)	130
აქედან: კოოპერაციის მეურნეობები	20	13	22

ეს ციფრები ილუსტრაციაა იმის, თუ როგორი სწრაფი ტემპით იზრდება საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა ჩვენში.

*) ცნობები სრული არ არის.

კოლმეურნეობანი

ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა იმაში გამოიხატება, რომ კოლმეურნეობანი გახდენ სოფლის მეურნეობის ძირითადი ფორმა.

კოლმეურნეობის გარეშე შეუძლებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება, და წარმატება, მისი სოციალისტურ რელსებზე გადასვლა. ლენინი ამბობდა რა ამის მხედველობაში პარტია და მთავრობა შეუწყნელებლად ატარებდენ კოლექტივიზაციას, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა და 1934 წელს გათავისუფლა კოლმეურნეობანი მთელ საბჭოთა კავშირში დაახლოებით ხახევარი მილიარდი მანეთის დავალიანებისაგან. ასეთია ყურადღება და მზრუნველობა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების კოლმეურნეობისადმი.

„კოლექტივიზაციის შედეგთი პროცესი წარმოადგენს კოლმეურნეობების ძირ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობების ხაშთების თანდათანობითი შესრუტვის და ხელახალი აღზრდის შემდგომ პროცესს.

ეს ნიშნავს, რომ კოლმეურნეობებმა გაიმარჯვეს საბოლოოდ და სამუდამოდ“ (**ამხ. სტალინი**—მე-17 პარტყრილობაზე).

პარტია და ხელისუფლება ამჟამად კოლექტივიზაციის დარგში უმთავრეს ყურადღებას აქცევს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ, სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებას და ამ საფუძველზე მათი ჯანსაღი ზრდა განვითარებას; სოფლის მეურნეობაში ამჟამად განსაკუთრებულია არა ფართობის ზრდა, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლები.

მსოფლიო პროლეტარიატის დიადი ბელადი **ამხ. ი. სტალინი** საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე ლაპარაკობს:

„...ხახს სათესი ფართობების ხელაღებით გაფართოებაზე უარყოფისაკენ, ხახს გადაისაზე ფართობების ხელაღებით გაფართოებიდან მიწის დამუშავების გაუმ-

ჯობესებისაკენ, სწორი თესლბრუნვის და ანეულის დანერგვისაკენ, მოსავლიანობის გადიდებისაკენ და, თუ ამას პრაქტიკა მოითხოვს, — არსებული სათესი ფართობის დროებით შემცირებისაკენ".

კოლექტივიზაციის დონე ერთნაირი როდია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში. ასეთივეა ამიერკავკასიის ფარგლებში და კერძოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. კოლექტივიზაციის ყველაზე მაღალი პროცენტი მოდის ტექნიკურ კულტურების რაიონებზე. მაგალითად, ჩაის რაიონებში კოლექტივიზირებულია 62,4%, ბამბის რაიონებში 47,4%, თამბაქოს რაიონებში 45,3% უფახზეთოდ და შაქრის ჭარხლის რაიონებში 40,9%.

საქართველოს კოლმეურნეობანი დღითი დღე იზრდება და მაგრდება. **ამხ. სტალინის** ლოზუნგი, რომ **„კოლმეურნეობანი ვაქციოთ ბოლშევიკურად და კოლმეურნენი შეძლებულად"**—თანდათან ხორციელდება. რის უამრავ მაგალითს ჩვენ ეხედავთ ტექნიკურ კულტურების რაიონებში და აგრეთვე მთელ საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოში კოლექტივიზაციის პროცენტი 1933 წ. მაისისათვის უდრის 36,3%-ს (ამხ. **ლ. ბერიას** მოხსენება—საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ც. საკ. კომისიის ივნისის პლენუმზე).

საქართველოს კოლექტივიზაციის დინამიკის საილუსტრაციოთ მოვიყვანთ შემდეგ ცხრილს:

მაჩვენებლები	1931 წ. დასასრულს	1932 წ. დასასრულს	1933 წ. დასასრულს	1934 წ. 1 ივლისისათვის
კოლმეურნეობების რიცხვი	3.556	3.425	3.438	3.332
მათში გაერთიანებულ მეურნ. რიცხვი	176.440	165.671	173.739	183.212*)
კოლექტივიზაციის პროცენტი	38,5	36,1	36,3	37,9

*) 1931 32 წ. კოლექტივიზაციის პროცენტის ძირიცხვის საფუძვლად აღებულია 458 871 აგლეხო მეურნეობა, 1633 34 წელს კი 483.939 მეურეობა.

ამხ. ლ. ბერია საქ. კ. პ. (ბ) 1935 წლის 31 მაისის მე-3 პლენუმზე აცხადებს, რომ ამჟამად საქართველოში კოლექტივიზირებულია უკვე 43%.

„კოლექტივიზირებულ მეურნეობათა რიცხვის შემცირება 1931 წლიდან 1932 წლამდე შედეგია საგლეხო საკითხში 1930-1931 წწ. პერიოდში დაშვებულ უხეშ შეცდომებისა. შემდეგ წლებში, კოლმეურნეობათა სამეურნეო ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცების შედეგად, ადგილი ჰქონდა გლეხობის ახალი ფენების შესვლას კოლმეურნეობებში და, ამრიგად კოლექტივიზირებული მეურნეობათა რიცხვის გადიდებას“ (საქ. ს. ს. რ. მთავრობის ანგარიშის მასალები საბჭოთა მე-7 ყრილობისათვის).

სამანქანო - სატრაქტორო სადგურები

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1930 წ. 21 დეკემბრის დადგენილება ამბობს: „სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სახით მასურ გამოცდილებაზე გამომდევნებული და შემოწმებული საბჭოთა სახელმწიფოს მიერ უმაღლეს ტექნიკურ ბაზისზე მსხვილი კოლექტიური სასოფლო მეურნეობის ორგანიზაციის ფორმა, რომელშიაც უაღრესი სისრულით შეთავსებულია კოლექტიური მეურნეობების მშენებლობაში კოლმეურნე მასების თვითმოქმედება პროლეტარულ სახელმწიფოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ დახმარებასა და ხელმძღვანელობასთან“.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს აქვთ კოლექტივიზაციის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა. ძირითადად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე შრომის ხარჯვის შემცირება, უპირველეს ყოვლისა, იძლევა მეურნეობის დიდ ინტენსიფიკაციის შესაძლებლობას. კერძოდ, განთავისუფლებული შრომა გამოიყენება ჩვენი მეურნეობის შრომის მეტად ტევადობის დარგებში, როგორიც არის ჩაის, ბამბის, თამბაქოს, ვენახის და სხვ. კულტურები.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება ანთავისუფლებს მუშა-პირუტყვის დიდ ნაწილს და მით გვეძლევა საშუალება საძოვარი ფართობები დაეუთმოთ მეწველ და ხორცის მომცემ პირუტყვს.

საერთოდ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები არიან მტკიცე ბაზა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის. სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღებით მომარაგების დარგში საბჭოთა საქართველოს უდიდესი მიღწევები აქვს. 1934 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში იყო 1.669 ცალი ტრაქტორი. 1934 წელს საქართველოში იყო 33 სამანქანო-სატრაქტორო სადგური, რომლებშიაც ამჟამად ითვლება 10.834 ცხენის ძალის 746 ტრაქტორი.

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია უკანასკნელ წლების განმავლობაში ყოველთვიურად და ყოველ კვირეულად ძლიერდება, როგორც საბჭოთა მეურნეობების, ისე კოლმეურნეობების ხაზით. თუ მენშევიკებს დროს საქართველოს ტერიტორიაზე არ მოიპოვებოდა სასოფლო-სამეურნეო მანქანები გარდა რამოდენიმე პურის სალეწი მანქანისა, ამჟამად საქართველოს მინდვრებზე გუგუნებს ხსენებულ ტრაქტორების გარდა რამოდენიმე ოცეული ცალი კომბაინი—ეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა პურისა და სიმინდის სალეწი მანქანები, სათიბი და სათოხარი მანქანები, ტრიერები, საბარგო ავტომობილები და სხვ. მრავალი, რომელთა რიცხვი გამოიხატება ასებში და ათასებში. ასეთია საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

ნათესების სივრცე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მემინდვრეობის სათეს ფართობში ტექნიკურ კულტურებს სრულიად უმნიშვნელო ადგილი ეჭირა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ-კი იწყება შრომის ტევადობის კულტურების მოშენება, რომლებ-

მაც უკანასკნელ წლებში სათესი ფართობის სიფრცეში დაიკავა თვალსაჩინო ადგილი. რასაკვირველია, ფართობის მეტი ნაწილი მარცლეულ კულტურებს უკავიათ.

აძხ. **კუიბიშევმა** საკ. კ. პ. (ბ) მე-17 კონფერენციაზე ასე დახასია ა.-კავკასიის სოფლის მეურნეობის განვითარების გზა: „ამიერ-კავკასია ძირითადად განვითარდება იმ ხაზით, რომელიც უკვე დაისახა პირველ ხუთწლედში, კერძოდ, მისი სოფლის მეურნეობა წავა წინ იმ ტექნიკური კულტურების განვითარების ხაზით, რომლებიც ეგუებიან იქაურ ჰავას, პირველ რიგში კი ბამბის კულტურის განვითარების ხაზით, და აგრეთვე მთელ რიგ სხვა კულტურებისა: ჩაის, რამის და სხვ. სავსებით ცხადია, რომ ისეთი კულტურების განვითარების ამოცანები, როგორიცაა ყურძენი, ფორთოხალი და მანდარინი აგრეთვე უნდა იდგეს ამიერ-კავკასიის წინაშე, ისე როგორც ლიმონის პლანტაციების განვითარების ამოცანა. ვფიქრობ, რომ ჩვენ არ უნდა ავთვალისწინოთ ეს კულტურები იმიტომ, რომ ყოველ შემთხვევაში ამ ხუთწლედში ჩვენ გვექნება ისეთი მდგომარეობა, როცა არც ყურძენი, არც ფორთოხალი და არც მანდარინი არ იქნება ფუფუნების საგანი".

სათესი ფართობის ზრდა (ათას ჰექტარობით)

1913 წ.	1931 წ.	1934 წ.
738	927	951

ძირითადი მრავალწლიანი კულტურების ფართობი გაიზარდა 79 ათასი ჰექტარიდან 1931 წელს 100 ათას ჰექტარამდე 1934 წელს. ამასთან ყველაზე ინტენსიურად გაიზარდა ჩაის კულტურის ფართობი, სახელდობრ, იგი გაიზარდა 19.000 ჰექტარიდან 1931 წელს 34.000 ჰექტარამდე 1934 წელს.

მაშინ, როდესაც ჩაის ფართობი 1913 წელს შეადგენდა 894 ჰექტარს და 1917 წელს — 1.017 ჰექტარს, ასეთია ნათესების დინამიკა საქართველოში. როგორც

ზემომოყვანილ ცხრილიდან სჩანს, ფართობის აბსოლუტური ნაწილი ჯერ კიდევ მარცვლოვან კულტურებს უჭირავს, მაგრამ შესამჩნევად გაიზარდა უკანასკნელ წლებში ტექნიკური კულტურების ფართობი, რაც სრული თავდებია იმისა, რომ საქართველოს უნდა გადაიქცეს ძვირფასი კულტურების რაიონად და თანდათან უნდა განიდევნოს სიმინდის კულტურა, ერთი სიტყვით საქართველო უნდა იქცეს საბჭოთა ფლორიდად და კალიფორნიად, როგორც ეს აღნიშნა ამბ. **იაკოვლევმა** საკ. კ. პ. (ბ) მე-16 ყრილობაზე.

მარცვლეული მეურნეობა

ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში საქართველოს უკავია შუალედი მდგომარეობა, თუ სომხეთში და აზერბეიჯანში ითესება მხოლოდ პური და მისი სახეები, საქართველოში კი გაბატონებულია სიმინდი. აღმოსავლეთ საქართველოში სჭარბობს პური — დასავლეთ საქართველოში კი სიმინდი. საქართველოში სთესენ პურს, სიმინდს, ქერს, შვრიას, ჭვავს, ფეტვს, ღომს და სხვ. დასავლეთ საქართველოში გარდა სიმინდისა მოჰყავთ მაღალ ადგილებში გაზაფხულის პური, ქერი, ჭვავი და სხვ. ფართობის მხრივ დასავლეთ საქართველოს ნათესებში აბსოლუტური ადგილი სიმინდს უჭერია. აღმოსავლეთ საქართველოში პირველი ადგილი უჭირავს შემოდგომის პურს, შემდეგ მიდის გაზაფხულის პური, შემდეგ ქერი, სიმინდი და სხვ. შავი ზღვის ნაპირებთან უმნიშვნელო ფართობზე ითესება აგრეთვე ბრინჯი. უკანასკნელ წლებში სიმინდის ფართობი თანდათან იზრდება, რაც აიხსნება სიმინდს მოსავლიანობის სიდიდით ჰექტარზე და აგრეთვე მით, რომ მოსახლეობა მრავლდება და სათესი ფართობები კი არ იზრდება, რადგან სხვადასხვა ტექნიკურ კულტურებს ეთმობა საგრძნობი ფართობები.

საქართველოში მარცვლეულ კულტურებს შორის პირველი ადგილი უჭირავს სიმინდს, შემდეგ ხორბალს,

ქერს და სხვ. 1931 წ. სხვადასხვა მარცვლეულთა შორის ფართობი ასე ნაწილდებოდა:

სიმინდი	368.45წ ჰექტარი
ხორბალი	291.019 „
ქერი	85.169 „
ჭვავი	16.370 „
ფეტვი	46.560 „

კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი გადაიქცენ ჩვენი სოფლის მეურნეობის გაბატონებულ ფორმად, რომლებიც ემყარებიან მოწინავე ტექნიკას, იყენებენ რა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს. საძანქანო-სატრაქტორო სადგურების და მათთან პოლიტგანყოფილებათა ჩამოყალიბების საშუალებით სოფლად მოხდა დიდი ცვლილება. გაიზარდა სათესი ფართობები და რაც უმთავრესია, გაიზარდა მოსავლიანობა ჰექტარზე, გაუმჯობესდა ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებზე დ საერთოდ სოფლის მეურნობაზე. „პოლიტგანყოფილებებმა პარტრაიკომებთან ერთად შესძლეს გაეძლიერებიათ სოფლის პარტორგანიზაციების ბრძოლის უნარი და ამ საფუძველზე ფართო მასების ბრძოლის გაჩაღება საკოლმეურნეო ქონების დაცვისათვის, კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის და სხვ.“ **(ბერია).**

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას ჩაეყარა მტკიცე საფუძველი: თესლბრუნვის შემოღება, თესლის ხარისხის გაუმჯობესება, აგრომინიმუმის გატარება, შრომის სწორი ორგანიზაცია, პირადი პასუხისმგებლობის აწევა, გაუპიროვნების მოსპობა, მუდმივი ბრიგადების შექმნა, ბრძოლა ბოლშევიკურ კოლმეურნეობებისათვის და კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევისათვის, — აი ის გზა, რომლითაც მიდის დღეს ჩვენი ახალი სოფელი.

კაპიტალური დაბანდება სოფლის მეურნეობაში ყოველ წლიურად იზრდება. ასე, მაგალითად, 1927-28 წლიდან 1930 წლამდე ყოველწლიურად დაბანდება სოფ-

ლის მეურნეობაში საშუალოდ უდრის 18 მილ. მანეთს, მაშინ, როცა 1931-34 წლების მანძილზე წელიწადში საშუალოდ მოდის 105 მილ. მანეთი.

ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგათ ჩვენ გვაქვს მოსავლიანობის მკვეთრი ზრდა.

მოსავლიანობა ცენტნერობით ჰექტარზე

	1932 წ.	1933 წ.
1. მარცვლეულნი	6,9	9,2
მათ შორის თავთავიანი	5,9	8,5
2. სიმინდი	7,8	9,8

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია წლების მიხედვით შემდეგ ციფრებში გამოიხატება (1926-27 წლის უცვლელ ფასებში):

1931 წ.	180.136	ათასი მან.
1932 წ.	158.432	„
1933 წ.	177.799	„
1934 წ.	193.321	„ (წინასწარი ცნობებით).

ტექნიკური კულტურები

ტექნიკური კულტურები — ბამბა, კენაფი, რამი, შაქრის ჭარხალი, თამბაქო და სხვ. წარმოადგენენ ინდუსტრიის, განსაკუთრებით მსუბუქი ინდუსტრიის და გემოკვების ინდუსტრიის ნედლეულს. წინათ, ცარიზმის დროს და შემდეგ მენშევიკების ბატონობის პერიოდში ტექნიკური კულტურები ჩვენი მეურნეობაში მცირე როლს ასრულებდენ. მენშევიკების ბატონობის დროს კი ტექნიკური კულტურები სრულ დეგრადაციის გზას დაადგა და ადგილი კვლავ სიმინდსა და პურს დაუთმო.

პირველ ხუთწლედის მანძილზე ტექნიკური კულტურების ფართობს სწრაფი ზრდა ემჩნევა.

საქართველოს ტექნიკური კულტურების განვითარებისათვის აქვს უდიდესი შესაძლებლობა, როგორც

ჰავის, ისე ნიადაგის მხრივაც. ტექნიკური კულტურების ნამდვილი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა და კოლმეურნეობის პირობებში. მხოლოდ სოციალისტურ მეურნეობის პირობებში შესაძლოა მათი განვითარების სწრაფი ტემპები და მოსავლიანობის დიდი მაჩვენებლები.

ჩვენში წარმოებული სრფლის მეურნეობის მექანიზაცია და ქიმიზაცია განსაკუთრებით ტექნიკური კულტურების დარგში — თავდებია იმის, რომ ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა და მოსავალი კოლოსალურად გაიზრდება. ყოველივე პირობები ამისათვის უკვე გვაქვს. გარდა ამისა ირიგაციის მოწყობა, რომელიც აუცილებელია, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, ბამბისა და სხვა კულტურებისათვის, უზრუნველყოფს მეტ ფართობების ათვისებას ამ ძვირფასს კულტურისათვის.

ჩ ა ი

ჩაი გემოვანი მცენარეა და მის ფოთლებიდან კეთდება ის ჩაი, რომელიც წარმოადგენს ფართო-მოხმარების საგანს და ყოველ დღე, ყველა ჩვენგანის მიერ იხმარება. ჩაის ბუჩქი სუბტროპიკული მუსონური ზონის მცენარეა და უმთავრესად გავრცელებულია ჩინეთ-ინდოეთში, იაპონია-ინდონეზიაში და სხვ. საქართველოში ჩაის ბუჩქის მოშენების ცდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ნახევარში დაიწყეს. ბათუმის მიდამოებში ჩაის ბუჩქის გაშენება იწყეს 90 წლებში და მას შემდეგ ძლიერ ნელი ტემპით ვითარდებოდა. მენშევიკების დროს ჩაის მეურნეობა სრულიად დაქვეითდა, რადგან მის განვითარებისათვის არავითარი სტიმული არ მიუცია უკანასკნელთა ბატონობას და ის დაადგა დეგრადაციის გზას.

მხოლოდ საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება ჩაის პლანტაციების სწრაფი ზრდა და მისი (ზრდის) ტემპები გაიზარდა განსაკუთრებით 1930-31 წლებში. ჩაის პლანტაციები გაშენდა არა მარტო ბა-

თუმის მიდამოებში (ჩაქვი, სალიბაური, მახინჯაური და სხვ.), არაშედ მთელ დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო რაიონში — გურია—აფხაზეთ—სამეგრელოს მთის კალთებზე და ავრეთვე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებშიც. ამჟამად ჩაის კულტურა გავრცელებულია აჭარისტანის გარდა აფხაზეთში, გურიაში (ოზურგეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის რაიონებში), სამეგრელოში (ხუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, სენაკის და მარტვილის რაიონებში).

საქართველოში, სპეციალისტების გამოკვლევით, ჩაისათვის ვარგისი ნიადაგი (საჭიროა წითელი—ლატერიტული ნიადაგი და ცხელი და ნესტიანი ჰავა) მოიპოვება 130.000 ჰექტარზე მეტი. ჩვენში ჩაის ბუჩქს ზრდიან ½ მეტრის სიმაღლეზე. ჩვენი ჩაი წააგავს ინდოეთის (ასამისა და უფრო კი ცეილონის) ჩაის, თუმცა ის ბევრად ჩამორჩება ჩინური ჩაის. რომელიც გემოთი და არომატით გაცილებით მაღლა სდგას. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საქართველოს გარდა ჩაისათვის ვარგისი ჰავა და ნიადაგი არსად არ მოიპოვება. რამოდენიმედ შესაძლებელია ჩაის ბუჩქის გაშენება აზერბეიჯანში, ლენქორანის რაიონში. ამრიგად საქართველოს ჩაის, თანახმად საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებისა უნდა დააკმაყოფილოს ჩაით მთელი საბჭოთა კავშირი და ის გახდეს ამ მხრივ უცხოეთიდან დამოუკიდებელი. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია, რომ ჩაის პლანტაციების ფართობი 1937 წლისათვის უნდა გადიდდეს კიდევ 8.000 ჰექტარით. მოსავლიანობა უნდა გადიდდეს ერთ ჰექტარზე 1.800 კილოგრამამდე (მწვანე ფოთოლი). ამჟამად ჩაის კულტურა უმთავრესად განვითარებულია კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში. უკანასკნელს ხელმძღვანელობს საკავშირო ტრესტი „საქ. ჩაი“, რომელსაც აქვს სულ 14 მსხვილი ჩაის საბჭოთა მეურნეობა: ჩაქვის, სალიბაურის, გონიოს და ქობულე-

თის, აფხაზეთში 2 საბჭოთა მეურნეობა: აჩიგვარისა და კოდორის, სამეგრელოში 6 საბჭ. მეურნეობა: დიდიჭყონის, ნარაზენის, ჯოგეჯიანის, წალენჯიხისა და ლისიჩინის და გურიაში 3 საბჭოთა მეურნეობა: ნატანების, ლაითურისა და ნასაკირალის, აგრეთვე ოკრიბისა და ხონის (იმერეთში).

საჭიროა განვიხილოთ ჩაის კულტურის პლანტაციების დინამიკა.

წ ე ლ ი	მთელი ფართობი ჰექტარით	მ ა თ შ ო რ ი ს		
		საბ. მეურნ.	კოლმეურნ.	ინდ. სექტ.
1913	894	—	—	—
1931	19.112	5.804	12.164	1.442
1932	32.133	8.884	21.805	1.442
1933	33.916	9.154	23.319	1.442
1934	34.574	9.326	23.805	1.442

(მოსალ. შესრულება)

საქართველოს ჩაის პლანტაციების რაიონებში აშენებულია ჩაის გადასამუშავებელი ყველა პროცესების მაქსიმალურად მექანიზირებული უმაღლესი ტექნიკის ფაბრიკები.

ფაბრიკებისა და გზების მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებისა და მუშა-მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების მაქსიმალურად გაუმჯობესების ხაზით „საქ. ჩაი“-ს ტრესტმა უკანასკნელ წლებში მოახდინა შემდეგი კაპიტალური დაბანდება:

1931 წ.	13.581	ათასი მან.
1932 წ.	21.964	„ „
1933 წ.	27.115	„ „
1934 წ.	38.000	„ „

ამავე წლების განმავლობაში „საქ. ჩაი“-ს მზა პროდუქცია უდრის:

1931 წ.	290.600	კილოგრამს
1932 წ.	396.600	„
1933 წ.	757.000	„
1934 წ.	1.580.000	„

აქედან ნათელია, რომ მზა ჩაის პროდუქცია 1934 წლისათვის გაიზარდა 5,3-ჯერ, ხოლო 1913 წელთან შედარებით, როდესაც მზა ჩაის მთელი გამომუშავება 131.000 კილოგრამს უდრიდა, — თორმეტჯერ და უფრო მეტადაც (საქართველოს მთავრობის 1934 წლის ანგარიშიდან).

თამბაქო

თამბაქო გემოვან კულტურებს ეკუთვნის, რომელიც ამერიკიდან გავრცელდა აღმოსავლეთ მატერიკზე მე-16—17 საუკუნეებში, თუმცა არის ცნობა, რომ თამბაქო აზიის ტროპიკულ და სუბტროპიკულ ნაწილშიც ყოფილა, სახელდობრ: ჩინეთს, იაპონეთს, ინდოეთსა და სპარსეთში. საუკეთესო თამბაქოს ჯიშები იზრდება ცენტრალურ ამერიკაში და აზიაში, განსაკუთრებით კარკუნულ ყუბაზე და სუმატრაზე. უმაღლესი ხარისხის თამბაქო ნაკლებად ნარკოტულია. თუმცა თამბაქო თავისი წარმოშობით ეკუთვნის ტროპიკულ და სუბტროპიკულ კლიმატურ ზონას, მაგრამ ის ძლიერ ეგუება სხვადასხვა კლიმატსა და მისი გავრცელება მიდის თითქმის სკანდინავიამდე.

მსოფლიოში თამბაქოს უდიდეს რაიონად ითვლება ამერიკა, განსაკუთრებით ა. შ. შტატები.

საბჭოთა კავშირში თამბაქო ვრცელდება შავნიადაგიან ზოლამდე, მაგრამ რამდენად ის ჩრდილოეთით მიდის, იმდენად დაბალი ხარისხის არის. საბჭოთა კავშირში საქართველოს თამბაქოს, განსაკუთრებით აფხაზეთისას, პირველი ადგილი უკავია ხარისხის მხრივ. სა-

ქართველოს თამბაქოს არა თუ საბჭოთა კავშირის მასშტაბით, არამედ მთელ ევროპაშიც ერთერთი პირველი ადგილი უკავია. საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე აფხაზეთისა და აჭარისტანის ჩათვლით სამი მთავარი თემთამბაქოობის რაიონი განირჩევა: 1) **დასავლეთი ანუ შავი ზღვის სანაპირო რაიონი**, 2) **ცენტრალური რაიონი** — დასავლეთ საქართველოს მთელი დანარჩენი რაიონი განსაკუთრებით გურია-სამეგრელო და 3) **აღმოსავლეთი რაიონი** (აღმოსავლეთი საქართველო), განსაკუთრებით კახეთი.

თამბაქო მოითხოვს განსაკუთრებულ ნიადაგს და მიწის დაქანებულ ზედაპირს, ცხელ და ნესტიან ჰავას, მისი საეგეტაციო პერიოდი გრძელდება დაახლოვებით 5—6 თვე. თამბაქოს მოსავლიანობა დამოკიდებულია ნიადაგზე, ჰავაზე, ამინდზე, და რაც აუცილებელია, მოვლა-მოშენებაზე. ამ მხრივ აფხაზეთს ჩვენში პირველი ადგილი უჭირავს. ჩვენში თამბაქოს მოსავალი ჰექტარზე მერყეობს 5 ცენტნერიდან 10 ცენტნერამდე.

აფხაზეთში საუკეთესო ხარისხებად ითვლება თურქეთის თამბაქოს ჯიშები: „სამსუნი" და „ტრაპიზონი", გადაგვარებული ჯიშები „სამსუნი" და ამერიკული „ვირგინია". აღმოსავლეთ საქართველოს უმთავრეს რაიონში, კახეთში — სახელდობრ, ლაგოდეხის რაიონში, ნაწილობრივ გურჯაანის, ყვარელის, სიღნაღისა და თელავის რაიონებში.

აღმოსავლეთ საქართველოს მეთამბაქოობის სპეციალურ რაიონად ითვლება ლაგოდეხი, რომელსაც საქართველოს თამბაქოს პროდუქციაში აფხაზეთის შემდეგ პირველი ადგილი უკავია, ლაგოდეხის შემდეგ პროდუქციის რაოდენობის მხრივ სდგას აჭარისტანი. დასახელებულ რაიონების გარდა საქართველოში მეთამბაქოობას არ აქვს სასაქონლო მნიშვნელობა. ის შინა მოხმარებისათვის ითესება.

თამბაქო დიდ გამოცდილებას და ცოდნას მოითხოვს. თამბაქოს სათესი სიერცეების ეხაჭიროება სასუქე-

ში, თავის დროზე გათხრნა და, რაც უმთავრესია, გამოყენება ფარდულებში. ამ მხრივ ცუდ პირობებში იმყოფება ინდივიდუალური სექტორი და ის თანდათან რწმუნდება, რომ საჭიროა გაერთიანება, შეკავშირება კოლექტიური მეურნეობის სახით, სადაც გამოცდილი აგრონომი გაუწევს ხელმძღვანელობას და თან სახელმწიფო ყოველმხრივ დაეხმარება, როგორც გრძელვადიანი სესხით, საშრობი ფარდულების ასაგებათ, ისე ქიმიური სასუქებით და სხვ. ყოველივე ამას მოკლებულია ინდივიდუალური სექტორი და ამიტომ ის რწმუნდება თამბაქოს კოლექტიურ მეურნეობის უპირატესობაში და ხალისით შედის კოლექტივში.

კოლექტივიზაციის პერიოდში ფართობის რაოდენობით გატაცებული კოლექტივები გაეკიდენ თამბაქოს ფართობის გადიდებას და მთელ საქართველოში დათესილ იქნა 1931 წელს 24.832 ჰექტარი თამბაქო, მაგრამ მოსავალი და მოსავლიანობა ჰექტარზე ძალზე შემცირდა ამ საქმისათვის მომზადებულ კადრების სიმცირისა და სათანადო სასუქების უქონლობის გამო. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ შეამცირა რა თამბაქოს სათესი ფართობები, სამაგიეროდ გაადიდა მოსავალი და მოსავლიანობა.

„1932 წელს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ამხ. **სტალინმა** მიაქცია ყურადღება მეთამბაქოობას. ამხ. **სტალინის** დახმარების გამო ჩატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი: სათესი ფართობები შემცირებულ იქნა თითოეულ რაიონის რეალურ შესაძლებლობამდე... თამბაქოს ფასები, განსაკუთრებით აფხაზეთის მაღალხარისხოვანზე გადიდებულ იქნა და სხვ...“ (**ბურია**—საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობა).

მენშევიკების ბატონობის პერიოდში მეთამბაქოობა საქართველოში თითქმის სრულიად დაეცა. იგი აღდგენილ იქნა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. იმ დიდი მოთხოვნილების საფუძველზე, რომელსაც ჩვენს პროდუქციას უყენებს როგორც საბჭოთა ს. ს. რ. კავშირის, ისე საზღვარ-გარე-

თის ბაზარი. თამბაქოს ფართობის დინამიკას წლების მიხედვით შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს:

ჰექტარებით

წლები	სულ	ეათ შორის	
		საბჭ. მეურნ.	კოლმეურნ.
1913	10 444	—	—
1928	13.039	—	34
1931	24.832	784	8.037
1932	22.113	589	7.732
1933	18.789	33	7.365
1934	19.849	3	7.626

(წინასწარი ცნობებით)

რადგან ფართობის ჩქარი გადიდებასთან ერთად შესამჩნევად გაუარესდა თამბაქოს ხარისხი და მოსავლიანობის მაჩვენებლები, ამიტომ 1931 წლიდან საჭირო შეიქნა ფართობის შემცირება ისეთ რაოდენობამდე, რომ შესაძლებელი გამხდარიყო თამბაქოს ნორმალური მოვლა.

საქართველოს თამბაქოს პროდუქცია გადადის „საქართველოს თამბაქოს ტრესტ"-ის ხელში, რომელიც ახდენს მისს რეალიზაციას საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ბაზარზე, რადგან ჩვენი თამბაქო მაღალი ხარისხისაა და მას მხოლოდ შეედრება ევროპის თამბაქოებიდან საბერძნეთის თამბაქო.

თამბაქოს რაიონების კოლმეურნეობანი, თანახმად დიდი **სტალინის** მითითებისა, თანდათან ხდებიან ბოლშევიკურ კოლმეურნეობად და კოლმეურნენი კი შეძლებულებად, რის ილუსტრაციაა ამხ. **ბერიას** მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობაზე.

1932 წლიდან თამბაქოს ხარისხი და მოსავლიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. თამბაქოს პროდუქციას შეჰ-
დგი ცხრილი გვიჩვენებს:

(საერთო პროდუქცია ცენტნერობით)

წლები	სულ	მათ შორის	
		საბჭ. მეურნ.	კოლმეურნ.
1931	124.774	5.028	46.948
1932	122.209	1.997	43.136
1933	134.274	255	55.475
1934	133.596	21	54.145

მაშინ, როდესაც თამბაქოს ფართობი 1934 წელს 1931 წელთან შედარებით, თვალსაჩინოდ შემცირდა (20%-ით), საერთო პროდუქცია არა თუ არ შემცირებულა, არამედ, პირიქით, გაიზარდა. ეს შედეგია იმ მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელიც მიღებულ იქნა პარტიისა და ხელისუფლების მიერ, დაწყებული 1932 წლიდან საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ახალ ხელმძღვანელობის მიერ.

სუბტროპიკული კულტურები

სუბტროპიკული კულტურა არის ისეთი კულტურა, რომელიც ხარობს დედამიწის სუბტროპიკულ და ტროპიკულ კლიმატურ ზონებში. ასეთი, უკეთ რომ ვსთქვათ, ამის მზგავსი კლიმატური ზონები ჩვენშიაც არის. სახელდობრ, შავი ზღვის ნაპირებზე და ნაწილობრივ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში.

საერთოდ ცნობილია, რომ სუბტროპიკული ქვეყნების ჰაერი ნოტიო ადგილებში განსხვავდება მაღალი და თანაბარი ტემპერატურით, სადაც ტემპერატურის ამპლიტუდა დღე-ღამესა და წელიწადის დროთა შორის მინიმუმია. სუბტროპიკულ მშრალ ადგილებში ატმოსფერის ნალექები უმნიშვნელოა, ხოლო ნოტიო ადგილებში მინიმუმი — 1250 მილიმეტრია და თითქმის

თანაბრად ნაწილდება წლის განმავლობაში. საქართველოს ნოტიო სუბტროპიკულ რაიონებში, განსაკუთრებით ბათუმის მიდამოებში, სახელდობრ, ჩაქვაში, ატმოსფერის ნალექები 2600—2700 მილიმეტრამდე აღწევს. სუბტროპიკული ფლორა მეტად მდიდარია მცენარეთა სახეობით.

ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ იმ მცენარეებს, რომლებსაც აქვთ სახალხო მეურნეობაში მეტი მნიშვნელობა.

ციტრუსოვანი მეურნეობა

„მხოლოდ პირველად მე-9 ყრილობაზე განსაკუთრებითი სიმახვილით ისმება საკითხი ციტრუსოვან მეურნეობის განვითარების შესახებ. ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის ზრდა მოითხოვს, რომ ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გადაიქცეს ფართო მოხმარების საგნად: თუ ძველად ციტრუსოვანი ნაყოფი იყო ფუფუნების საგანი და მხოლოდ ბურჟუაზიისათვის მისაწვდომი, ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა—მივაწოდოთ საბჭოთა ქვეყნის მუშის მაგიდას ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი.

ამხ. სტალინი — საქართველოში ციტრუსოვან მეურნეობის განვითარებას აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას და თვითონ პირადად გვიწევს ყოველდღიურ ხახმარებას. ამხ. **სტალინმა** — ჩვენს წინაშე დასვა საკითხი 1937 წელს მივცეთ საბჭოთა ქვეყანას არა ნაკლებ ნახევარ მილიარდი ციტრუსების ნაყოფისა. ეს გულისხმობს ჩვენ გავშალოთ გრანდიოზული, ჭეშმარიტად ბოლშევიკური მუშაობა საქართველოს ციტრუსოვან მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების ამოცანების შესრულებაზე" (ამხ. ბერია — საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილ.). ციტრუსების სამშობლოდ ითვლება სამხრეთ ჩინეთი, ინდოჩინეთი, ინდოეთი და საერთოდ ტროპიკული და სუბტროპიკული ზონა. ციტრუსოვანი კულტურები ხარობენ აგრეთვე სამხრეთ ევროპაშიც ხმელთა-შუაზღვის ნაპირებზე.

საქართველოში ციტრუსების მოშენება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, მაგრამ მას ფართო ხასიათი არ მიუღია, მიუხედავად იმისა, რომ ამ კულტურების ვეგეტაციისათვის ჩვენში მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია. ციტრუსოვან კულტურებს 1921 წლამდე უმნიშვნელო ადგილი ეჭირა ჩვენს სოფლის მეურნეობაში და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას მიეცა განვითარების ფართო გასაქანი.

ციტრუსების ძირითადი მასა დღეს-დღეობით აჭარისტანშია, სადაც ჩვენ გვაქვს მთელი ნარგავების 68%, აფხაზეთში—19% და დანარჩენ რაიონებში — 13 %.

რაც არ უნდა დაგვიჯდეს ჩვენ უნდა შევძლოთ პარტიისა და ხელისუფლების ლოზუნგის განხორციელება: **„გადავაქციოთ საქართველო საბჭოთა ფლორიდად და კალიფორნიათ“.**

ციტრუსოვანი კულტურების ფართობს წლების მიხედვით შემდეგი ციფრები გვიჩვენებს:

ფართობი ჰექტარობით

წ ლ ე ბ ი	ს უ ლ	მ ა თ შ ო რ ი ს		
		საბჭ. მეურნ.	კოლმეურნ.	ინდ. სექტ.
1913 . . .	500	—	—	—
1921 . . .	375	—	—	—
1928 . . .	462	—	—	—
1931 . . .	1.546	543	168	835
1932 . . .	2.129	1.042	230	857
1933 . . .	2.876	1.512	292	612
1934 . . .	3.201	1.636	642	923

ამ ცხრილიდან აშკარად ჩანს, რომ მენშევიკების ბატონობის დროს ციტრუსების კულტურა დეგრადაციის გზას ადგა.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ გაიზარდა ციტრუსოვან კულტურების ფართობი უმთავრესად საბჭოთა მეურნეობის ხარჯზე.

ციტრუსოვანი კულტურების საერთო პროდუქციას ამავე პერიოდში შემდეგი მაჩვენებლები ახასიათებს:

ათას ცალობით

წლები	სულ	მათ შორის		
		საბჭ. მეურნ.	კოლმეურნ.	ინდ. სექტ.
1931 . . .	77.180	30.115	7.141	39.924
1932 . . .	97.260	32.421	8.925	55.914
1934 . .	129.533	41.754	1 .131	76.648

ციტრუსოვან კულტურების საერთო პროდუქციის ზრდას ხელი შეუწყო იმ მთელმა რიგმა ღონისძიებამ, რომელიც ხორციელდებოდა ლიმონ-მანდარინის ტრესტის, „საქ. ჩაი“-ს, ავტონომიურ რესპუბლიკების (აჭარისტანი და აფხაზეთი), ტრესტების და საქართველოს ს. ს. რ. მიწათმოქმედების კომისარიატის სუბტროპიკულ სამმართველოს ხაზით. 1932 წლიდან მოეწყო 9 ციტრუსოვანი საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც ამჟამად გაერთიანებულია „ლიმონტრესტი“-ს სისტემაში.

კაპიტალური დაბანდება ტრესტის ხაზით შეადგენდა 1931 წელს 1.628 ათას მანეთს, 1932 წ. — 5.669 ათას მან., 1933 წ. — 4.066 ათას მან. და 1934 წ. 8.500 ათას მან. სანერგეების მოშენების მხრივაც ტარდება უდიდესი მუშაობა. 1934 წელს სანერგეების ფართობი აღწევს 50 ჰექტარს. გარდა ამისა 1934 წელს ა. შ. შტატებიდან, აფრიკიდან და იტალიიდან შემოზიდულ იქნა 28.000 მაღალ ხარისხოვანი ნერგი სადედე ბაზის გაფართოების და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ლიმონის, მანდარინის და ფორთოხალის გარდა, უკანასკნელ წლებში ჩატარდა ცდები გრეიფრუტის აკ-

ლიმატიზაციის მიზნით (გრეიფრუტი წარმოადგენს ლიმონისა და ფორთოხალის გიბრიდს და შეიცავს ვიტამინების მეტად დიდ რაოდენობას და გემოთი ფორთოხალს უახლოვდება), რომელმაც ბრწყინვალე შედეგები მოგვცა.

გარდა აძ კულტურებისა ჩვენში კარგად ხარობს აგრეთვე ისეთი სუბტროპიკული კულტურები, როკორიც არის: ანონა, ფეიხოია, იაპონური ხურმა და სხვა.

„ჩვენ ვაშენებთ ციტრუსებს არა მარტო საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში, არამედ კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა კარმიდამოებში (ეზოებში) და ეს მოგვცემს მართლა უდიდეს შესაძლებლობას საქართველოს ციტრუსოვან მეურნეობის შემდგი განვითარების საქმეში.

გლეხთა მეურნეობებში ციტრუსების განვითარება არის უდიდესი ფაქტორი გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების და უმთავრესი საშუალებ კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების უზრუნველყოფისათვის“ (აშხ. ლ. ბერ ა—სა ქ. პ. (ბა მე-9 ყრილობა).

დახარჯენ სუბტროპიკულ მცენარეებიდან ჩვენ აღვნიშნავთ ბამბუკსა და დაფნას.

უკანასკნელი ეკუთვნის გემოვნ მცენარეებს და იზრდება უმთავრესად ველურად აფხაზეთში და გურია-სამეგრელოში, აგრეთვე იმერეთშიაც.

დაფნა მოდმიც მწვანე სეა. დაფნის ხეებს თქვენ შეამჩნევთ შაავი ზღვის სანაპიროებზე და აგრეთვე სა ეგრელოშიც.

დაფნის ფოთოლს ხმარობენ, როგორც გემოვნ კერების მრეწველობაში, განსაკუთრებით საკონსერვო მრეწველობაში, ისე მედიცინაში, ძისგან ღებულობენ ეთერთვან ზეთს.

რევოლუციამდე დაფნა თვალსაჩინო შემოსავალს აძლევდა გლეხურ მეურნეობას, ხოლო რევოლუციის წლებში თითქმის შეწყდა მოთხოვნილება დაფნის ფოთოლზე. ამჟამად მუშათა კვების გაუმჯობესებასთან და-

კაშირებით და საკონსერვო მრეწველობის განვითარებასთან ერთად გაიზარდა მოთხოვნილება დაფნის ფოთოლზე. დაფნის კულტი რას შეუძლია საკმაო შემოსავალი მისცეს დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობას, თუ მის გაერთიანებას ხანადრო ყურადღებას მიაქცევენ.

ბამბუკი ტროპიკულ ზონის მცენარეა, მაგრამ ხარობს ნოტიო სუბტროპიკულ ზონაშიც. ეს მრავალწლიანი მცენარეა და ცხელ ქვეყანაში გამოყენებულია, როგორც საკომშენებლო მასალა. კერძოდ, იაპონიისა და ჩინეთის სამხრეთ პროვინციებში ღარიბი მოსახლეობა სახლებს და ყოველგვარ სახლის მოწყობილობას ბამბუკისაგან კეთებს. ჩვენშიც ბამბუკს დასავლეთ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ეს კულტურა იზრდება, უნივერსალური მნიშვნელობა აქვს. მისგან კეთდება ავეჯი, ხმარობენ ბაღ-ბოსტანში სარებად და სხვა.

ტექნიკური კულტურები

ტექნიკურ კულტურებად ითვლება ისეთი მცენარეულობა, რომელთა ნაყოფის გადამუშავება ხდება ფაბრიკა-ქარხნებში და აქ იმ ნაყოფისაგან ღებულობენ სხვადასხვა პროდუქტებს. მასასადამე ტექნიკური კულტურების განვითარებაზე ბევრათ არის დამოკიდებული ჩვენი მრეწველობის მუშაობა და განვითარება. ზოგი ტექნიკური კულტურა შეადგენს ჩვენი იმპორტის თვალსაჩინო ობიექტ და ამიტომ რაც მეტად განავითარებთ ასეთებს, მით უფრო მეტი ვალუტას დავზოგავთ ასეთების იმპორტზე და პირიქით, შეიძლება კიდევეც საექსპორტო პროდუქციის დაზადებაც. ამრიგათ ჩვენი ქვეყანა განთავისუფლდება უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან.

ტექნიკური კულტურებისათვის მიწას კარგ და ამუშავებენ და თან ახოყერებენ მინერალური სასუქით, რაც 2—3 წლის განმავლობაში ნაყოფს ანოყიერებს და დიდ მოსავალს იძლევა. ტექნიკური კულტურების გაშენებას ხელისუფლება ყოველმხრივ დახმარებას უწევს

და ამიტომ ასეთი რაიონები საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს მთლიანი კოლექტივიზაციის ჩატარებისათვის. ტექნიკური კულტურები ბევრად ხელსაყრელია კოლმეურნეობებისათვის, რადგან მთავრობა ამარაგებს მათ მანქანა-იარაღებით და აწვდის გრძელვადიან კრედიტსა და სხვ.

საქართველოში ტექნიკური კულტურების მოვლა უხსოვარი დროიდან იცოდნენ, რადგან მისი ჰავა და ნიადაგი საამისოდ მეტად ხელსაყრელია და მოყვედათ, როგორც საფეიქრო კულტურები, ისე გიმო-კვების კულტურებიც. მაგალითად, ბამბა, სელი, თამბაქო, მზესუმზირა და სხვ.

რადგან საქართველოს და ამიერკავკასიას აქვს მეტად ხელსაყრელი კლიმატური პირობები სხვადასხვა ტექნიკური კულტურების წარმატებით განვითარებისათვის, ამიტომ ეს რაიონი უნდა იქცეს ტექნიკურ კულტურების რაიონად და ძირითადად ნედლეულით უნდა მოამარაგოს ჩვენი მრეწველობა. ტექნიკური კულტურების სათესი ფართობების შემდგომი განვითარება კი გამოიწვევს მარცვლეული მეურნეობის შემცირებას, რისთვისაც საჭირო იქნება მოსავლიანობის მაქსიმალურად გადიდება აგრო-ტექნიკური გაუმჯობესების ნიადაგზე და მთლიანად მემინდვრეობის ინტენსიფიკაციით. ამგრეთვე ტექნიკურ კულტურების რაიონების მარცვლეულით მომარაგება.

სართავ-საქსოვი მცენარეების კულტურები

ბამბა სართავ-საქსოვი (ტექსტილური) კულტურაა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო მეურნეობაში. ბამბა უძველეს დროიდან მოჰყავთ ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში. სახელდობრ: ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში, ეგვიპტეში და სხვ. თუმცა ბიზანტიელები და რომაელები ბამბას იცნობდენ და ალექსანდრე მაკედონელის დროს შემოჰქონდათ ბამბის ქსოვილები ევროპაში, მაგრამ ბამბის კულტურაზე კი წარმოდგენაც არ ჰქონდათ.

ბამბა იზრდება ჩრ. განედის 40 გრ. და სამხრეთ განედის 30 გრ-ის შუა. თუმცა მისი გავრცელების სახღვარი კიდევ უფრო შორის მიდის; მაგალითად, საბჭოთა კავშირში ბამბის კულტურა გავრცელებულია ჩრდილო განედის თითქმის 43—45 გრ-ზე. ბამბის სავეგეტაციო პერიოდი მეტად გრძელია, ის მოითხოვს არა ნაკლებ 200 თბილი დღე-ღამისა და 500—700 მილიმ. ატმოსფერის ნალექებს და სათანადო ნიადაგს. ბამბას უყვარს რაც შეიძლება მეტი მზე, ამიტომ ეგვიპტეში მას „მზის ბავშვს" უწოდებენ. გვალვიან ადგილებში, როგორიც არის საბჭოთა კავშირის შუა აზიის რესპუბლიკები და ამიერკავკასია, კერძოთ კი აღმოსავლეთ საქართველო, ბამბა აუცილებლად მოითხოვს ხელოვნურ რწყვას.

მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ შესძლო ბამბის გადამუშავება სხვადასხვა გაუმჯობესებული მანქანა-იარაღებით, ბამბა გადაიქცა მეტად უნივერსალურ საფეიქრო ნედლეულად. თუ საშუალო საუკუნეებში ბამბის ქსოვილები მისაწვდომი იყო მხოლოდ ევროპის ფეოდალებისათვის და ითვლებოდა ფუფუნების საგნად, მე-18 საუკუნის ნახევრიდან ის სიაფის გამო გახდა ფართო მასების მოხმარების საგნათ. ამას გარდა ქიმიური საღებავების განვითარებასთან დაკავშირებით ბამბის შერევა ხდება შალ-აბრეშუმ-ტილოს ქსოვილებში და ამიტომ ბამბას ეძლევა ასეთი დიდი მნიშვნელობა. გარდა ბოჭკოსა, ბამბის თესლიდან ხდიან ზეთსა, ხოლო ნახადი (ლინტონი) იხმარება პირუტყვის საკვებად.

რევოლუციამდე რუსეთში ბამბა ნახევრად საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. ოქტომბრის დამოკიდებულებისაგან ჩვენი საფეიქრო მრეწველობის განთავისუფლების საკითხმა საბჭ. ქვეყნის წინაშე დასვა ბამბის პრობლემა, რომელიც პირველ ხუთწლედში გადაწყვეტილ იქნა და საბჭოთა კავშირი განთავისუფლდა ბამბის იმპორტისაგან, პირიქით, ამჟამად საბჭოთა კავშირს აქვს შესაძლებლობა ბამბის ექსპორტისა. საბჭოთა კავშირმა უკანასკნელ წლებში ბამბის მოყვანაში მსოფ-

ლიოში მესამე ადგილი დაიკავა (ა. შ. შტატები, ინდოეთი და საბჭ. კავშ.).

საქართველოში ადგილობრივი საჭიროებისათვის მოსახლეობა ბამბის კულტურას უხსოვარ დროიდან შესდევდა. თანამედროვე ამერიკული ჯიშის ბამბა შემოვიდა გასული საუკუნის 80 წლებიდან. მანამდის კი გავრცელებული იყო სპარსული ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, აზიური ჯიშის ბამბა.

დაწყებული მე-19 საუკუნიდან საქართველოში ბამბის სათესი ფართობები თანდათან მცირდებოდა იმის გამო, რომ რუსეთის იაფი და მაღალი ღირსების ფაბრიკული ნაწარმოები დევნიდა ადგილობრივ შინამრეწველობას. რუსეთის საფეიქრო მრეწველობა მე-19 საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლამდე თითქმის ამერიკის ბამბაზე მუშაობდა. 80 წლებში მოსკოვისა და პოლონეთის მრეწველები იწყებენ ამიერ-კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში შემოჭრას ამერიკული ბამბის კულტურით და ახერხებენ ამ კულტურის განვითარებას მეტად ყაბალურ პირობებში (ბამბის წინასწარი დაავანსებით, მისი ჩალის ფასად ხელში ჩაგდებით).

როგორც მთელ ამიერ-კავკასიაში, ისე საქართველოში ბამბის კულტურა ინდივიდუალურ მეურნეობებში იყო გავრცელებული. საქართველოში კი მეტად უფრო წვრილი ბამბის მეურნეობა იყო, რომელთა ფართობი თითოეულ მეურნეზე ½ ჰექტარს არ აღემატებოდა. ბამბის ცოტად თუ ბევრად მოზრდილი პლანტაციები დიდ გამონაკლისს შეადგენდა და თუ ასეთები იყო, ეს იქნებოდა მემამულეთა ხელში, ყოფ. ბორჩალოს მაზრაში და ყარაიას რაიონში.

მემამულეები კი მეტ შემთხვევაში საბამბე მიწას ანაწილებდენ ჰატარა ნაკვეთებად და ისე აძლევდენ იჯარით გლეხობას, თან სათესლე მასალას მიყიდიდენ კიდევ. გარდა ამისა საქართველოს მებამბეობის ძირითად რაიონებში, როგორც არის აღმოსავლეთ საქართველოში, უმთავრესად ბორჩალო და ყარაიას და რამდენიმედ კახეთი — ესაჭიროება ხელოვნური რწყვა, რო-

მელიც მუდამ მემამულეთა ხელში იყო. ამიტომ სარწყავი წყლის სარგებლობისათვის მემამულე ახდევინებდა მოიჯარადრე გლეხს ქირას, ასე, რომ ბამბის მოსავლის ნახევარი და უარეს შემთხვევაში ორი მესამედი მიჰქონდა მემამულეს.

ბამბას ისეთივე მუშაობა ესაჭიროება, როგორც სიმინდს და კიდევ მეტიც. მას უნდ გათოხნა — მორწყვა.

დასავლეთ საქართველოში ბამბის კულტურა გავრცელებული იყო იმერეთ-სამეგრელოში (ქუთაისის, სენაკის, ვანის, მარტვილისა და სხვა რაონები). დასავლეთ საქართველოს ბამბის კულტურაში ყველაზე მაღლა იდგა დღევანდელი ვანის რაიონი (სოფ. საჩინო).

იმპერიალისტურ ომამდე ბამბის მოსავლიანობა ერთობ დაბალი იყო, ჰექტარზე 240 კილოგრამი მოდიოდა. ყველაზე დაბალი მოსავლიანობით ცნობილი იყო დასავლეთ საქართველო. დაბალი მოსავლიანობა აიხსნება იმით, რომ მიწის დამუშავება იმ დროს ხდებოდა მეტად პრიმიტიული იარაღებით, არ ხდებოდა თესლის დახარისხება, არ იყო თესლბრუნვა და არც რაიმე სასუქით ნიადაგის განოყიერება და ხშირად ერთ და იმავე მიწის ნაკვეთზე ითესებოდა ზედი-ზედ ბამბა, ამიტომ ჰექტარი იძლეოდა მეტად მცირე მოსავალს.

მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმის დროს საქართველოში საკმაო რაოდენობის ბამბის პროდუქცია მზადდებოდა, ბამბის გადამუშავება საესებით არ იყო განვითარებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორიოდე ნახევრად კუსტარული ტიპის ბამბის საწმენდ ჯაჭვ-სართავ ფაბრიკას.

იმპერიალისტურ ომის პერიოდში ბამბის კულტურა როგორც ამიერკავკასიაში, ისე საქართველოში დეგრადაციის გზას დაადგა და მენშევიკების დროს კი სრულიად განადგურდა. მხოლოდ მებამბეობის აღორძინება იწყება საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან. მაგალითად. 1931 წელს ბამბის ნათესების სავრცე ავიდა 21.773 ჰექტარამდე, მაშინ, როდე-

აც იმპერიალისტურ ომის წინა წლებში მისი ფართობი არ აღემატებოდა 8.500 ჰექტარს.

როგორც აღვნიშნეთ, ბამბის მეურნეობამ სწრაფი ტემპით განვითარება იწყო 1923 წლიდან. მას აქეთ ბამბის რაიონებში დიდი მასშტაბით ჩატარებულია სოციალ-ტექნიკური ხასიათის მუშაობა, როგორიც არის სარიგაციო სისტემის მოწყობა, მინერალური სასუქების შეტანა, მუშაობის მექანიზაცია, ბამბის საწმენდი ქარხნების რეკონსტრუქცია და გამსხვილება, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ. მრავალი, რაც უეჭველია, ბამბის მეურნეობების დიდი უმეტესობის ვაერთიანება კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში.

ბამბის კულტურისათვის ვარგისი მიწა საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით, თუ იორ-ალაზნის ველებს მოვრწყავთ, შეიძლება აყვანილ იქნეს 50.000 ჰექტარამდე. რომელიც მოგვცემს 8 მილ. კილოგრამზე მეტ ბამბას და 16 მილ. კილოგრამზე მეტ ბამბის კურკას, რომლისაგან ტფილისის ქარხნებში იხდება საჭმელი და სამრეწველო (საპნის) ზეთი. „უკანასკნელ წლებში საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში შემცირებულ იქნა ბამბის ნათესების ფართობები, რომელიც გამოწვეული იყო დაბალი მოსავლიანობით, რომლის მიზეზს წარმოადგენდა ბამბისათვის არახელსაყრელი კლიმატური პირობები, მოსარწყავი ფართობების შეზღუდული ოდენობა და მუშა-ძალის დეფიციტობა ბამბის რაიონებში (კახეთი და სხვ.), რადგან მუშა-ძალა ამ რაიონებში დაბანდებულია მეღვინეობასა და სხვა უფრო ეფექტიან კულტურების ხაზით“ (მთავრობის მოხსენებიდან).

„მეორე ხუთწლედში ა.-კავკასია უნდა გადაიქცეს საბჭ. კავშირის მეორე მძლავრ სამამბე ბაზად“. საქართველომ ამ რაიონში სათანადო ადგილი უნდა დაიკავოს.

კენაფის, ქენდირისა და რამის მოშენება დაიწყო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, დაახლოებით 1925 წლიდან.

ქენდირი. ქენდირი მრავალწლიანი ბუჩქოვანი მცენარეა და უმთავრესად ხარობს მდინარეებისა და არხების ნაპირებთან, სადაც ნიადაგს მეტი სინესტე აქვს. მისი ღეროს ლაფანი შეიცავს საკმაოდ მაღალი ხარისხის ბოჭკოს, რომლისაგან შეიძლება ბამბის ქსოვილების მზგავსი პროდუქციის მიღება, აგრეთვე მისგან ამზადებენ თევზის საჭერ მშვენიერ ბადეებს და თოკებს. ქენდირი ხარობს 40—50 წელს. თუმცა მისი ღეროები ყოველწლიურად იზრდება და ხმება, ამიტომ ხდება მისი ღეროების გამოყენება. ქენდირი ამოიყრის ხოლმე გაზაფხულზე და ხმება შემოდგომაზე. ქენდირის გადამუშავება ქსოვილებად შესაძლებელია მხოლოდ ქიმიური პროცესების მეშვეობით, რომელიც მოსაბერხებელი გახდა საბჭოთა კავშირში ამ უკანასკნელ ათეულ წლის განმავლობაში.

ქენდირი ცნობილი იყო მეფის რუსეთში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში. ის ყველგან იზრდება. ქენდირი იზრდება ჩინეთშიც, თურქესტანშიც, სპარსეთიაპონიაშიც, იტალია-ამერიკაშიც და სხვ. ქენდირს რგავენ უფრო გაზაფხულზე და მეორე წელიწადს ჰექტარზე უკვე 2 ტონა მოსავალს იძლევა, ხოლო მესამე წლიდან კი 400 ტონაზე მეტს.

საქართველოში ქენდირის კულტურის მოშენება დაიწყეს ქახეთში. ჯერ-ჯერობით მას დიდი ფართობი არ უკავია.

კენაფი. კენაფი საფიქრო მცენარეა და იზრდება 3—4 მეტრის სიმაღლეზე. კენაფი უფრო სუბტროპიკული მცენარეა. ის გავრცელებულია აზიის სუბტროპიკულ და ავრეთვე ტროპიკულ ზონაში, აფრიკაში და ავსტრალიაშიც. კენაფისაგან უმთავრესად აკეთებენ

ტომრებს, შესახვევ ქსოვილებს, თოკს, შპაგატს, ბრეზენტსა და სხვ. ამერიკაში მისგან ამზადებენ ქსოვილებსაც.

საქართველოში კენაფის კულტურა უმთავრესად დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, რომელსაც უკავია რამოდენიმე ათასი ჰექტარი.

რამი. რამი მრავალწლიანი ბოჭკოვანი მცენარეა. რამი იძლევა საუკეთესო ბოჭკოს. რამის ბოჭკოებისაგან დამზადებული ქსოვილები ბევრად უკეთესია ბამბის ქსოვილზე და ძლიერ უახლოვდება აბრეშუმის ქსოვილებს, უკანასკნელს სიმაგრით სჯობს და გარეგნულად წააგავს. რამის სამშობლოდ ჩინეთი ითვლება. რამი გარდა ჩინეთისა ხარობს ინდოჩინეთში და ინდოეთშიც. რამის საუკეთესო რაიონად ა.-კავკასიის მასშტაბით ცნობილია დასავლეთ საქართველო, რომლის ნესტიანი ჰავა რამისათვის ხელსაყრელია. რამის გადამუშავებისათვის საჭიროა რთული მანქანები და ქიმიური ქარხნები, ამიტომ ერთპიროვნულ მეურნეობაში მისი განვითარებისათვის არ არის ხელსაყრელი პირობები. რამის კულტურა ეითარდება ჩვენში საბჭოთა მეურნეობის და კოლმეურნეობების ხაზით. საქართველოში რამის კულტურა გავრცელებულია: ზუგდიდის, ლანჩხუთის, სენაკის, აბაშის, ხობის, ხონისა და სხვ. რაიონებშიც, აგრეთვე აფხაზეთში და აჭარისტანში.

სელი—საბჭ. კავშირის მეტად გავრცელებული ტექნიკური მცენარეა. სელი ზომიერ სარტყლის მცენარეა და ის გავრცელებულია მთელ ჩრდილო ევროპაში და ამერიკაშიც. მაგრამ მეფის რუსეთი მსოფლიო სელის მოსავლის ¾ იძლეოდა. რუსეთის სელზე იყო დაყარებული ინგლისის და ნაწილობრივ გერმანია-საფრანგეთის ტილოს მრეწველობა. საბჭ. კავშირში გავრცელებულია უმთავრესად ორი ჯიშის სელი: „კუდრავაში“, უმთავრესად ზეთისათვის და „დოლგუნეცი“ უფრო მეტად ბოჭკოსათვის. სელი ითესება საქართველოს შემდეგ რაიონებში: ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდა-

ნოვის, გორის, ტოლოშის, ტფილისის, წალკისა და სხვ. მის ფართობს 1931 წელს ეკავა 1725 ჰექტარი.

ლუფა — ერთწლიანი მცენარეა. იგი უფრო კიტრს ემზგავსება და ჩვენში ითესება შავი ზღვის რაიონში, სადაც მას 1931 წელს ეკავა 175 ჰექტარი: უფრო მეტად სთესავენ ბათუმის და სოხუმის მიდამოებში, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც. მისგან ღებულობენ საკუდე მასალას და ზოგი ჯიშიდან ღრუბლის მზგავს ნივთიერებას, რომელიც ბანაობის დროს იხმარება. აღნიშნული კულტურა მეტად დიდი შემოსავლიანია.

ახალ მცენარეებიდან აღსანიშნავია აგრეთვე **არახისი.** არახისი ერთწლიანი მცენარეა, რომელიც ეკუთვნის ცერცვოვანთა ბოტანიკურ ოჯახს. არახისი დიდად ცხიმოვანი მცენარეა, რომელიც შეიცავს ცხიმების 40—50%. არახისი ითესება მხოლოდ და მხოლოდ ზეთის მისაღებად. არახისის გაწმენდილი ზეთი ითვლება მაღალ ხარისხოვან ზეთად, რომელიც საკონდიტრო მრეწველობაში მიდის. უფრო დაბალი ხარისხები კი იხმარება საკონსერვო და საბნის მრეწველობაში. არახისის ზეთის გამოხდის შემდეგ რჩება საუკეთესო ხარისხის **კოპტონი,** რომელიც იხმარება საკონდიტრო მრეწველობაში და აგრეთვე პირუტყვის საუკეთესო საკვებად ითვლება. არახისის ღეროებიც ითვლება პირუტყვის საუკეთესო საკვებად. ამგვარად არახისის კულტურა არის საუკეთესო ბაზა ჩვენი საკონსერვო და საკონდიტრო მრეწველობისათვის.

არახისის სამშობლოა ტროპიკული ქვეყნები განსაკუთრებით სამხრეთ ამერიკა და სხვ. არახისი მოყავთ ინდოეთს, ამერიკას, აფრიკას, ჩინეთსა და სხვ. ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში. არახისი ხმელთაშუა ზღვის ევროპის სანაპიროებშიც მოყავთ.

უკანასკნელ წლებში არახისის კულტურა მოყავთ ჩრ. კავკასიაში, ყირიმში და ამიერ - კავკასიაში. საქართველოში არახისის კულტურისათვის საუკეთესო რაიონად უნდა ჩაითვალოს შემდეგი რაიონები: ქუთაისის,

ამტრედიის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, სენაკის, ხონის, მარტვილის, ლაგოდეხისა და აგრეთვე აჭარისტანი და აფხაზეთი.

1931 წელს არახისის ნათესებს ეკავათ 1.401 ჰექტარი, აქედან საბჭ. მეურნეობაში 345 ჰექტ. და კოლმეურნეობაში 1.041 ჰექტ.

შაქრის ჭარხალი

შაქრის ჭარხლისაგან კეთდება შაქარი. საქართველოში შაქრის ჭარხლის კულტურა გავრცელდა უკანასკნელ წლებში; როგორც ლაბორატორიული გამოკვლევით, ისე საქარხნო წესით დამტკიცებულია, რომ საქართველოს ჭარხალი შეიცავს გაცილებით მეტ შაქარს, ვიდრე საბჭოთა კავშირის რომელიმე რაიონის. შაქრის კულტურა ჩვენში ძირითადად გაშენებულია სტალინისის რაიონში სოფ. აგარაში და ნაწილობრივ კასპისა და გორის რაიონებში. აგარის შაქრის ჭარხანა ჯერ-ჯერობით ძირითადად უზრუნველყოფილია ჭარხლის ნედლეულით, თუმცა ნაწილი ნედლეულისა მოდის ლენინაკანის რაიონიდან. ჭარხლის მოსავალი ერთ ჰექტარზე უდრის 100—150 ცენტნერს. აღნიშნულ რაიონებში გათვალისწინებულია მიმდინარე ხუთწლედში შაქრის ჭარხლის ნათესების გადიდება იმდენად, რომ უზრუნველყოს აგარის ჭარხანა ნედლეულით. მიმდინარე წელს საქართველოში უნდა დაითესოს ჭარხალი 4.500 ჰექტარის ფართობზე.

კაუჩუკი (სამყე)

კაპიტალისტურ ქვეყნების დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევის მიზნით საჭიროა კაუჩუკის ნედლეულის ბაზის შექმნა, რადგან ამ ნედლეულთან დაკავშირებულია განსაკუთრებით ელექტრო და ავტომრეწველობა. ჩვენში უკვე აღმოჩნდა ველურად მოზარდი ძრავალი კაუჩუკოვანი მცენარე და მის გაშენებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე უფრო აფხაზეთ-აჭარისტანში შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ეკზოტიკური კულტურების, კერძოდ ეთეროვან-ხეთოვანი კულტურების გამენება, რომლებიც იძლევიან ხელფულს საპარფიუმერიო მრეწველობისათვის, როგორიც არის გერანი და სხვ. მრავალი.

მეგოსტნეობა და მეხილეობა

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ შექმნა მსხვილი და წვრილი სამრეწველო ცენტრები, სადაც მუშათა კლასის კულტურული დონე დღითი-დღე იწევს მაღლა და ის მოითხოვს უკეთეს კვებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოსტნეული მცენარე წარმოადგენს ადამიანისათვის ერთერთ საკვებს, რადგან ის შეიცავს უამრავ ვიტამინებს. ამიტომ არის, რომ ადამიანის ორგანიზმი მოითხოვს მწვანილის ხმარებას. მებოსტნეობა არის სოფლის მეურნეობის ყველაზე უფრო ინტენსიური და შრომის ტევადიანი დარგი. ამავე დროს ამ დარგში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მეტად რთული მანქანა-იარაღები და აგრონომიის მეცნიერების მიღწევები (თესლთაბრუნვა, სასუქები, დამუშავება, დამატებითი მორწყვა, ელექტროფიკაცია და სხვ. მრავალი). მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს შესაძლებლობა აქვთ გადაწყვეტონ მსხვილი და ტექნიკურად სრულყოფილი საბოსტნე მეურნეობის საკითხი. ჩვენი ინდუსტრიალური ცენტრები მოითხოვენ საგარეუბნო მებოსტნეობის განვითარებას, რომელსაც პარტია და ხელისუფლება პირველ ხუთწლედის ოკანასკნელ წლებიდან განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა, რათა გააუმჯობესოს მუშათა კლასის კვების საკითხი.

რაიდრი მებოსტნეობის რაიონებად ითვლება ცენტრალური იმერეთის სამკუთხოვანი რაიონი: ჭუთაისი, სად. რიონი და სამტრედია. მებოსტნეობა გავრცელებულია აგრეთვე ტფილისის ირგვლივ (ორთაჭალა, კრწა-

ნისი, სოლანლუღი, მცხეთა, აიშალა, დიღომი და სხვ.) მანგლის-აღბულაღის, ყაიაიის, გარე-კახეთის, გორა-კასპის, ბორჩალოსა და ახალციხე-ახალქალაქის რაიონებში.

საქართველოში მებოსტნეობა-მებაღეობა უხსოვარი დროიდან არის გავრცელებული, თითქმის ყოველ ოჯახს მოეპოვება ცოტა თუ ბევრი ბაღ-ბოსტანი. სასაქონლო ხასიათის მებოსტნეობა-მებაღეობა იწყებს განვითარებას პირველ ხუთწლედში, როცა საშრეწველო ცენტრები მოითხოვს სოფლებისაგან მეტსა და მეტს საკვებ პროდუქტებს. ზოგიერთ რაიონებში სამრეწველო ხასიათი მებოსტნეობა განვითარდა უკანასკნელ წლებში, რომლებიც თავის პროდუქციას აწვდის განსაკუთრებით ქ. ტფილისს, ბაქოს და საწილობრივ, უფრო კი ნაადრევი და ნაგვიანები პროდუქტებს, საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალურ ცენტრებს (მაგალითად, საადრიო კოშბოსტოს, მარწყვს, პანიდორს, კიტრისა და სხვ. მრავალს). მებოსტნეობას უკანასკნელ წლებში დაემატა ამერიკიდან გადმოსული კართოფილის მსგავსი ბატატის კულტურა და სხვ.

უკანასკნელ წლებში ბოსტნეულ კულტურების ფართობი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც შემდეგი ცხრილა გვიჩვენებს.

(ფართობი ჰექტარით)

წლები	სულ		მათ შორის			
			საბჭ. მეურნ.		კოლმეურნეობ.	
	მებოსტ.	კართ.	მებოსტ.	კართ.	მებოსტ.	კართ.
1931 . . .	14 700	18.127	1.989	85.4	3.81	4.395
1932	17.329	16.71	3.320	1.131	4.125	3.715
1933	22.414	18.134	4.786	1.246	4.864	3.790

ზოსტნეულის კულტურის პროდუქციის ზრდა აქვს მოყვანილ ტაბულიდან სჩანს:

(საერთო პროდუქცია ტონობით)

წლები	სულ		მათ შორის			
			საბჭ. მეურნ.		კოლმეურნეობ.	
	მებოსტ.	ყართ.	მებოსტ.	ყართ.	მებოსტ.	ყართ.
1931	17.101	123.451	9.389	5.181	3.816	27.912
1932	17.329	104.026	3.320	5.843	4.125	23.215
1933 . . .	22.414	106.687	7.786	6.912	4.863	22.398

მეხილეობა განვითარებულია უფრო აღმოსავლეთ საქართველოში, თუმცა ასევე საქართველოში შემოდის უფრო ნაადრევი ჯიშის ხილი, მაგრამ ეს ხილი დაბალი ღირსებისაა: მაღე, წყლიანი და ნაკლებ არომატიანი. აქედან განირჩევა: ატამი, ლეღვი და ქლიავი. ვაშლით განთქმულია რაჭა-ლეჩხუმის, ზემო-იმერეთის და ოკრიბის რაიონები, სადაც საუკეთესო და მეტად გავრცელებულ ჯიშებად ითვლება თურაშაულის და აბელაურის ვაშლი. გურია-სამეგრელოს ხილიდან განთქმულია ტრაპიზონის და ბერძნული თხილი.

აღმოსავლეთ საქართველოში სამრეწველო მეხილეობის რაიონებად ცხობილია ქართლი (გორის, კას ისა და დუშეთის რაიონის სამხრეთ ნაწილი), სადაც მისდევენ გვიანდელ ვაშლის და მსხალის ჯიშებით გამოვლენას.

ქართლს პირველი ადგილი უკავია, როგორც ასორტიმენტის, ისე პროდუქციის მიხედვით. რაც შეეხება ამ ლაზის რაიონს, ის განსხვავდება მით, რომ ამ რაიონში გავრცელებულია ისეთი ჯიშები, რომლის შენახვა

შესაძლებელია ზაფხულამდის და რომელიც ადვილად იტანს ტრანსპორტს, ამიტომ ის უფრო საექსპორტო ობიექტია.

აჭარისტანის (ბათუმის რაიონში) და აფხაზეთის მებაღეობა შესანიშნავია მით, რომ გარდა ჩვეულებრივი ხილისა აქ გაშენებულია სუბტროპიკული ხილი (თურინჯი, ნარინჯი, ზეთის ხილი და სხვ.).

მებაღეობის და მებოსტნეობის დარგში უკანასკნელ წლებში მეტად სწრაფი ტემპით იზრდება კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის სექტორი, სადაც მოწყობილია სანერგე და სათესლე ფართობები. მაგალითად. გორის რაიონში მოწყობილია 2 სანერგე: სკრასა და მერეთში, სადაც მზადდება ნამყენი კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეობისათვის დასარიგებლად.

საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე, გარდა მაღალი და ცივი მთებისა, შესაძლებელია მებაღეობის განვითარება, რომელიც მოსახლეობას მისცემს უდიდეს შემოსავალს და ხილით მოამარაგებს საბჭ. კავშირის ჩრდილო რაიონების ინდუსტრიალურ ცენტრებს. როგორც საბჭოთა კავშირის დიდი მეცნიერი **მიჩურინი** აღნიშნავს, საქართველო უნდა გადაიქცეს საბჭოთა **ფლორიდად** და **კალიფორნიად**, რისთვისაც გააჩნს ყოველგვარი პირობები.

მევენახეობა და მეღვინეობა

მევენახეობა ითვლება სოფლის მეურნეობის ერთერთი უძველეს კულტურად. სამწუხაროდ, მევენახეობის განვითარება განსაზღვრულია კლიმატური საზღვრებით. ის ვერ სცილდება ჩრდილო განიდის 50° და რამდენადაც ის უკიდურესს საზღვარს უახლოვდება, იმდენად მდარე ხარისხისა იცის.

საქართველოში მევენახეობა უხსოვარი დროიდან არის გავრცელებული, რის თავდებია ეკლესია-მონასტრებზე და კიდევ უფრო ძველ ისტორიულ ნაშთებზე ვაზის გამოხატულება და მრავალ არქეოლოგიურ განათ-

ხრებში ნაპოვნი, ჭურჭელი და სხვა ასეთი ჭურჭლები.

მეღვინეობა, როგორც ინტენსიური კულტურა, შრომის დიდი ტევადობისა, მაგრამ სამაგიეროდ დიდი სამეურნეო ეფექტისაა. ვაზს უყვარს მზიანი, ქარისგან დაცული ადგილი და ფხვიერი ნიადაგები. ასეთი ნიადაგები კარგად თბება მზისაგან და თან საკმაო სინესტეც აქვთ. ვაზისათვის საუკეთესოთ ითვლება ქარებისაგან დაცული სამხრეთი ანუ სამხრეთ აღმოსავლეთი ფერდობები.

თუმცა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (რაიონში) ვაზი ხარობს, მაგრამ მისი ხარისხი კი სხვადასხვაა.

საქართველოში მევენახეობასთან ერთად განვითარებულია მეღვინეობაც, რაც შეიცავს გარდა ღვინის დაწურვისა სხვადასხვა ხარისხის ღვინისა და სპირტკონიაკის და შამპანურის დამზადებას.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობანი (ყოფ. საუფლისწულო მამულები), როგორიც არის **ნაფარეულის, წინანდალის, კარდენახის, შუკუზანის, მანავის, ურიათუბანის, ვარციხისა** (რმერეთში) და სხვ., სადაც ვაზის მოვლა, ყურძნის დაწურვა და ღვინის დაყენება სწარმოებს მეღვინეობის მეცნიერული წესებით.

აღმოსავლეთ საქართველოში მევენახეობის და მეღვინეობის საუკეთესო რაიონებად ითვლება თელავის, სიღნაღის, გურჯაანისა და ყვარელის რაიონები. სპეციალისტების მტკიცებით კახეთის ღვინოები, განსაკუთრებით წითელი ღვინო („საფერავი") არასფრით არ ჩამოუვარდება ევროპაში განთქმულ საფრანგეთის ბორდოსა და ბურგუნდიის ღვინოებს, თუ კარგად იქნება დაყენებული. კახეთში ცნობილია მეტად ძვირფასი და სურნელოვანი ღვინის შომცემი ჯიშები: **რქა წითელი, საფერავი** და **მწვანე**. მიუხედავად იმისა, რომ ღვინის დამწიფება ჯერ კიდევ დაბალი ტექნიკით ხდება, მაინც კახური ღვინოები განთქმულია მთელ საბჭოთა კავშირში გემოთი, ბუკეთით და საკმაო სიმაგრით (12—13° და მეტიც).

გარდა კახეთისა აღმოს. საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა გავრცელებულია ქარფლში და ბორჩალოში. ქართლის მევენახეობა, ამჟამად ფილოქსერის მიერ განადგურებულია, მხოლოდ მევენახეობა შერჩა ატენის ხეობას, სადაც მშვენიერი სუფრის თეთრი ღვინო მოდის, აგრეთვე სოფ. ხიდისთავის (გორის რაიონი) ღვინოც კარგი ხარისხისაა. ქართლის მევენახეობაში ყველაზე მაღლა სდგას მუხრანის მევენახეობის რაიონი, სადაც სასოფლ. სამ. ინსტიტუტის მეურნეობაა და საკმაოდ კარგი ხარისხის ღვინოები დგება.

აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობაში ყურადღების ღირსია ბორჩალოს, შულავერისა და ეკატერინოფელდის (გერმანელთა კოლონია) მეღვინეობა, სადაც გერმანელები ევროპულად აყენებენ ღვინოს.

გარდა ამ რაიონებისა ავღნიშნავთ გარე-კახეთისა და ტფილისის რაიონის მევენახეობას, რომლებიც ძლევიან დაბალი ხარისხის ღვინოებს.

დასავლეთ საქართველო გაცილებით მეტ ღვინოს აყენებს, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველო, მხოლოდ ხარისხის მხრივ უფრო დაბლა სდგას.

დასავლეთ საქართველოში მეურნეობის რაიონებია: ზემო-იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი. მევენახეობა აგრეთვე რამოდენიმედ გავრცელებულია ქვემო-იმერეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში და გურიაშიც. იმერეთში ეზის საუკეთესო ჯიშებად ითვლება: ციცქა, ცოლიკური, კრახუნა, ალადასტური, საფერავი. ეს ჯიშები საუკეთესო ღვინოს იძლევიან. გარდა ამ ჯიშებისა დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია ფრანგული ჯიშები: „ალიგოტე“ (თეთრი), „კაბერნე“ (წითელი), მადლენა-ანჯელინი, შასლა-დორე და ალექსანდრიის მუსკატი.

რაჭაში შესანიშნავია ალექსანდროული—ხვანჭკარას (ყიფიანის) ღვინოთ წოდებული. მეტად ტკბილი წითელი ღვინო. გურიაში—ჩხავერი საკმაოდ სასიამოვნო ღვინოს იძლევა.

სამეგრელოში: პანეში, ადესა — იზაბელა და აგრეთვე განთქმული ოჯალეში, რომელიც ამჟამად ძლიერ ცოტა მოიპოვება.

დასავლეთ საქართველოში მევენახეობაში გამეფებულია ჯერ კიდევ ორი სახის მევენახეობა: **მაღლარი** და **დაბლარი**. მაღლარი — გურია-სამეგრელოში და აფხაზეთში, როდესაც ვაზი ხეზეა გაშვებული. დაბლარი კი უმთავრესად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში და აგრეთვე დასავლეთ საქართველოში ზემო და ქვემო იმერეთში, სადაც ნამყენი ვაზია გაშენებული.

დასავლეთ საქართველოში ერთ ჰექტარზე ციცქა-ცოლიკოურის ვაზმა იცის 300—400 ვედრო ღვინოს მოსავალი.

„... გვაგონდება ის პირობები, რომელშიაც ჩვენი ქვეყნის მევენახეობა იმყოფებოდა საქართველოში საიმპოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის. ჩვენ ხელთ მრავალი მასალებია, რომლებიც ცხადყოფენ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგთა შორის თითქმის არც ერთი დარგი ისე სასტიკად არ დაზარალებულა, როგორც 1914—1921 წლებში მევენახეობა დაზარალდა.

ომის წინა წლებში საქართველოს ვენახების ფართობი უდრიდა 49.000 ჰექტარს, 1921 წელს კი ეს ციფრი დავიდა 37.000 ჰექტარამდე. ამაგე დროს აღსანიშნავია, რომ გადარჩენილი ფართობის საგრძნობი რაოდენობაც უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა“ (პროფ. ს. ჩოლოყაშვილის წერილი გაზ. „კომუნისტი“ 24 ოქტომბერი—34 წ.).

მევენახეობის ასეთი შემცირება გამოწვეული იყო, ერთი მხრით, ღვინის ფასის დაცემის გამო, რადგან საქართველო მოწყდა რუსეთის ბაზარს და, მეორე მხრით, ფილოქსერით, რომლის საწინააღმდეგოთ მენშევიკური მთავრობა თავს არ იწუხებდა.

„დამახასიათებელია მენშევიკების ბატონობის დროს ერთი ასეთი ფაქტი: კახელ მევენახეთა ერთიერთმა კოოპერატიულმა ამხანაგობამ „კავშირთ-კავშირმა“ გადას-

წყვიტა თავისი ინიციატივით და ხარჯით ამერიკულ ვაზის სადედეს მოწყობა, რადგან ხედავდა ქარზე მომდგარ კრიზისს; მიწათმოქმედების სამინისტრომ ნაცვლად ყოველმხრივი დახმარებისა, ორი წლის განმავლობაში გააჭიანურა ეს საკითხი" (იხ. პროფ. ს. ჩოლოყაშვილის წერილი გაზ. „კომუნისტი" 24 ოქტ.—34 წ.). ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე გაშენებულია მრავალი ამერიკული ვაზის სადედე. დაარსებულია მევენახეობის მეცნიერულ კვლევითი ინსტიტუტი, უმაღლესი სას. სამეურნეო სასწავლებლები და მეევენახეობის ტექნიკუმები, რომლებიც ყოველწლიურად ასეულ მევენახე-აგრონომებს უშვებენ.

საქართველოს ევენახეობა შედარებით ნელი ტემპით იზრდება; ქვემოთმოყვანილი ცხრილა გვიჩვენებს მევენახეობის დინამიკას:

(ჰექტარობით)

წლები	სულ	მათ შორის		
		საბჭ. მეურნ.	კოლმეურნ.	ინდივ. სექტ.
1931 . . .	39.305	1.482	4.186	33.637
1932 . . .	39.189	1.854	4.327	33 003
1933 . . .	39.591	2.110	4.513	32.968
1934 . . .	39.954	2.247	4.035	33.074

ფართობის მცირეოდენი ზრდა ამ წლების განმავლობაში გვაქვს მხოლოდ საბჭოთა მეურნეობის და კოლმეურნეობების სექტორებში. ინდივიდუალურ სექტორში, სადაც თავმოყრილია ვენახების 85%, უკანასკნელ წლებში ადგილი აქვს შემცირებას.

ვენახების მოსავლიანობა ამ წლების განმავლობაში რჩება თითქმის სტაბილური — დაბალ დონეზე (3—4 ტონა 1 ჰექტარზე) და ამიტომ საერთო პროდუქციაც მნიშვნელოვან გადიდებას არ იძლევა.

საერთო პროდუქცია ტონობით

წლები	სულ	მათ შორის		
		ინდივ. სექტ.	კოლმეურნ	სახმ. მეურნ.
1931 . .	146.741	2.469	13.422	130.850
1932 . . .	153.661	3.817	15.143	134.701
1933 . . .	155.740	4.365	16.475	134.900
1934 . . .	157.061	4.815	16.921	135.325

მევენახეობის სასაქონლო პროდუქციის მთავარი დამამზადებელია საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობის ტრესტი. მის ხელშია მოთავსებული ამ პროდუქციის გადამუშავებაც. ტრესტის მიერ დამზადებული და გადამუშავებულია მევენახეობის შემდეგი პროდუქცია (ღვინოზე გადატანით):

	(დეკალიტრობით)
1931	1.354.325
1932	1.537.619
1933	1.682.666
1934	1.391.628

(1934 წ. 10 ნოემბრისათვის) (მთავრობის მოხსენებიდან).

აქ ჩვენ უნდა მოვიყვანოთ საკავშირო სახკომსაბჭოს 1934 წლ. 2 ივლისის დადგენილება მებაღეობა-მევენახეობის განვითარების შესახებ ჩვენში, რომელიც მევენახეობის დარაიონებას შეეხება.

„აღინიშნოს, რომ რაიონები და მიკრორაიონები, რომლებშიაც მეხილეობა და მევენახეობა უნდა იყოს აღიარებული ძირავარ (წამყვან) კულტურებათ იმ მიზნით, რომ სოფლის მეურნეობის სხვა კულტურები ასეთ რაიონებში არ იყვნენ ხელშემშლელი მებაღეობის და მევენახეობის განვითარებისათვის".

საქართველოს აქვს უდიდესი შესაძლებლობა მეცხოველეობის განვითარებისათვის, რადგან მისი ბუნება, განსაკუთრებით კახეთში და ზემო-იმერეთში, ითვლება საუკეთესოდ მეცხოველეობისათვის მთელ საბჭოთა კავშირში. საქართველოში შეიძლება გაიშალოს კიდევ უფრო ფართოდ საშვილე ანუ სუფრის ყურძნის ჯიშების გაშენება, რომელიც მოამარაგებს ამ ძვირფასი პროდუქტით საბჭოთა კავშირის ინდუსტრიის ცენტრებს. მეცხოველეობის შემდეგი ფართობები აუცილებლივ უნდა გაშენდეს სოციალისტურ სექტორში, სადაც ფართოდ იქნება გამოყენებული ყოველგვარი მანქანა-იარაღები, სასუქები და სხვ.

ირიგაცია და მელიორაცია

თუმცა საქართველოს მრავალი ადგილი დაჭაობებულია, მაგალითად, როგორც კოლხიდის დაბლობი, ბორჩალოს ნაწილი, ქარელის ვაკის ნაწილი, ალაზნის მარცხენა ნაპირი და სხვა მრავალი, მაგრამ მდინარეები მაინც არ არის თანაბრად განაწილებული სხვადასხვა რაიონებში. აგრეთვე ატმოსფერის ნალექები არა თანაბრად განაწილებულია წლების განმავლობაში, ამის გამო ზოგი ადგილები ზიანდება გვალვისაგან. ჩვენი მდინარეები ისეთ ადგილებში მიმდინარეობენ, რომ ბევრი მათგანის სარწყავად გამოყენებისათვის საჭიროა ძლიერ დიდი ტექნიკური ნაგებობანი, რაც მოითხოვს უამრავ თანხებს.

მართალია საქართველოს ბევრ კუთხეში გაყვანილია სარწყავი არხები, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ვარგისი მიწები ურწყაობის გამო გამოუყენებელი რჩება. აქედან ცხადია, რომ საქართველოში ხელოვნური რწყვა ჯერ საკმაოდ განვითარებული არ არის. საამისო პირობები კი არსებობს. მაგალითად, მდინარეები მაღალ მთა-გორიანი ადგილიდან ვაკისზე ჩამორბიან და მათი განაწილება მთელი ვაკის სივრცეზე არც ისე ძნელი ტექნიკური საქმეა. ზოგი მათგანი სარგებლობის მაგი-

რად მოსახლეობას უამრავ ზარალს აყენებს, განსაკუთრებით ეს ზღება ზაფხულობით და გაზაფხულზე, როდესაც ადიდებული მდინარეები წალეკავენ ხოლმე არა თუ სახნავ-სათეს მიწებს, არამედ ბაღ-ვენახებს და ხშირად სახლ-მიდამოებსაც თან მიაყოლებენ.

სარწყავი მიწის სიმცირის გამო მოსახლეობას უხდება ურწყავი მიწების დამუშავება.

წყალს საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ის არის არა თუ ბუნებრივი მორწყვის, არამედ ხელოვნური მორწყვის წყარო, ურომლისოდაც საქართველოს ბევრ ადგილას (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში) არავითარი კულტურა არ მოვა. უამრავი სარწყავი არხები ქსელის საშუალებით წყალი არა თუ აცოცხლებს მიწას, არამედ ის ადნობს ზოგ ადგილებში მლაშე ნიადაგებს და თან შეაქვს საკვები ნივთიერებანი. საქართველოს ბევრი რაიონის სასოფლო-სამეურნეო სიმძლავრე, განსაკუთრებით მისი მიწათმოქმედება, განიზომება სარწყავი წყლის რაოდენობით. სწორედ სარწყავი წყლის განაწილების და მოხმარების მოსაგვარებლად დაარსებულია სხვადასხვა გვარი ორგანიზაციები.

საქართველოს ზოგ ნაწილში საირიგაციო სისტემა მოეწყო მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ასეთი საინჟინერო-საირიგაციო სისტემა მოწყობილ იქნა ყარაიაზის ველზე, რომლის მეშვეობით ირწყვება ბამბის ნათესების და მარცვლეულთა სივრცეები.

საირიგაციო არხები გაყვანილ იქნა დასავლეთ საქართველოშიც ხონისა და .სამტრედიის რაიონში.

ირიგაციას მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენში. მას ყოველთვის ექცეოდა ყურადღება. მაგრამ იმდენი თანხები, რამდენსაც საბჭოთა ხელისუფლება ხარჯავს ირიგაციაზე, არც ერთი ხელისუფლების დროს არ დახარჯულა.

გარდა საირიგაციო სამუშაოსა საქართველოში არის მრავალი ადგილი, სადაც საჭიროა სამელიორაციო მუშაობა. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში კოლხი-

დის დაბლობს, რომელსაც უკავია დაახლოვებითი გამოანგარიშებით 225.000 ჰექტარი, ესაჭიროება დაშრობა. კოლხიდის ჭაობის დაშრობას აწარმოებს „კოლხიდმშენი“ უკვე რამოდენიმე წელია. დღემდე კოლხიდის დაბლობში დაშრობილია და მალე ექსპლოატაციაში შევა 17.500 ჰექტარზე მეტი ფართობი. ამ რაიონში არსებობს ხელსაყრელი პირობები სხვადასხვა სუბტროპიკულ კულტურათა გავრცელებისათვის. მაგალითად: ციტრუსები, გერანი და სხვა ეთეროვანი მცენარეები, დეკორატიულ მებაღეობა-მეყვავილეობა, არახისი (მიწის თხილი), სოია, ლუფა, რამი, კენაფი, ახალ. ზელანდიის სელი, ევკალიპტი. ტუნგო და სხვა მრავალი; ასეთი დაჭაობებული ადგილები საქართველოს სხვა კუთხეებშიაც ბევრია. ყველა ეს მოითხოვს დიდ თანხებს.

საბჭოთა საქართველოში მოინახება 522.000 ჰექტარზე მეტი მიწა, რომელსაც ესაჭიროება ხელოვნური რწყვა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში გაყვანილ იქნა შემდეგი არხები: ალაზნის არხი, ტირიფონის არხი, დიდუბე-გრაკალის არხი, არხი „როზენფელდი“, სკრა-ქარელის არხი.

ალაზნის არხი გაყვანილია საბჭოთა ხელისუფლების მიერ. მისი სიგრძე 82 კილომეტრია. ის იწყება სოფ. ტოლნიანის ბოლოს (წინანდალის რაიონში), მიდის ცივ-გომბორის კალთებზე და სად. წნორის წყალთან უახლოვდება რკინისგზას, შემდეგ შირაქის მაჰარ-თულებით ჩადის ალაზანში. ამ არხით მოირწყვება ალაზნის ველის საგრძნობი ნაწილი, მარჯვენა ნაპირი, დაახლოვებით 44.000 ჰექტარი. გარდა მორწყვისა ალაზანზე შენდება ჰიდრო სადგური 7.000 ცხენის ძალიანი, რომელიც მოახდენს შიგა კახეთის ელექტროფიკაციას, მექანიკური ნადგომებით შესაძლებელი გახდება ზეგანი ადგილების მორწყვა, რომელთა სიერცე 6.000 ჰექტარს აღემატება. აგრეთვე ეს არხი მიაწვდის სასმელ და სამრეწველო წყალს შირაქის ნაეთის სარეწაობს და მთელ შირაქს.

ალაზნის ველის წრუული ირიგაციის ჩატარების შემდეგ უკანასკნელის მოსავლიანობა უნდა გადიდდეს 400-500 %-დე.

მეორე უდიდესი სარწყავი სისტემაა ჩვენში ყარაიას არხი, რომელიც გაყვანილია 1864-67 წ.წ.

ყარაია მდებარეობს ქ. ტფილისის ქვეით მტკვრის ველზე და უჭირავს 26.370 ჰექტარი სივრცე. უკანასკნელ წლებამდე ირწყებოდა 18.000 ჰექტარამდე. რწყვა სწარმოებს თვით დინებით მთავარ არხიდან, რომლის სიგრძე 20 კილომეტრია, მისი მთავარი ტოტი 5 კილომეტრია და 16 განმანაწილებელი არხის სიგრძე უდრის 111 კილომეტრს. მთავარი არხი გაყვანილია მდ. მტკვრიდან და მთელი რიგი საგუბარებით წყალი ყარაიას ტბაში გროვდება. ამ ველზე მოდის საუკეთესო ბამბა, რადგან ყარაიას ველი ეკუთვნის მზით მდიდარ რაიონს, რომელსაც აქვს ფრიად ცხელზაფხულიანი მშრალი ჰავა. წვიმები იშვიათად იცის და წლიური ატმოსფერის ნალექების რაოდენობა უდრის 420 მილიმეტრს. გარდა ბამბისა ყარაიას ველზე ითესება სხვადასხვა ბოსტნეული ქ. ტფილისის გამოსაკვებად. ამრიგად ყარაიას ველს აქვს ტფილისისათვის უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა. როგორც სასოფლო-სამეურნეო უახლეს რაიონს.

მესამე დიდ საირიგაციო სისტემას ეკუთვნის ტირიფონის არხი.

ტირიფონის არხი გაყვანილია საბჭოთა ხელისუფლების მიერ, რომელიც იწყება ქართლის ზედა ნაწილში სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის საზღვრებში ქ. სტალინირთან და მიდის მეჯვრისხევის რაიონისაკენ. იგი ღებულობს წყალს მდ. დიდი ლიახვიდან, მიდის აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ და სოფ. ქვემო ჭალაზე გაევლით ჩადის მდ. ლეხურაში. მისი სიგრძე 41 კილომეტრს უდრის; ტირიფონის არხმა უნდა მოარწყას 27.000 ჰექტარზე მეტი ფართობი, მაგრამ ჯერ-ჯერობით წყალი ყველგან არ არის მიყვანილი.

ტირიფონის ველი წარმოადგენს შეტად ძვირფასს რაიონს, სადაც სრული წარმატებით გაჩაღდება ძვირფასი მეხილეობა, რომელიც მოგვცემს უძვირფასესს ვაშლს, მსხალს, ატამსა და სხვა ხილებს; ეს არა თუ დააკმაყოფილებს საქართველოს და ა.-კავკასიის ბაზარს, არამედ მისცემს ჩვენს ქვეყანას დიდძალ საექსპორტო პროდუქციას. ამ რაიონმა უნდა დაუმზადოს ხილი გორის საკონსერვო ქარხანას და უნდა უზრუნველყოს როგორც შინა მოთხოვნილება, ისე ექსპორტიც. გარდა მეხილეობისა ამ ველზე შესაძლებელია დიდი წარმატებით სამრეწველო მებოსტნეობა, რომელიც მოგვცემს მაღალ ხარისხოვან პროდუქტებს; აქვე უნდა გაფართოვდეს მორწყვის საშუალებით მევენახეობა, რომელიც საკმაოდ კარგ ყურძენსა და ღვინოს იძლევა.

აგარის შაქრის ქარხანა ტირიფონის ველმა უნდა უზრუნველყოს ჭარხლის პროდუქციით. ამ ველის ვარგისი მიწები სავსებით უზრუნველყოფენ ჭარხლის ნედლეულით აგარის შაქრის ქარხანას, თუ ისინი იქნებიან მორწყული, **ეს იქნება ქართლის ველის კალიფორნია.**

არა ნაკლებად დასერილია არხებით დასაველეთ საქართველოს დაბლობი. აქ ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ ყველაზე ძველი საირიგაციო სისტემა მოეწყო ხონი-სამტრედიის რაიონში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში.

მდ. ცხენის წყლიდან სოფ. მათხოჯთან გადმოყვანილ იქნა არხი, რომელიც გაგრძელებულია სამტრედიის რაიონამდე ჯიხაიშის და ღანირ-ჭაგანის ყანებზე გაველით.

ამ არხის სიგრძე აღემატება 23 კილომეტრს. ამ ძველი არხის გარდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაყვანილ იქნა კიდევ შემდეგი მთავარი არხები: **მათხოჯის, ხონის, ჯიხაიშის, ღანირ-ჭაგანის, კულაშისა** და **სამტრედიის**, რომლებიც რწყავენ ქვემო-იმერეთის ჭალას, სადაც ითესება განსაკუთრებით სიმინდი და აგრეთვე მცირე სივრცეებით სოია.

აღსანიშნავია მდ. ყვირილიდან გაყვანილი აჯამეთის არხი, რომელიც რწყავს აჯამეთის ირემს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქვემო-იმერეთის საირიგაციო სისტემას მიემატა კიდევ მდინარე რიონიდან გადაყვანილი ორი მთავარი არხი: მაშველი და პირველი საბჭოთა არხი, რომლებიც რწყავენ ქვემო-იმერეთის ყანებს ქ. ქუთაისის რაიონში. ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო შესასრულებელი, რომ შეეძლოთ ვარგისი მიწების გამოყენება. მუშაობა წარმოებს სამგორის ველის მოსარწყავათ, რომელსაც მორწყავს მდინარე იორიდან გადმოყვანილი წყალი და მით გამოიყენებს ამ ველს ძვირფას კულტურებისათვის, როგორიც არის მევენახეობა-მებაღეობა. შირაქის თვალუწვდენელი ველიც აქნება მოკლე ხანში მორწყული და მით გადიდდება სახნავ-სათესი მიწების ფართობი, როგორც მარცვლოვან კულტურებისათვის ,ისე ბამბისა და სხვა ტექნიკურ კულტურებისათვის. ამრიგად ბუნებრივი საძოვრების ფართობი თანდათან შემცირდება და მის ადგილს დაიჭერს ტექნიკური და სპეციალური კულტურები, აგრეთვე ნათესი საკვები ბალახები, რომლებიც შექმნიან ჩვენი ქვეყნის მესაქონლეობისათვის ძლიერ საკვებ ბაზას.

გარდა აღნიშნულ საინჟენერო საირიგაციო სისტემისა საქართველოს ტერიტორიაზე არის უძველეს დროიდან შემოღებული რწყვა რუებიდან, წყაროებიდან და მდინარეებიდან გაყვანილ ტოტებით.

წყაროები უმთავრესად მოიპოვება მთის კალთებზე ან მთის ძირში. აქედან კი წყლის გადაყვანა ბოსტანბაღებში ძნელ საქმეს არ წარმოადგენს. მდინარიდან წყლის გადაყვანა მაღალ ადგილებში ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს. მაგრამ მოსახლეობამ იცის ეს ხერხი. მდინარეზე მოწყობილია ბორბალი (ჩარხი) ჰორიზონტალურ ღერძზე. ბორბალზე მოწყობილია ჯამები, რომლებიც აივსება წყლით და ასე გადადის ღარის საშუალებით სარწყავ მიწაზე.

რასაკვირველია, ასეთი ღარიბი გადაყვანილი წყალი არ არის დიდი მასის და ამიტომ მისი საშუალებით არ შეიძლება მოირწყოს მოზრდილი სივრცეები. ასეთი ჩარხის წყალით ირწყება უმთავრესად ბოსტნები, ბაღები და მცირე ფართობის ვენახები, აგრეთვე მარცვლეული კულტურების პატარა-პატარა ნათესები.

აფასებდა რა ამ. ლენინი ირიგაციის მნიშვნელობას, ის სწერდა საქართველოს და მეზობელ რესპუბლიკების ხელმძღვანელ კომუნისტებს: **„მორწყვა ყველაზე უფრო საჭიროა და ის ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აალორძინებს მას, დაასამარებს წარსულს და განამტკიცებს სოციალიზმში გადასვლას“.**

მეცხოველეობა

გარდა იმისა, რომ მეცხოველეობა იძლევა ხორცს, რძეს, მატყლს, ტყავს, კვერცხს, ბუმბულს, ფრთას, ე. ი. როგორც საზრდოს, ისე ნედლეულს მრეწველობისათვის, მეცხოველეობას აქვს დიდი მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საბჭოთა ქვეყანაში ხდება სწრაფი მექანიზაცია, ჯერ კიდევ. განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, მუშა საქონელს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, როგორც გამწევ ძალას. გარდა ამისა მეცხოველეობას საბჭოთა კავშირის სინამდვილეში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა თავდაცვის საქმისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთა-გორიან ტერიტორიაზე, სადაც რკინისგზების და აგრეთვე საავტომობილო გზების დიდი ნაკლებობაა.

პირველი ხუთწლედის დასაწყისში მეცხოველეობის საერთო პროდუქცია შეადგენდა სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის 30%, სასაქონლო პროდუქცია კი საბჭ. კავშირის მთელი სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის ნახევარს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მეცხოველეობის პროდუქციაზე მოთხოვნილება შესამჩნევად გაიზარდა. ასე, მაგალითად, 1929 წელს 1913 წელთან შედარებით მუშების მიერ ხორცის მოხმარება გაიზარდა 25%-ით, რძის პროდუქტების 30%-ით.

მეორე ხუთწლედის დამლევს აღნიშნულ პროდუქტებზე მოთხოვნილება გაიზრდება 2-3-ჯერ. მეცხოველეობის მდგომარეობა ჯერ კიდევ ჩამორჩება ამ გადიდებულ მოთხოვნილებას, რადგან საქონლის ჯოგი შემცირებულ იქნა კოლექტივიზაციის გაშლის პერიოდში, როცა სალიკვიდაციოთ განწირულმა კულაკობამ გაანადგურა საქონელი. „ყველაზე უფრო მტკივნეულად გადაიტანა რეორგანიზაციული პერიოდი სოფლის მეურნეობის მეცხოველეობის დარგმა. ამკარაა, რომ, ერთი მხრით, უაღრესი სიმრავლე მსხვილ-კულაკურ ელემენტებისა სოფლის მეურნეობის მიკხოველეობის დარგებში და, მეორე მხრით, გაძლიერებული კულაკური აგიტაცია პირუტყვის დაკვლისათვის, რასაც ხელსაყრელი ნიადაგი ჭონდა რეორგანიზაციის წლებში.

... მატუღლობდა სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების აღმავლობა.ხოლო მეცხოველეობის დარგში ჩვენ გვქონდა უკუღმა პროცესიც კი.—პირუტყვის სულადობის შემცირება და მხოლოდ 1933 წელს, ისიც მხოლოდ მარტო მეღორეობის დარგში, დაისახა აღმავლობის ნიშნები“ (ამხ. **სტალინი**—საკ. კ. პ. (ბ) მე-17 **ყრილობა**).

მეცხოველეობის პრობლემა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონის გაძლიერებით, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების შექმნის გზით.

„მეცხოველეობის საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს მთელმა პარტიამ, ყველა ჩვენმა მუშაკმა, პარტიულმა და უპარტიომ. უნდა გვახსოვდეს, რომ მეცხოველეობის პრობლემა ამჟამად ისთივე პირველი რიგის პრობლემაა, როგორიც იყო გუშინ უკვე წარმატებით გადაჭრილი მარცვლეულის პრობლემა. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ საბჭოთა ადამიანები, რომელთაც აუღიათ არა ერთი სერიოზული დაბრკოლება მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, შეძლებენ აიღონ ეს დაბრკოლებაც“ **(ამხ. სტალინი საკ. კ. პ. (ბ) 17 ყრილ.)**.

ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ დიდი **სტალინის** ამ სიტყვებით და უნდა შევძლოთ ამ ვიწრო ადგილიდან, რაც შეიძლება უმოკლეს დროში გამოსვლა. მეცხოველეობის განვითარება დამოკიდებულია საკვები ბაზის გაფართოებაზე. საკვებ ბაზად იგულისხმება ბუნებრივი საკვები ბაზისი—სათიბები, საძოვრები და საბალახოები, შემდეგ ბალახეულობის თესვა, სილოსი და კონცენტრირებული საკვებ-ხორბლეული (ქერი, შვრია, სიმინდი, ძაძა), ძირნაყოფა მცენარეები (კართოფილი, საკვები ჭარხალი, მიწის ვაშლი), გემოკვების მრეწველობის ნარჩენები—კოპტონი.

ბუნებრივ საკვებით შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივ პირუტყვის კვება, რომლითაც დღემდე ხასიათდება ჩვენი წვრილი გლეხური მეურნეობა; რაც შეეხება კულტურულ ჯიშებს, როგორიც არის ინგლისური მელორეობა, ჰოლანდიური და გერმანული მერძეული საქონელი და სხვ. ასეთების კვება უნდა ხდებოდეს არა მარტო ბუნებრივი, არამედ კონცენტრირებული საკვებით. საბოლოო ჯამში ჩვენ შევძლებთ უმოკლეს დროში მესაქონლეობის რეკონსტრუქციის მოხდენას, როგორიც არის გაუმჯობესებული ჯიშების გამოყვანა: მერძეული და სახორცე საქონლისა. მესაქონლეობის მეტიზაციის მიზნით საქართველოს მესაქონლეობის რაიონებში შექმნილია ზონალური სადგურები და სხვ.

საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობამ მთელი სიმწვავით დასვა საკითხი მეცხოველეობის განვითარების შესახებ, დასახა ამ პრობლემის გადაწყვეტის გზა. მოახდინა მთელი პარტიულ და საბჭოთა მასების ყურადღების მობილიზაცია ამ დარგში, რის შემდეგ 1933 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს მესაქონლეობას დაეტყო აღმავლობა, რასაც ქვემოთმოყვანილ ცხრილში დავინახავთ:

პირუტყვის სულადობის დინამიკას შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს:

პირუტყვის დასახელება	1933 წ. 1/6-სათვის	1934 წ. 1/7-სათვის
1. ცხენი	130.3 2	150.134
2. მსხვილი რქოსანი პირუტყვი (უკამეჩოდ)	1.749.918	1.371.331
მათ შორის: ძროხა . . .	437.414	431.203
3. კამეჩი	150.485	156.352
მათ შორის: ფური კამეჩი .	43.084	43.886
4. ცხვარი	1.221.929	1.286.804
5. ღორი	225.523	304.971
ღორი	295.496	497.573
მათ შორის: მოხრდილი, 9 თვეზე მეტი ხნის .	110.664	143.581

(მთავრობის მოხსენებიდან)

საკვები ბაზის გაზრდის მიზნით ძლიერი ტემპით მიმდინარეობს სათესი ბალახების ფართობის ზრდა; შედარებით ბოლქოვან მცენარეებთან და სასილოსე ნათესებთან, ეს ფართობი 15.276 ჰექტარიდან 1931 წელს გაიზარდა 26.058 ჰექტარამდე 1934 წელს, ე. ი. 10.782 ჰექტარით, ანუ 70,6%-ით, ხოლო ყველა საკვები ნათესის ფართობი გადიდებულია 12.192 ჰექტარით, ანუ 70,4%-ით.

ამის გარდა ჩვენი მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის სახით საქართველოს ს. ს. რ-ის ფარგლებში არსებობს ბუნებრივი სათიბები 189.900 ჰექტარის რაოდენობით, სახაფხულო საძოვრები—740.927 ჰექტ. და სახამთრო—278.764 ჰექტარი.

საზამთრო საძოვრებს ყიშლაღები ეწოდება, საზაფხულოს კი—იალაღები ანუ ალპური საძოვრები. ხელისუფლების მიერ ჩატარებულია საძოვრებისა და სათიბების მოწყობა და განხორციელებულია ღონისძიებანი მათი გაუმჯობესებისათვის.

მესაქონლეობის დარგში შექმნილია საბჭოთა მეურნეობანი:

საბჭოთა მეურნეობის სახელწოდება:	1934 წ 1 იანვრისათვის მთელი სულადობა
კარაქტერისტი (მსხ. რქ. პირუტყვი)	
1. ბაშკიჩეთის	1.612
2. ყარბულაღის	1.063
2. ალბულაღის	461
4. ახალ-ქალაქის	564
5. ბოგდანოვკის	845
	4.545

(მელორეობის ტრესტი (ცხრი)	1934 წ. 1 1-სათვის
1. თელავის	412
2. ლაგოდეხის	2.553
3. გეჯეთის	1.283
4. სენაკის	1,272
5. მახათის	2.468
6. ხორგის	1.104
	9.092

მეცხვარეობის განვითარების საქმეში სამტრესტს აქვს შემდეგი საბჭოთა მეურნეობები:

მეცხვარ. საბჭ. მეურნ. სახელწოდება	სულადობა 1934 წ. 1/1-ის
1. ელდარი	49.538
2. „უდაბნო“	34.253
3. ზონ. სადგურები	20.749
4. „ალაზანი“	5.708
5. „ყარაია“	2.634
	112.882

სამტრესტს აქვს აგრეთვე მსხვილფეხა პირუტყვის ორი საბჭოთა მეურნეობა: ნორიოს და ციხის ჯვარის, სადაც პირუტყვის რაოდენობა უდრის 805 სულს.

მელორეობის დარგშიაც სამტრესტს აქვს სამი საბჭოთა მეურნეობა: შირაქის, ალაზნის და აჯამეთის, სადაც 370 ჯიშიანი დედა ღორია. ცეკაუშირის სისტემაში არსებობს მსხვილი რქოსანი პირუტყვის ორი საბჭოთა მეურნეობა (სოღანლუღის და კაჭრეთის)—1.034 სული საქონლით.

ჯიშიანი მეცხენეობის განვითარების ხაზით საქართველოში არსებობს სამი მეცხენეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც საქართველოს მეცხენეობის სამმართველოს ეკუთვნის.

მეცხოველეობის პროდუქცია 1934 წელს თვალსაჩინოდ გაიზარდა 1933 წელთან შედარებით.

მეცხოველეობის საერთო პროდუქციის დინამიკა:

პროდუქტები	1926/27 წ. უცვლელ ფასებში ათას მანეთობით	
	1933 წ.	1934 წ.
1. ხორცი . . .	13.355,4	14 274,5
2. რძე	16.404,4	16.946,9
3. მატყლი . .	2.485,0	2.582,0
4. სხვა პროდუქ.	14.486,9	15.941,4

ამრიგად მეცხოველეობის პროდუქცია 1934 წელს 1933 წელთან შედარებით გაიზარდა 61 პროცენტით.

მსხვილ-ფეხა საქონელი

საქართველოში გავრცელებულ ჯიშებ ჯერ უკვე ითვლება ორი ჯიში მსხვილფეხა საქონლისა კავკასიის ქედისა და მცირე კავკასიონის.

მთავარ კავკასიონის მთის ჯიში გავრცელებულია კავკასიონის ქედის კალთებზე, სახელდობრ, კახეთისა და ქართლის ზემო რაიონში და მთელ დასავლეთ საქართველოში. ეს ჯიში ტანმორჩილია და ცოტას იწველის.

მცირე კავკასიონის ჯიში გავრცელებულია ტფილისის, კახეთის, ახალქალაქ-ახალციხისა და დუშეთის რაიონში, აგრეთვე ქართლის დაბალ ადგილებში.

ამ ჯიშის საქონელი უფრო წითელი ფერისაა, მსხვილი და მუშაობის მეტი აქტანი.

ამ საქონლიდან აღსანიშნავია ხევსურული ძროხა, რომელიც ტანად მორჩილია, სამაგიეროდ საკმაოდ დიდს იწველის, დღეში, საშუალოდ 8 ლიტრა რძეს იძლევა. არის ისეთი ეკზემპლიარებიც, რომლებიც იძლევიან 10 ლიტრსა და მეტსაც. სხვათა შორის ხევსურული და ოსური ძროხა განთქმულია მთელ საბჭ. კავშირში, დიდ ცხიმიანი რძით 5 პროცენტიდან 7 პროცენტამდე.

ჩვენში ორგვარი მესაქონლეობაა:

მომთაბარე — როდესაც საქონელი საზამთრო საძოვრიდან საზაფხულოზე გადაყავთ. ასეთი მესაქონლეობა გავრცელებულია ქართლ-კახეთის მთიან ადგილებში და ნაწილობრივ სამეგრელოს მაღალ ადგილებში.

ბინადარი — როდესაც საქონელს ადგილობრივ ძოვებავენ, ე. ი. ზამთრობით საქონელს ინახავენ ბზითა, თივითა, ჩალითა და სხვ. საკვებით. ზაფხულობით კი საძოვრებზე. ასეთი მესაქონლეობა გავრცელებულია მესხეთს, ჯავახეთსა და ბორჩალოში, აგრეთვე მთელ იმერეთში და საქართველოს დაბალ ადგილებში. მესაქონ-

ლეობის მხრივ საქართველოში კახეთს პირველი ადგილი უჭირავს, როგორც მსხვილფეხა საქონლის, ისე მეცხვარეობის მოშენებაში. საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მეტია მესაქონლეობა, ვიდრე დასავლეთ საქართველოში.

მეცხვარეობა

საქართველოში მეცხვარეობა ყველაზე უფრო განვითარებულია კახეთში, უმთავრესად მთიან ნაწილში. საქართველოს ცხვრების ადგილობრივ ჯიშებში შესანიშნავია თუშური დუმიანი ცხვარი, რომელიც ყველაზე უკეთეს მატყლს იძლევა და გავრცელებულია სიღნაღის, თელავის, დუშეთის, ხევის (ყაზბეგის), თიანეთის, ლაგოდეხის, ნაწილობრივ ტფილისის და ბორჩალოს რაიონებში.

ეს ცხვარი იძლევა გემრიელ ხორცსა და წელიწადში 3 კილოგრამამდე მატყლს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში თეთრი ფერისაა.

ამ ჯიშის გარდა საქართველოში გავრცელებულია მაზეხი — ტანად დიდია და ბევრ ხორცსა და რძეს იძლევა.

ბოზახი — უფრო სახორცე და მეწველია.

ლეკური — ქირიგი, რომელსაც მატყლის მხრივ მეორე ადგილი აქვს.

იმერული — ტანად პატარა, მაგრამ საუცხოო ხორცის იძლევა.

ოსური — იძლევა კარგ ხორცს.

მეცხვარეობის დარგში საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო დიდი მუშაობა — ერთი მხრით, მეცხვარეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის გამონახვით და, მეორე მხრით, მეცხვარეობის მეტიზაციით. ძირითადად მერინოსის და ჰიურტენბერგის ნაზბეწვიანი მომთაბარე ცხვრის მოშენებით და მათი მეტიზაციით. ამ მხრივ მოაზროვნის მიერ კაპიტალური დაბანდებაა, როგორც საბჭოთა მეცხვარეობის ტექნიკის, ისე საკოლმეურ-

ნეო სასაქონლო ფერმებში 1934 წელს. თხა უფრო გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოსა, სამეგრელოში და სვანეთში.

საქართველოს საძოვრების მეტი წილი იალაღებია, რომლებიც უმთავრესად მოქცეულია ალპურ ზონაში. ამიტომ საქართველოს მეცხვარეობას საბჭოთა კავშირის მასშტაბით ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან ასეთი ალპური საძოვრები იძლევა მეტად დიდ ცხიმოვან რძეს (5—7 %), რომლისაგან კეთდება შესანიშნავი შვეიცარული ყველი. ამით საქართველო განთქმულია მთელ საბჭოთა კავშირში და მას პირველი ადგილი უკავია შვეიცარულ ყველის დამზადებაში. გარდა შვეიცარული ყაიმისა საქართველოს ტერიტორიაზე მზადდება ჰოლანდური და ახალი ტიპის — საბჭოთა ყველი. საქართველოში მისი ტოფოგრაფიული პირობების გამო უფრო მეტი შანსებია ალპური მესაქონლეობის განვითარებისათვის, ვიდრე მაღალი მთები მარცვლეული მეურნეობისათვის არ არის გამოსადეგი და მხოლოდ საძოვრებად შეიძლება მათი გამოყენება. ალპური მესაქონლეობის რძის გადასამუშავებელი ქარხნები მოწყობილია ბაშკიჩეთის, წალკის, ჯავახეთის, ხევისა (ყაზბეგის) რაიონებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონ. ოლქში, სადაც მზადდება შვეიცარული, საბჭოთა, ჰოლანდური და სხვ. ყველი, აგრეთვე ერბო—კარაქი.

კამეჩი — მეტად სასარგებლო ცხოველია საქართველოს პირობებში, განსკუთრებით ფხერი კამეჩის მოშენებას ჩვენში დიდი ყურადღება ეძლევა. როგორც გამწევ ძალას და როგორც მეწველს. კამეჩი ყველაზე უფრო გავრცელებულია კახეთში, სამურზაყანოში და ნაწილობრივ სამეგრელოში. კამეჩის საუკეთესო ჯიშების გამოყვანას შეუდგა საბჭ. ხელისუფლება.

ღორი — ეს ის ცხოველია, რომელიც გარდა შინაური კურდღლისა, ყველაზე სწრაფად მრავლდება და ამიტომ მეღორეობამ უნდა გადაჭრას ჩვენში ხორცის პრობლემა. ჩვენმა ხელისუფლებამ ამ მიმართულებით

უდიდესი ნაბიჯი გადადგა. ერთი მხრით, მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის და საკოლმეურნეო მეღორეობის ფერმების შექმნის სახით, მეორე, ამ ფერმებში მექანიზაციის ფართოდ გაშლით. განთქმული ინგლისური ჯიშების—იორკშირის და ბერკშირის შეჯვარებით ადგილობრივ ჯიშებთან. ამის თავდებია მეღორეობის ტრესტის და სამტრესტის საბჭ. მეურნეობანი. მეღორეობა უმთავრესად განვითარდა კახეთს, იმერეთს, სამეგრელოსა და სამურზაყანოში (აფხაზეთი). იზრდებიან კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ფერმები. დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის პროდუქტიულობას, საუკეთესო ჯიშების გამრავლებას. პარტიის და ხელისუფლების დადგენილება, რომ თითოეულ კოლმეურნეს ყავდეს თავისი ძროხა, ღორი, ცხვარი, ფრინველი—წარმატებით ტარდება ცხოვრებაში. ზემოთმოყვანილი ცხრილი (1933-1934 წ.) თვალსაჩინოთ ამტკიცებს ამხ. **სტალინის** გენიალურ თქმას, „რომ 1934 წელი უნდა გახდეს და, შეუძლია გახდეს გარდატეხის წლად მეცხოველეობის მთელს მეურნეობაში". უმოკლეს დროში ჩვენ შევძლებთ პარტიის გენერალური ხაზის გატარებით და სოფლის მეურნეობაში, საკოლმეურნეო მშენებლობის სწორად გატარებით მესაქონლეობის პრობლემის გადაწყვეტას ისე, როგორც გადავწყვიტეთ მარცვლეულობის პრობლემა.

ამის თავდებია ამ საკითხისადმი უდიდესი ყურადღება პარტიის ცენტრ. კომიტეტის, რაც გამოიხატა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმის 1934 წ. ივნისის სპეციალურ დადგენილებებში მეცხოველეობის შესახებ.

მეფრინველეობა. რადგან საქართველოს ტერიტორიის მეტ ნაწილზე მეტად მოკლე ზამთარი იცის და იშვიათია ყინვები, ამიტომ საქართველოს კლიმატური პირობები ერთობ ხელსაყრელია მეფრინველეობის განვითარებისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ მიიღო ამ მხრივ მთელი რიგი ღონისძიებანი, **საქართველოში ჯერ კიდევ** ძრ არის საკ-

მაოდ განვითარებული მეფრინველეობა, არც რაოდენობის და არც ჯიშების მხრივ. ყველაზე უფრო განირჩევა ქვემო იმერეთი (ხონის და სამტრედიის რაიონები) და სამეგრელოს დაბლობი (სენაკი-აბაშის რაიონი).

სპეციალური კულტურები.

მეფუტკრეობა.

მეფუტკრეობა უძველესი დარგია. მას იცნობდა ჯერ კიდევ ველური ადამიანი და ტყეში თაფლით იკვებებოდა. მას შემდეგ, რაც ადამიანმა დაიწყო ბინადარი ცხოვრება და მოაშენა მის ირგვლივ სხვადასხვა ცხოველები, ბოლოს ფუტკარიც გაიჩინა, მხოლოდ ჩვეულებრივ ფუღუროიან ხეში (გვჯებში). მეფის რუსეთში ეს დარგი თანდათან ეცემოდა დაწყებული მე-19 საუკუნის ნახევრიდან და მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მიეცა მას განსაკუთრებული ყურადღება, ერთი მხრით, ჩარჩოიანი ყუთების შემოღებით, მეორე მხრით, მეფუტკრობისათვის კადრების მომზადებით და ინსტრუქტაჟით და, მესამე მხრით, მოწინავე მეფუტკრეობის ყოველმხრივი წაქეზებით (პრემიებით და სხვ.). რადგან მეფუტკრეობა სახალხო მეურნეობას აძლევს დიდ შემოსავალს, კერძოდ ა. შ. შტატებში მეფუტკრეობა სახელმწიფოს ყოველწლიურად აძლევს 150 ნილიონ ოქრო მანეთის შემოსავალს, ამიტომ მის გავრცელებას უდიდესი ყურადღება ექცევა. ა. შ. შტატების ხელისუფლებამ აფხაზეთიდან წაიყვანა მსოფლიოში განთქმული გრძელ ხორთუმიანი, მშვიდი, ნაცრის ფერი ფუტკარი და გაამრავლა ამერიკაში.

საქართველოს მეფუტკრეობის განვითარებისათვის აქვს მეტად ხელსაყრელი პირობები. საქართველოს ტყეები მდიდარია თაფლოვანი ხეებით (ცაცხვი, შინდი, ნეკერჩხალი და სხვ.), ხეხილის ბაღები, ვენახები, ყვავილიანი ბალახით შემოსილი ალპური მთები და აგრეთვე მინდორ - ველი.

გარდა ამისა საქართველოს ტერიტორიის ზოგიერთ რაიონებში განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში (ფურია - სამეგრელოში და აფხაზეთში) ზამთარი თით-ქის არც კი იცის ან და ზამთრის ცივი პერიოდი სულ დიდი გაგრძელდეს 1—1½ თვე, ამიტომ ამ რაიონში საუკეთესო პირობებია მეფუტკრეობის განვითარებისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ აქ მეფუტკრეობა სუსტია. ფურიის მთიან რაიონში (სურებში) და სამეგრელოს და აფხაზეთის ზედა ნაწილებში გავრცელებულია მეფუტკრეობა. მეფუტკრეობას მისდევენ აგრეთვე ზემო იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში და სვანეთშიც.

აღმოსავლეთ საქართველოში მეფუტკრეობა გავრცელებულია ქართლ - კახეთის მთიან რაიონებში. აღსანიშნავია მესხეთ - ჯავახეთის და სამხრეთ - ოსეთის ავტონ. ოლქის მთიანი რაიონის მეფუტკრეობა. აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი თაფლი ჯავახეთის ალპურ მთებში გროვდება, სადაც კარგად მოვლილი ჩარჩოებიან სკას შეუძლია სეზონის განმავლობაში დააგროვოს 2 ფუთზე მეტი თაფლი.

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მეფუტკრეობას შეუძლია საქართველოს სინამდვილეში მისი ჰავის მრავალ ფეროვნებასთან დაკავშირებით, თუ ის იქნება დაყენებული მენციერულ ნიადაგზე, მისცეს სახალხო მეურნეობას თვალსაჩინო შემოსავალი.

გარდა ამისა ფუტკარს აქვს დიდი მნიშვნელობა, როგორც ყვავილების განაყოფიერების ხელის შემწყობს.

მეფუტკრეობის რაციონალურად დაყენებას არც მეცნ და არც მენშევიკური მთავრობა არ აქცევდა ყურადღებას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია ამ ფრიად სასარგებლო დარგს სათანადო ყურადღება: იხსნება მეფუტკრეობის კურსები, ვრცელდება ლიტერატურა და სპეციალისტთა ინსტრუქტაჟის საშუალებით მიწსახკომი ახდენს მეფუტკრეობის რეკონსტრუქ-

ციას. არსდება მეფუტკრეობის კოლმეურნეობები და ტარდება პრიმიტიული გეჯების (ბუკის) შეცვლა ჩარჩოიანი ყუთებით.

საქართველოს ტერიტორიაზე ითვლება დაახლოებით 90.000 სკა.

მეაბრეშუმეობა

მეაბრეშუმეობა ჯერ კიდევ უძველეს დროში იყო განვითარებული. მეაბრეშუმეობა იმ დროს ჩინეთ-ინდოეთის მონოპოლიას შეადგენდა. ევროპა მეაბრეშუმეობას ეცნობა ბიზანტიელების საშუალებით. ევროპაში (ესპანეთში) მეაბრეშუმეობა იწყებს გავრცელებას მე-7 საუკუნიდან არაბების მეშვეობით და მხოლოდ მე-13 საუკუნიდან საყოველთაოდ გავრცელდა, როდესაც ის შემოვიდა იტალია-საფრანგეთში და სხვ.

რუსეთში კი მეაბრეშუმეობა იწყება მე-17 საუკუნეში.

ამიერ-კავკასიაში აბრეშუმის ჭიის მოვლას, ისტორიული წყაროების მიხედვით, უძველესი დროიდან ძისდევდენ და მე-10 საუკუნიდან დიდძალი აბრეშუმი გაქონდათ.

აბრეშუმის ჭია მრავალი ჯიშის იცის: ჩინური, კორეისა, ინდოეთსა და ინდო-ჩინური, მცირე-აზიისა, შუა აზიისა, ამიერ-კავკასიისა, ევროპული და სხვ.

ზოგი აბრეშუმის ჭია იძლევა წელიწადში 2—3 და მეტ მოსავალს.

საქართველოში უფრო გავრცელებულ ჯიშად ითვლებოდა ოსმალური ჯიშიდან ბაღდადის, ბრუსისა და სტამბოლისა, აგრეთვე ევროპული ჯიშები — საფრანგეთისა და იტალიის.

მეაბრეშუმეობას საქართველოს სოფლის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან რაღაც ერთი თვის განმავლობაში სოფლის მეურნეს შეუძლია მიიღოს საგრძნობი შემოსავალი. მეაბრეშუმეობა უმთავრესად განვითარებულია დასავლეთ საქართველოში

გურია-სამეგრელოში, ქვემო იმერეთში და ნაწილობრივ ზემო იმერეთში და ლეჩხუმში, აგრეთვე აფხაზეთში. აღმოსავლეთ საქართველოში მეაბრეშუმეობა გავრცელებულია უფრო კახეთში, განსაკუთრებით კი თელავის რაიონში. აგრეთვე ქართლის ზოგიერთ სოფლებში, სადაც მომეტებულად იზრდება თუთის ხე.

საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის არის საუცხოო პირობები: თბილი ჰავა და თუთის ხის სიმრავლე, რომლის საეგეტაციო პერიოდი მარტ-აპრილიდან ოქტომბრამდე გრძელდება. საქართველოში მეაბრეშუმეობა შესაძლებელია თითქმის ყველგან, გარდა მაღალ მთიან-რაიონებისა. მსოფლიო ომამდე აბრეშუმის პარკის მოსაბალი საქართველოში 2.000 ტონას ძლივს აღემატებოდა; იმპერიალისტური ომის და მენშევიკების ბატონობის პერიოდში მეაბრეშუმეობა სავსებით დაეცა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების ენერგიული და მთელი რიგი ღონისძიების შედეგად მეაბრეშუმეობა ფეხზე დადგა და მისი პროდუქცია უკანასკნელ წლებში 3.000 ტონას აღემატება.

თუ 1921 წლამდე საქართველოს პარკი, რომელიც განთქმულია არა თუ ევროპაში, არამედ მსოფლიოში თავისი კარგი ღირსებით, განსაკუთრებით დასავლ. საქართველოს, გაჰქონდათ დასავლეთ ევროპის ბაზარზე (ი.აფრანგეთ-იტალიაში), მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მუშავდებოდა ამიერ-კავკასიის ფარგლებში. 1921-1922 წლიდან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ამჟამად საქართველოს პარკი თითქმის ჩვენი ტერიტორიაზე მუშავდება. ამ მიზნით საბჭ. ხელისუფლებამ ააგო შემდეგი ფაბრიკები: ოზურგეთის, სამტრედიის, ხონისა და თელავის. გარდა ამ ძველებად ძველისა ფაბრიკებისა ტფილისში აშენებულია აბრეშუმის საკმოვი და სატრიკოტაჟო ფაბრიკები. ქუთაისში შენდება აბრეშუმის დიდი კომბინატი.

გარდა ამ ფაბრიკებისა საქართველოში მოწყობილია მეაბრეშუმეობის საგრენაჟო და სასელექციო სად-

გურები, სადაც ხდება ჩვენი ბუნებასთან შეგუებული საუკეთესო ჯიშების შერჩევა. თუ ძველად აბრეშუმის ქსოვილები სიძვირის გამო მიუწვდომელი იყო მოსახლეობის ფართო მასებისათვის და შეადგენდა მხოლოდ ფეოდალების და ბურჟუაზიის ტანსაცმელს, ამჟამად ფაბრიკული დამუშავებისა და სიმრავლის გამო უკვე ფართო მასების მოხმარების საგანს წარმოადგენს.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაარსებულია ტრესტი „აბრეშუმი“, რომელსაც მოწყობილი აქვს აბრეშუმის საბჭოთა მეურნეობა, სადაც გაშენებულია თუთის ხის (ბაყოლა) სანერგეები და აწარმოებენ გაუმჯობესებულ ტექნიკით აბრეშუმის მოვლას.

გარდა საბჭოთა მეურნეობებისა აბრეშუმის მოვლას უდიდესი ყურადღება ექცევა კოლმეურნეობებში, სადაც სპეციალისტ-მებაბრეშუმეების ინსტრუქტაჟი მეტად გავრცელებულია და ყოველგვარ დახმარებას უწევენ, როგორიც არის თესლის კრედიტში დარიგება, პარკის მოსავლის დაავანსება და სხვ.

საკონტროლო კითხვები.

1. რა იყო რევოლუციის წინადროინდელი საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის ძირითადი მიზეზები.

2. რაში გამოიხატება საბჭოთა მეურნეობის მძლოლი როლი სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში.

3. რა როლს ასრულებენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები საქართველოს სოფლის მეურნეობაში და როგორია მათი განვითარების ტემპი ჩვენში.

4. დაახასიათეთ კოლმეურნეობის როლი და შეისწავლეთ რუკაზე კოლმეურნეობის გეოგრაფია საქართველოში.

5. როგორია მარცვლეული მცენარეობა ხვედრითი წონა და განვითარების პერსპექტივები.

6. როგორია ტექნიკური და სუბტროპიკული მცენარეების როლი ჩვენი სოფლის მეურნეობაში.

7. დაასახელეთ ძირითადი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურები და მათი რაიონები, დაახასიათეთ მათი მეურნეობა მოკლედ.

8. რა მუშაობა ჩატარდა მელიორაციის დარგში დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა დღევანდლამდე.

9. დაასახელეთ მეცხოველეობა სტრუქტურისა და გეოგრაფიული განლაგების მხრით.

10. რა ღონისძიებებია მიღებული მეცხოველეობის ჩქარი ტემპით განვითარებისათვის საბჭოთა საქართველოში.

11. რამდენად განხორციელდა სოფლის მეურნეობის ხუთწლედი საქართველოში.

12. როგორია მეორე ხუთწლედის ამოცანები.

საქართველოს ტრანსპორტი

„რა არის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დამაკავშირებელი მატერიალური ბაზა? ეს არის რკინის გზებისა და წყლის გზების ტრანსპორტი"
—ლენინი (ტ. 18, ნაწ. 1, გვ. 183).

ტრანსპორტს ჩვენ ვუწოდებთ ყოველივე იმას, რაც სახალხო მეურნეობას ეხმარება გადაზიდოს სხვადასხვა მანძილზე ხალხი და ტვირთი.

ტრანსპორტი შედგება სამი ელემენტისაგან: გზა, ჰურჭელი, რომლის საშუალებით ხდება გადაზიდვა (ურემი, ეტლი, აგონი და სხვ.), გამწევი ძალა.

არსებობს სამი სახის ტრანსპორტი: ხმელეთის, წყლისა და საჰაერო. გამწევი ძალა ორგვარია: ცოცხალი (პირუტყვი, უპირველესად ჩამორჩენილ ქვეყნებში აღმოსავლეთი) და მექანიკური.

ტრანსპორტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიურ—კულტურულ განვითარებაში, რადგან ტრანსპორტის მეშვეობით ხდება შრომის საზოგადოებრივ—გეოგრაფიული განაწილება და მისი სპეციალიზაცია.

ტრანსპორტი ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალია—ასეთი მნიშვნელობა ეძლევა მას მსოფლიო ეკონომიკაში.

„...უკანასკნელ ათეულ წელს (1867 წ.) კოლოსალურმა სარკინიგზო მშენებლობამ და საოკეანო ნაოსნობამ გამოიწვია ცხოვრებაში ის ცვლილებები, რომლებსაც იწვნევენ პირველი მოტორების მშენებლობა სათავეს" (კ. მარქსი „კაპიტალი", ტ. 1, სახელგ. 1923 წ., გვ. 361-262).

ტრანსპორტი წარმოადგენს სახალხო მეურნეობის იმ ძარღვებს, რომლის საშუალებით ხდება „ნივთიერებათა ცვლა", ე. ი. პროდუქტის ბრუნვა გარდა წმინდა ეკონომიურ მნიშვნელობისა ტრანსპორტს აქვს უდიდესი პოლიტიკურ—სტრატეგიული მნიშვნელობა; რომ ტრანსპორტის სიძლიერეს აქვს უდიდესი თავდაცვითი მნიშვნელობა, ეს გამოაშკარავა (1854-55 წწ.) ყირიმის კამპანიამ. როცა ჯ. სებასტოპოლში ომები იდგა და სევასტოპოლში კი მეფის რუსეთის არმია ნახევრად შიშველი იბრძოდა. ტრანსპორტის ტექნიკა გამოაშკარავდა აგრეთვე 1905 წ. რუსეთ — იაპონიის ომის დროს. როცა ცნობილის მაგისტრალი ვერ ავიდა ჯარების და სამხედრო მასალის გადაზიდვას, იაპონია კი ტრანსპორტის ძირითად უპირატესობაში აღმოჩნდა.

იმპერიალისტურ ომში გერმანია ადვილად იმიტომ ამარცხებდა მეფის რუსეთის არმიას, რომ მცირე ტექნიკასთან ერთად რუსეთთან შედარებით ერთი და იგივე სივრცეზე გერმანიას ჰქონდა 3—4 ჯერ მეტი რკინიგზა და უმოკლეს დროში ახდენდა ჯარების კონცენტრაციას ფრონტის სხვადასხვა პუნქტებზე. ტრანსპორტის მნიშვნელობა განუზომელია.

„მსოფლიო მეურნეობის გასაოცრად განვითარებამ მოითხოვა უამრავი გადასაზიდი საშუალებანი და გა-

შოიწვია მსოფლიო ტრანსპორტის უდიდესი განვითარება. ეს უკანასკნელი თავის მხრივ მოითხოვს სპეციალურ მრეწველობის განვითარებას, როგორიც არის ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც თვით ტრანსპორტს ემსახურებიან" (ს. ა. გიშპანოვსკი. „მსოფლიო ტრანსპორტი და მსოფლიო მეურნეობა". 1929 წ., გვ. 15).

რამდენად უფრო იაფია ტრანსპორტი, ე. ი. რამდენად მცირეა გადაზიდვის საჭასური მანძილის ერთეულზე, იმდენად უფრო მეტია ტვირთდენა და, მაშასადამე, მეს ძლებელი ხდება იაფი ფასიანი და დიდი ტვირთის გადაზიდვა, რაც საბოლოო შედეგში იწვევს შრომის სოციალურად ეკონომიურად განაწილების დიფერენციაციას.

კაპიტალისტურ მეურნეობაში ტრანსპორტის განვითარებას ხელს უშლის მეურნეობის ანტაგონისტური ხასიათი, სტიქიურობა, ანარქია, მაოლოდ საბჭოთა სახელმწიფოში, გეგმიან სოციალისტურ მეურნეობის პირობებში შესაძლებელია ტრანსპორტის გონივრული განვითარება ისე რომ ის ახდენდეს საწარმოო ძალთა წესიერ განლაგებას სოციალისტური მეურნეობის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით ტრანსპორტი მაინც რჩება ჩვენში სახალხო მეურნეობის „იეწრო ადგილად.

მე-16 პარტყრილობაზე პარტიის გენიოსმა ბელადმა ამბ. სტალინმა მთელი სიმწვავით წამოაყენა ტრანსპორტის პრობლემა: „საჭიროა ვიცოდეთ ლაპარაკი იმაზე, რომ ტრანსპორტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი სახალხო მეურნეობისათვის. და არა მარტო სახალხო მეურნეობის თვის, როგორც ვიცით, ტრანსპორტს ფრიად სერიოზული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის თავდაცვის საქმისათვისაც. და აი, მიუხედავად ტრანსპორტის უდიდესი მნიშვნელობისა, სატრანსპორტო მეურნეობა, ამ მეურნეობის რეკონსტრუქცია მაინც ჩამორჩება განვითარების საერთო ტემპს. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ასეთ ვითარებაში შეიძლება ტრანსპორტი გადაიქცეს სახალხო მეურნეობის „ვიწრო ადგილად", რომელიც შეაფერხებს ჩვენს წინსვლას? განა დრო არ არის ბოლო მოეღოს ასეთ ვითარებას".

სწორეთ ტრანსპორტის ამ მდგომარეობიდან გამოყვანა, მისი საფუძველიანი რეკონსტრუქცია დასახული აქვს მ ორე ხუთწლედს, როგორც ერთერთი საბრძოლო-სამეურნეო ა ოცანა.

საბჭოთა კავშირის ყველა სახის ტრანსპორტის რეკონსტრუქცია უნდა მოხდეს.

უნდა მოხდეს მთელი რიგი რკინისგზების ელექტროფიკაცია, სადაც ეს შესაძლებელი იქნება. შემოღებულ იქნეს მძლავარი ორთქლმავლები და დიდტევადობის ვაგონები, ავტობლოკირება და სხვ., გაძლიერდეს ავტო და ავიო ტრანსპორტი.

გაყვანილ იქნას ახალი არხები და უნდა აშენდეს ახალი ნავთსადგურები. ერთი სიტყვით, ტრანსპორტი უნდა გ მოვიდ ს, რაც შეიძლება უმოკლეს დროში, იმ ვიწრო ადგილიდან, რომელშიაც ამჟამად იმყოფება.

სა კ. პ. ბ) მე-17 ყრილობაზე დიდი სტალინი კიდევ ერთხელ გამოდის ტრანსპორტის შესახებ და შემდეგს ლაპარაკობს:

„შეიძლება ისე მოხდეს ხოლმე, რომ საკონელი არის, არის საკონელბრუნვის გაშლის სრული შესაძლებლობა, მაგრამ ტრანსპორტი ვერ მისდევს ფეხდაფეხ საკონელბრუნვის განვითარებას და უარს ამბობს ტვირთის გადაზიდვაზე. როგორც ვიცით, ძალიან ხშირად ეს სწორედ ახლა არის ხოლმე. ამიტომ ტრანსპორტი წარმოადგენს იმ ვიწრო ადგილს, რომელზედაც შეიძლება წაიფორხილოს და, შეიძლება ითქვას, უკვე ფორხილობს მთელი ჩვენი ეკონომიკა და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი საკონელბრუნვა, ამიტომ საკონლის ბრუნვის გაშლისა და ტრანსპორტის გადაზრითი გაუმჯობესების ამოცანა წარმოადგენს იმ მორიგ და ყველაზე უფრო აქტუალურ ამოცანას, რომლის გადაუჭრელად ჩვენ არ შეგვეძლია წინსვლა“.

ამიერ-კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში გზების გაყვანა, როგორც ურელსო, ისე რკინისგზების, ნაკარნახევი იყო უფრო პოლიტიკურ-სტრატეგიული მოსაზრებით, ვიდრე ეკონომიურ-კულტურულით. რომ ეს ასე იყო, ამას ამტკიცებს ა.-კავკასიის ძეფის მოდგილის თავად ბარიატინსკის მეფისადმი მოხსენებითი ბარათი 1857 წელში: „ამჟამად ამიერ კავკასიის ოლქები მხოლოდ გეოგრაფიის რუკაზე არის შეერთებული იმპერიასთან; ნამდვილათ კი ესენი წარმოადგენენ მხარეს, რომელიც ყოველმხრივ მოწყვეტილია რუსეთს. მეტისძნელი საგზაო სიძნელენი და დიდი ხანძლები იმ პუნქტებთან, სადაც დაგროვილია სახელმწიფოს მთავარი ძალები, სრულიად ანცალკევებს ამიერ-კავკასიას იმპერიისაგან, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიური ხრიხით“.

ა.-კავკასიაში გამაგრება და კიდევ შემდეგი ტერიტორიების გაფართოება ძოითხოვდა დიდი ჯარების გადაყვანა-გადმოყვანას და მის მოძარაგებას, რაც თავისთავად უტარანსპორტოდ არ შეიძლებოდა და ძნიტომ საჭირო იყო რკინისგზების და მოსეების გაყვანა სტრატეგიულ პუნქტებში.

„იმი ათვის, რომ შეენარჩუნებინათ დაპყრობილი პოზიციები ამიერ-კავკასიაში და შეექმნათ ბაზა ალიოსავლეთისაკენ შემდეგი ექსპანსიისათვის, საჭირო იყო გადაყვანათ აქ რკინიგზები და ამით ეკონომიურად და პოლიტიკურად დაეკავშირებინათ ამიერ-კავკასია რუსეთისათვის“ (კ. ოლგელიძე — „კაპიტალიზმის განვითარება ა.-კ. სოფლის მეურნეობაში“. სახელგამი 1930 წ. გვ. 79).

რკინისგზები. კაპიტალისტური ძაფები, რომელიც ათასგვარი ბაგშირებენ საერთოდ რკ. გზის წარმოებებს საწარმოო საბუალებათა კერძო საკუთრებასთან, რკ გზის აღმშენებლობა გადააქცია მილიარდ ადამიანთა დამონაგების იარაღად დაპყრობილ ქვეყნებში, ე.ი. დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი და ცივილიზაციის ქვეყნებში კი კაპიტალის

დაქირავებულ მონებად" (**ლენინი**), ასეთია კაპიტალიზმის პირობებში რკ. გზების მშენებლობის მიზანი.

მსოფლიოში პირველად რკინისგზა გაყვანილ იქნა ინგლისში 1825 წ., რუსეთში რკინისგზის მშენებლობა დაიწყო 1837 წლიდან. ამიერ - კავკასიის რკინისგზები პირველ ხანებში იყო კერძო—საკუთრო საზოგადოებათა ხელში, მხოლოდ 1889 წლიდან კი გამოყიდულ იქნა ნაზინის მიერ. პირველი რკინისგზა საქართველოში გამოიყვანეს 1871 წ. ქ. ფოთიდან ზესტაფონამდე, მეორე წელს კი შეუერთდა ტფილისს. ბაქო-ტფილისის რკ. გზა დამთავრდა 1883 წელს. ამავე წელს შეუერთდა ბათუმი - სამტრედიას. ქ. ქუთაისიამდე რიონს 1877 წ. დაუკავშირდა. 1890 წელს გაიხსნა სურამის გვირაბი, რომლის სიგრძე 4-კილომეტრამდეა, 1895 წელს გაიყვანეს შორაპანი - ჭიათურა - საჩხერის ვიწრო ლიანდაგიანი შტო 55 კილ., 1894 წ. სტალინისი - ბორჯომის ტოტი, ბაკურიანის ვიწრო ლიანდაგიანი ტოტი კი 1901 წ. დამთავრდა. კახეთის რკ. გზის მშენებლობა დაიწყო 1910 წ. და დამთავრდა 1914 წელს. ნატანებ - ოზურგეთის რკინისგზა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლებამ 1922 წელს და დაამთავრა 1923 წელს (სიგრძით 18 კილ.). შავი ზღვის რკ. გზის მშენებლობა დაიწყო ჯერ კიდევ იმპერიალისტურ ომის წინა წლებში, მაგრამ დღესაც მთლიანად არ დამთავრებულა, ის გრძელდება ჩრ. კავკასიის რკინისგზის სად. ტუაპსიდან ამიერ - კავკასიის რკ. გზის სად. ახალსენაკამდე. ეს მანძილი დაახლოვებით 350 კილ. უდრის. ამ გზის ჩრ. ნაწილი ტუაპსედან აღლერამდე 1929 წლიდან უკვე ექსპლოატაციაშია. 1931 წ. თებერვალში სამხრეთი ნაწილი ახალ - სენაკიდან გალამდე (56 კილ.) შევიდა ექსპლოატაციაში. გაყვანილ იქნა ზუგდიდის შტო 6 კილ. 1932 წელს რკ. გზა მიყვანილ იქნა გალიდან ოჩემჩირემდე (24 კილ.) და 1933 წ. კი ტყვარჩელის შტო (27 კილ.) დამთავრდა. ამრიგად შავი ზღვის რკინისგზა თანდათან მიიწევს წინ. ამჟამად მუშაობა აჩქარებული ტემპით სწარმოებს ოჩემჩირე -

სოხუმის (53 კილ.) და ადლერ-გაგრის (35 კილ) უქნებაზე, რაც შეება სოხუმ-გაგრის უბანს, აქ მიმდინარეობდა დამატებითი კვლევა-ძიება და ამჟამად მუშავდება საბოლოო პროექტი. 1936 წლის 1 იანვრისათვის უნდა დამთავრდეს ოჩემჩირე-კელასურის (სოხუმიდან 3 კილომ.) უბანი.

შავი ზღვის რკ. გზის-მშენებლობაზე ძარტო 1931-1934 წ. დაიხარჯა 21,9 მლ. მანეთი. თუ როგორ გაიხარდა ამ გზის ექსპლოატაცია, ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.	1934 წ.
გადაზიდულია ტვირთი (ათას ტონობით). . .	129	124	156	187
გადაყვანილია მგზავრი (ათას კაცობით) . . .	479	544	853	950

1934 წ. დაიწყო და კიდევაც დამთავრდა ბროწეულა-გუმბრინის შტო 25 კილომეტრის მანძილზე გუმბრინის გამოსაზიდად. ამჟამად მიმდინარეობს მეორე შტოს გაყვანა სად. ტერნალიდან წყალტუბომდე 2½ კილომ..

გარდა ამ გზებისა მუშავდება პროექტი მერიდიანალურ მიმართულების — ტრანსკავკასიის საუღელტეხილო რკ. გზის აშენებისა. შემუშავებულია ორი ვარიანტი: ერთი გორი-დარკოხი (ჩრ. კავკას. რკ. გზის სადგურია) და მეორე ტფილისი — ქ. ორჯონიკიძე (ყოფ. ყავკავი). მუშავდება პროექტი გორი-სტალინირის და ხუდადი-ჯვარის ხე-ტყის საზიდი რკ. გზის გაყვანისათვის და აგრეთვე შირაქის შტოს გასაყვანად.

საქართველოს ტერიტორიაზე რკინისგზის მეურნეობაში ჩატარებულია მეტად დიდი სარეკონსტრუქციო ღონისძიებანი: ელექტროფიცირებულია საუღელტეხილო უბანი — დაწყებული სად. ზესტაფონიდან სად. ტფილისამდე. ამასთან დაკავშირებით შეცვლილია ამავე მანძილზე ძველი მსუბუქი ტიპის რელსები მძიმე ტიპის რელსებით.

ელექტროწევის შემოღებამ ამ უბანზე, რომელიც ა.-კავკასიის რკ. გზაზე ყველაზე ვიწრო ადგილს წარმოადგენდა, გააძლიერა გზის გამტარუნარიანობა 50 პროცენტით. ელექტრო წევაზე გადაყვანის მიზნით მუშაობა დაიწყო სტალინისი-ბორჯომის, ზესტაფონი-სამტრედიისა და ტფილისი-აქსტაფის უბანზე. ამრიგად 1935 წ. ექსპლოატაცია უნდა დაიწყოს ნავთლუღი-სამტრედიის უბანზე.

გარდა ელექტროფიკაციისა ჩატარებულია რკ. გზის მთავარ — საკვანძო სადგურების რეკონსტრუქცია და ხიდების გადაკეთება, რომ მძიმე ორთქლმავლებს გაუძლონ.

მგზავრების გადაყვანის დინამიკას საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი ციფრები გვიჩვენებს: ათას. სულობით.

1931 წ.	1932 წ.	1933 წ.	1934 წ.
12.836	15.543	17.599	18.000

ტვირთბრუნვა საქართველოს ს. ს. ს. რ-ში (ათას ტონობით).

1931 წ.		1934 წ.	
გაგზავნა	მიღება	გაგზავნა	მიღება
2.574	5.143	2.686	5.879

ამიერ-კავკასიის რკინისგზის საქართველოს ფარგლებში კაპიტალური დაბანდება ყველა ღონისძიების ბაზით 4 წლის განმავლობაში შეადგენს 76 მილ. მანეთს. რომელიც ასე ნაწილდება (ათას მანეთობით):

1931 წ	1932 წ.	1933 წ.	1934 წ.
13.000	23.000	15.800	24.300

მეორე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს შავი ზღვის რკ. გზა, რომელიც ამოკლებს მანძილს ჩრ. კავკასიის სად. არმავირიდან ბათუმამდე 1.067 კლმ., ხოლო ტფილისამდე 670 კლმ. ამრიგად ამ რკინისგზას აქვს უდი-

დესი ეკონომიური მნიშვნელობა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი სომხეთის და ავრეთვე დასავლეთ აზერბეიჯანისათვისაც.

მეორე ხუთწლედში დამთავრდება გორი - სტალინირი, ზუგდიდი - ჯვარი, თელავი - ახმეტა და წნორი-შირაქის ტოტები. საქართველოს რკინისგზას ისე, როგორც მთელ ა.-კავკასიისას, აქვს უდიდესი სატრანზიტო მნიშვნელობა განსაკუთრებით ოსმალეთ - სპარსეთ - ავღანისტანისათვის.

თუ რამდენად ჩამოვრჩებით რკ. გზის მხრივ დავ. ევროპის ზოგიერთ ქვეყნებს, ამას ქვემოთმოყვანილი ციფრები გვიჩვენებს.

100 კვ. კილომეტრზე მოდის რკ. ზები კილომეტ-

ბელგიაში	36,5
გერმანიაში	12,3
ჩეხო-სლოვაკიაში	10,0
საფრანგეთში	9,7
ინგლისში	7,2
იტალიაში	6,8
ა. შ. შტატებში	4,3
იაპონიაში	3,3
საბჭ. კავშირში	2,3

გზატკეცილები და გუნებგრივი გზები

მიუხედავად რკინისგზის განვითარებისა ულიანდაგო გზებს დღეს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე მათ ჰქონდათ ავტო - ტრანსპორტის განვითარებამდე. ამჟამად ეს გზები მეტ შემთხვევაში უფრო მისადგომი ანუ რკინისა და წყლის გზების შემჭერთებელია.

საქართველოში გზატკეცილების მშენებლობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. გზატკეცილების გაყვანას მწინდა პოლიტიკურ - სტრატეგიული მნიშვნელობა ეძლეოდა. ამიტომ პირველი გზატკე-

ცილები სამხედრო უწყების მიერ იქნა გაყვანილი. ყველაზე ადრე გაყვანილ იქნა სამხედრო ქართლ-იმერეთის შოსე (გზატკეცილი, რომელმაც შავი ზღვის ნავთსადგური ფოთი დაუკავშირა ტფილისს) და შემდეგ საქართველოს სამხედრო გზა (ტფილის - კავკავი), ოსეთის სამხედრო გზა (ქუთაისი-ონი-ალაგირი მამისონის უღელტეხილით). შავი ზღვის სანაპირო შოსე სოჩი - სოხუმი - ზუგდიდი - ახალ - სენაკი. გარდა ამ გზებისა ცარიზმის დროს გაყვანილ იქნა მთელი რიგი გზატკეცილებისა, როგორიც არის ქუთაისი - ზეკარი - ახალციხე, ბორჯომი - ბაკურიანი - ახალქალაქი, ბათუმი - ხულო, ახალციხე. სოხუმი. ბატალაშინსკი და სხვა.

საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოს ტერიტორიაზე მენშევიკურმა მთავრობამ დაუტოვა განადგურებული საგზაო მეურნეობა: დანგრეული და წალეკილი გზები, ჩანგრეული და ზოგან სრულიად წაღებული ხიდები და სხვ. საბჭოთა ხელისუფლება იწყებს გზების სასწრაფო აღდგენას და ახალი გზების მშენებლობას. რაზედაც დაიხარჯა დიდძალი თანხები.

1934 წელს ხევსურეთში შეყვანილ იქნა პირველი შოსე საქართველოს სამხედრო გზიდან სოფ. ჟინვალიდან გადახვევით სოფ. ბარისახომდე. გაყვანილ იქნა სურამ - ძირულის გზატკეცილი, ამჟამად ზემო სვანეთში შეყავთ ს. ჯვარიდან გზატკეცილი. და მიმდინარეობს მთელი რიგი გზების რენოვაცია და რეკონსტრუქცია. ნაწილობრივ ჩატარებულია საქართველოს სამხედრო გზის და აგრეთვე შავი ზღვის გზატკეცილების გუდრონიზაცია.

საქართველოს ს.ს.რ. ტერიტორიაზე მოდის სულ 10.938 კლმ. გზა, აქედან საკავშირო მნიშვნელობის 1.952 კლმ. რესპუბლიკანურ 1.069 და ადგილობრივ მნიშვნელობის 7.917 კლმ.

ამ გზებიდან გზატკეცილების სიგრძე აღემატება 2.600 კილომეტრს, დანარჩენები არიან ან ნახევრად გზატკეცილები ან ყამირის გზები.

მიუხედავად იმისა, რომ გაშლილმა საგზაო მშენებლობამ საქართველოს ტერიტორიაზე მოგვცა უკვე 10.938 კლმ. გზების სიგრძე, საქართველო მაინც ჩამორჩება მთელ რიგ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, ასე, მაგალითად, 100 კვ. კილომეტრზე მოდის:

საფრანგეთში	127,6	კილ. გზა
ინგლისში	87,4	„ „
გერმანიაში	59,6	„ „
ბელგიაში	39,4	„ „
დანიაში..	21,1	„ „
ავსტრიაში	21,0	„ „
საქართველოში	15,6	„ „

მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში პრაქტიკამ დაუმტკიცა კაპიტალისტურ ქვეყნებს, რომ მოკლე მანძილზე, განსაკუთრებით რკ. და წყლის გზებზე მისასვლელი მოკლე გზები დაახლოებით, 20—30 კილომეტრის მანძილზე, გაცილებით უფრო ეფექტიურია ავტოტრანსპორტისათვის, ვიდრე რკ. გზისათვის, ამიტომ მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყეს ჩქარი ტემპით ასეთი გზების მშენებლობა ავტოტრანსპორტისათვის, უფრო მეტად კი ისეთ ტოპოგრაფიულ პირობებში, როგორიც საქართველოს აქვს. რასაკვირველია, ასეთ მანძილზე ავტოტრანსპორტი სავსებით ხელსაყრელი არაა ისეთი იაფიანი ტვირთისათვის, როგორიც არის ქვანახშირი და მძიმე სააღმშენებლო მასალა. ჩვენი ავტოტრანსპორტი დღითი დღე იზრდება, ამის თავდებია საბჭ. ქავშირის ავტომშენებლობის მრეწველობა და აგრეთვე ტფილისის ავტო-სარემონტო გიგანტი ა.-კავკასიის მასშტაბით.

თუ საქართველოს ს.ს.რ. ტერიტორიაზე 1931 წელს მუშაობდა 1474 სამგზავრო და საბარგო ავტომობილი, 1934 წელს I/X-ის კი 3.088 ავტომ.

წყლის ტრანსპორტი

ზღვის ტრანსპორტი. თანამედროვე ეკონომიკა ზღვის ტრანსპორტის გარეშე წარმოუდგენელია, რადგან ზღვის საშუალებით ხდება დაკავშირება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებთან და შესაძლებელი ხდება შორს მანძილზე ჭარბად არსებული ისეთი იაფფასიანი ტვირთის, როგორიც არის ქვა და ბეწვა. მაგალითად, საქართველოდან ეკლარის ქვა (გრანიტი) მიდის ამერიკაში, ამერიკიდან ევროპას მოაქვს გვარგვალა, ფლორიდიტი და სხვ.

თუ ერთ დროს, როდესაც არ იყო სანაოსნო ტექნიკა საკმაოდ განვითარებული, ზღვები და ოკეანები წარმოადგენდენ ხალხთა არა შემაერთებელ და დამაკავშირებელ სამუალებას, არამედ იყვენ ხალხთა ერთგვარი გამთიშავი. ავიღოთ, მაგალითად, ეგვიპტის სახელმწიფო, ჩინეთი და სხვ., რომლებიც ვერ ახერხებდენ ერთმანეთთან ურთიერთობის დამყარებას. ძველმა ქვეყანამ თითქმის არ იცოდა ამერიკის, ავსტრალიის და მთელ რიგ ქვეყნების არსებობა და სხვ.

საზღვაო და საოკეანო ტრანსპორტი უიაფესი ტრანსპორტია. ის დაახლოებით 200-300-ჯერ იაფია რკ. გზის ტრანსპორტზე, რასაც გამოხატავენ ტონა-კილომეტრზე.

ამიტომ თანამედროვე საზღვაო ტრანსპორტი ხელსაყრელად ხდის ყოველგვარ ტვირთის გადაზიდვას და მით ახლოვებს ერთ ქვეყანას მეორესთან.

ა.-კავკასიისათვის და საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს შავ ზღვას, რომლის ნავთსადგურების საშუალებით საქართველოს მეურნეობა დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის და მსოფლიო მეურნეობასთან. შავი ზღვის ნავთსადგურებია: **ბათუმი, ფოთი, სოხუმი,** აგრეთვე ჯერ მოუწყობელი **ოჩამჩირის, გაგრის, გუდაუთის, ბიჭვინთის, ათონისა და ანაკლიის** ნავთსა-

დგურები. საქართველოს ნავთსადგურებიდან ყველაზე მეტი ტვირთბრუნვა ხდება ბათუმის ნავთსადგურის საშუალებით.

ბათუმის ნავთსადგურით იზიდება საექსპორტო საქონელი, განსაკუთრებით ნავთი და აგრეთვე მშრალი ტვირთი. ბათუმშივე მოდის საიმპორტო საქონელი. ამიტომ უნდა მოხდეს ბათუმის ნავთსადგურის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია და მეორე ხუთწლედის ბოლოს ბათუმის ნავთსადგური უნდა იქნეს სპეციალურ ტვირთვის და სამგზავრო ნავთსადგური. ბათუმის ნავთსადგური ბუნებრივი პირობების გამო ერთერთ საუკეთესო ნავთსადგურად ითვლება.

ფოთის ნავთსადგური ხელოვნურია და ამიტომ ღელვის დროს მასში გემები ვერ შემოდიან და თან დრო გამოშვებით უნდა გაიწმინდოს, რადგან მდინარე რიონი, რომელიც ნავთსადგურთან ერთვის ზღვას, შლამს ტოვებს და შეუძლებელს ხდის საოკეანო გემისათვის შემოსვლას. ფოთის ნავთსადგურით იგზავნება მარგანეცი და სხვ. რადგან სოციალისტური მეურნეობის ტემპები მოითხოვენ დიდ ტვირთბრუნვას, ამიტომ ფოთის ნავთსადგურის რეკონსტრუქციაც დაწყებულია მისი ტვირთბრუნვის გაძლიერებისა და მაქსიმალურად გადიდების მიზნით.

სოხუმის ნავთსადგური არის უფრო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის დანიშნული. მისი მეშვეობით ხდება აფხაზეთის ძვირფასი თამბაქოს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაზიდვა და პურისა, ფურაჟის, მინერალურ სასუქებისა და სხვ. შემოზიდვა. გარდა ამისა სოხუმის ნავთსადგური არის საკურორტო მნიშვნელობის.

ოჩამჩირის ნავთსადგური უნდა აშენდეს ტყვარჩელის ქვანახშირის გასაზიდად, მისი აღმშენებლობისათვის საკავშირო მთავრობის მიერ გადადებულია 10 მლ. მან.

დანარჩენი ნავთსადგურები ჯერ საესებით მოუწყობელია და ამიტომ მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის არიან.

აქ მოვიყვანთ საქართველოს ნავთსადგურების ტვირთბრუნვის დინამიკას (ათას ტონებში):

	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.	1934 წ.
სულ სამივე ნავთსადგ.	4.917	5.469	5.656	6.055
ბათუმის ნავთსადგ.	3.972	4.602	4.528	4.860
ფოთის ნავთსადგ.	.861	751	959	1.005
სოხუმის ნავთსადგ.	84	116	169	190

ამრიგად საერთო ტვირთბრუნვა სამივე ნავთსადგურში გაიზარდა 4.917 ათას ტონიდან 1931 წელს 6.055 ათას ტონამდე 1934 წელს.

სამივე ნავთსადგურებში გადაყვანილ იქნა (ათასი მგზავრები).

1931 წ.	1932 წ.	1933 წ.	1934 წ.
502	753	697	915

მდინარის ტრანსპორტი. რადგან საქართველოს ტოპოგრაფია მეტად მთაგორიანია, ამიტომ მისი მდინარეები ნაოსნობისათვის ჯერ თითქმის გამოუყენებელია. რამოდენიმეთ შეიძლება მდ. მტკვრისა და ალაზნის ქვედა დინება საქართველოს ფარგლებში გამოყენებულ იქმას ნაოსნობისათვის, თუ კი იქნება ის ამისათვის ხელოვნურად მოწყობილი, რაც მოითხოვს დიდ კაპიტალურ დაბანდებას. რაც შეეხება მდ. რიონზე ნაოსნობას, ის საბჭოთა ხელისუფლებამ მოაწყო ამ ათი წლის წინად ქ. ფოთიდან ორპირამდე, მაგრამ მდინარის ფარვატერის მოუწყობლობის გამო მას ფართე ხასიათი არ მიუღია.

მდ. რიონზე ძველ დროში სწარმოებდა დიდი ნაოსნობა, რომლის საშუალებით ევროპა აღმოსავლეთს უკავშირდებოდა, მაგრამ უკანასკნელ საუკუნეებში ის საესებით მოიშალა. თუმცა შესაძლებელია, დიდი თანხების დაბანდებით, მდ. რიონის სანაოსნო მდინარეთ გადაქცევა ქ. ფოთიდან ქ. ქუთაისამდე, რომელიც მეტად

ხელს შეუწყობს მეურნეობის განვითარებას. ამრიგად საქართველოს წყლის ტრანსპორტი წარმოდგენილია უმთავრესად შავი ზღვის სამი ნავთსადგურის სახით (ბათუმი, ფოთი და სოხუმი).

ავიო ტრანსპორტი

უკანასკნელ ათეულ წლებში, განსაკუთრებით კი მსოფლიო ომის პერიოდში და მის შემდეგ საავიაციო ტრანსპორტი სწრაფი ტემპით ვითარდება მთელ მსოფლიოში. ამ მხრივ ყველაზე მეტად განვითარდა გერმანიის სამოქალაქო ავიაცია.

საბჭოთა კავშირი უდიდეს ყურადღებას აქცევს ავიაციის განვითარებას, რადგან მას ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენელ სივრცეზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ჩვენი ტერიტორია არ არის დასერილი რკინის გზებითა და შოსეებით ისე, როგორც დასავლეთ ევროპა და ა. შ. შტატების სახელმწიფოები.

საქართველოს ავიაციის განვითარებას რამოდენიმე წელია რაც ხელი მოკიდეს და ამ მოკლე პერიოდში ჩვენ გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები.

ავიოტრანსპორტი ჩვენში ამჟამად დიდ მომსახურეობას უწევს, როგორც სოფლის მეურნეობას, მავნებლებთან ბრძოლაში, ისე მოსახლეობის ჯანმრთელობას მალარიის რაიონებში მალარიის კოლოსთან ბრძოლაში და სხვ.

საჰაერო ხაზების სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე 1934 წელს ავიდა 1.330 კილომეტრამდე. ამრიგად საქართველოს ცენტრს—ტფილისს დაუკავშირდა ისეთი მივარდნილი რაიონები, როგორიც არის ზემო-სვანეთი, თიანეთი და სხვ.

საქართველოს ტერიტორიაზე სწარმოებს შემდეგი მარშრუტების ექსპლოატაცია: ტფილის-ჭუთაისი, სოხუმი-სოჩი, წნორისწყალი-ზაქათალა, თელავი — შილდა-ყვარელი და თელავი-ფშაველთი-ახმეტი, ჭუთაისი-ამბრო-

ლაური, გარდა ამ ხაზებისა რეგულარულად მიმოსვლა აოსებობს—ტფილისი-ბაქო-მოსკოვი და ტფილისი-ერევანი.

უკანასკნელ წლებში ტფილისში აშენდა ჰაეროპორტი, ქუთაისში და სოხუმში ჰაეროსადგურები, ამბროლაურში, აღბულაღში და გაგრაში ჰაეროდრომები. ამჟამად შენდება ჰაეროდრომები: თელავში, მესტიაში (სვანეთი), ქობულეთში, ყვარელში და სხვ.

საკონტროლო კითხვები

1. რამდენად უზრუნველყოფილია ჩვენი ტერიტორია სარკინისგზო ტრანსპორტით?

2. შეისწავლეთ სატრანსპორტო რუკაზე ჩვენი რკინისგზების ქსელი.

3. რკინისგზის რომელი ახალი ხაზები გაშენდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე?

4. დაასახელეთ საქართველოს მთავარი გზატკეცილები, დაახასიათეთ ისინი.

5. დაახასიათეთ საქართველოს მთავარი ნავსადგურები (ბათუმი, ფოთი, სოხუმი).

6. რა მშენებლობაა გათვალისწინებული მეორე ხუთწლიანი გეგმის მიერ ტრანსპორტის დარგში?

უმთავრესი მასალები და წყაროები

1. ლენინი, „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ (ქართული გამოცემა).

2. ლენინი, „იმპერიალიზმი, როგორც უახლესი ეტაპი კაპიტალიზმისა“ (ქართ. გამოც.).

3. ამხ. ი. სტალინის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) მე-XV, XVI და XVII ყრილობებზე.

4. ამხ. ი. სტალინის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ც. საკანტ. კომისიის 1933 წ. იანვრის გაერთიანებულ პლენუმზე.

5. ამხ. ი. სტალინის სხვადასხვა მოხსენებები და სიტყვები.

6. ამხ. ლ. ბერიას მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) მე-7 ყრილობაზე და 1932 წ. საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმზე, აგრეთვე სიტყვა, 1935 წლის საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მაის-ივნისის პლენუმზე.

7. საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებანი.

8. საკავ. საბჭ. ყრილობების სტენოგრაფიული ანგარიშები.

9. ვ. ლიბკნეხტი, „მოგონებანი მარქსზე“. ლენინგრადი 1918 წ.

10. პროფ. ჯ. ნ. გეხტმანი, „საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია“, ტფილისი. 1925 წ.

11. Проф. В. Ден, „Курс экономической географии“. Москва, 1928 г. Ленинград.

12. Л. Зиман. Капиталистический мир. Экономическая и политическая георафия“. Огиз 1934 г.

13. პროფ. გ. ნ. გეხტმანი, „მსოფლიო ეკონომ. გეოგრაფია“, 1924 წ.

14. რეინგარდი „თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიური გეოგრაფია“, რუსული გამოცემა, 1929 წ.

15. პროფ. ნ. ბარანსკი „საბჭოთა კავშირის გეოგრაფია“, ქართული გამოცემა, 1933 წ.

16. „ეკონომიური გეოგრაფია (კრესტომათია)“. შედგენილი მ. თავართქილაძის მიერ.

17. ნ. ჯანაშვილი, „საქართვ. ეკ. გეოგრაფია“, სახელგამ 1927 წ.

18. Народное хозяйство Закавказья в цифрах

19. საქ. ცენტრ. სტატისტიკური სამმართვ. კრებული, 1927 წ.
20. ა/კ. ს. ს. ფ. რ. მთავრობის მოხსენებისათვის, 1931—34 წ. წ. მასალები.
21 Большая советская энциклопедия.
22. Малая советская энциклопедия.
3. ფ. მაზარაძე, „თხუზულებათა კრებული", ტ. 8. სახელგამი, 1932 წ.
24. კ. ორაგველიძე, „კაპიტალიზმის განვითარება ა/კ. სოფლის მეურნეობაში".
25. კ. ორაგველიძე, „გოელროს" მასალები.
26. А. Ф. Ляйстер и Г. Чурсин, „География Закавказья" Тифлис, 1929 г.
27. М. М. Дубенский, „Очерки экономической географии Закавказья", Тифлис, 1924 г.
28. ზ. კლიმიაშვილი, „საქართველოს გეოგრაფია". ტფილისი 1933 წ.
29. А. Гвелесиани, „Проблема большого Риона", 1932 г.
30. საბჭოთა საქართველო ოქტომბრის რევოლუციის XVII წლის თავზე (მასალები მომხსენებლებისათვის).
31. Проф. Тимофеев, Экономическая география СССР. М. 1929 г.
32. მ. თავართქილაძე, „ა/კ. ეკონომიური გეოგრაფია", ტფილისი 1933 წ.
33. ი. რუხაძე, „საქართვ. გეოგრაფია, 1927 წ.
34. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1931 წ. 31 ოქტომბრის დადგენილება საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ც. კომიტეტის მოხსენების გამო.
35. ჟურნალი, „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა". 1933 და 1934 წ. წ.
36. С. А. Вышнепольский, „Мировой транспорт и мировое хозяйство". Москва, 1929 г.
37, ЗСФСР, Персия, Турция (экономическо-информационный сборник), Тифлис, 1931—1932 г. г.
38. Проф. Г. Н. Гехтман „Краткие очерки по экономической географии Закавказья.
39. საქართველოს ს. ს. რ. მთავრობის ანგარიშის მასალები საბჭოთა VII ყრილობისათვის (1931—1934 წ. წ.).

40. Чиатурская марганцевая промышленность (материалы к докладу т. Курулашвили на пленуме ЦК КП (б) Грузии в октябре 1929 г.).

41. საბჭოთა საქართველოს 13 წელი.

42 საბჭოთა კავშირის ეკონომიური გეოგრაფიის მოკლე კურსი, შედგენილი ნ. ბარანსკის სახელმძღვანელოს მიხედვით ნ. გვახავას მიერ. 1931 წ.

43. Материалы ко второй пятилетке ЗСФСР. Труды конференции по размещению производительных сил Закавказья, 1932 г.

44. Путеводитель по ЗСФСР, Тифлис, 1934 г.

45. Н. Морозов и И. Юньев, „Экономическая география" под ред. Н. Баранского.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
1. წინასიტყვაობა	3
2. საქ. ს. ს. რ. ტერიტორია, შემადგენლობა და საზღვრები	7
3. საქართველოს რელიეფი	8
4. ჰავა	14
5. ჰიდროგრაფია	21
6. ტბები	25
7. საქართველოს მინერალური წყლები და კურორტები	26
8. მცენარეები	31
9. ტყეები	36
10. მოსახლეობა	44
11. საქართველო, როგორც მეფის რუსეთის ყოფილი კოლონია და უცხოეთის კაპიტალის საექსპლოატაციო რაიონი	55
12. ინდუსტრიის მნიშვნელობა	67
13. ელექტროფიკაცია	75
14. დანარჩენი ენერგეტული რესურსები და მათი განლაგება	88
15. ნავთი და მისი მრეწველობა	94
16. შავი მეტალურგია	99
17. მარგანეცი და მარგანეცის მრეწველობა	103
18. ფერო-მარგანეცი	109
19. ფერადი მეტალურგია	110
20. არა ლითონური მადნების გეოგრაფია და მრეწველობა	113
21. საალმშენებლო მასალები	115
22. მანქანათმშენებლობა	116
23. ქიმიური მრეწველობა	118
24. მსუბუქი ინდუსტრია	121
25. საქართველოს სატყეო მრეწველობა და მისი ნედლეულის რესურსები	122
26. საფეიქრო მრეწველობა	124
27. გემო-კვების მრეწველობა	126

28. სოფლის მეურნეობა 130
29. საბჭოთა მეურნეობანი 137
30. კოლმეურნეობანი 140
31. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები 142
32. ნათესების სივრცე 143
33. მარცვლეული მეურნეობა 145
34. ტექნიკური კულტურები 147
35. სუბტროპიკული კულტურები 155
36. სართავ-საქსოვი მცენარეების კულტურები 161
37. ახალი სართავ-საქსოვი კულტურები 166
38. მებოსტნეობა და მებოლეობა 170
39. მევენახეობა და მეღვინეობა 173
40. ირიგაცია და მელიორაცია 179
41. მეცხოველეობა 185
42. მეცხვარეობა 192
43. სპეციალური კულტურები. მეფუტკრეობა 195
44. მეაბრეშუმეობა 197
45. საქართველოს ტრანსპორტი 200
46. გზატკეცილები და ბუნებრივი გზები 208
47. წყლის ტრანსპორტი 211
48. ავიო ტრანსპორტი 214

გოლოსიტყვაობა

ამ წიგნის დაბეჭდვის შემდეგ (სტამბას დასაბეჭდათ გადაეცა 1936 წლის ივნისში) საბჭოთა კავშირში დაიწყო ჯერ მსოფლიოში არნახული სტახანოველთა მოძრაობა, რომელიც ტექნიკური პირობების გამო შეუძლებელი შეიქმნა გაშუქებულიყო ხსენებულ კურსში (ამ დროს წიგნი შეკრული იყო).

აგრეთვე ს. ს. რ. კავშირის ახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება „საქართველოს შავიზღვის სანაპიროზე ციტრუსოვან კულტურათა ფართობის გადიდების ხუთწლიანი გეგმის შესახებ (1936—1940 წ.წ.)“, სადაც ნათქვამია, რომ ციტრუსოვან კულტურების ფართობი (3280 ჰექტარი) აყვანილ იქნას 1940 წლის დასასრულისათვის 20.000 ჰექტარამდე.

ამავე ტექნიკური მიზეზის გამო წიგნის ბოლო ნაწილში არაა გაშუქებული ის უდიდესი ცვლილება, რომელიც 1935 წლის მეორე ნახევარში მოხდა რკინისგზის ტრანსპორტის მუშაობაში. როგორც წიგნში ნათქვამია და რაც არაერთხელ ყოფილა აღნიშნული სათანადო პარტიულ და საბჭოთა დადგენილებებში, რკინისგზის ტრანსპორტი ამ უკანასკნელ დრომდე წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის „წყრო ადგილს“. რკინისგზის ტრანსპორტს პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და ამხ. კაგანოვიჩის ხელმძღვანელობით გამოვიდა რა განვითარების ფართო ფრონტზე, უდიდესი აღმავლობით მიემართება წინ.

საბჭოთა კავშირის ქალაქთა მოსახლეობის პროცენტი აღებულია 1926 წლის აღწერის მასალებიდან, მას შემდეგ იზრდება ჩვენი ქალაქთა მოსახლეობა, როგორც ინდუსტრიალური ქვეყნის.

ნ. გ.

— БУКИНИ...
Магазин №
„САНДИГИ"
Индекс
Цена 50 к

შემჩნეულ კორექტურული შეცდომები

გვერდი	სტრიქონი	არის	უნდა იყოს
23.	ზევიდან 3	ოსმალეთის	თურქეთის
46.	ზევიდან 2	საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური საქართველოს	საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს
59	ქვევიდან 17	მიჩქმალური	მორჩქალული
63.	ზევიდან 13	პროლეტარიატმა	პროლეტარიატი
83.	ზევიდან 1	ტარიბანში	ტიბაანში
92.	ზევიდან 6	45 ტონა	45 მილიონი ტონა
101.	ზევიდან 10	სპარსეთის	ირანის
112.	ზევიდან	ალუმინის ნედლეული	ალუმინის ნედლეული
192.	ქვევიდან 10	ხორცის	ხორც
215.	ზევიდან 11	მოხსენეგა	მოხსენება
220.	ქვევიდან 5	ავგონი	ვაგონი

150/192